**შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

**ირაკლი მანველიძე**

# ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში

პრობლემები ტენდენციები პერსპექტივები

**პროექტი განხორციელდა საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით (გრანტი № GNSF/PRES08/2-316). წინამდებარე ნაშრომში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა არ ასახავდეს ეროვნული სამეცნიერო ფონდის შეხედულებებს.**

The designate has been fulfilled by of Georgia National Science foundation (Grant **№ GNSF/PRES08/2-316). Any idea in this publication is possessed by the author and may not represent the opinion of Gerogia National Science Foudation".**

**გამომცემლობა „უნივერსალი“**

**თბილისი 2009**

წარმოდგენილი პროექტის კვლევის ობიექტია ტრანსნაციონალური კომპანიები და ამიერკავკასიის ქვეყნები, ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენდა რეგიონის პოტენციალი და მისი ადგილი ტრანსანციონალურ ინტეგრაციაში. აქედან გამომდინარე, ტნკ-ების გავლენა რეგიონის ქვეყნების განვითარებაზე.

წიგნში ასევე განხილულია ტნკ-ების ევოლუციის ეტაპები, ტიპოლოგია, ძირითადი ცენტრები და ტრანსნაციონალური კაპიტალის მოძრაობის ნაკადები. მოცემულია ტნკ-ების განლაგების სურათი და ინტერესების სფეროები მსოფლიოს და ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნების მიხედვით.

ნაშრომში წარმოდგენილია რეკომენდაციები სახელმწიფო და კერძო სექტორისათვის, ასევე მსხვილი კომპანიებისათვის, რომლებიც აპირებენ რეგიონის ქვეყნებში საქმიანობის განხორციელებას.

**პროექტის მეცნიერ-კონსულტანტი და რედაქტორი: რეზო მანველიძე,** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი; საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

**სამეცნიერო რედაქტორი: თეიმურაზ შენგელია,** ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი; საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი; საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრი.

**რეცენზენტები**: **მალხაზ მაცაბერიძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი; საქართველოს პოლიტიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

**ედიშერ ფურტკარაძე,** იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

**ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში:** პრობლემები ტენდენციები პერსპექტივები

©ირაკლი მანველიძე, 2009

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2009

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, 822 22 36 09, 8(99) 17 22 30
**E-mail: universal@internet.ge**

**ISBN 978-9941-12-867-7**

# ს ა რ ჩ ე ვ ი

**შესავალი** ............................................................................ 5

**თავი I**
**ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების ტენდენციები და ეტაპები** ........................................ 10
1.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკური და სეგმენტური ანალიზის თეორიები........................................................................ 10
1.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფორმირების ისტორიული ეტაპები .......................................................................... 21
1.3. ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების და მოდელების ევოლუცია ........................................................................... 27

**თავი II**
**ტრანსნაციონალიზაცია – მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი** ...................... 40
2.1. ტრანსნაციონალური კორპორაციების ადგილი მსოფლიო მეურნეობის სისტემაში ................................................................ 40
2.2. კაპიტალის მიმოქცევის და ბიზნესის თავისებურებები საზღვარ-გარეთის ქვეყნებში........................................................... 66
2.3. თანამედროვე მსოფლიოს მსხვილი ბრენდები/კორპორაციები .... 81

**თავი III**
**ტრანსნაციონალური კორპორაციები და მსოფლიო პოლიტიკური პროცესები**.......................................... 108
3.1. ტრანსნაციონალური გაერთიანებები – მსოფლიო პოლიტიკის ახალი გამოწვევა ........................................................ 108
3.2. მიმღები ქვეყნის მთავრობების და ტრანსნაციონალური კორ-პორაციების ურთიერთობების პრობლემები .................................. 114

**თავი IV**
**ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნებში** ............................................................................ 129

4.1. ამიერკავკასიის რეგიონის პოტენციალი და მისი ადგილი ტრანსნაციონალურ ინტეგრაციაში ..........................................129
4.2. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა საქართველოში.. ..137
4.3. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა აზერბაიჯანში...... ..171
4.4. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა სომხეთში ............ ..188

**თავი V ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნებში** ............................ ..205
5.1. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები........................................205
5.1.1. ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები აზერბაიჯანში.........................................................................212
5.1.2. ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები სომხეთში .........................................................................217
5.1.3. ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების საფუზვლები საქართველოში...................................................................221
5.2. ტრანსნაციონალური კომპანიები და სამოქალაქო საზოგადოების აზრის ფორმირება ..........................................................230
5.3. ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარების პერსპექტივა და ძირითადი მიმართულებები ამიერკავკასიის ქვეყნებში..................................................................................241

**დასკვნები და რეკომენდაციები**.............................................255
რეზიუმე (რუსულ ენაზე)...........................................................261
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე). .....................................................269

# შესავალი

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) საქმიანობა კიდევ უფრო აქტიური ხდება. ტნკ-ის ფენომენის შესწავალა მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში თითქმის არ არსებებოს მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც შეიძლება მოხდეს ტნკ-ს მონაწილეობის გარეშე. ისინი გამოდიან ძირითად ინსტიტუტებად, რომლებიც აყალიბებენ თანამედროვე და მომავალი მსოფლიოს სახეს, ღებულობენ პირდაპირ და საფუძვლიან მონაწილეობას მსოფლიო და ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობა და წარმოების გლობალიზაცია საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. მსოფლიო ეკონომიკაში ტნკ გახდა ცენტრალური აქტორი. იგი არის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალური კეთილღეობაზე მათი გავლენა უარლესად მნიშვნელოვანია[1].

ტნკ-ს განსაზღვრების ქვეშ მოიაზრება სუბიექტები (საფინანსო-სამრეწველო გაერთიანებები), რომლებსაც ეკუთვნით ან დომინირებენ წარმოების კომპლესებსა და მომსახურების სფეროებში, იმყოფებიან ბაზირებულ, ან მის ფარგლებს გარეთ ქვეყნებში, აქვთ ფართო ფილიალების და განყოფილებების ქსელი ქვეყნებში და იკავებენ წამყვან მდგომარეობას ამა თუ იმ საქონლის (მომსახურებას) წარმოებასა და რეალიზაციაში.

---

[1] Transnational Corporations and International Trade and Paymentt, volum 8, Edited by H. Peter Gray, Generel Editer John H Dunning, London, 1993, p. 7.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებში ტრანსნაციონალური გაერთიანებების როლი და ადგილი მნიშვნელოვნად იზრდება. გლობალიზაციის პროცესს ტრანსნაციონალური გაერთიანებების საქმიანობა კიდევ უფრო აღრმავებს. გლობალიზაციამ მოიცვა კაცობრიობის ცხოვრების ყველა სფერო: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, მათ შორის მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია. გლობალიზაციის პროცესს აქვს ობიექტური, კანონზომიერი ხასიათი და არის მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციის შეუქცევადი შედეგი.

მსოფლიო ბაზრის ფორმირების, კაპიტალიზმის მსოფლიო სიტემების და მასში ტრანსნაციონალური გაერთიანებების დომინირების შედეგად გაჩნდა ნაციონალური სახელმწიფოების, როგორც ეკონომიკური პროცესების მონაწილის ,,გაქრობის" თეორია. ამ კონცეფციის თანახმად გიგანტური კორპორაციების ზრდის პირობებში ,,ნაციონალური სახელმწიფოები, როგორც ეკონომიკური ერთეული მიდის დასასრულისაკენ". ,,მსოფლიოს ეკონომიკური მომავალი იმყოფება მსხვილი კორპორაციების ხელში, რომლებიც ახდენენ მსოფლიოს ინტეგრაციას". ამ პროცესების კულმინაცია უნდა გახდეს ,,მსოფლიოს ეკონომიკური ორგანიზაციის შექმნა მხვილი კოორპორაციების ეგიდით".

ტნკ-ებმა შიგა და გარე კომპანიების მომარაგება-მიწოდების სისტემით შექმნეს საერთაშორიოს ქსელი[2]. საერთაშორისო. ტნკ უხამებს სავაჭრო ოპერაციებს და კაპტალის მოძრაობას, კარგად იყენებს შრომის საერთაშორისო დანაწილების სარგებელს გლობალური მასშტაბით, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში განალაგებს წარმოების ცალკეულ

---

[2] A. Giround, Transnational Corporations, Technology and Economic Development, Backword Linkages and Knowledge Transfer in South East Asia, Published by Edward Elgar Publishing Limited Glensanda House, Northanption, Massachusetts, 2003. p. 2.

კომპლექტურ კვანძებს და დეტალებს და ბოლოს ერთ-ერთ მათგანში პროდუქციის საბოლოო სახეს უშვებს. ტნკ ეს არის ახალი ,,გლობალური სუბიექტი", რომელიც თავისი ფინანსურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური პოტენციალის სიდიდით უსწრებს ბევრ პატარა სახელმწიფოს.[3]

კომუნიკაციის და ტრანსპორტის სფეროში ტექნოლოგიური მიღწევების ,,გლობალური ეფექტი" ხელს უწყობს ტრანსნაციონალური გაერთიანებების საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

ტნკ-ები მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ექსპორტის ერთობლივი წარმოების თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით.

ტნკ-მა მსოფლიო ეკონომიკა გარდაქმნა საერაშორისო წარმოებად, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების განითარებას მისი ყველა მიმართულებით: ტექნიკური დონე და პროდუქციის ხარისხი, წარმოების ეფექტურობა, მენეჯმენტის ფორმის სრულყოფილება, წარმოების მართვა. ისინი მოქმედებენ თავისი შვილობილი წარმოებების და ფილიალების მეშვეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყნაში ერთიანი სამეცნიერო-საწარმოო და ფინანსური სტრატეგიით, აყალიბებენ მათში ,,ტვინის ტრესტებს", რომლებიც ფლობენ დიდ სამეცნიერო-საწარმოო და საბაზრო პოტენციალს, რომლითაც უზრუნველყოფენ განვითარების მაღალ დინამიკას.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე შიემჩნევა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის უპრეცედენტო გააქტიურება (საერთაშორისო ეკონომიკური ოპერაციები), რომელშიც ტნკ არის მოვაჭრე (კომერსანტი), ინვესტორი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამავრცელებელი და შრომის საერთაშორის მიგრაციის სტიმულის მიმცემი.

---

[3] Моесеев П.М., Модели глобализации // География в школе.2002, №5, с. 3-7.

მსოფლიო ბაზარზე ისინი არა ერთი ფაქტორით განსაზღვრავენ საქონლის კონკურენტუნარიანობის დონეს, დინამიკას და სტრუქტურას, კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას და ტექნოლოგიების (ინოვაციების) გადაცემას. ტნკ თამაშობს წამყვან როლს წარმოების ინტერნაციონალიზაციაში, რომელიც ღებულობს ფართო გავრცელებას სხვადასხვა ქვეყნის წარმოებას შორის საწარმოო კავშირების გაღმავებისა და გაფრთოების პროცესში.

ტნკ-ს ფენომენის მნიშვნელოვანი თავისებურება მდგომაეობს იმაშიც, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში მათი მოღვაწეობა ხელს უწყობს ლოკალური (სახელმწიფოთა შორის, რეგიონალური) საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გარდაქმნას გლობალურ ურთიერთობად. განსაკუთრებით ეს პროცესი სასარგებლოა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის, რომელთაც საკუთარი ძალებით უჭირთ მსოფლიო ეკონომიკირ პროცესებში აქტიური ჩართვა.

წარმოდგენილი პროექტის კვლევის ობიექტია ტრანსნაციონალური კომპანიები და ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნები, ხოლო კვლევის საგანს წარმოადგენს რეგიონის პოტენციალი და მისი ადგილი ტრანსანციონალურ ინტეგრაციაში. აქედან გამომდინარე, ტნკ-ების გავლენა რეგიონის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაზე. კვლევის მიზანია: პირველი, პრობლემების იმ ჯგუფის შესწავალა, რაც აფერხებს მათ საქმიანობას რეგიონის ქვეყნებში, მეორე ამჟამინდელი მდგომარეობის დონის შესწავალა და ტენდენციების ჩვენება, და მესამე, იმ პერსპექტივის მოდელის განსაზღვრა თუ, როგორ შეიცვლება ამ კუთხით დღეს არსებული მდგომარეობა. ეს სამი ასპექტი ურთიერთგანმსაზღვრელია. ასევე წინა პლანზეა წამოწეული ტრანსნაციონალური გაერთიანებების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები. მათი საქმიანობის ხასიათი, მასშტაბები, ფო-

რმები, ამ კუთხით ამიერკავკასიის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები და სპეციფიკის ანალიზი.

პროექტის მიზნებიდან გამომდინარე კვლევის ძირითადი ამოცანები იყო: ტრანსნაციონალური კაპიტალის განვითარების ეტაპების გამოყოფა; ტრანსნაციონალური გაერთიანებების საქმიანობის ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების და მოდელების განხილვა; მონოპოლისტური ჯგუფების ტიპოლოგიის ჩვენება; მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებზე ტრანსნაციონალური გაერთიანებების გავლენის და მათი საქმიანობის დადებითი და უარყოფითი მხარეების ჩვენება; ტრანსნაციონალური კორპორაციების და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულების პრობლემების განხილვა; ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის განვითარებაზე ენერგომატარებლებთან დკავშირებული ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის შესწავლა; ტრანსნაციონალური კორპორაციების მიერ რეგიონის ენერგეტიკის სფეროში გამხორციელებული ინვესტიციების, ასევე ტრანსნაციონალური პროექტების და მათი მნიშვნელობის ანალიზი ამიერკავკასიის ენერგეტიკული და საერთაშორისო უსაფრთხოების ასპექტების გათვალისწინებით. ამიერკავკასიის რეგიონში ტნკ-ების საქმიანობის საერთო სურათის ჩვენება.

წიგნში ასევე განხილულია ტნკ-ების ევოლუციის ეტაპები, ძირითადი ცენტრები და ტრანსნაციონალური კაპიტალის საქმიანობის სფეროები, მათი ტიპოლოგია. მოცემულია ტნკ-ების განლაგების სურათი და ინტერესების სფეროები მსოფლიოს და ამიერკავკასიის ქვეყნების მიხედვით.

ასევე, წარმოდგენილია რეკომენდაციები სახელმწიფო და კერძო სექტორისათვის. მსხვილი კომპანიებისათვის, რომლებიც აპირებენ რეგიონის ქვეყნებში საქმიანობის განხორციელებას.

# თავი I

# ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების ტენდენციები და ეტაპები

## *1.1. ტრანსნაციონალური კორპორაციებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკური და სეგმენტური ანალიზის თეორიები*

ტრანსანაციონალური კორპორაციების ფენომენის მეცნიერული შესწავლა იწყება XX ს-ის 60-იან წლებიდან, რაც დაკავშირებული იყო მათი საქმიანობის გააქტიურებასა და საერთაშორისო ეკონომიკურ პროცესებზე მზარდ გავლენასთან. ასევე, მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდასთან. ამ პერიოდიდან მოყოლებული გაჩნდა სხვადასხვა მეცნიერული ხედვები, სადაც მოცემულია ტნკ-ების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მათი აქტიურობისა და გავლენის მიზეზების ახსნა. უნდა აღინიშნოს, რომ ტნკ-ების საქმიანობის კვლევა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კვლევის კონტექსტში წარმოებს, რადგან თანამედროვე ეტაპზე ეს ორი ასპექტი ურთიერთგანმსაზღვრელი და შემავსებელია.

პირდაპირი უცხოური ინევსტიციების[4] (პუი) შესახებ თეორიები მოიცავს მსოფლიო ბაზარზე ინვესტორის ქცევის მოტივების მთავარ სპექტრს. ასევე, იგი საშუალებას იძლევა განისაზღვროს პუი-ის გავლენის ფორმები და ხარისხი სხვა-

[4] პუი-ს ბევრად გავრცელებული ფორმულირება მოცემულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ, რომლის მიხედვით პუი ეს არის ინვესტიცია, როდესაც ერთი მხრივ, ინვესტორი რეზიდენტი (ქვეყანა - მფლობელი) გაიტანს საკუთარ აქტივებს სხვა ქვეყნაში (ქვეყანა რეციპიენტი), მასზე კონტროლის მიღების (შენარჩუნების) პირობით (Report of the Committee on Trade-realted investment measures. 2003. WTO – www.wto.org/ english/ tratop_e/ invest_e/invest_e.htm).

დასხვა ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დინამიკასა და მექანიზმებზე. მეცნიერული ხედვების საფუძველზე სახელმწიფოს შეუძლია განახორციელოს კარგად მოფიქრებული სტრატეგია, რომელიც მიმართული იქნება პუი-ის ნაკადის სტიმულირებაზე და მათი გამოყენების ეფექტურობის ზრდაზე. მკვლევარები მიიჩნევენ, რომ ქვეყანა, რომელიც დგას საბაზრო ურთიერთობების დამკვიდრების სტადიაზე და დაინტერესებულია პუი-ის მიზიდვით საკუთარი ბაზის შექმნისათვის (რომელიც აუცილებელია, მაგარამ არ არის საკამარისი ფაქტორი ეკონომიკური წარმატებისათვის), საჭიროა გაეცნოს და გამოიყენოს საერთაშორისო კვლევები და გამოცდილება ამ მიმართებით. ასეთი მიდგომა მთლიანობაში უზრუნველყოფს თეორიულ ბაზას ეროვნული საინვესტიციო სტრატეგიის და პოლიტიკის შემუშავების დროს.

პუი-ის თეორიული საფუძვლების შექმნა იწყება 50-ინი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყისში. ადრე ეკონომისტები შემოიფარგლებოდნენ პუი-ის რეალიზაციის კონკრეტული სიტუაციის ანალიზით, რადგანაც საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში ასეთი სახის ინვესტიციები არ თამაშობდა დიდ როლს. მხოლოდ XX ს-ის 60-იან წლებში კოლონიური სისტემის კრიზისის, დაცემისა და ,,მესამე სამყაროს" ქვეყნებში უცხოური ინევსტიციების ფართო ექსპანსიის გამო პუი-ის თეორიამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ეკონომიკურ მეცნიერებაში. შესაბამისად, გაჩნდა სხვადასხვა ახსნა და ხედვა. თუმცა, დღემდე არ არის პუი-ის ხვედრითი წილის დაჩქარებული გაზრდის ან შემცირების მიზეზების სრულყოფილი განმარტება. ეკონომიკური მეცნერება ჯერ კიდევ არ ფლობს ზუსტ, ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა წინასწარ განსაზღვრულიყო ცალკეული ეკონომიკური სუბიექტების ქცევა და გავლენა კაპიტალისა და ტექნოლოგიების საერთაშორისო ნაკადებზე.

პუი-ის თეორიები ძირითადად ორ მთავარ – მაკროეკონომიკურ და მიკროეკონომიკურ ჯგუფად იყოფა. მიკროეკონომიკური თეორიები, რომლებიც ძირითადად ფართოდაა ცნობილი, ეხება მულტინაციონალურ კოორპორაციებს. მათ შორისაა: საწარმო-ორგანიზაციის (ჰაიმერი, 1960; კინდერლებრგერი, 1963; კავესი, 1971), წარმოების ციკლის (ვერონი, 1966); მითვისების (მაგი, 1977; აგმონი და ლესარდი, 1977; რუგმანი, 1976), ინტერნალიზაციის (ბაკლი და კესონი, 1976; კასონი, 1973; რუგმანი, 1980) და ელექტიკური (დანინგი, 1977, 1981) თეორიები. რაც შეეხება მაკროეკონომიკური თეორიების ჯგუფს იგი ძირითად წარმოდგენილია ფულის მიმოქცევის (ალიბერი, 1970), განვითარების სტადიის (დანინგი, 1981) და შედარებითი უპირატესობის (კოჯიმო, 1973,1975) თეორიებით. პირველი ორი მაკროთეორიეული მოდელი ყურადღებას აქცევს მაკროეკონომიკურ სიდიდეებს და ფენომენს, მაგრამ არ ინტერესდება იმ შედეგებით თუ როგორია მულტინაციონალური ინვესტიციების მოქმედების ეფექტი მშობლიური და მიმღები ქვეყნების კეთილდღეობაზე. მათგან მხოლოდ კოჯიმოს მოდელი მეტნაკლებად აქცევს პუი-ის გავლენას ეროვნულ კეთილდღეობაზე. ყველა მიკროთეორიული მოდელი ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ კაპიტალის დანახარჯების და შემოსავლების ანალიზზე[5].

პუი-ის კონცეფციების და კლასიფიკაციის ბევრად უფრო სრულყოფილი სურათი მოგვცა ამერიკელმა მეცნიერმა პ. ფიშერმა (ცხრილი 1).

[5] K. Kojima and T. Ozawa, Micro-and Macro Economic Models of Direct Foreign Investment: Toward and Syntesis, Transnational Corporations and International Trade and Paymentt, volum 8, Edited by H. Peter Gray, Generel Editer John H Dunning, London, 1993 p. 61. The Theory of Transnational Corporations: A Historical Perspective, Edited by J. Dunning, Routledge, 1993;

### პ. ფიშერის მიერ შემოთავაზებული პუი-ის კონცეფციების და თეორიების კლასიფიკაცია[6]

*ცხრილი 1*

| | თეორიის დასახელება | ავტორი, წელი | საგნის ანალიზი | პრობლემატიკა |
|---|---|---|---|---|
| 1 | საქონლის საერთაშორისო წარმოების ციკლი | ვერონი, 1966 | აშშ-ის ტნკ-ები | პუი და საგრეო ვაჭრობა, საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე ვაჭრობის და ტექნოლოგიების სასიცოცხლო ციკლის გავლენა. |
| 2 | ტნკ და არასრულყოფილი კონკურენცია | ჰაიმერი, 1960; კინდლბერგერი, 1969 | აშშ-ის ტნკ-ები | ტნკ-ების და მათი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის ახსნა |
| 3 | ოლიგოპოლია და პუი | ნიკერბოკკერ, 1973; ვერნონი, 1974; გრემი, 1978. | ამერიკული და ევროპული ტნკ-ები | ოლიგოპოლური საბაზრო სტრუქტურები და პუი-ის სტრატეგიები |
| 4 | ინტერნალიზაცია | ბაკლი და კასონი, 1973,1974; რუგმანი, 1978. | ტნკ-ები | ტრანსნაციონალიზაცია, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინტეგრაცია |
| 5 | ,,მფრინავი ბატების" პარადიგმა | კოჯიმა, 1978; ოზავა, 1995. | იაპონური ტნკ-ები | ეკონომიკური განვითარება პუი-ის ექსპორტის მეშვეობით |
| 6 | პუი და ნაციის კონკურენტული უპირატესობა | პორტერ, 1990. | სამრეწველო კუთხით განვითარებული ქვეყნების ტნკ-ები | ქვეყნის და სამრეწველო დარგების კონკურენტუნარიანობა |
| 7 | ეკლექტიკური პარადიგმა | დანინგი, 1981. | სამრეწველო კუთხით განვითარებული ქვეყნების ტნკ-ები | პუი-ის სპეციფიკური დეტერმინანტები კომპანიების და ქვეყნების მიხედვით |
| 8 | საინვესტიციო განვითარების გზა | დანინგი, 1981; ნარულა, 1986; 1993; 1994. | ეკონომიკის განვითარება და გაზრდა | ქვეყნების კლასიფიკაცია საგარეო ინვესტირების პოზიციის შესაბამისად |
| 9 | ძალის პოზიცია | ჟილპენი, 1975; როტგები, 1989,1991. | ტნკ და მთავრობა | მთავრობასა და ტნკ-ებს შორის ურთიერთობები, საინვესტიციო დამოკიდებულება და პოლიტიკური კონფლიქტი |

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თეორიები კვლევის და ახსნის სხვადასხვა ნიშანს აქცევს ყურადღებას, ვფიქრობთ, ისინი ურთიერთშემავსებელია საკითხის კვლევაში, ვინაიდან ტნკ-ების და პუი-ის ფენომენის სხვადასხვა ასპექტზე აკეთებენ აქცენტს. ს. ჰაიმარი ხაზს უსვამს კონკურენციის პირობებში საბაზრო ძალაუფლების გაზრდისათვის კომპანიის მხრიდან სპეციფიკურ უპირატესობას. რ. ვერონი ამას ახალი ტექნოლოგიების მიღწევების საფუძველზე ხედავს, ხოლო რ. ბაკლი და დ. კენსონი ინტერნაციონალიზაციის პროცესს ანიჭებენ უპირატესობას. ყველა აღნიშნული თეორია აღიარებს, რომ ტნკ-ების უცხოური ექსპანსიის უმნიშვნელოვანესი მამოძრავებელი ძალაა ეფექტურობა, რესურ-

---

[6] Пауль Фишер. Прямые иностранные инвестиции для России: Стратегия возрождения промышленности, М, 1999,  С. 25-39.

სების უკეთესი გამოყენების გზების მოძიება და ტრანსაქციური ხარჯების შემცირება. ასევე, ყველა თეორია ითვალისწინებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პროცესებში კონკურენციისა და გავლენის მნიშვნელობას. ტნკ-ებს სჭირდებათ კონკურენტებთან შედარებით ძლიერი პოზიციები[7].

ალსანიშნავია რომ, გასული საუკუნის 80-იან წლებში შემოთავაზებული კონცეფციების ავტორებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს განლაგების არა საგარეო პირობებსა და ფაქტორებს, როგორც ეს მიღებულია ,,სტანდარტულ" და მათ მსგავს მონათესავე თეორიებში, არამედ თვით მწარმოებელი ფირმებისა და წარმოების აქტიურ როლზე, შექმნას პირობები განვითარებისათვის, განსაკუთრებით გასაღების სტრატეგიის და წარმოების ორგანიზაციის საკითხებისათვის[8].

ამ ხედვების თანახმად რეგიონალური საწარმოო სტრუქტურის შექმნაში ძირითად როლს თამაშობს არა ტერიტორიის თვისებები, არამედ თვით საწარმოო ფირმები, რომლებიც ქმნიან რეგიონალურ ურთიერთობებს და საკუთარ რეგიონალურ სამეურნეო გარემოს. ისინი ეწყობიან/ეგუებიან ადგილობრივი პირობების თავისებურებებს და ხელს უწყობენ წარმოების კონცეტრაციის რეგიონალური პროცესების განვითარებას საკუთარ დინამიკასთან ერთად. მთავარ როლს თამაშობს აგლომერაცების (წარმობის ჯგუფების) უპირატესობები, რომლებიც ფუნქციონალურადაა დაკავშირებული წარმოებასთან.

---

7 ლ. ჯამაგიძე, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლო მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, თბ., 2008, გვ. 58-59; Buckly P., Casson M., The Economic Theory of the multinational enterprise, London, Mscmillan, 1985; Ozava T., Eorein Direct Investment and Economic Develepment // Transnational Corporations, 1992, #1, p. 27-54; Porte M, The competitive advantage of nations, New-York, free press, 1990.

8 Stolper M., The limitation to technologic district and international trade//Electronic Geography, USA, 1992, #1.

ნებისმიერ ტერიტორიაზე წარმოების გავლენის შეფასების დროს გამოიყოფა ოთხი ეტაპი:

ა) ,,ლოკალიზაცია" (ახალ ტერიტორიებზე ახალი სამრეწველო წარმოების განთავსება);

ბ) ,,სელექციური სუბურბანიზაცია" (კონკურენტუნარიანობის, რომელზეც ორიენტირებულია წარმოება, დიდიხნით შენარჩუნებისა და მათი ძლიერების გაზრდა).

გ) ,,დისპერსია" (დაყოფა) (წარმოების პერიფერიებისკენ გადაადგილება და გაფართოება);

დ) ,,სიმძიმის ცენტრის გადაადგილება განლაგების სტრუქტურაში" საწარმოო სტრუქტურის განახლებაზე გავლენის მოხდენის გამო. მაგ. ტექნოლოგიური სიახლებიის საფუძველზე სტრუქტურის ცვლილების მოთხოვნის, ძველი წარმოების და დარგების ევოლუციის გამო.

განახლების პროცესების ფირმა-მატარებლები ხშირად არ განლაგდებიან ადრე წარმოქმნილ მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, რაც პროცესებს უკან ,,ლოკალიზაციის" სტატიაზე აბრუნებს.[9]

ზემოთ მოცემული კონკრეტული თეორიების დებულებები შეიძლება მივასადაგოთ ამიერკავკასიის ქვეყნებში ტნკ-ების და პუი-ის განვითარების სტრატეგიის შესაძლო ვარიანტს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ტნკ-ებს და პუი-ს პრობლემატიკას საკმაოდ რთული ბუნება აქვს და ხელაღებით ამა თუ იმ უცხოური თეორიის ან კონცეფციის, თუნდაც ზოგიერთი ელემენტის პრაქტიკაში გამოყენება მოითხოვს კონკრეტული სიტუაციის ფართო შეფასებას და ღრმა ანალიზს. ამ შემთხვევაში აუცილებელია გამოვყოთ ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობისა და განვითარების ზოგიერთი მნიშვნელოვანი თავისებურება.

---

[9] Родионова И.Н. Макрогеография промышленного мира. – М.: Московский лицей, 2000, с. 57

ამიერკავკასიის ქვეყნები საკუთარი მცირე სამომხმარებლო ბაზრით მიეკუთვნება პატარა ქვეყნების ჯგუფს. აქ არ არის მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების მარაგი (თუ არ ჩავთვლით აზერბაიჯანს). მიუხედავად ამისა, წარმოების მოცულობა და მოთხოვნილება სტაბილურად იზრდება, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ რეგიონის ქვეყნებში მშპ-ის მატება საშუალოდ 10-11%-ს შეადგენს. ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და წარმოების მოცულობის გაზრდა. სამივე ქვეყნისათვის დამახასიათებელია ლიბერალური სავაჭრო რეჟიმი შიდა ბაზარზე თავისუფალი კონკურენციისა და სამამულო პროდუქციის საგარეო ბაზარზე კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით. მათი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა დაფუძნებულია სტაბილურ და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობებზე მსოფლიოს მრავალ ქვეყანასთან. ისინი არიან მსოფლიოს მნიშვნელოვანი და გავლენიანი სავაჭრო-ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციების წევრები. ამიერკავკასის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის არსებობს შეთანხმება პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების და თანამშრომლობის განვითარებას.

დღეისათვის ამიერკავკასიის ქვეყნების საინვესტიციო პოლიტიკა თავისი ლიბერალური ხასიათით აშკარად გამოირჩევა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან. საინვესტიციო გარემოც სახელმწიფოების მხრიდან პუი-ის მიზიდვის პროცესისათვის ღია მხარდაჭერის კვალობაზე წლიდან-წლამდე უმჯობესდება. ისინი დიდ ძალისხმევას წარმართავენ უცხოური კაპიტალისათვის ქვეყნის მიმზიდველობის ხარისხის ასამაღლებლად. ამიერკავკასიის ქვეყნებში პუი-ის მიზიდვისათვის კარგი პერსპექტივაა ვიწროსპეციალიზირებული წარმოების უნიკალური სფეროები, რომელიც მიმართულია მზა-

რდი და დივერსიფიცირებული მსოფლიო მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე. რეგიონში არსებობს მეურნეობის რამდენიმე ტრადიციული მიმართულება, რომელთაც ექსკლუზიური უპირატესობები აქვთ. ისინი ძირითადად დაკავშირებულნი არიან ქვეყნების ბუნებრივ-კლიმატურ პირობებთან და სპეციალურ ტექნოლოგიებთან. შეიძლება დავასახელოთ მევენახეობა-მეღვინეობა, ხილის დამუშავება, სუბტროპიკული კულტურებისა (ჩაის და ციტრუსის, კივის, ფეიხოს და ა.შ.) და ასევე თამბაქოს წარმოება. ქვეყნებს გააჩნიათ დიდი პოტენცალი და გარკვეული გამოცდილება ისეთი სფეროების ტექნოლოგიების შემუშავებაში, როგორიცაა ტურიზმი, მეტალურგია, ენერგეტიკა, კომუნიკაცია. თუმცა, არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ არსებობს რიგი გარემოებები, რომლებიც რეგიონის ქვეყნებში საინვესტიციო ურთიერთობების განვითარებისათვის მიმზიდველობის შემამცირებელ ფაქტორებად მოქმედებენ. კერძოდ, პოლიტიკური არასტაბილურობა, საკნონმდებლო ხარვეზები, სოციალური პრობლემები და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ განსაზღვრული ტიპის პირდაპირი ინვესტირების განხორციელების მოტივაციის გაგებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია მიკროეკონომიკური ფაქტორები (ფასები, ბაზრები, შემოსავალი...), ასევე აუცილებელია მაკროეკონომიკური ფაქტორების ზემოქმედების განხილვაც. მრეწველობის დარგების საერთო მდგომარეობაზე მოქმედი გარემოებები, პროდუქციის რეალიზაციის ტენდენციები ბაზრებზე, თამაშობენ გარკვეულ როლს კომპანიის გადაწყვეტილების მიღებაში - განახორციელოს ან პირიქით შეზღუდოს პირდაპირი ინვესტირება, ვინაიდან კომპანიები მოქმედებენ საწარმოოს სააქციო კაპიტალის საბაზრო ღირებულების მაქსიმალიზაციის მიმართულებით. აქედან გამომდინარე, პირდაპირი ინვესტირება ხელს უნდა უწყობდეს

გაყიდვების მოცულობის ზრდის მიღწევას, ბაზრის წილისა და მოგების გაფართოებას.

შეიძლება ითქვას, რომ ნებისმიერ თეორიაში შეიძლება იყოს ცალკეული დებულებები და დასკვნები, რომლებიც შესაძლოა გათვალისწინებულ იქნას ამიერკავკასიის სახელმწიფოების მიერ უცხოური ინვესტიციების ინვესტირების ხელშემწყობი პოლიტიკის სტარტეგიის შემუშავების დროს. რეალურად შეიძლება გამოყენებულ იქნას ,,ოლიგოპოლია და პუი-ის", ,,ტნკ-ები და არასრულყოფილი კონკურენციის", ,,ელექტიკური", ,,ნაციის კონკურენტული უპირატესობის", ,,საინვესტიციო განვითარების გზის", ,,მფრინავი ბატების" თეორიები. მაგალითად, ჯ. დანინგის ,,ექლექტიკური პარადიგმა". ეს თეორია იყენებს აუარებელ ფაქტორს იმის ახსნისათვის, თუ როგორ იღებენ ტნკ-ი გადაწყვეტილებებს პუი-ს განხორციელებისათვის. ამ თეორიის მიხედვით კონკურენციული ბაზრის მომსახურებისათვის კომპანია უნდა ფლობდეს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ უპირატესობებს. ეს უპირატესობები გულისხმობენ კომპანიის სიდიდეს, მის პოზიციას, ბაზარზე რესურსების გამოყენების შესაძლებლობებსა და არამატერიალური აქტივების მფლობელობას (პატენტები, საავტორო უფლებები, მმართველობითი რესურსები, კადრები). მაშინ კომპანიის მოგება უფრო მეტია, როდესაც თვითონ იყენებს ამ უპირატესობებს, ვიდრე მათი გაყიდვის ან სხვა ფირმებზე უპირატესობათა გამოყენების უფლების გადაცემის შემთხვევაში. კომპანია თავის უპირატესობათა ინტერნაციონალიზაციას ეწევა პუი-ს საქმიანობის გაფართოების გზით. ტნკ-ები ემსახურებიან უცხოურ ბაზრებს და იმავდროულად ანაწილებენ საწარმოო რესურსებს თავიანთი კონტროლის მეთოდების მიხედვით. ფირმებს შეუძლიათ ბაზარს ამჯობინონ თავიანთი უპირატესობების ინტერნაციონალიზაცია.

დანინგის ,,ექლექტიკური პარადიგმა" სასარგებლო იქნება პრაქტიკული მიზნების მიღწევისათვის პუი-ის მოზიდვის გზაზე. ვინაიდან საჭიროა მეტი ინფორმაციის მოპოვება იმ ფაქტორების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებზე. სხვა ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით შესაძლებელია განისაზღვროს ინსტრუმენტები, ღონისძიებები და პოლიტიკური მიმართულებები, თუმცა აუცილებელია მიმღები ქვეყნისათვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებაც[10]. კერძოდ, საკუთარი უპირატესობების (ბუნება, ადგილობრივი ფაქტორებისა და ბაზრის ჯამი) შედარებითი ანალიზი იმასთან, რაც აქვს კონკურენტ პუი-ის მიმღებ ქვეყნას. ასევე, პოტენციური უცხოელი ინვესტორების კონკრეტული უპირატესობებისა და დიდი შესაძლებლობების მქონე კომპანიების ინტერნალიზაციის ხარისხის შესწავლა ქვეყანას მისცემს შესაძლებლობას ბევრად ეფექტურად იმუშაოს უცხოელი ინვესტორების ძიების მიმართულებით, ეფექტურად აწარმოოს მოლაპარკებები მათთან და დაარწმუნოს ისინი კაპიტალის დაბანდების სარგებლიანობაში. გარდა ამისა, საკუთარი უპირატესობების ანალზი სახელმწიფოს საშუალებას აძლევს ასევე დაინახოს ნაკლი ამ მიმართებით, რაც აიძულებს ღონისძიებების გატარებას მათ გამოსასწორებლად – გაზარდოს მისი უპირატესობები ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ და სოციალურ სფეროებში[11].

ამიერკავკასიის სახელმწიფოებმა საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებასა და განვითარებაში უკვე საკმაო გამოცდილება დააგროვეს. სისტემატურად ხდება მისი დახვეწა და ახალი მექანიზმების შემუშავება. შედეგად, მათ საინვ-

---

10 ნ. ბებიაშვილი, საინვესტიციო გარემო და პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სქართველოში, ჟურ., საქართველოს ეკონომიკა, 2008, 3.

11 м. Мисакян, И. Кокушкина, Теории прямых иностранных инвестиций, практическое значение для переходных экономик, Жур., Проблемы современной экономики, 2007, №4.

ესტიციო განვითარების მნიშვნელოვანი გზა განვლეს. აქედან გამომდინარე, საინვესტიციო სტრატეგიის შემუშავებაში შეიძლება გამოყენებული იქნას ასევე,,ნაციის საინვესტიციო განვითარების გზის" თეორია. ამ თეორის თანახმად, რეგიონის ქვეყნები ფაქტობრივად იმყოფებიან საინვესტიციო განვითარების მეორე ფაზაში. ქვეყნების პუი-ის მიმდინარე პოზიციის რეალური შეფასება და მოცემული პოზიციის ძირითადი თავისებურებების შესწავლა საშუალებას იძლევა განისაზღვროს ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკა, რომლის რეალიზაცია ხელს შეუწყობს საინვესტიციო განვითარების შემდეგ ფაზაზე გადასვლას. რაც შეეხება ,,მფრინავი ბატების პარდიგმებს," ამ თეორიის ჩარჩოში შესაბამისად ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს: რეგიონალური და საერთაშორისო ინტეგრაციის გაღრმავება და მისი გამოყენება ეკონომიკური ჩამორჩენის შემცირებისათვის; ნაციონალური ეკონომიკის შემდგომი ლიბერალიზაცია; საინვესტიციო კლიმატის სრულყოფილება. ერთი სიტყვით შეიქმნას პოლიტიკურად და ეკონომიკურად უფრო სტაბილური საინვესტიციო გარემო, რისთვისაც აუცილებელია ეკონომიკური კრიზისის, კორუფციის, ბიუროკრატიზმისა და სხვა ხელისშემშლელი პირობების აღმოფხვრაც. კერძო საკუთრების ინსტიტუციონალური შეზღუდვის ან სპეციალური შეზღუდვების არსებობა, რომელსაც ადგენს სახელმწიფო ხელს უშლის პუი-ის ნაკადს[12].

ამიერკავკასიის სახელმწიფოებში ინვესტირების განხორციელებისათვის შემდეგი სერიოზული საფუძვლებია: სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა; სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო; კონკურენტული სავაჭრო წესები; ფართომასშტაბიანი საპრივატიზაციო პოლიტიკა; სახელ-

---

[12] О.В. Носова, Макроэкономические подходы исследованию иностранных инвестиций в институциональной среде, Научные труды ДНТУ, Серия – экономическая, Выруск 103-2б с.99.

მწიფო ქონების პრივატიზაცია; გარკვეული წარმატებები კორუფციასთან ბრძოლაში; დინამიკური საბანკო სექტორი; ლიბერალური შრომითი კანონები; უძველესი კულტურისა და ტრადიციების ქონა და სხვა.

ამრიგად, ამიერკავკასიის სახელმწიფოების მიერ ნაციონალური საინვესტიციო კონცეფციის შემუშავების დროს პუი-ის თეორიების ცალკეული ელემენტების კომპლექსური გამოყენება, რათქმაუნდა კონკრეტული ქვეყნის თავისებურებებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებსა და განხორციელებას. ასევე, ეროვნულ ეკონომიკაში პუი-ის ნაკადის გაზრდას და მათი გამოყენების ეფექტურობის ზრდას.

### *1.2. ტრანსნაციონალური კორპორაციების ფორმირების ისტორიული ეტაპები*

ტნკ-ების ისტორიულმა განვითარებამ რამდენიმე ეტაპი განვლო[13]. თანამედროევე ტნკ-ები განვითარდნენ და გაძლიერდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თუმცა, მათი შორეული წინამორბედები დიდი ხანია არსებობდნენ. თანამედროვე ტიპის ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე საზღვარგარეთ პირდაპირი ბიზნეს ოპერაციები მრავალი საუკუნეა არსებობს. მაგ., XV ს-ის ფლორენციაში ,,Medici bank"-ი თავისი ბიზნეს საქმიანობით შეიძლება ჩაითავლოს მსაგავსი ტიპის კომპანიად.

XVII-XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა რამდენიმე კომპანია, რომლებიც ვაჭრობდნენ ევროპასა და აზიას შორის.

[13] Шагурин С.В., Шимко П.Д., Экономика транснационального предприятия, Санкт-Петербург, 2008, с. 16

მაგ., „East indi Company", „Royal African Company" და სხვები მიჩნეულია თანამედროვე ტნკ-ების წინაპრებად. ეს კომპანიები დაქირავებულნი იყვნენ მთავრობის მიერ და გარკვეული მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ. ფაქტობრივად მთავრობები მოქმედებდნენ ამ კომპანიების მეშვეობით, რადგან იმ დროს ევროპის სახელმწიფოებს არ გააჩნდათ სხვა უფრო მოსახერხებელი საშუალება იმისათვის, რომ თავიანთი პოლიტიკა გაეტარებინათ კოლონიურ ტერიტორიებზე[14].

ტნკ-ების წარმოქმნის მომენტიდან (XIX ს-ის დასასრული) დღემდე მათ არსებითი ტრანსფორმაცია განიცადეს და ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

პირველი თაობის ტნკ-ების საქმიანობა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო ყოფილი კოლონიური ქვეყნების ნედლეულის გადამუშავებასთან, რაც იძლევა საფუძველს განისაზღვროს ისინი, როგორც „სანედლეულო-ეროვნული ტნკ-ები". თავისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმებით და ფუნქციონირების მექანიზმებით ეს იყო კარტელები, სინდიკატები და პირველი ტრესტები. შემდეგ მსოფლიო არენაზე გამოჩნდნენ ტრესტული ტიპის ტნკ-ები, რომლებიც დაკავშირებული იყო სამხედრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოებასთან.

მეორე თაობის მსგავსი ტიპის ზოგიერთმა ტნკ-ებმა ვინაიდან აწარმოებდნენ სხვადასხვა სახეობის სამხედრო ტექნიკას, საკუთარი პოზიცია მსოფლიო ეკონომიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც კი შეინარჩუნს.

XX ს-ის 60-იან წლებში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი როლის თამაშს იწყებს მესამე თაობის ტნკ-ები. ისინი ფართოდ გამოიყენებდნენ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის

---

[14] Grazia Letto-Gillies, Transnational Corporations and International Production, Concepts, Theories and Effects, Published by Edward Elger Publishing Limited Glersanda House, Northamption, Massachusetts, 2005, p. 6.

მიღწევებს. ესენი იყვნენ ტექნო-მომხმარებელი კომპანიები, რომლებიც მოგვევლინენ კონცერნების და კონგლომერატების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმებით.

XX ს-ის 60-80-იან წლებში ტნკ-ებმა თავიანთ საქმიანობაში ერთმანეთს შეზღუდულად დაუკავშირეს ეროვნული და უცხოური წარმოების ელემენტები: საქონლის რეალიზაცია, პერსონალის შრომის ორგანიზაცია და მართვა, მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და გაყიდვების შემდგომი მომსახურება. კვლავწარმოების პროცესის ძირითადი ელემენტებიც გადავიდა შესაბამისი ქვეყნების საერთო სტანდარტებსა და პრინციპებზე.

მესამე თაობის ტნკ-ები მოხერხებულად ავრცელებდნენ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებს მსოფლიო მეურნეობის პერიფერიულ ზონებში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქმნიდნენ ეკონომიკურ წანამძღვრებს საერთაშორისო წარმოების გაჩენისათვის  ერთიან საბაზრო და საინფორმაციო სივრცესთან, კაპიტალის და შრომითი ძალების საერთაშორისო ბაზართან, სამეცნიერო-ტექნიკურ მომსახურებასთან ერთად.  მათი მიზანი იყო გასაღების ბაზრის, ნედლეულის წყაროებისა და კაპიტალის გამოყენების სფეროს მოპოვება.

XX ს-ის 60-იანი წლების დასაწყისში თანდათანობით გამოჩნდნენ და ფეხი მოიკიდეს მეოთხე თაობის გლობალურმა ტნკ-ებმა. მათი განმასხვავებელი ნიშნები იყო:

- ბაზრის პლანეტარული ხედვა და კონკურენციის განხორცილება მსოფლიოს მასშტაბით;

- შრომის ბაზრის დაყოფა რამდენიმე მსგავს ტნკ-ებთან ერთად;

- ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე საკუთარი ფილიალების საქმიანობის კოორდინაცია;

- თითოეული საწარმოო კვანძის მოქნილი ორგანიზაცია, კორპორაციის სტრუქტურის ადაპტირება, საბუღალტრო ანგარიშების და აუდიტის ერთიანი ორგანიზაცია;

- საკუთარი ფილიალების, ქარხნების და ერთობლივი საწარმოების გაერთიანება მართვის ერთიან საერთაშორისო ქსელში, რომელიც თავის მხრივ ინტეგრირებულია ტნკ-ების სხვა ქსელებთან;

- ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის მცდელობა იმ სახელმწიფოებზე, სადაც მოქმდებენ.

ამჟამად, ძირითადად შეიქმნა ისეთი ქსელი, სადაც ტნკ-ები აკონტროლებენ მსოფლიოს სამრეწველო წარმობის ნახევარზე მეტს, საგარეო ვაჭრობის 63%. ასევე, დაახლოებით ახალი ტქნიკის, ტექნოლოგიების და ,,ნოუ ჰაუების" 415 პატენტს და ლიცენზიას. ტნკ-ების კონტროლის ქვეშ არის ფეტვის, სიმინდის, ყავის, ხეტყის, თამბაქოს, რკინის მადნის მსოფლიო ბაზრის 90%, სპილენძის და ბოქსიტის 85%, ჩაის და კალის 80%, ბანანის, ნატურალური კაუჩუკის და ნავთობის ნედლეულის 75%.

ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის ნახევარს ახორცილებენ ამერიკული და უცხოური ტნკ-ები. დიდ ბრიტანეთში მათი წილი აღწევს 80%, სინგაპურში 90%. გაყიდვების დიდი ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერთან, რომელიც ხორციელდება ტნკ-ების შიგნით" ამერიკის შეერთებულ შტატებში მათი წილი შეადგენს 80%, ხოლო დიდ ბრიტანეთში 90%.[15]

რაც შეეხება ტერმინს ,,გლობალური კორპორაციები," დღეს იგი ხშირად გამოიყენება ეკონომიკურ ლიტერატურაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ყველგან მოქმედებენ. ასეთად შეძლება ჩაითავლოს

---

[15] Окопова Е.С. и др. Мировая экономика и международные экономические отношения / Е.С.Окопова., О.М. Воронкова, Н.Н.Гаврилка. – Ростов-на-Дону.: Феникс, - 2002, с. 275-290

,,ექსონი” (აქვს საკუთარი ფილიალები მსოფლიოს 110 ქვეყანაში), ,,კოკა-კოლა (მას 190 ქვეყნაში აქვს ფილიალი).

ამრიგად, მათი სტრატეგია ხასიათდება ინოვაციური აგრესიულობითა და დინამიზმით, რომელიც გამოდის ცალმხრივი დარგობრივი სტრუქტურიდან და თანდათანობით სრულყოფილს ხდის შიდაკორპორაციულ სტრუქტურას. ასევე, მიზანმიმართულად ახდენს არა ბაზრის ცალკეული სეგმენტების მოპოვებას, არამედ მთავარი მსოფლიო მეურნეობის პოზიციის მოპოვებას  წარმოებაში და პროდუქციის რეალიზაციაში.

პირველი თაობის ტნკ-ების ძირითად მიზანს წარმოადგენდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში მსოფლიოში რესურსების იაფი წყაროების ხელში ჩაგდება. აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ამიერკავკასიის რეგიონი მოხვდა მათი ინტერესების სფეროში. ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური მდებარეობა და აქ არსებულ სანედლეულო რესურსი (მაგ. საქართველოში ჭიათურის მანგანუმი, აზერბაიჯანში ნავთობი და ა.შ. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ აქედან ნედლეული უფრო იაფად და უსაფრთხოდ გაჰქონდათ) იმთავითვე განაპირობებდა ევროპული კომპანიების ინტერესს რეგიონისადმი. მაშინ საქართველოს ეკონომიკაში დამკვიდრების თვალსაზრისით ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნოდა გერმანული, ფრანგული და ინგლისური[16] კომპანიების კაპიტალს. პირველ მსოფლიო ომამდე ჭიათურა იძლეოდა მანგანუმის მსოფლიო ექსპორტის 30-50%. გერმანიის მზარდი მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობა დიდად იყო დამოკიდებული ჭიათურის მანგანუმზე[17].

საქართველოში თუ უცხოელებს მანგანუმი იზიდავდა, აზერბაიჯანში ნავთობი იყო. 1874 წელს ბაქოში, პირველად

---

[16] ზ. ბურკაძე, ფრანგული კაპიტალი საქართველოში 1800-1914 წწ., დისერტაცია, ხელნაწრი, თბ., 1998, გვ. 109-136.
[17] რ. ფუტკარაძე, საქართველო-გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობის პრიორიტეტები, თბ., 2006, გვ, 42-46

მსოფლიოში, შეიქმნა ვერტიკალურად ინტეგრირებული ნავთობის კომპანია ,,ბაქოს ნავთობის საზოგადოება[18]”.

1876 წელს ძმებმა ნობელებმა ბაქოში დაარსეს ნავთობის კომპანია, რომელიც ნავთობის მოპოვებითა და გადამუშაებით იყო დაკავებული. 1883 წლიდან როტშილდები აქტიურად ჩაერთვნენ საფინანსო-საკრედიტო ოპერაციებში ბაქოში. მათი საქმიანობა ძირითადად მოიცავდა ნავთობის რეალიზაციას.

1883 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ბაქო-ბათუმის სარკინიგზო, ხოლო 1907 წელს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი, რამაც ამიერკავკასიის რეგიონი კიდევ უფრო მეტად დააკავშირა მსოფლიო ბაზარს.

1886 წელს შეიქმნა კასპი-შავი ზღვის ნავთობის როტშილდების კომპანია. 1890 წელს ბაქოს ნავთობის ექსპორტის 42% ბანკ როტშილდის კონტროლით ხორციელდებოდა.

1901 წელს ბაქოში მოპოვებულ იქნა 11 მილ ტონა ნავთობი, რაც მსოფლიო მოპოვების 50% შეადგენდა. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ფუნქციონირებდა 109 სააქციო საზოგადოება, რომელთაგან 72 ეკუთვნოდა რუსულ კაპიტალს (240 მილ რუბლი), ხოლო 37 ინგლისურ კაპიტალს (100 მილ ფუნტი სტერლინგი). ნობელის კაპიტალდაბანდება 30 მილ რუბლს შეადგენდა.[19]

გარდა აღნიშნული კომპანიებისა, საქართველოში ასევე წარმატებულად საქმიანობდნენ ფრანგული კომპანიები. ,,ახტალის საბადოების ფრანგული კომპანია”, ,,კავკასიის სამრეწველო და მეტალურგიული ანონიმური საზოგადოება”, ,,ტერ ნიუარი”, ,,დარკვეთის საბადოთა საზოგადოება” და ,,სამთო-სამრეწველო და კომერციული საზოგადოება[20]”.

---

[18] წყარო: http://www.mirnefti.ru/index.php?id=128

[19] წყარო: ИСТОРИЯ РАЗВИТИЯ НЕФТЯНОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ http://www.azerbaijan.az/_Economy/_OilStrategy/oilStrategy_02_r.html

[20] ზ. ბურკაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 109-136.

ასევე, აღსანიშნავია ევროპული კომპანიის ,,სიმენსი და ჰალსკეს" საქმიანობა ამიერკავკასიაში. XIX ს-ის 50-იან წლებში კომპანიამ ამიერკავკასიაში დაიწყო სატელეგრაფო ხაზების გაყვანა. გარდა ამისა, იგი საქმიანობდა ნავთობისა და სპილენძის წარმოებაში, ძვირფასი ლითონებისა და კობალტის მოპოვებაში და ა.შ. აღნიშნულმა კომპანიამ დიდი წვლილი შეიატანა ამიერკავკასიის ელექტროსადგურის მშენებლობასა და ელექტრო-ტექნიკური საქონლის შემოტანა-რეალიზაციის საქმეში[21].

ამრიგად, პირველი ევროპული კომპანიები ამიერკავკასიის რეგიონში ნედლეულის მოპოვებასა და რეალიზაციას ემსახურებოდნენ.

### *1.3. ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობის მოდელების და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების ევოლუცია*

განსხვავებულია ტნკ-ების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმები და მოდელები, რაც განპირობებულია ქვეყნის ეკონომიკური წყობის თავისებურებებით და ისტორიით. ტნკ-ების მოდელები ერთმანეთს ენაცვლებიან ან ერთდროულად არსებობენ სხვადასხვა ქვეყანში.

XX ს-ის 40-50-იან წლებში თავისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმებით და ფუნქციონირების მექანიზმებით ეს იყო კარტელი, სინდიკატი და პირველი ტრესტები.

**კარტელი** – დამოუკიდებელი სამრეწველო წარმოების ასოციაცია, რომელიც აწარმოებს ერთი სახის პროდუქციას. მისი საქმიანობა მიმართულია იქეთკენ, რომ მიაღწიოს ბაზრის განსაზღვრულ მონოპოლისტურ კონტროლს. ასეთი ასოციაციის წევრობას ნებაყოფილობითი ხასიათი აქვს. წევ-

[21] რ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 123.

რები ინარჩუნებენ ორგანიზაციულ და ფინანსურ დამოუკიდებლობას, თუმცა თანხმდებიან ფასის პოლიტიკაზე და წარმობის მასშტაბებზე. კარტელები კლასიფიცირდებიან ოთხი ძირითადი ნიშნის მიხედვით:

1. ასოციაცია, რომელიც გაყიდვების პირობების კონტროლს ცდილობს;

2. ასოციაცია, რომელიც ფასის დადგენას ცდილობს;

3. ასოციაცია საწარმოო საქმიანობის, გაყიდვების ტერიტორიის და მომხმარებლის გადიდების მიზნით კარტელების წევრებს შორის;

4. ასოციაცია ბიზნესის ამა თუ იმ მიმართულებაში ფიქსირებული წილის დადგენის მიზნით.

როგორც წესი, კარტელი წარმოადგენს ერთი დარგის გაერთიანებას, კომპანიას, რომლებიც ურთიერთობებს აგებს შეთანხმებით ერთობლივი კომერციული საქმიანობა – გასაღების რეგულირების თაობაზე. პრაქტიკაში კარტელები ჩვეულებრივ გამოდიან კომერციული საქმიანობის ჩარჩოებიდან, რომელიც განსაზღვრავს საქონლის ასორტიმენტს და მათი წარმოების სიდიდეს. კარტელებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ნიშნების არსებობა: გაერთიანების სახელშეკრულებო ხასიათი, კარტელის მონაწილეების საკუთრების უფლების შენარჩუნება საკუთარ წარმოებაში, ფინანსური და იურიდიული დამოუკიდებლობა; ერთობლივი საქმიანობა პროდუქციის რეალიზაციისათვის, რომელიც შეიძლება გაფართოვდეს მოცემული საქონლის წარმოებაზე, თუმცა შეზღუდული ხარისხით. ხშირად კარტელები არსებობენ ფარულადაც, საიდუმლო შეთანხმების სახით, რომელიც არის დამატება რაიმე ოფიციალური ტექსტის, ან კიდევ ზეპირი ფორმით ე.წ. ,,ჯენტლმენური შეთანხმება". დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც მოქმედებს სპეციალური კანონმდებლობა და რომელიც კარტელებს ყოფს ,,სასურველ" და ,,მავნე" ნაწილებად, ითვლის ასეულობით ოფიციალურად დარე-

გისტრირებულ კარტელს.  რათქმაუნდა მხედველობაში არ მიიღება ისინი, რომლებიც არსებობენ რეგისტრაციის გარეშე. ამერიკის შეერთებულ შტატებში კარტელების არსებობა კანონით აკრძალულია. მათ ფუნქციას ასრულებენ სავაჭრო-სამრეწველო ასოციაციები (საწარმოთა კავშირები), რომლებიც ახორციელებენ ბაზრის მონოპოლისტურ რეგულირებას დარგის მასშტაბებში. საერთაშორისო პრაქტიკაში არ არსებობს სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც შეზღუდავდა კარტელიზაციას. საერთაშორისო კარტელის ბევრად უფრო მიახლოებული მაგალითია ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია.

**სინდიკატი** – ეს არის კარტელური შეთანხმების სახესხვაობა, რომელიც მის წევრებს სთავაზობს პროდუქციის გასაღებას ერთიანი გასაღების ორგანოს მეშვეობით და რომელიც იქმნება სააქციო საზოგადოების ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით.

სინდიკატის წევრების პროდუქციის გასაღების ფუნქცია ასევე შეიძლება დაევალოს ერთ-ერთ მის მონაწილეს. შეთანხმების პირობებიდან გამომდინარე ერთიანი გასაღების ორგანოს მეშვეობით შეიძლება გაიყიდოს არა ყველა, არამედ სინდიკატის მონაწილის პროდუქციის მხოლოდ განსაზღვრული ნაწილი. სინდიკატის წევრი ინარჩუნებს თავის იურიდიულ და კომერციულ თავისუფლებას, ხოლო ზოგჯერ საკუთარი გასაღების ქსელსაც კი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სინდიკატთან, სავაჭრო წერტთან ან საზოგადოებასთან.

სიდიკატის ფორმა ბევრად გავრცელებულია მასობრივი წარმოების ერთი სახის დარგებში: სამთომომპოვებელი, მეტალურგიული, ქიმიური დარგები. სავაჭრო წერტი  ან გასაღების საზოგადოება  ხშირად ახდენს ნედლეულის ყიდვას სინდიკატის წევრებისათვის.

**ტრესტი** – მონოპოლისტიური გაერთიანებაა, რომელშიც სხვადასხვა წარმოებაა. ისინი ადრე ეკუთვნოდნენ სხვადასხვა მწარმოებლებს და თანდათან საკუთარი იურიდიული და სამეურნეო დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდნენ ერთიან საწარმო კომპლექსად.

ტრესტი, სხვა მონოპოლისტური გაერთიანებებისაგან განსხვავებით გამოირჩევა წარმოების საქმიანობის ერთგვაროვნებით, რაც ვლინდება პროდუქციის ერთ ან რამდენიმე ანალოგიური სახეობის სპეციალიზაციაში.

ტრესტის ფორმა მოსახერხებელია კომბინირებული წარმოების ორგანიზაციისათვის, ე.ი. ეს არის წარმოების სხვადასხვა დარეგბის გაერთიანება ერთი კომპანიის ხელში. აქედან გამომდინარე, იგი წარმოადგენს ან ნედლეულის დამუშავების თანმიმდევრულ საფეხურს, ან თამაშობს დამხმარე როლს ერთიმეორესთან მიმართებით. ტრესტში შემავალი ყველა საწარმოო ექვემდებარება ერთიან ხელმძღვანელობას, რომელიც ახორციელებს ერთიან ოპერატიულ მართვას, როგორც ყველა საწარმოო კომპლექსთან, ასევე მასთან დაკავშირებულ მომსახურებისა და ვაჭრობის საწარმოებთან.

ტრესტში გამოყოფენ სხვადასხვა სახის საწარმოების გაერთიანების ორ საშუალებას: ცალკეული კომპანიების აქტივების უშუალო შერწყმა მთავარი კომპანიის აქტივებთან და ტრესტის მთავრი კომპანიის მიერ საწარმოოს სააქციო კაპიტალის წილის შეძენა. ტრესტის შემადგენლობაში შეიძლება იყოს წარმოება, რომელსაც ტრესტი მართავს მონაწილეობის სისტემის დახმარებით შვილობილი კომპანიის მეშვეობით. ასეთი წარმოება, მართალია ფორმალურად დამოუკიდებელია, მაგრამ ფაქტიურად იმართება ერთი ცენტრიდან. ასეთი ცენტრი შეიძლება იყოს ჰოლდინგი, რომელიც აკონტროლებს თითქმის ყველა აქციას და რეალურად განა-

გებს წარმოების საწარმოო, კომერციულ და ფინანსურ საქმიანობას.

კონცერნები და კონგლომერატები, რომლებიც გამოჩნდნენ XX ს-ის 60-იან წლებში დღემდე ინარჩუნებენ პოზიციებს.

**კონცერნი** – დამოუკიდებელი საწარმოების გაერთიანებაა, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია მონაწილეობის სისტემის მეშვეობით, ხელშეკრულებით საერთო ინტერესების შესახებ, პერსონალური უნით, საპატენტო-სალიცენზიო შეთანხმებით, დაფინასებით, მჭიდრო საწარმოო თანამშრომლობით.

წარმოება, რომელიც ერთიანდება კონცერში, რჩება იურიდიულ პირად სააქციო საზოგადოების ან სავაჭრო ამხანაგობის ფორმით. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მსხვილი კაპიტალმფლობელებისაგან სხვადასხვა კომპანიებისკენ გადის ძაფები, ხშირად უხილავი, რომლებიც შედიან კონცერნში და რომელთა მეშვეობითაც კონცერნი სრულად აკონტროლებს მასში შემავალი კომპანიების საქმიანობას.

ჩვეულებრივ კონცერნი არის წარმოების სხვადასხვა დარგების სამრეწველო ხასიათის გაერთიანება. კონცერნები განსხვავდებიან ,,ვერტიკალური" და ,,ჰორიზონატალური" ხასიათის გაერთიანებით. ვერტიკალური გაერთიანებები მოიცავენ მრეწველების სხვადასხვა დარგის წარმოებებს, რომელთა საწარმოო პროცესი ურთიერთდაკავშირებულია (მაგ., სამთომომპოვებელი, მეტალუგიული და მანქანათმშენებელი). ჰორიზონტალური გაერთიანებები მოიცავენ მრეწველობის სხვადასხვა დარგების წარმოებებს, რომლებიც არ არიან, ან სუსტად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

საკმაოდ ფართო გავრცელება ჰპოვა სამრეწველო ჰოლდინგების შექმნამ, რომლებიც თავად არ არიან დაკავებულნი სამრეწველო საქმიანობით. ისინი მხოლოდ მასში შემავალი წარმოებების საქმიანობის კონტროლს ახორციე-

ლებენ ,,მონაწილეობის სისტემის" გზით. ჰოლდინგში შემავალი კომპანიები ფლობენ იურიდიულ და სამეურნეო დამოუკიდებლობას და დებენ საგარეო სავაჭრო გარიგებებს საკუთარი სახელით. თუმცა, ძირითადი საკითხების გადაწყვეტა, რომელბიც ეხება მათ მოღვაწეობას და რომელსაც მოაქვს შემოსავალი, ეკუთვნის ჰოლდინგურ კომპანიას.

**კონგლომერატი** - უმსხვილესი ინსტიტუტებისა და წარმოების გაერთიანებაა, რომელიც ღებულობს მონაწილეობას წარმოების კონტროლში და იმავდროულად ყურადღებას აქცევს მეურნეობის სხვადასხვა დარგებს მსოფლიო მასშტაბით. ეს ჯგუფი ტექნიკურად არ არის წარმოებებს შორის დაკავშირებული, რომლებიც ეკუთვნის ერთ კომპანიას და უშვებს ერთ ან წარმოების მეტ სტადიაზე სხვადასხვა სახის ერთმანეთისათვის არაკონკურენტუნარიან საქონელს ან ოპერირებს ბაზრის სეგმენტებზე, რომლებიც არ კვეთენ ინტერესებს. კონგლომერატებმა მიიღეს ფართო გავრცელება ამერიკის შეერთებულ შტატებში და იაპონიაში: კონგლომერატული გაერთიანებაა ამერიკული ტნკ - „ITT" (international Telephone and Telegraph), რომელიც აწარმოებს სატელეკომუნიკაციო და საკომპლექტო მოწყობილობებს ავტომობილებისათვის.[22]

არსებობს ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის ორი მოდელი:

ა) ტნკ-ების ქცევის ტრადიციული მოდელი, რომელიც გვთავაზობს წარმომქმნელ ქვეყნაში საქონლის შექმნას და შემდეგ მის ექსპორტს უცხოეთში. ტნკ-ების ქცევის ეს მოდელი ბევად ძვირადღირებული და არარაციონალურია.

ბ) ტნკ-ების ქცევის თანამედროევ მოდელი კი არის ბევრად რაციონალური, იგი გულისხმობს წარმოების ტერიტორიულ განლაგებას, დამუშავების გადატანით იმ ქვეყნაში,

---

[22] В.В.Волошин, Справочник экономиста-международника, М.: АПН. – 1984, с. 421-480.

სადაც საუკეთესო პირობაა მათი განხორციელბისა და დანერგვისათვის,  იქ სადაც წარმოება ბევრად უფრო იაფი დაჯდება.[23]

ამრიგად, ტნკ ეს არის მონოპოლისტური გაერთიანება (კონცერნი ან საერთაშორისო კორპორაცია, გლობალური გაერთიანება), რომლის ფარგლებში გაერთიანებულია მსოფლიო მეურნეობის ერთი ან რამდენიმე დარგის  მრავალრიცხოვანი წარმოება. ისინი დაკავებულნი არიან საწარმოო და სავაჭრო საქმიანობით, რომელიც სცდება ქვეყნის ეროვნულ ჩარჩოებს.

ტნკ-ების განვითრების ისტორიიდან შეიძლება გამოიყოს შემდეგი ეტაპები:

1. XIX ს-ის დასარული – ტნკ-ების წარმოქმნა (კოლონიალური ტიპი);

2. XX ს-ის 40-იანი წლების დასაწყისიდან ტნკ-ების ჩამოყალიბება

3. XX ს-ის 60-80-იანი წლები – ტრანსნაციონალური კაპიტალის განვითარება;

4. XX ს-ის 80-იანი წლები – კორპორატიული გიგანტების გალენის ზრდა.

ევოლუციის თითეული ეტაპი შეესაბამება ტნკ-ების ორგანიზაციული ფორმის განსაზღვრებას:

- პირველი თაობის ტნკ – კოლონიალურ-სანედლეულო, კარტელების, სინდიკატების და პირველი ტრესტების სახით;

- მეორე თაობის ტნკ – სამხედრო-ტექნიკური, ტრესტული ტიპის;

- მესამე თაობის ტნკ – ტექნიკურ-სამომხმარებლო, კონცერნებისა და კონგლომერატების სახით;

---

[23] Окопова Е.С. и др. Мировая экономика и международные экономические отношения / Е.С.Окопова., О.М. Воронкова, Н.Н.Гаврилка. – Ростов-на-Дону.: Феникс, - 2000, с. 360.

- მეოთხე თაობის ტნკ – გლობალური ტნკ-ები.

დღეისათვის სამეცნიერო ლიტერატურაში ორგანიზაციული ნიშნების მიხედვით ტნკ-ების შემდეგი ტიპები გამოიყოფა[24]: 1. მრავალეროვნული კორპორაციები; 2. ინტერნაციონალური კორპორაციები; 3. ტრანსნაციონალური კომანიები; 4. გლობალური კომპანიები[25].

ტრანსეროვნულია კომპანია, როცა საქმიანობას ეწევა ეროვნულ საზღვრებს გარეთ სტრატეგიის კოორდინაციის, ინტეგრაციისა და ლოკალური დიფერენციაციის სხვადასხვა ხარისხით, ბაზრებისა და ბიზნესის განხორციელების სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე.

მულტინაციონალურია კომპანია, რომელიც ბიზნესს ახორციელებს მრავალ ქვეყანაში, ამასთან, მისი სტრატეგია და მმართველობითი გადაწყვეტილებები დეცენტრალიზებულია უცხოურ განყოფილებებს შორის.

ორგანიზაცია, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ერთზე მეტ ქვეყანაში დედა კომპანიის გამოცდილების გამოყენებით ინტერნაციონალური კომპანიაა [26].

კომპანია, რომელიც საქმიანობის წარმართავს ყველა ქვეყანაში ერთიანი სტრატეგიით, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით მაღალკოორდინირებული და მაღალინტეგრირებულია გლობალური ხასიათისაა. ამ შემთხვევაში ბიზნესის სუბიექტების სტრატეგია განისაზღვრება ცენტრალიზებულად, ხოლო განყოფილებებს მცირე ავტონომია აქვთ მინიჭებული.

გ. ლეტო-გილიერის მიხედვით ტნკ არის კომპანია, რომელიც პირდაპირ ბიზნეს მოქმედებებს ეწევა სულ ცოტა

---

[24] გაეროს UNCDAT-ის მიერ ძირითად გამოყენებულია ტერმნი ტრანსნაციონალური კორპორაციები.

[25] И.Г. Владимирова, Роль и место транснациональных корпораций в современной экономике, Жур. Менеджмент в России и за рубежом, №2, 1998

[26] Bartlett Ch. Ghoshal S. Managing Across Borders: Transnational Solution, Harvard Business School Press, 2002, gv, 17

ორ ქვეყნაში. მისი აზრით კომპანისათვის საკამრისი არ არის საზღვარგარეთ საერთაშორისო ბიზნესში ჩართვა, რომ იგი კლასიფიცირდეს როგორც ტრანსნაციონალური ან მულტინაციონალური კომპანია. ან კიდევ კომპანია, რომელიც ჩაბმულია საერთაშორისო ბიზნესში მომსახურებისა და საქონლის ექსპორტით ან იმპორტით, ან უსამართლო სახელშეკრულებო თანმშრომლობით, ან თუნდაც ეწევა საერთაშორისო პორტფელურ ინვესტიციებს და ინვესტირებას ახდენს სუფთა ფინანსური მიზეზით ვერ გახდება ტნკ ამგვარი ბიზნეს მოქმედებების საფუძვლზე. კომპანია ტრანსნაციონალური რომ გახდეს პირდაპირ უნდა ოპერირებდეს საზღვრგარეთ შვილობილი კომპანიების ან ფილიალების შექმნით და უცხოური აქტივების ფლობით[27].

ფაქტობრივად, ზემოთ მოცემული კლასიფიკაცია გამომდინარეობს მათი გავლენისა და კაპიტალიზაცის მიხედვით, რომელიც მათ ყოფს ,,ლეკვებად”, ,,მგლის ლეკვებად”, ,,ამბიციურ და აგრესიულ ახალგაზრდა მგლებად” და ,,გამოცდილ მგლებად”[28].

თანამედრეოვე ეკონომიკურ მეცნიერებაში ტნკ-ების ტიპოლოგია ასევე აგებულია სხვადასხვა ნიშნების მიხედვით.

პლანეტაზე **განლაგების მიხედვით** (რომელ მატერიკაზეა განლაგებული ტნკ-ს შტაბ-ბინა. ასეთი კუთხით ტნკ შეიძლება იყოს: დასავლეთ-ევროპული - ,,ფილიპსი” (ნიდერლანდები), ,,ბრიტიშ პეტროლიუმი” (დიდი ბრიტანეთი), ,,ნესტელ” (შვეიცარია), ,,ენნი” (იტალია), ,,ელფ-აკიეთი” (საფრანგეთი) და ა.შ. აზიური - ,,ტოიოტა” (იაპონია) და ა.შ., ჩრ-

[27] Grazia Letto-Gillies, Transnational Corporations and International Production, Concepts, Theories and Effects, Published by Edward Elger Publishing Limited Glersanda House, Northamption, Massachusetts, 2005, p. 10-11.

[28] А. Орловский Развитие и взаимодействие внутригосударственного и международного права в условиях глобализации, http://world.li b.ru/o/orlowskij_a/tnk.shtml

დილოეთ-ამერიკული - ,,სიგრამი” (კანადა), ,,ბოინგ” (აშშ) და ა.შ., ავსტრალიური - ,,ნიუს კორპორეიშენი” (ავსტრალია) და ა.შ. აფრიკული - სასოლი.

**დარგობრივი ნიშნით** - თუ ეკონომიკის რომელ სექტორშია საქმიანობით დაკავებული. აქ გამოიყოფა ორი ჯგუფი - **საწარმოო და არასაწარმოო ტნკ-ები**.

**საწარმოო ტნკ-ები** სპეციალიზაციის მიხედვით:

მანქანათმშენებლი - ,,ჯენერალ ელექტრიკი”,,ფორდ ავტო” (აშშ), ,,ფიატ” (იტალია), ჰონდა (იაპონია). სამხედრო ტექნიკის - ,,რეინმეტელ გროუპ” (გერმანია), ,,დასსო ავიასიონ” (საფრანგეთი), ,,რეიტონ” (აშშ), ,,ბრიტიშ ავიასიონ” ,,ჯენერალ ელექტრიკი” (დიდი ბრიტანეთი), ,,ვარუჟენიე” (რუსეთი) და ა.შ. ქიმიური - ,,როშ ჰოლდინგი” (შვეიცარია), ,,რონ პულენკი” (საფრანგეთი) და ა.შ. კვება - ,,სიგრამი” (კანადა), ,,იუნილევერ” (ნიდერლანდები/დიდი ბრიტანეთი), ,,ნესტელ” (შვეიცარია) და ა.შ. სათბობ-ენერგეტიკული - ,,ექსონი” (აშშ), ,,ელიფ-აკიტენი” (საფრანგეთი), ,,როიალ-დაჩშელი” (ნიდერლანდები/დიდი ბრიტანეთ), ,,ენიი” (იტალია) და ა.შ. თამბაქოს - ,,ფილიპ მორის” (აშშ) და ა.შ. მსუბუქი მრეწველობა - ,,მტვ გროუპ”, ,,ჯეი ტი ინტერნეიშნელი” (კანადა) და ა.შ.

**არასაწარმოო ტნკ-ები:**

ტელეკომუნიკაცია - ,,ბელ კენედ ენტერპრაიზის” (კანადა), ,,ქებლ ენდ ვაიერლეს” (დიდი ბრიტანეთი) და ა.შ. მასმედია - ,,ნიუს კორპორეიშნი”, ,,ინტერნეტ” (ავსტრია), ტურისტული - ,,იტოჩი“ (იაპონია), სავაჭრო -,,ნის ივაი” (იაპონია) და ა.შ. საფინანსო ,,სიტიბანკ” (აშშ).

ტერიტორიის მომცველობის მიხედვით გამოიყოფა **მრავალეროვნული და ვიწრონაციონალური ტნკ-ეები.**

მრავალეროვნული - ,,ჯენერალ ავტო სი”, ,,კოკა კოლა” (აშშ), ,,სიმენსი” (გერმანია), ,,ფილიპსი” (ნიდერლანდები) და ა.შ. ფილიალები ათზე მეტ ქვეყანაში.

ვიწრონაციონალური - ,,ლუკოილი" (რუსეთი) და ა.შ.

მფლობელი ქვეყნების მიხედვით გამოყოფა **საკუთარი და მონაწილე ტნკ-ები**.

მონაწილე - ,,როიალ დაჩ შეილ", ,,იუნილევერ" (ნიდერლანდები/დიდი ბრიტანეთი), ,,ინტელ დნზ" (დიდი ბრიტანეთი/უკრაინა) და ა.შ.

საკუთარი - ,,სონი" (იაპონია), ,,რონ პულენკი" (საფრანგეთი), ,,აი ბი ემი" (აშშ) და სხვები.

დარგის სპეციალიზაციის მიხედვით გამოიყოფა სპეციალიზირებული, კომპლექსური და უნივერსალური ტნკ-ები

სპეციალიზირებული - ,,ჯენერალ ავტო სი" (აშშ, საავტომობილო წარმოება), ,,აი ბი სი" (აშშ, კომპიუტერების წარმოება), ,,სიმენსი" (გერმანია, ელექტრიკა) და სხვა. კომპლექსური - ,,ნესტელ" (შვეიცარია, კვებისა და სასმელების), ,,მობილ" (აშშ, ნავთობის მოპოვება, გადამუშავება, გაყიდვა), ,,რონ პულენკი" (საფრანგეთი, ქიმიური მრეწველობა და ფარმაცია) და ა.შ. უნივერსალური - ,,ფილიპ მორისი" (აშშ, კვება და თამბაქო), ,,ნოვარტსის" (შვეიცარაი, ვაჭრობა და მანქანათმშენებლობა), ,,ფიატი" (გერმანია), ,,მიცუი" (იაპონია) სხვადასხვა დარგები და ა.შ.

გამოშვებული პროდუქციის გაყიდვების ადგილის მიხედვით ტნკ-ები იყოფა **შიდა და გარე ორიენტაციის მქონე** კომპანიებად.

გარე ორიენტირის - ,,ქსეროქსი", გაყიდვების 50% (აშშ), ,,დოუ კემიკელი", გაყიდვების 52%, ,,ნოვარტისი", გაყიდვების 98% (შვეიცარია), ,,სიგრამი", გაყიდვების 97% (კანადა) და ა.შ.

შიდაორიენტირის - ,,იტოჩუ", გაყიდვების 59% (იაპონია), ,,მიცუბიში", გაყიდვების 66,6 % (იაპონია).

უცხოეთში **დასაქმებულთა** პროცენტული თანაფრდობის მიხედვით ტნკ-ები იყოფა:

საერთო დასაქმებულებიდან 10-დან 25 პროცენტამდე უცხოეთში (მეოთხედი ტნკ-ები) - ,,შევრონ" (აშშ, 22%), ,,ჯენერალ ავტო სი" (აშშ, 11%).

საერთო დასაქმებულებიდან 26%-დან 50% ჩათვლით (სასაზღვრო ტნკ-ები) - ,,ჯენერალ ელექტრიკი" (აშშ, 40%), ,,ფორდ ავტო ი" (აშშ, 48%) და ა.შ.

საერთო დასაქმებულებიდან 51%-დან 75% ჩათვლით (მაკორდინეებელი ტნკ-ები) - ,,როიალ დც შეელი" (ნიდერლანდები/დიდი ბრიტანეთი, 61%), ,,სიმენსი" (გერმანია, 52%) და სხვა.

საერთო დასაქმებულებიდან 76%-დან და 95% ჩათვლით (საზღვარგარეთული ან მმართველობით ტნკ-ები) - ,,ინულევერი" (ნიდერლანდები/დიდიბრიტანეთი, 88%) და სხვა.

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარეობს გლობალური და ტრანსეროვნული სტრატეგიების განვითარებისა და გლობალური ოპერაციების კოორდინაციის პროცესები. ტნკ-ები წარმოადგენენ მსხვილ გაერთიანებებს, რომლებსაც აქვთ დივერსიფიცირებული ჰორიზონტალური ან ვერტიკალური ინტეგრაცია. კომპანიების უმეტესობა დროთა განმავლობაში ზრდის უცხოურ ბაზრებზე თავისი მონაწილეობის ხარისხს შვილობილი კომპანიების, შთანთქმებისა და ერთობლივი საწარმოების შექმნით. მნიშვნელოვანია შვილობილი კომპანიების ერთობლიობა, რომლებიც კონკრეტულ ქვეყნაში მოქმედებენ. ისინი ფაქტობრივად ექვემდებარებიან ადგილობრივ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ორგანოებს. მათ, ასევე, თავიანთი საქონელი და რეკლამა ადგილობრივ გარემოს უნდა მოარგონ. შვილობილი კომპანიების მეშვეობით მსოფლიოს მასშტაბით გაბნეული საქმიანობის სხვადასხვა სახე ურთიერთდამოკიდებული ხდება. ეკონომიკის ლიბერალიზაციამ ხელი შეუწყო საქმიანობის გლობალური ქსელის შექმნას. ერთ ქვეყანაში

კომპონენტების წარმოებამ და მეორეში ექსპორტირებამ, კომპანიებს საშუალება მისცა მოეხდინათ კომპონენტების წარმოების კონცენტრირება ერთ სპეციალიზებულ საწარმოში. ისინი აწარმოებენ პროდუქციის ერთ კატეგორიას ან ერთ კომპონენტს, ხოლო გლობალური ან რეგიონალური ქსელის მეშვეობით ხდება კომპონენტების ურთიერთმიწოდება საბოლოო სახის საქონლის მისაღებად. შედეგად საქმიანობის კოორდინაცია და ინტეგრაცია განაპირობებს გლობალური კომპანიების ფორმირებას. ასეთ კორპორაციებში განვითარებულია ორგანიზაციათაშორისი ურთიერთობები, რაც უკავშირდება ფირმათაშორისი თანამშრომლობის სტრატეგიების აქტიურ გამოყენებას.

# თავი II

## ტრანსნაციონალიზაცია – მსოფლიო ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორი

### *2.1. ტრანსნაციონალური კომპანიების ადგილი მსოფლიო მეურნეობაში*

საერთაშორისო მეწარმეობის ფორმები მრავალფეროვანია. ისინი მოიცავენ საზღვარგარეთ შვილობილი ფირმებისა და ფილიალების, ასევე, სხვა ქვეყნების ფილიალებთან ერთად ერთობლივი საწარმოებისა და შერეული კომპანიების შექმნას ადგილობრივი სახელმწიფო და კერძო კაპატალის მონაწილეობით. კაპიტალის მხრივ, საკუთრივ თითოეული ეს კომპანია შეიძლება დაფუძნებული იყოს როგორც ინდივიდუალურ, ისე ერთობლივ საკუთრებაზე, წარმოების საშუალებებზე ან ტექნოლოგიებზე. თუმცა, ყველა სახის საერთაშორისო წარმოებისათვის საერთოა ეკონომიკური საქმიანობის გატანა ეროვნული საზღვრების გარეთ, ე.ი. მისი ტრანსნაციონალიზაცია. ტრანსნაციონალიზაციის პროცესის გამოხატულებაა ტნკ-ების მსოფლიო ეკონომიკის რეალურ სუბიექტებად გადაქცევა. მისი დამახასიათებლი ნიშანია კაპიტალის გადახლართვა სხვადასხვა ქვეყნის კომპანიების შერწყმის, ერთობლივი კომპანიების შექმნის, კომპანიებსა და ბანკებს შორის ურთიერთობების გაღრმავების შედეგად.

ტრანსნაციონალიზაცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი ტენდენციაა. იგი განპირობებულია კაპიტალის გადინების აუცილებლობით და შესაძლებლობით იმ ქვეყნებიდან, სადაც მისი სიჭარბეა, იმ ქვეყნებში სადაც მისი დეფიციტია, მაგრამ გამოუყენებელია წარმოების ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა რესურსები,შრომა და

ბაზარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ტრანსნაციონალიზაციას მივყავართ მსოფლიო წარმოების პროცესების ალმავლობისა და ეკონომიკური გამოთანაბრებისაკენ. ის მომგებიანია როგორც იმ ქვეყნებისათვის, რომელთა კორპორაციებიც ახორციელებენ პირდაპირ ინვესტიციებს (საბაზო ქვეყნები), ასევე ინვესტიციების მიმღები ქვეყნებისთვისაც[29].

აქედან გამომდინარე, ბოლო წლებში ტნკ-ების შეფასების ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია კომპანიათა ტრანსნაციოანლიზაციის ინდექსი.

გაეროს მიერ შემუშავებული ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი აერთიანებს კომპანიის უცხოური აქტივების წილს აქტივების მთლიან ღირებულებაში, უცხოურ გაყიდვებს და დასაქმებულ უცხოელებს. ტრანსნაციონალური ინდექსის მაღალი დონით გამოირჩევა ევროკავშირის, აშშ და იაპონიის ტნკ-ები (ცხრილი 2).

**მსოფლიოს უდიდესი 100 კომპანიის ტრანსნაციონალური ინდექსის სიდიდე 2006-2007 წელს ქვეყნების მიხედვით[30]**

*ცხრილი 2*

| რეგიონი/ქვეყანა | | საშუალო სიდიდე | | ტნკ-ების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| | | 2006 | 2007 | 2008 |
| ევროკავშირი | | 64.2 | 66.4 | 57 |
| | საფრანგეთი | 63.8 | 63.6 | 14 |
| | გერმანია | 54.8 | 56.5 | 13 |
| | დიდი ბრიტანეთი | 72.8 | 74.1 | 15 |
| იაპონია | | 52.1 | 53.9 | 10 |
| აშშ | | 57.8 | 57.1 | 20 |
| მსოფლიო | | 61.6 | 62.4 | 100 |

[29] თეა კასრაძე, ტრანსნაციონალიზაცია - მსოფლიოს ეკონომიკური განვითრების მამოძრავებელი ძალა, ჟურნ. საქართველოს ეკონომიკა, 9, 2009, http://www.geoeconomics.ge/index.php?lp=1
[30] World investment report, transnational corporations, Agriqultural Production and development, 2009, annex table I,9, p.19

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიოს 100 უდიდესი კომპანია დარგების მიხედვით განსხვავებული ტრანსანციონალიზაციის ინდექს აფიქსირებს (ცხრილი 3). მაგ., იმ ტნკ-ების, რომლებიც დაკავებულნი არიან ფარმაცევტულ, ტელესაკომუნიკაციო, კვების და სასმელების წარმოების ბიზნესში, TNI-ს უფრო მაღალია, ვიდრე იმ კომპანიების, რომლებიც დასაქმებულნი არიან ნავთობის, ავტოსატრანსპორტო წარმოების დგარგებში .

**ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი დარგების მიხედვით**

*ცხრილი 3*

| წარმოება | მსოფლიოს 100 უდიდესი კომპანია | | მსოფლიოს 100 უდიდესი კომპანია განვითარებადი ქვეყნებიდან | |
|---|---|---|---|---|
| | 2007 | TNI | 2007 | TNI |
| ავტო სატრანსპორტო საშუალებები | 13 | 56.0 | 3 | 39.3 |
| ნავთობის მოპოვება, გადამუშავება. გაყიდვა. | 10 | 56.2 | 9 | 24.0 |
| ელექტრო მოწყობილობები | 9 | 57.7 | 19 | 59.9 |
| კვება, სასმელი, თამბაქო | 9 | 68.1 | 7 | 60.5 |
| ფარმაცია | 9 | 63.6 | 1 | 50.4 |
| კომუნალური მომსახურება (ელექტეოობა, გაზი, წყალი) | 8 | 55.5 | 2 | 41.6 |
| ტელეკომუნიკაცია | 8 | 70.3 | 7 | 47.7 |
| მთელი მრეწველობა | 100 | 62.4 | 100 | 54.4 |

ინდექსის ცვლილებაზე გავლენას ახდენს საერთაშორისო შერწყმები და შთანთქმები, რადგან მისი აქტივიზაცია ამაღლებს ინდექსის მნიშვნელობას. რაც უფრო მაღალია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, მით უფრო დიდია უცხოური ფილიალების როლი ტნკ-ს საქმიანობაში. ვინაიდან იგი გვიჩვენებს თუ რამდენად არის მნიშვნელოვანი ამა თუ იმ ტნკ-ებისათვის უცხოური ფილიალები და საგარეო ბაზრები. რაც უფრო მაღალია ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიისათვის უცხოურ აქტივებს. აღნიშნული ინდექსი შედგება სამი ნიშნისაგან: 1. კომპანიის საკუთრება საზღვარგარეთ; 2 კომპანიის თანამ-

შრომელთა რაოდენობა საზღვარგარეთ, 3. კომპანიის რეალიზაცია საზღვარგარეთ. შესაბამისად, ინდექსიც გაიანგარიშება იმის მიხედვით თუ როგორია კომპანიის უცხოური აქტივების წილი მთლიან აქტივებში, უცხოეთში განხორციელებული გაყიდვების წილი კომპანიის მთლიან გაყიდევებში და კომპანიის უცხოურ ფილიალებში დასაქმებულთა წილი თანმშრომელთა მთლიან რაოდენობასთან.

2007-2008 წლებშიც კომპანიებს განსხვავებული ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი აქვთ (ცხრილი 4)[31].

**მსოფლიოს 100 უდიდესი კომპანიის ტრანსნაციონალიიზაციის ინდექსი 2007-2008 წწ.**

*ცხრილი 4*

| კორპორაციები | ქვეყანა | 2007 წლის მიხედვით % TNI | 2008წლის რიხედვით % TNI |
|---|---|---|---|
| General Electric | აშშ | 76 | 52.2 |
| Vodafone Group Plc | დიდი ბრიტანეთი | 2 6 | 88.6 |
| Royal Dutch/Shell Group | ნიდერლანდები/იდი ბრიტანეთი | 35 | 73.0 |
| British Petroleum Company Plc | დიდი ბრიტანეთი. | 23 | 80.8 |
| ExxonMobil | აშშ | 41 | 67.9 |
| Toyota Motor Corporation | იაპონია | 75 | 53.1 |
| Total | საფრანგეთი | 26 | 74.5 |
| Electricite De SafrangeTi | საფრანგეთი | 94 | 34.6 |
| Ford Motor Company | აშშ | 78 | 55.9 |
| E.ON AG | გერმანია | 69 | 55.2 |
| ArcelorMittal | ლუქსემბურგი | 3 | 91.4 |
| Telefonica SA | ესპანეთი | 38 | 70.3 |
| Volkswagen Group | გერმანია | 59 | 59.6 |
| ConocoPhillips | აშშ | 90 | 43.4 |
| Siemens AG | გერმანია | 33 | 78.8 |
| Daimler AG | გერმანია/აშშ | 63 | 54.5 |
| Chevron Corporation | აშშ | 56 | 58.1 |
| Telecom france | საფრანგეთი | 74 | 50.4 |
| Deutsche Telekom AG | გერმანია | 85 | 50.3 |
| GDF Suez | საფრანგეთი | 39 | 58.6 |
| BMW AG | გერმანია | 61 | 50.1 |
| Hutchison Whampoa Limited | ჰონგკონგი/ჩინეთი | 13 | 82.8 |
| Honda Motor Co Ltd | იაპონია | 16 | 81.4 |
| Eni Group | იტალია | 68 | 56.4 |
| Eads | ნიდერლანდები | 29 | 72.3 |
| Procter & Gamble | აშშ | 50 | .. |
| Deutsche Post AG | გერმანია | 89 | 50.6 |
| Nestle SA e | შვეიცარია | 7 | 75.8 |

31 World investment report, transnational corporations, Agriqultural Production and development, 2009, annex table I,9, p. 22.

| | | | |
|---|---|---|---|
| **Wal-Mart Stores** | აშშ | 97 | 31.2 |
| **Nissan Motor Co Ltd** | იაპონია | 47 | 59.4 |
| **General Motors** | აშშ | 84 | 51.2 |
| Roche Group e | შვეიცარია | 22 | 79.4 |
| **IBM** | აშშ | 55 | 61.1 |
| **RWE Group** | გერმანია | 92 | 39.7 |
| **Endesa** | ესპანეთი | 87 | 41.8 |
| **Mitsubishi Motors Corporation** | იაპონია | 93 | 35.4 |
| **Pfizer Inc** | აშშ | 71 | 54.3 |
| **Fiat Spa** | იტალია | 45 | 58.9 |
| **Sanofi-aventis e** | საფრანგეთი | 53 | 59.2 |
| **Rio Tinto Plc f** | ავსტრალია/დიდი ბრიტანეთი | 81 | 69.5 |
| **Mitsui & Co Ltd** | იაპონია | 43 | .. |
| **Xstrata PLC** | დიდი ბრიტანეთი | 1 | 93.2 |
| **Sony Corporation** | იაპონია | 49 | 62.9 |
| **BASF AG** | გერმანია | 57 | 55.9 |
| **Cemex S.A.** | მექსიკა | 17 | 82.6 |
| **Veolia Environnement SA** | საფრანგეთი | 48 | 62.6 |
| **Compagnie De Saint-Gobain SA** | საფრანგეთი | 34 | 71.9 |
| **Nokia** | ფინეთი | 9 | 88.5 |
| **Renault SA** | საფრანგეთი | 72 | 53.1 |
| **BHP Billiton Group** | ავსტრალია | 40 | .. |
| **Hewlett-Packard** | აშშ | 54 | 58.9 |
| **Johnson & Johnson** | აშშ | 77 | 51.8 |
| **Repsol YPF SA** | ესპანეთი | 73 | 49.6 |
| **Volvo AB** | შვეცია | 19 | 81.8 |
| **National Grid Transco** | დიდი ბრიტანეთი | 60 | 62.2 |
| **Anglo American e** | დიდი ბრიტანეთი | 11 | 87.5 |
| **Lafarge SA** | საფრანგეთი | 14 | 83.6 |
| **Astrazeneca Plc** | დიდი ბრიტანეთი | 12 | 86.8 |
| **Philips Electronics** | ნიდერლანდები | 15 | 84.8 |
| **Inbev SA e** | ნიდერლანდები | 18 | 87.0 |
| **Iaponi** | იაპონია | 82 | 41.1 |
| **Statoil Asa** | ნორვეგია | 95 | 36.4 |
| **Linde AG** | გერმანია | 2 | 88.3 |
| **BAE Systems Plc** | დიდი ბრიტანეთი | 27 | 78.9 |
| **Vivendi Universal** | საფრანგეთი | 79 | 50.2 |
| **Liberty Global Inc** | აშშ | 20 | 86.2 |
| **WPP Group Plc** | დიდი ბრიტანეთი | 5 | 88.9 |
| **Lvmh Moet-Hennessy Louis Vuitton SA** | საფრანგეთი | 31 | 73.0 |
| **LG Corp.** | სამხ. კორეა | 64 | 43.8 |
| **Pinault-Printemps Redoute SA** | საფრანგეთი | 44 | 66.9 |
| **Kraft Foods Inc.** | აშშ | 83 | 50.0 |
| **Metro AG** | გერმანია | 58 | 58.2 |
| **Unilever e** | ნიდერლ./დიდი ბრიტ. | 30 | 69.9 |
| **Coca-Cola Company** | აშშ | 32 | 64.3 |
| **Samsung Electronics Co., Ltd.** | სამ. კორეა | 86 | 52.0 |
| **Holcim AG e** | შვეიცარია | 42 | 66.3 |
| **Carrefour SA** | საფრანგეთი | 70 | 54.8 |
| **SAB Miller e** | დიდი ბრიტანეთი | 25 | 76.0 |
| **Glaxosmithkline Plc** | დიდი ბრიტანეთი | 62 | 55.8 |
| **Marubeni Corporation** | იაპონია | 80 | .. |
| **TeliaSonera AB** | შვედეთი | 37 | 72.6 |
| **Alcoa** | აშშ | 51 | 61.2 |
| **CRH Plc** | ირლანდია | 21 | 79.5 |
| **Petronas - Petroliam Nasional Bhd** | მალაიზია | 99 | .. |
| **Diageo Plc** | დიდი ბრიტანეთი | 28 | .. |
| **United Technologies Corporation** | აშშ | 65 | 56.0 |
| **Hyundai Motor Company** | სამხ.კორეა | 98 | 38.6 |
| **CITIC Group** | ჩინეთი | 100 | .. |
| **Hitachi Ltd** | იაპონია | 96 | .. |
| **Pernod Ricard SA** | საფრანგეთი | 4 | .. |

| | | | |
|---|---|---|---|
| Thyssenkrupp AG | გერმანია | 66 | 58.1 |
| Bayer AG e | გერმანია | 91 | 46.1 |
| Novartis e | შვეიცარია | 52 | 68.1 |
| AES Corporation | აშშ | 24 | 80.1 |
| British American Tobacco Plc e | დიდი ბრიტანეთი | 46 | 61.8 |
| Dow Chemical Company g | აშშ | 67 | 54.9 |
| AkzoNobel | ნიდერლანდები | 8 | 90.3 |
| Itochu Corporation | იაპონია | 88 | .. |
| Telenor Asa | ნორვეგია | 36 | 70.4 |
| Thomson Reuters Corporation | კანადა | 10 | 42.2 |

მსოფლიოს 100 უდიდესი კომპანიის მაჩვენებლის მიხედვით ჩანს, რომ მათი ინტერნაციონალიზაციის ინდექსი 2008 წელს შემცირების ტენდენციით ხასიათდება, მაშინ როცა მათი ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი 2007 წელს აგრძელებდა ზრდას, განსაკუთრებით საგარეო გაყიდვების ზრდით. შემცირების მიზეზი მსოფლიო საფინანსო-ეკონომიკური კრიზისი და გლობალური დაცემაა. 2008 წლის პირველადი მონაცემების შეფასებით ჩანს, რომ უცხოური გაყიდვებისა და აქტივების შეფარდება მთლიან აქტივებთან და გაყიდვებთან, 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით არ გაზრდილა პირიქით, შემცირდა. მიუხედვად იმისა, რომ უცხოეთში დასაქმებულთა რაოდენობა, საერთო დასაქმებულებთან შედარებით მცირედით გაიზარდა.

ზემოთ აღნიშნული ინდექსის გარდა, ასევე, შემუშავებულია ქსელის გავრცელების ინტერნაციონალიზაციის (I.I) და ქსელის გეოგრაფიული გავრცელების ინდექსები (GSI). პირველი განისაზღვრება როგორც უცხოური ფილიალების რაოდენობის შეფარდება ფილიალების საერთო რაოდენობასთან, ხოლო მეორე ითვალისწინებს უცხოური შვილობილი კომპანიების რაოდენობასა და მიმღები ქვეყნების რაოდენობას, სადაც კომპანიას აქვს განყოფილებები.

საერთაშორისო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანთვისებაა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მეშვეობით მსოფლიოს მასშტაბით მოქმედი ფირმების რაოდენობისა და მათი საქმიანობის სფეროს გაფართოება. ყოველწლიურად იქმნება ასეულობით ახალი რეგიო-

ნული და საერთაშორისო მასშტაბის ფირმა. მათი დიდი ნაწილი მოდის განვითარებად ქვეყნებზე. ასეთი მზარდი ტენდენცია უმეტსწილად განპირობებულია მსოფლიო ეკონომიკის ლიბერალიზაციით. იგი, როგორც ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ ეკონომიკურ საქმიანობაში მონაწილეობის თავისუფლება ეკონომიკური გლობალიზაციის განუყოფელი ნიშან-თვისებაა. ლიბერალიზაციის წყალობით გაფართოვდა კაპიტალის მოქმედების არეალი. მასში საბაზრო ურთიერთობების მსოფლიოს მაშტაბით გავრცელებისა და გაღრმავების უზრუნველსაყოფად ყველა ქვეყანის მონაწილეობაა აუცილებელი. ქვეყნებში თავისუფალი ბაზრის დამკვიდრების მიმართულებებად დაისახა ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა: ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა, პრივატიზაცია, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ფინანსური სფეროს დარეგულირება. თანამედროვე მსოფლიოში სწორედ ის ქვეყნები აღწევეს დიდ წარმატებას, რომლის ეკონომიკაც ლიბერალიზაციის მაღალი დონით გამოირჩევა.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის კვლევა The Heritage Foundation-isa da Wall Street Journal-ის ერთობლივი პროდუქტია, კვლევაში მსოფლიოს 179 ქვეყნის ეკონომიკაა შეფასებული (ცხრილი 5). ავტორები ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების 10 კომპონენტს აფასებენ. ესენია ბიზნესისა და ვაჭრობის თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, მთავრობის სიდიდე, მონეტარული თავისუფლება, ინვესტიციების, ფინანსური, კერძო საკუთრების, კორუფციისა და შრომის თავისუფლება.

ეკონომიკის თავისუფლების ხარისხის მიხედვით ქვეყნები დაყოფილია ხუთ ჯგუფად: თავისუფალი (80-100 ქულა), უმეტესწილად თავისუფალი (70-79,9), ზომიერად თავისუფალი (60-69.9); უმეტესწილად არათავისუფალი (50-59.9),

შეზღუდული (0-49.9). 100 შეესაბამება თავისუფლების ყველაზე მაღალ დონეს[32].

**2009 წელს 183 ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის რეიტინგი**

*ცხრილი 5*

| რიგი | ქვეყანა | თავ. ინდექ | ცვლილება | რიგი | ქვეყანა | თავ. ინდექ | ცვლილება | რიგი | ქვეყანა | თავ. ინდექ | ცვლილება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰონგ-კონგი | 90.0 | +0.3 | 62 | ალბან. | 63.7 | +1.3 | 123 | ინდ. | 54.4 | +0.3 |
| 2 | სინგაპ. | 87.1 | -0.2 | 63 | უგანდა | 63.5 | -0.3 | 124 | რუან. | 54.2 | 0.0 |
| 3 | ავსტრ. | 82.6 | +0.4 | 64 | საფრ. | 63.3 | -1.4 | 125 | სურ. | 54.1 - | 0.2 |
| 4 | ირლან. | 82.2 | -0.3 | 65 | რუმინ. | 63.2 | +1.5 | 126 | ტონ. | 54.1 | / |
| 5 | ახალი ზელან-დია | 82.0 | +1.2 | 66 | ელიზე | 63.0 | 0.0 | 127 | მავრ. | 53.9 - | 1.2 |
| 6 | აშშ | 80.7 | -0.3 | 67 | ტაილ. | 63.0 | +0.7 | 128 | ნიგ. | 53.8 | +1.0 |
| 7 | კანადა | 80.5 | +0.3 | 68 | სლოვ. | 62.9 | +2.7 | 129 | მალუ. | 53.7 | +1.1 |
| 8 | დანია | 79.6 | +0.4 | 69 | მონღ. | 62.8 | -0.8 | 130 | ბოლ. | 53.6 | +0.5 |
| 9 | შვეიც. | 79.4 | -0.1 | 70 | დომინ | 62.6 | / | 131 | ინდონ ზ | 53.4 | +0.2 |
| 10 | დიდი ბრიტ. | 79.0 | -0.5 | 71 | ნამბია | 62.4 | +1.0 | 132 | ჩინი. | 53.2 | +0.1 |
| 11 | ჩილე | 78.3 | -0.3 | 72 | კოლ. | 62.3 | +0.2 | 133 | ნეპ. | 53.2 - | 0.9 |
| 12 | ნიდერ. | 77.0 | -0.4 | 73 | მაგადი | 62.2 - | 0.2 | 134 | ბოსნ.-ნა. | 53.1 | -0.8 |
| 13 | ესტონ. | 76.4 | -1.5 | 74 | ყირგ. | 61.8 | +0.7 | 135 | ეთ. | 53.0 | +0.5 |
| 14 | ისლან. | 75.9 | +0.1 | 75 | თურქ. | 61.6 | +1.6 | 136 | კამერ. | 53.0 | -1.3 |
| 15 | ლუქს. | 75.2 | +0.5 | 76 | იტალია | 61.4 | -1.2 | 137 | ეკვად. | 52.5 | -2.8 |
| 16 | ბაჰრეი-ნი | 74.8 | +2.6 | 77 | კაბო ვერდი | 61.3 | +3.4 | 138 | არგ. | 52.3 - | 1.8 |
| 17 | ფინეთი | 74.5 | -0.1 | 78 | მაკედო-ნია | 61.2 | +0.2 | 139 | მიკრო-ნეზია | 51.7 | / |
| 18 | მავრ | 74.3 | +1.7 | 79 | პარაგ | 61.0 | +1.0 | 140 | ჯიბ. | 51.3 | +0.1 |
| 19 | იაპონია | 72.8 | -0.2 | 80 | ფიჯი | 61.0 - | 0.8 | 141 | სირია | 51.3 | +4.2 |
| 20 | ბელგია | 72.1 | +0.5 | 81 | საბერ. | 60.8 | +0.2 | 141 | ეკვ. გვინეა | 51.3 | 0.3 |
| 21 | მაკაუ | 72.0 | / | 82 | პოლ. | 60.3 | 0.0 | 143 | მალდ. | 51.3 | / |
| 22 | ბარბ | 71.5 | +0.2 | 83 | ყაზახ | 60.1 | -1.0 | 144 | გვინეა | 51.0 | - 1.8 |
| 23 | ავსტრ | 71.2 | -0.2 | 84 | ნიკარა-გუა | 59.8 | -1.0 | 145 | ვიეტ. | 51.0 | +0.6 |
| 24 | კვიპრ | 70.8 | -0.5 | 85 | ბურკი-ნა ფასო | 59.5 | +3.8 | 146 | რუს. | 50.8 | +1.0 |
| 25 | გერმ | 70.5 | -0.1 | 86 | სამოა | 59.5 | / | 147 | ჰაიტი | 50.5 | +1.5 |
| 26 | შედეთ | 70.5 4 | -0. | 87 | გვატე-მალა | 59.4 | -0.4 | 148 | უზბ. | 50.5 | -1.4 |
| 27 | ბაჰამის კ. | 70.3 | -0.8 | 88 | დომინი-კის რეს-პუბლი-კა | 59.2 | +1.5 | 149 | აღ ტიმ. | 50.5 | / |
| 28 | ნორვე- | 70.2 | +1.6 | 89 | შვეიცა- | 59.1 | +0.6 | 150 | ლაოსი | 50.4 | +0.1 |

[32] წყარო: 2009 Index of Economic Freedom, http://www.heritage.org/index/Ranking.aspx

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | გია | | | | რია | | | | | | |
| 29 | ესპან | 70.1 | +1.0 | 90 | კენია | 58.7 - | 0.6 | 151 | ლესო-ტო | 49.7 | -2.5 |
| 30 | ლიტვა | 70.0 | -1.0 | 91 | ჰონდუ-რასი | 58.7 | -0.2 | 152 | უკრ | 48.8 | -2.2 |
| 31 | სომხეთი | 69.9 | 0.0 | 92 | ვანუა-ტუ | 58.4 | / | 153 | ბუ-რუნდი | 48.8 | +2.6 |
| 32 | საქარ | 69.8 | +0.5 | 93 | ტანზა-ნია | 58.3 | +1.8 | 154 | ტოგო | 48.7 | -0.2 |
| 33 | ელ სალვ. | 69.8 | +1.3 | 94 | მონტე-ნეგრო | 58.2 | / | 155 | გაიანა | 48.4 | -0.4 |
| 34 | ბოსტ | 69.7 | +1.5 | 95 | ლიბანი | 58.1 | -1.9 | 156 | ცენტ.ა ფრ. რესპ. | 48.3 | -0.3 |
| 35 | ტაივანი | 69.5 | -0.7 | 96 | ჰანა | 58.1 | +1.0 | 157 | იბერია | 48.1 | / |
| 36 | სლოვა-კეთი | 69.4 | -0.6 | 97 | ეგვიპ. | 58.0 | -0.5 | 158 | სიერრა ლეონი | 47.8 | -0.5 |
| 37 | ჩეხეთი | 69.4 | +1.2 | 98 | ტუნისი | 58.0 | -2.1 | 159 | სეიშე-ლი | 47.8 | / |
| 38 | ურუგ. | 69.1 | +1.2 | 99 | აზერბ. | 58.0 | +2.6 | 160 | ბან-გლა-დეში | 47.5 | +3.3 |
| 39 | სანტა ლუსია | 68.8 | / | 100 | ბუტანი | 57.7 | / | 161 | ჩადი | 47.5 | -0.4 |
| 40 | სამხთ კორ. | 68.1 | -0.5 | 101 | მაროკ. | 57.7 | +2.1 | 162 | ანგო-ლა | 47.0 | +0.1 |
| 41 | ტრინი-დადი და ტობაგო | 41 68.0 | -1.6 | 102 | პაკის-ტანი | 57.0 | +1.4 | 163 | სოლო-მონის კუნძ. | 46.0 | / |
| 42 | ისრაელი | 67.6 | +1.3 | 103 | იემენი | 56.9 | +3.1 | 164 | კირი-ბატი | 45.7 | / |
| 43 | ომანი | 67.0 | -0.3 | 104 | ფილი-პინები | 56.8 | +0.8 | 165 | გვინეა ბისაო | 45.4 | +1.1 |
| 44 | უნგრეთი | 66.8 | -0.8 | 105 | ბრაზი-ლია | 56.7 | +0.5 | 166 | კონგო | 45.4 | 0.0 |
| 45 | ლატვია | 66.6 | -1.7 | 106 | კამბო-დია | 56.6 | +0.8 | 167 | ბელარ. | 45.0 | -0.4 |
| 46 | კოსტა რიკა | 66.4 | +2.2 | 107 | ალგე-რია | 56.6 | +0.4 | 168 | ირანი | 44.6 | -0.4 |
| 47 | მალტა | 66.1 | +0.1 | 108 | ზამბია | 56.6 | +0.4 | 169 | თურქმ. | 44.2 | +0.8 |
| 48 | კატარი | 65.8 | +3.6 | 109 | სერბია | 56.6 | / | 170 | ს. ტო-მი და პრინ. | 43.8 | / |
| 49 | მექსიკა | 65.8 | -0.3 | 110 | სენეგ. | 56.3 | -2.0 | 171 | ლიბია | 43.5 | +4.8 |
| 50 | ქუვეითი | 65.6 | -2.5 | 111 | შრი ლანკა | 56.0 | -2.4 | 172 | ჩომო-როს | 43.3 | / |
| 51 | იორდა-ნია | 65.4 | +1.3 | 112 | გამბია | 55.8 | -1.1 | 173 | კონ.დე მოკ. რესპ.. | 42.8 | / |
| 52 | იამაიკა | 65.2 | -0.5 | 113 | მოზამ. | 55.7 | +0.2 | 174 | ვენეს. | 39.9 | -4.8 |
| 53 | პორტუ-გალია | 64.9 | +1.0 | 114 | მალი | 55.6 | +0.1 | 175 | ერეტ. | 38.5 | / |
| 54 | არაბ.გა-ერ.საა-მირ. | 64.7 | +2.2 | 115 | ბენინი | 55.4 | +0.1 | 176 | ბურმა | 37.7 | -1.8 |
| 55 | პანამა | 64.7 | 0.0 | 116 | ხორვ.ა | 55.1 | +1.0 | 177 | კუბა | 27.9 | +0.4 |
| 56 | ბულგ. | 64.6 | +0.9 | 117 | ნიგერ. | 55.1 | 0.0 | 178 | ზიმ-ბაბვე | 22.7 | -6.7 |
| 57 | პერუ | 64.6 | +0.9 | 118 | გაბონი | 55.0 | +0.9 | 179 | ჩრ. კო-რეა | 2.0 | -1.0 |
| 58 | მალაი-ზია | 64.6 | +0.7 | 119 | კოტ დ. | 55.0 | +1.0 | / | ავღან. | / | / |
| 59 | საუდის არაბ. | 64.3 | +1.8 | 120 | მოლდ. | 54.9 | -3.0 | / | ერაყი | / | / |
| 60 | სანტა ვინსენ-ტი და გრენადა | 64.3 | / | 121 | პაპუა ახლი გვინეა | 54.8 | / | / | ლიხ-ტენშ. | / | / |
| 61 | სამხ.თ აფრ. | 63.8 | +0.4 | 122 | ტაჯიკ. | 54.6 | +0.2 | / | სუდა-ნი | / | / |

როგორც ცხრილიდან ჩანს ეკონომიკური თავისუფლების მაღალი ინდექსით გამოირჩევა ჰონგ-კონგი, სინგაპური, ავსტრალია, ირლანდია, ახალი ზელანდია, აშშ, კანადა, დანია, შვეიცარია, დიდი ბრიტანეთი. საინტერესოა, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების რეიტინგული მაჩვენებლებიც. აქ ლიდერობენ ესტონეთი, სომხეთი, საქართველო, ლიტვა, ლატვია, ყირგიზეთი და ყაზახეთი. რეგიონის ქვეყნებიდან პირველ ჯგუფში ვერც ერთი ქვეყანა ვერ მოხვდა. მეორე ჯგუფში მხოლოდ ესტონეთია, ხოლო დანარჩენი ექვსი მესამე ჯგუფში. რუსეთი, უზბეკეთი, მოლდავეთი, ტაჯიკეთი და აზერბაიჯანი მეოთხე ჯგუფში. ბელორუსია და უკრაინა კი მეხუთე ჯგუფში[33].

ქვეყნის ლიბერალიზაციის და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი და საფუძველია გლობალური კონკურენტუნარიანობის მაღალი ინდექსი. უკვე სამი ათეული წელია მსოფლიოს ეკონომიკური ფორუმი სწავლობს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის დონეს. 1979 წლიდან საერთაშორისო ექსპერტების მიერ ყოვლეწლიურად ხდება იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც ეროვნულ ეკონომიკას საშუალებას აძლევს მიაღწიოს მდგრად ეკონომიკურ ზრდას და ხანგრძლივ კეთილდღეობას. 2004 წლიდან კი GCI-ი ეს არის ფართო ინდექსი ეროვნული კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად, რომელიც ყურადღების კონცენტრირებას ახდენს ეროვნული კონკურენტუნარიანობის მიკროეკონომიკურ და მაკროეკონომიკურ საფუძვლებზე. კონკურენტუნარიანობა განიხილება, როგორც ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების, სტრატეგიებისა და ფაქტორების ნაკრები, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნების პროდუქტიულობის დონეს. ეს უკანასკნელი თავის მხრივ გავლენას ახდენს ეკონომიკური კეთილდრეობის მდგრადობაზე. ე.ი. ბევრად

[33] წყარო: http://www.heritage.org/index/Ranking.aspx

უფრო კონკურენტუნარიანი ეკონომიკა უზრუნველყოფს შესაძლებლობებს საკუთარმა მოქალაქეებმა მიიღონ დიდი შემოსავლები. პროდუქტიულობის დონეს განსაზღვრავს ეკონომიკური ინსტიტუტების შემოსავლიანობა, რამდენადაც ეს უკანასკნელი არის ფუნდამენტალური დეტერმინანტი ეკონომიკური ზრდის ტემპისა. ბევრად უფრო კონკურენტუნარიანია ის ეკონომიკა, რომელიც გამოირჩევა საშუალო და ხანგრძლივი ზრდის მისწაფებით. კერძოდ, თუ რამდენად დიდია ეკონომიკის ზრდის პოტენციალი.

ნაციონალური ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა განისაზღვრება სხვადასხვა კომპონენტების ერთობლიობით, რომლებიც გაერთიანებულია 12 სხვადასხვა ჯგუფებში, ესენია: საზოგადოებრივი ინსტიტუტების ხარისხი, ინფრასტრუქტურა, მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება, უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება, ვაჭრობისა და მომსახურების ბაზრის ეფექტურობა, შრომის ბაზრის ეფექტურობა, საფინანსო ბაზრის განვითარება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ბაზრის სიდიდე, ბიზნესის კონკურენტუნარიანობა, ინოვაციური პოტენციალი. აღნიშნული თორმეტივე გამაერთიანებელი ფაქტორი ურთიერთდამოკიდებულებით გამოირჩევა და ხშირად ერთმანეთის განმსაზღვრელია.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული "ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის რეიტინგის" მიხედვით მსოფლიოს კონკურენტუნარიანი ქვეყნების რეიტინგში, 133 ქვეყნიდან ყველაზე კონკურენტუნარიან ქვეყნად შვეიცარია დასახელდა (ცხრილი 6). მას ამერიკის შეერთბული შტატები მოსდევს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ გასულ წელს აშშ ქვეყნების კონკურენტუნარიანობის რეიტინგში პირველ ადგილს იკავებდა. პირველ ათეულში ადგილები შემდეგნაირად გადანაწილდა: შვეიცარია, აშშ, სინგაპური, შვედეთი, დანია, ფინეთი, გერმანია, იაპო-

ნია, კანადა და მეათე ადგილზე ნიდერლანდები. რაც შეეხება ბოლო ადგილებს, მას მოზამბიკი, მალი, ჩადი, ზიმბამბვე და ბურუნდი ინაწილებენ.

**მსოფლიო ქვეყნების გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი**[34]

*ცხრილი 6*

| ქვეყანა | რეიტინგი 2009-2010 | ქულა | რეიტინგი 2008-2009 |
|---|---|---|---|
| შეიცარია | 1 | 5.60 | 2 |
| აშშ | 2 | 5.59 | 1 |
| სიგაპური | 3 | 5.55 | 5 |
| შვეცია | 4 | 5.51 | 4 |
| დანია | 5 | 5.46 | 3 |
| ფინეთი | 6 | 5.43 | 6 |
| გერმანია | 7 | 5.37 | 7 |
| იაპონია | 8 | 5.37 | 9 |
| კანადა | 9 | 5.33 | 10 |
| ნიდერლანდები | 10 | 5.32 | 8 |
| ჰოჰგ-კონგი/ჩინეთი | 11 | 5.22 | 11 |
| ტაივანი/ჩინეთი | 12 | 5.20 | 17 |
| დიდი ბრიტანეთი | 13 | 5.19 | 12 |
| ნორვეგია | 14 | 5.17 | 15 |
| ავსტრალია | 15 | 5.15 | 18 |
| საფრანგეთი | 16 | 5.13 | 16 |
| ავსტრია | 17 | 5.13 | 14 |
| ბელგია | 18 | 5.09 | 19 |
| სამხ. კორეა | 19 | 5.00 | 13 |
| ახალი ზელანდია | 20 | 4.98 | 24 |

საქართველო 133 ქვეყანას შორის 90-ე ადგილს იკავებს. ამ მაჩვენებლით საქართველო ორჯერ მეტად ჩამორჩება ლიტვას, ხოლო შვიდი საფეხურით უსწრებს სომხეთს. რაც შეეხება აზერბაიჯანს, ის აღნიშნულ რეიტინგში 51-ე ადგილს, ანუ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან რეიტინგში მეორე ადგილს იკავებს ესტონეთის (35-ე ადგილი) შემდეგ. რეიტინგში საერთოდ ვერ მოხვდნენ ბელორუსია, თურქმენეთი უზბეკეთი და მოლდავეთი (ცხრილი 7).

---

[34] წყარო: The Global Competitiveness Report 2009-2010 , p. 13. http://www.weforum.org/documents/GCR09/index.html

**პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნები გლობალური კონკურენტუნა-რიანობის ინდექსი[35]**

*ცხრილი 7*

| ქვეყანა | რეიტინგი 2009-2010 | ქულა | რეიტინგი 2008-2009 |
|---|---|---|---|
| ესტონეთი | 35 | 4.56 | 32 |
| აზერბაიჯანი | 51 | 4.30 | 69 |
| ლიტვა | 53 | 4.30 | 44 |
| რუსეთი | 63 | 4.15 | 5 |
| ყაზახეთი | 67 | 4.08 | 66 |
| ლატვია | 68 | 4.06 | 54 |
| უკრაინა | 82 | 3.95 | 72 |
| საქართველო | 90 | 3.81 | 90 |
| სომხეთი | 97 | 3.71 | 97 |
| ტაჯიკეთი | 122 | 3.38 | 116 |
| ყირგიზეთი | 123 | 3.36 | 122 |

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის და ინტეგრაციის პროცესებში კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობა იზრდება. პუი გველინება გლობალიზაციის განხორციელების ერთ-ერთ ფორმად. უცხოური კაპიტალის ნაკადები იწვევს საერთაშორისო კონკურენციის განვითარებას, ხელს უწყობს ბაზრების ლიბერალიზაციას, რომელსაც კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობის პროცესში თან ახლავს ახლი ქვეყნების მონაწილეობის გაფართოება[36]. თანამედროვე ეტაპზე პუი-ის ნაკადები მეტწილად ტრანსნაციონალურ გაერთიანებებთანაა დაკავშირებული.

საერთაშორისო კორპორაციები წარმოადგენენ მსხვილ საფინანსო-საწარმოო, სამეცნიერო-ტექნიკურ, სავაჭრო-სანედლეულო გაერთიანებებს, რომლებისთვისაც დამახასიათებელია საბაზო ქვეყნის წარმოების ორგანული შერწყმა საზღვარგარეთ ფუნქციონირების ფართო განშტოების სის-

[35] წყარო: The Global Competitiveness Report 2009-2010 , p. 13. http://www.weforum.org/documents/GCR09/index.html

[36] О.В. Носова, Макроэкономические подходы исследованию иностранных инвестиций в институциональной среде, Научные труды ДНТУ, Серия – экономическая, Выруск 103-2, с.91.

ტემასთან ერთად. საერთოდ, პრაქტიკაში საერთაშორისო კორპორაციის ოთხ ტიპს გამოყოფენ:

პირველი ეს არის ტრანსნაციონალური კორპორაცია (ტნკ), ასეთი კომპანიები ძირითადად გამოირჩევიან ერთი ქვეყნის სააქციო კაპიტალის, მმართველობის გამოყენებისა და საქმიანობის ინტერნაციონალური სფეროებით. იგი პირდაპირ ინვესტიციებს ახორციელებს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში. ტნკ ორგანიზებულია სათაო კომპანიის მიერ საბაზო ქვეყნაში და ფლობს შვილობილ კომპანიებს და ფირმებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მსგავსი ტიპის კომპანიებს წარმოადგენს ,,ფორდი", ,,ექსონი", ,,ნესტლე" და ა.შ.

მეორე, ეს არის მრავალეროვნული/მულტინაციონალური კორპორაცია (მნკ), რომელიც გამოყენებული კაპიტალის, კონტროლისა და საქმიანობის სფეროების მიხედვით ინტერნაციონალურია. მნკ აერთიანებს რამდენიმე ქვეყნის მსოფლიო მეურნეობის კომპანიებს. იგი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ახორციელებს პირდაპირ ინვესტიციებს. ასეთი ჯგუფის ტიპიური წარმომადგენლები არიან ,,როიალ-დატჩ-შელი", იუნილევერ", ,,ფიატ-სიტროენ". მსგავსი ტიპის საერთაშორისო კორპორაციები ტნკ-ებზე ადრე წარმოიქმნა. მაგრამ ამჟამად მას არ აქვს ფართო გავრცელება. ეს დაკავშირებულია იმასთნ, რომ განვითარებული ქვეყნების კორპორაციები თავის საქმიანობას აფართოებს განვითარებად ქვეყნებში. ხოლო თუკი ის აერთიანებს რამდენიმე კორპორაციას, მაშინ მას უნდა ჰქონდეს მყარი იურიდიული საყრდენი და საფუძველი უკეთესად იარსებოს ასეთ პირობებში.

მესამე ტიპი, ეს არის საერთაშორისო კორპორატიული კავშირები, რომლებიც წარმოადგენენ მსხვილი ეკონომიკური ამოცანების გადაწყევტისათვის სპეციალურ გაერთიანებებს სამრეწველო, საბანკო და სხვა კონცერნების სახით. ასეთი კავშირები მეტწილად ორგანიზებულია ისეთ სფეროებში როგორიცაა: ელექტრო, ელექტოტექნოლოგიები, ქიმი-

ური, ნავთობის, საავტომობილო, საავიაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიები. მაგ., დასავლეთ ევროპული კონცერნი ,,ეარბას ინდასტრი".

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად გამოიყენება ტერმინი ,,გლობალური კომპანია", ,,გლობალური ფირმა", ეს არის მეოთხე ტიპი ასეთი გაერთიანებისა. მისი წარმოქმნა დაკავშირებულია გლობალიზაციის პროცესთან. მკვლევართა აზრით ,,გლობალური ფირმა" არის ფირმა, რომელიც ერთზე მეტ ქვეყნაში მუშაობის შედეგად იღებს კვლევისა და განვითარების, წარმოების, მარკეტინგულ და ფინანსურ უპირატესობას, რაც ქვეყნის შიგნით მოქმედი კონკურენტებისათვის მიუწვდომელია[37].

UNCTAD–ის ცნობით, ტრადიციულად მსოფლიო მეურნეობის სისტემის ბირთვს შეადგენს დაახლოებით 500 ტნკ, რომლებიც ფლობენ პრაქტიკულად შეუზღუდავ ეკონომიკურ ძალაუფლებას. ასეთ პირობებში განვითარებული ქვეყნების თითეულ დარგში მნიშვნელოვანი პოზიციები უჭირავს სულ ორ-სამ გიგანტს, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბაზრზე. სულ მსოფლიოში დღეისათვის დაახლოებით მოქმედებს 87 ათასი ტნკ, რომელთაც მრავალ ქვეყნაში გააჩნიათ 801 ათასი ფილიალი. ტნკ-ების განვითარების შედეგად გლობალური ეკონომიკა ხდება ერთადერთი თვითმაწარმოებელი სისტემა. ეკონომიკაში უმაღლესი ძალაუფლება ეროვნული დონიდან გლობალურ დონეზე გადადის და რეგულირების საკმაოდ ეფექტური საინფორმაციო მექნიზმებით მხოლოდ მსოფლიო ბაზარი განსაზღვრავს დარგთაშორის და რეგიონთაშორის წარმოების პროპორციებს.

ადრე თითოეული ქვეყნის მეურნეობა წარმოადგენდა თვითმაწარმოებელ სისტემას. ახლა ასეთი სისიტემა მთლიანობაში მხოლოდ მსოფლიო მეურნეობაა. ნაციონალურ ეკ-

[37] რ. ფუტკარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 120

ონომიკას, რომელიც ნერგავს თანამედროვე ტექნოლოგიებს, არ შეუძლია ავტარკიაზე, თვითწარმოებაზე პრეტენდენტობა. ხოლო საერთო განვითარებიდან განზე მდგომი, დისტანციის მქონე ქვეყნები თავიანთი ენდოგენური ეკონომიკით ჩიხში ექცევიან. მათ არ შეუძლიათ მოახდინონ საკუთარი უპირატესობების რეალიზაცია.

პირდაპირი ინვესტიციების კონცეფციიდან გამომდინარე მსოფლიო ეკონომიკის მთავარი ცენტრები (აშშ, ევროკავშირი, იაპონია) აძლიერებენ მარგინალიზაციის ეფექტს განვითარებადი მსოფლიოს უმეტეს რეგიონში, რომლებიც ამის შედეგად ინვესტორებისათვის კიდევ უფრო კარგავენ საკუთარ მიმზიდველობას. უცხოელი ინვესტორები ითხოვენ ინვესტიციების განხორციელებისათვის საიმედო გარემოს შექმნას. ამიერკავკასიის ქვეყნებს ამ კუთხით ბევრი აქვთ გასაკეთებელი, პირველ რიგში რეფორმების სრულყოფილად და ბოლომდე გატარება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამართლებრივ სფეროებში.

მსოფლიო ბაზრის განვითარების სცენარი დამოკიდებულია ორ მთავარ ფაქტორზე: მსოფლიო ეკონომიკაზე ტნკების კონტროლის დონეზე და ტნკ-ებს და მათ ბაზირებულ ქვეყნებს შორის კავშირების ინტენსივობაზე.

ლიბერალური მსოფლიო წესრიგის პირობებში, ტნკ-ებსა და ბაზირებულ ქვეყნებს შორის მჭიდრო კავშირების შენარჩუნების პირობებში შეიძლება ჩამოყალიბდეს ,,იმპერიალისტური მოდელი". ე.ი. განვითარებული ქვეყნები საკუთარი კომპანიების საშუალებით იკავებენ წამყვან პოზიციებს ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებზე. ხოლო, თუკი ლიბერალური წესრიგის პირობებში ტნკ-ების კავშირი მათ ბაზირებულ ქვეყნებთან შესუსტდება, მაშინ ჩამოყალიბდება ტნკ-ის პირდაპირი გავლენის მოდელი, ანუ მოხდება მსოფლიოს გაყოფა მსხვილ ტნკ-ებს შორის.

რეგულირებადი მსოფლიო წესრიგის ფორმირების შემთხვევაში კი ტნკ-ებისა და ბაზირებულ ქვეყნებთან კავშირის შენარჩუნების პირობებში  განხორციელდება ნეომერკანტელური მოდელის შექმნა. ასეთ პიროებებში ქვეყნებს ექნებათ მისწრაფება მიიღონ მაქსიმალური სარგებელი საგარეო ეკონომიკური კავშირებიდან. თუკი ჩამოყალიბდება რეგულირებადი მსოფლიო წესრიგი, მაგრამ კავშირები ტნკ-ებთან და ბაზირებულ ქვეყნებთან შესუსტდება, მაშინ ,,მრავალეროვნული ასოციაციების" წესრიგი მოეწყობა. იგი ითვალისწინებს მსოფლიო ეკონომიკის კორდინირებულ მმართველობას სხვადასხვა საერთშორისო ორგანიზაციების მიერ, რომელიც მოქმედებაში შემოიტანს ბაზრის რეგულირებისა და კონკურენციის ეფექტურ მექანიზმებს მსოფლიო დონეზე.  თანამედროვე ტექნოლოგიების კვალიფიციურ თასმაზე გადახტომა კი მათ მხოლოდ ტნკ-ების წყალობით შეუძლიათ.[38]

ტნკ-ებს გავლენა აქვთ მსოფლიო ეკონომიკის ყველა სფეროზე: წარმოებაში, ფინანსებში, ტექნოლოგიებში, მომსახურებაში. ტნკ-ების ინტერესების სფეროები განისაზღვრება შემდეგი სახით: დაახლოებით 60% მრეწველობა, 37% მომსახურება, 3% საბაზო (მომპოვებელი და სასოფლო) დარგები. ტნკ-ებზე მოდის სამრეწველო წარმოების 30%, საერთაშორისო ვაჭრობის 50%, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 90%, პატენტების და ლიცენზიების 95%. კრედიტების საერთაშორისო ნაკადებში დომინირებს 50 ტრანსნაციონალური ბანკი, სადაზღვევო ოპერაციებში 30 წამყვანი კომპანია, სარეკლამო საქმეში მსოფლიოს 30 წამყვანი სააგენტო, საჰაერო გადაზიდვებში 25 საერთაშორისო ავიასატრანსპორტო კომპანიას.

[38] Мовсесян А. Информационные аспекты транснационализации // МЭМО. – 1998. - № 2. –с. 32-38.

განვითარებული ქვეყნების უდიდესი ტნკ-ების ფილიალების 70% განლაგებულია საზღვარგარეთ, ხოლო განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ების ფილიალების 50% უცხოურია.

თანამედროვე ეტაპი გამოირჩევა ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საინვესტიციო ფონდების გაერთიანების ტენდენციებით გლობალურ ფინანსურ ჯგუფებად, რომლებიც არა მარტო ცდილობენ დაიპყრონ ყველა ფინანსური ბაზარი, არამედ მაქსიმალურად გააფართოვონ ფინანსური ოპერაციების სხვადასხვა სახეები და შეამცირონ რისკები.[39]

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტრანსნაციონალური ბანკების როლი. ტნბ საერთაშორისო მასშტაბით ახორციელებენ ბიზნესის დაკრედიტებას და ხელს უწყობენ საერთაშორისო საფინანსო, საკრდიტო, სავალუტო, სავაჭრო, საანგარიშსწორებო და სხვა ურთიერთობებს. ტნბ-ები წარმოადგენენ ტნკ-ების განვითრების ფინანსურ საფუძველს. ტანამედროვე ეტაპზე მსოფლიოს 500 მსხვილი ტრანსნაციონალური ბანკი აკონტროლებს დაახლოებით 35 ტრილიონი აშშ დოლარის აქტივებს ანუ მსოფლიო კომერციული ბანკების აქტივების 78% (45 ტრლ აშშ დოლარი), ხოლო 100 ტნბ – 44% (20 ტრლ აშშ დოლარი). ტნბ-ების დიდი ნაწილი, ისევე როგორც მთელი საბანკო კაპიტალი თავმოყრილია განვითრებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნების ბანკების საერთო რაოდენობა აღემატება 25000, ხოლო მათი ფილიალების რაოდეობა ასეულ ათასს, რომელთა ძირითადი ნაწილი ფუნქციონირებს საზღვარგარეთ. ბოლო პერიოდში ტნბ-ების არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტები, კერძოდ, სადაზღვევო კოპანიები, საპენსიო ფონდები, საინვესტიციო ფონდები და ა.შ. მნიშვნელოვან კონკურენციას უწევენ.[40] საბანკო სექტორშიც დასავლეთ-ევროპული ტრანსანციონალური ბანკები ლიდერობენ,

---

[39] ლ. ჯამაგიძე, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესში, თბ., გვ. 46

[40] რ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 125.

მათი გეოგრაფიული გავრცელების ინდექსიც მაღალია (ცხრილი 8).

**მსოფლიოს 50 უდიდესი ფინანსური კომპანია GSI -ის და I.I-ის მიხედვით 2008 წ. (მილ. დოლარი და მოსამსახურების რაოდენობა)[41]**

*ცხრილი 8*

| რეიტინგი 2008 | GSI | რეიტინგი 2007 | GSI | კომპანიები | ქვეყნა | აქტივები | დასაქმებულ. | ფილიალები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | მთლიანი | მთლიანი | მთლიანი | უცხ. ფილიალები | I.I. | მიმღები ქვეყნის რაოდენობა |
| 1 | 72.9 | 1 | 67.0 | Citigroup Inc | აშშ | 1938 470 | 322 800 | 1020 | 723 | 70.9 | 75 |
| 2 | 62.2 | 3 | 64.2 | Allianz SE | გერმანია | 1 367 062 | 182 865 | 823 | 612 | 74.4 | 52 |
| 3 | 59.8 | 10 | 54.0 | ABN AMRO holding NV | ნიდერლ. | 953 959 | 69 747 | 945 | 703 | 74.4 | 48 |
| 4 | 59.5 | 4 | 60.2 | Generali Spa | იტალია | 549 269 | 84 063 | 396 | 342 | 86.4 | 41 |
| 5 | 59.3 | 7 | 57.6 | HSBC Holdings PLC | დ. ბრიტ. | 2 527 465 | 331458 | 1048 | 683 | 65.2 | 54 |
| 6 | 59.0 | 11 | 52.7 | Société Générale | საფრან. | 1 616 599 | 160 430 | 526 | 345 | 65.6 | 53 |
| 7 | 57.6 | 6 | 59.0 | Zurich Financial Services | შეიცარია | 327 944 | 57 609 | 393 | 383 | 97.5 | 34 |
| 8 | 57.0 | 5 | 59.1 | UBS AG | შვეიც. | 1 926 209 | 77 783 | 465 | 432 | 92.9 | 35 |
| 9 | 56.7 | 9 | 56.3 | Unicredito Italiano Spa | იტალია | 1 495 868 | 174 519 | 1111 | 1052 | 94.7 | 34 |
| 10 | 56.1 | 8 | 56.5 | Axa | საფრან. | 963 539 | 109 304 | 575 | 464 | 80.7 | 39 |
| 11 | 55.4 | 2 | 65.5 | BNP Paribas | საფრან. | 2 969 315 | 173 188 | 664 | 425 | 64.0 | 48 |
| 12 | 52.4 | 14 | 45.8 | Deutsche Bank AG | გერმანია | 3 150 820 | 80 456 | 934 | 713 | 76.3 | 36 |
| 13 | 51.2 | 17 | 42.2 | American International Group Inc | აშშ | 860 418 | 116 000 | 612 | 356 | 58.2 | 45 |
| 14 | 51.1 | 12 | 50.5 | Credit Suisse Group AG | შვეიც. | 1 118 881 | 47 800 | 299 | 252 | 84.3 | 31 |
| 15 | 50.0 | 15 | 45.6 | Swiss Reinsurance Company | შვეიც. | 229 328 | 11 560 | 180 | 173 | 96.1 | 26 |
| 16 | 46.7 | 27 | 37.0 | Dexia | ბელგია | 931 339 | 28 099 | 275 | 231 | 84.0 | 26 |
| 17 | 46.6 | 18 | 41.8 | Crédit Agricole SA | საფრან. | 2 365 122 | 88 933 | 420 | 234 | 55.7 | 39 |
| 18 | 44.3 | 21 | 39.9 | Natixis | საფრან. | 795 079 | 22 096 | 313 | 162 | 51.8 | 38 |
| 19 | 43.5 | 13 | 49.6 | ING Groep NV | ნიდერლ. | 1 905 097 | 124 661 | 1114 | 555 | 49.8 | 38 |
| 20 | 43.5 | 16 | 42.8 | Banco Santander SA | ესპანეთი | 1 501 619 | 170 961 | 424 | 267 | 63.0 | 30 |
| 21 | 41.0 | 22 | 38.9 | KBC Group NV | ბელგია | 508 322 | 59 510 | 346 | 265 | 76.6 | 22 |
| 22 | 41.0 | 23 | 38.8 | The Bank Of Nova Scotia | კანადა | 416 427 | 69 049 | 85 | 62 | 72.9 | 23 |
| 23 | 39.9 | 31 | 34.5 | Barclays PLC | დიდი ბრიტანეთი | 3 001 433 | 151 500 | 604 | 235 | 38.9 | 41 |

[41] World investment report, transnational corporations, Agriqultural Production and development, 2009, annex table A I,12, p.239.

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24 | 39.6 | 19 | 41.7 | **Fortis NV** | ბელგია | 132 861 | 10 374 | 352 | 240 | 68.2 | 23 |
| 25 | 39.1 | 28 | 36.8 | **The Royal Bank Of Canada** | კანადა | 593 814 | 73 323 | 188 | 160 | 85.1 | 18 |
| 26 | 39.1 | 20 | 40.9 | **Merrill Lynch & Company Inc** | აშშ | 667 543 | 58 500 | 184 | 108 | 58.7 | 26 |
| 27 | 38.9 | 41 | 30.6 | **Intesa Sanpaolo** | იტალია | 910 062 | 108 310 | 218 | 127 | 58.3 | 26 |
| 28 | 38.8 | 25 | 38.0 | **Standard Chartered PLC** | დ. ბრიტ. | 435 068 | 73 802 | 122 | 68 | 55.7 | 27 |
| 29 | 38.2 | 24 | 38.3 | **JPMorgan Chase & Company** | აშშ | 2 175 052 | 224 961 | 444 | 240 | 54.1 | 27 |
| 30 | 37.7 | 29 | 35.8 | **Skandinaviska Enskilda Banken AB** | შვედეთი | 326 489 | 21 291 | 156 | 111 | 71.2 | 20 |
| 31 | 37.7 | 30 | 34.7 | **Muenchener Rueckversicheru ng AG** | გერმანია | 308 179 | 44 209 | 426 | 159 | 37.3 | 38 |
| 32 | 36.7 | 32 | 34.3 | **Morgan Stanley** | აშშ | 658 812 | 46 964 | 232 | 136 | 58.6 | 23 |
| 33 | 36.1 | 34 | 33. 4 | **The Goldman Sachs Group Incorporated** | აშშ | 884 547 | 30 067 | 228 | 156 | 68.4 | 19 |
| 34 | 34.7 | 37 | 31.7 | **BBV Argentaria SA** | ესპანეთი | 776 323 | 111 936 | 236 | 135 | 57.2 | 21 |
| 35 | 34.6 | 36 | 32.4 | **Aviva PLC** | დ. ბრიტ. | 518 365 | 54 758 | 420 | 228 | 54.3 | 22 |
| 36 | 33.5 | 40 | 31.2 | **Berkshire Hathaway Inc** | აშშ | 267 399 | 246 000 | 570 | 200 | 35.1 | 32 |
| 37 | 33.4 | 38 | 31.4 | **Nordea Bank AB** | შვედეთი | 678 217 | 34 008 | 168 | 156 | 92.9 | 12 |
| 38 | 33.2 | 44 | 29.0 | **Mitsubishi UFJ Financial Group** | იაპონია | 2 200 818 | 78 302 | 117 | 68 | 58.1 | 19 |
| 39 | 33.2 | 33 | 34.0 | **Bank Of New York Mellon Corp.** | აშშ | 237 512 | 42 900 | 245 | 135 | 55.1 | 20 |
| 40 | 32.7 | 35 | 33.4 | **Nomura Holdings Inc** | იაპონია | 275 059 | 18 026 | 108 | 64 | 59.3 | 18 |
| 41 | 32.6 | 49 | 22.9 | **Royal Bank Of Scotland Group PLC** | დ.ბრიტ. | 3 511 187 | 199 000 | 1169 | 388 | 33.2 | 32 |
| 42 | 31.6 | 39 | 31.4 | **Manulife Financial Corp.** | კანადა | 308 782 | 24 000 | 77 | 64 | 83.1 | 12 |
| 43 | 31.3 | 63 | 17.3 | **Hypo Real Estate Holding** | გერმანია | 600 363 | 1 786 | 81 | 53 | 65.4 | 15 |
| 44 | 31.1 | 58 | 19.5 | **DNB Nor ASA** | ნორვეგია | 263 592 | 14 057 | 33 | 32 | 97.0 | 10 |
| 45 | 27.3 | 47 | 24.8 | **Prudential PLC** | დ. ბრიტ. | 315 120 | 29 683 | 225 | 76 | 33.8 | 22 |
| 46 | 26.6 | 45 | 27.0 | **Aegon NV** | ნიდერლ. | 410 957 | 31 425 | 353 | 178 | 50.4 | 14 |
| 47 | 26.5 | 48 | 24.7 | **Mizuho Financial Group Inc** | იაპონია | 1 691 286 | 49 114 | 86 | 43 | 50.0 | 14 |
| 48 | 26.2 | 42 | 29.4 | **Danske Bank A/S** | დანია | 680 095 | 23 624 | 73 | 50 | 68.5 | 10 |
| 49 | 25.8 | 55 | 19.9 | **Bank Of Ireland PLC** | ირლან. | 277 705 | 16 026 | 197 | 101 | 51.3 | 13 |
| 50 | 25.6 | 53 | 21.5 | **Svenska Handelsbanken AB** | შედეთი | 280 726 | 10 833 | 64 | 28 | 43.8 | 15 |

გეოგრაფიული ქსელის გავრცელების მაღალი ინდექსით გამოირჩევა Citigroup Inc (აშშ), ხოლო ინტერნაციონალიზაციის ინდექსის მიხედვით კი DNB Nor ASA (ნორვეგია). ცხრილიდან კარგად ჩანს, რომ საფინანსო კომპანიებში წამყვანი პოზიციები მაინც ევროპულ კომპანიებს უკავიათ.

ტრანსნაციონალიზაცია ასახავს მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესს, რომელიც ავლენს საწარმოო

კაპიტალის მობილურობის ზრდას და მსოფლიო წარმოების ოლიგოპოლიზაციას. თუკი XX 70-იან წლებში ტნკ-ების რაოდენობა 7 ათას აღწევდა და 1973 წლისათვის უცხოელთა კონტროლის ქვეშ იყო მსოფლიო მრეწველობის 13,25, 1980 წელს 14,7%, 1988 წელს 16,5%, ხოლო 2000 წელს შეადგინა მსოფლიო წარმოების 25-30%.[42] ამრიგად, ტრანსნაციონალური კაპიტალი მოძრაობს მთელ მსოფლიოში და მისი აქტივობის შეფერხება თითქმის შეუძლებელია. უდიდესი ძალუფლება კონცენტრირდება ტნკ-ების ხელში. თანამედროვე მაღალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და დანერგვის ხარჯები იმდენად დიდია, რომ მხოლოდ გლობალურ ბაზარს შეუძლია იმ მაშტაბების შემოთავაზება, რომელიც ახალ წამოწყებას კომერციულად სიცოცხლისუნარიანად აქცევს.[43]

ტრანსნაციონალიზაციის შემდგომ განვითარებას წარმოადგენს წარმოების გლობალიზაცია. ამ უკანასკნელისათვის ნიშანდობლივია მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას საქონლისა და მომსახურეობის წარმოების შესაძლებლობის პირობა, რესურსების მოპოვება და გამოყენება, საწარმოოს განლაგება, გაყიდვების განხორციელება.

გაეროს დოკუმენტში ეკონომიკის გლობალიზაცია გულისხმობს ეროვნულ საზღვრებს მიღმა საქონლისა და მომსახურების გაზრდილი ნაკადის მოძრაობას და შესაბამისად, ორგანიზაციული სტრუქტურების ფორმირების პროცესს, რომ სათანადოდ იმართებოდეს საერთაშორისო ეკონომიკური გარიგებების სულ უფრო მზარდი ქსელი.[44]

ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითად ფორმებად ითვლება:

- პირდაპირი ინვესტიციების სახით საერთაშორისო კაპიტალის ნაკადის გაზრდა;

---

[42] Мовсесян А., Огнивцев С.. Транснациональный капитал и национальные государства // МЭМО. – 1999. - № 6. с. 13-21.
[43] ლ. ჯამაგიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 29.
[44] World Investment Report, 1997, U.N., p. 70

- წარმოების მიერ გავლენის და მონაპოვრების რიცხვის გაზრდა;

- საერთაშორისო თანამშრომლობაზე ხელშეკრულებების დადება სხვადასხვა ფორმით;

- საერთაშორისო წესრიგის სისტემის განვითარება;

- ტრანსპორტისა და კომუნიკაციის გლობალური სისტემის შექმნა.

გლობალიზაცია მიდის ქვეყნებს შორის კონკურენციის გაზრდისკენ. ამ კონკურეციულ ბრძოლაში წარმატება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნას ალიანსის მიღწევით ტნკ და სახელმწიფოს შორის. ცხადია, ამგვარი სიტუაცია ამცირებს სახელმწიფოსა და ტნკ ურთიერთობის პრობლემებს, რაც XX მეორე ნახევარში თვალშისაცემი იყო. ახალ კონკურენტულ გარემოში განვითარებადი ქვეყნები პრიორიტეტულ მდგომარეობას იკავებენ.

ცალკეული ქვეყნის გლობალიზაციის დონის განსაზღვრისათვის ფართოდ გამოიყენება შვეიცარიის ეკონომიკის ინსტიტუტის KOF-ის გლობალიზაციის ინდექსი. იგი ყოველწლიურად აქვეყნებს ცალკეული ქვეყნების გლობალიზაციის მაჩვენებლებს. ამ უკანასკნელით იზომება ამა თუ იმ ქვეყნის გლობალიზაციის დონე სამი განზომილებით – ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური. KOF-ის არჩეული სამი სფეროსათვის დამახასიათებელია შემდეგი გარემოებები: ეკონომიკური გლობალიზაცია მოიცავს ქვეყნის საქონლის, კაპიტალის, მომსახურებისა და ინფორმაციის სფეროებს, რომელიც თან ახლავს საბაზრო ცვლილებებს. პოლიტიკური განზომილება ხასიათდება მმართველობითი ორგანოების გავცელებით და განშტოებებით, ხოლო სოციალური გლობალიზაცია მიუთითებს იდეებისა და ინფორმაციის გავრცელების ხარისხს.რაც უფრო მაღალია გლობალიზაციის რეიტინგი, მით მეტია ამა თუ იმ ქვეყნის გლობალიზაციის ხარისხი.

KOF-ის გლობალიზაციის პირველ სვეტში ნაჩვენებია ქვეყნების გლობალიზაციის საერთო რეიტინგი. აქ პირველ ადგილს ბელგია იკავებს, მას მოსდევს ირლანდია, ხოლო მესამე ადგილზე ნიდერლანდები გავიდა. ეკონომიკური გლობალიზაციის კუთხით ლიდერობს სინგაპური, მას მოსდევს ლუქსემბურგი და ირლანდია. სოციალური გლობალიზაციის რეიტინგში პირველ ადგილზე ლუქსემბურგი გავიდა, ხოლო მეორე და მესამე ადგილებზე შვეიცარია და ირლანდია. პოლიტიკური გლობალიზაციის რეიტიგში პირველი სამი ადგილი საფრანგეთმა, იტალიამ და ბელგიამ გაინაწილეს (ცხრილი 9).

**208 სახელმწიფოს გლობალიზაციის ინდექსის (თავისი განზომილებებით) რეიტინგში წამყვანი 20 სახელმწიფოს მდგომარეობა ასე გამოიყურება[45]:**

*ცხრილი 9*

| რეიტინგი | გლობალიზაციის ინდექსი | | რეიტინგი | ეკონომიკური გლობალიზაცია | | რეიტინგი | სოციალური გლობალიზაცია | | რეიტინგი | პოლიტიკური გლობალიზაცია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ქვეყანა | ქულა | | ქვეყანა | ქულა | | ქვეყანა | ქულა | | ქვეყანა | ქულა |
| 1 | ბელგია | 91.51 | 1 | სინგაპ. | 96.67 | 1 | ლუქსემბურ. | 93.87 | 1 | საფრანგეთი | 98.03 |
| 2 | ირლან. | 91.02 | 2 | ლუქსემ. | 93.43 | 2 | შვეიცარია | 93.85 | 2 | იტალია | 97.04 |
| 3 | ნიდერლ. | 89.92 | 3 | ირლანდია | 92.63 | 3 | ირლანდია | 91.96 | 3 | ბელგია | 97.01 |
| 4 | შვეიც. | 89.87 | 4 | მალტა | 92.63 | 4 | ანტიგუ და ბარბუდა | 91.90 | 4 | ავსტრია | 96.85 |
| 5 | ავსტრია | 89.14 | 5 | ბელგია | 91.63 | 5 | კვიპროსი | 91.72 | 5 | შვეცია | 96.64 |
| 6 | შვეცია | 88.68 | 6 | ნიდერლ. | 91.30 | 6 | პუერ. რიკო | 90.66 | 6 | ესპანეთი | 95.22 |
| 7 | დანია | 87.37 | 7 | ესტონეთი | 90.35 | 7 | სინგაპური | 90.65 | 7 | შვეიცარია | 95.11 |
| 8 | კანადა | 86.32 | 8 | უნგრეთი | 90.22 | 8 | ავსტრია | 90.62 | 8 | კანადა | 94.90 |
| 9 | ლუქსემ. | 86.28 | 9 | ბაჰრეინი | 88.37 | 9 | გრენადა | 88.53 | 9 | აშშ | 94.05 |
| 10 | უნგრეთი | 85.15 | 10 | შვედეთი | 88.11 | 10 | ბელგია | 88.12 | 10 | პოლონეთი | 93.88 |
| 11 | ჩეხეთი | 84.65 | 11 | კვიპროსი | 86.74 | 11 | მალტა | 87.99 | 11 | ნიდერლან. | 93.61 |
| 12 | ახ. ზელან. | 84.55 | 12 | ჩეხეთი | 86.58 | 12 | ახ. ზელანდია | 87.24 | 12 | ეგვიპტე | 93.35 |
| 13 | ფინეთი | 84.19 | 13 | დანია | 85.49 | 13 | კანადა | 87.22 | 13 | დანია | 93.13 |
| 14 | სინგაპ. | 84.07 | 14 | ჩილე | 85.48 | 14 | სლოვაკეთი | 86.51 | 14 | გერმანია | 92.80 |
| 15 | პორტუგ. | 83.92 | 15 | ახ. ზელან. | 85.20 | 15 | ნიდერლან. | 86.37 | 15 | არგენტინა | 92.78 |
| 16 | საფრან. | 83.68 | 16 | პორტუ/ | 84.96 | 16 | დანია | 85.81 | 16 | საბერძნეთი | 92.20 |
| 17 | ესტონეთი | 83.45 | 17 | ისრაელი | 84.96 | 17 | შვედეთი | 84.52 | 17 | ბრაზილია | 92.15 |
| 18 | ესპანეთი | 82.94 | 18 | ფინეთი | 84.69 | 18 | ესტონეთი | 84.13 | 18 | პორტუგალია | 92.11 |
| 19 | კვიპროსი | 82.70 | 19 | სლოვაკ. | 84.13 | 19 | დიდი ბრიტანეთი | 83.65 | 19 | თურქეთი | 91.72 |
| 20 | სლოვაკ | 82.40 | 20 | ავსტრია | 83.04 | 20 | ბაჰრეინი | 82.97 | 20 | ინდოეთი | 91.65 |

[45] წყარო: KOF Index of Globalization, http://globalization.kof.ethz.ch/

2009 წლის გლობალიზაციის KOF ინდექსის რეიტინგში პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდან წამყვან ადგილს იკავებს ბალტიისპირეთის ქვეყნები. უზბეკეთი და თურქმენეთი სიით ბოლოს აღმოჩნდნენ (ცხრილი 10).

**პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების გლობალიზაციის ინდექსი**[46]

*ცხრილი 10*

| რეიტინგი | გლობალიზაციის ინდექსი | | რეიტინგი | ეკონომიკური გლობალიზაცია | | რეიტინგი | სოციალური გლობალიზაცია | | რეიტინგი | პოლიტიკური გლობალიზაცია | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ქვეყანა | ქულა | | ქვეყანა | ქულა | | ქვეყანა | ქულა | | ქვეყანა | ქულა |
| 17 | ესტონ. | 83.45 | 7 | ესტონ. | 90.35 | 18 | ესტონ. | 84.13 | 43 | რუსეთი | 84.60 |
| 31 | ლიტვა | 77.24 | 23 | ლატვია | 82.60 | 26 | ლატვია | 81.73 | 49 | უკრაინა | 83.14 |
| 34 | ლატვია | 76.14 | 28 | ლიტვა | 80.24 | 41 | ლიტვა | 76.13 | 67 | ლიტვა | 74.10 |
| 47 | უკრაინა | 69.30 | 40 | ყაზახ. | 73.98 | 54 | ბელარ. | 71.16 | 83 | ესტონ. | 70.76 |
| 61 | რუსეთი | 65.24 | 45 | მოლდ. | 71.31 | 61 | უკრაინა | 68.40 | 93 | ყირგიზეთი | 66.57 |
| 62 | მოლდ. | 65.20 | 51 | საქართ. | 69.43 | 66 | მოლდ. | 65.96 | 119 | ლატვია | 55.91 |
| 72 | ყაზახ. | 63.18 | 52 | სომხეთი | 69.11 | 70 | რუსეთი | 61.89 | 121 | მოლდ. | 53.69 |
| 81 | სომხეთი | 61.19 | 76 | აზერბ. | 62.16 | 72 | სომხეთი | 61.56 | 124 | აზერბ. | 52.82 |
| 84 | ყირგიზ. | 60.64 | 78 | უკრაინა | 61.93 | 73 | ყაზახეთი | 61.52 | 133 | ყაზახეთი | 47.92 |
| 90 | საქარ. | 60.01 | 84 | ყირგიზ. | 60.17 | 83 | საქარ. | 58.94 | 136 | სომხეთი | 47.36 |
| 102 | აზერ. | 57.37 | 91 | რუსეთი | 57.04 | 87 | ყირგიზ. | 57.60 | 138 | საქართ. | 46.08 |
| 115 | ბელ. | 53.46 | 125 | ბელარ. | 42.56 | 94 | აზერბ. | 55.31 | 149 | უზბეკ. | 42.80 |
| 152 | ტაჯ. | 38.22 | 201 | ტაჯიკ. | . | 100 | თურქმ. | 53.88 | 151 | ტაჯიკ. | 42.33 |
| 205 | თურქ. | . | 204 | თურქ. | . | 133 | ტაჯიკ. | 35.78 | 153 | ბელარ. | 41.85 |
| 206 | უზბ. | . | 206 | უზბ. | . | 205 | უზბეკ. | . | 163 | თურქმ. | 37.29 |

მნიშვნელოვან საერთაშორის რეიტინგული კვლევას აწარმოებს ასევე ეკონომიკისა და მშვიდობის საერთაშორისო ინსტიტუტი[47], რომელმაც შეიმუშავა მშვიდობის გლობალური ინდექსი. ინდექსი დგება ქვეყნის ისეთი მონაცმენების გათვალისწინებით როგორიცაა: დემოკრატიულობა და ტრანსსფორმაცია, საერთაშორისო კარგახსნილობა, დემოგ-

---

[46] წყარო: KOF Index of Globalization, http://globalization.kof.ethz.ch/

[47] წყარო: Vision of Humanity groups, Global Peace Index Rankings, http://www.visionofhumanity.org/gpi/results/rankings/2009/

რაფიული მაჩვენებლები, რეგიონალური და საერთაშორისო კავშირები, განათლების დონე, კულტურა, მატერიალური კეთილდღეობა და ა.შ. ინსტიტუტის მიზანია ხელი შეუწყოს ურთიერთკავშირის განვითარებას ბიზნესს, მშვიდობასა და ეკონომიკას შორის. აღნიშნული ინდექსით განისაზღვრება ქვეყნების მშვიდობისმოყვარეობის ხარისხი. მიმდინარე წელს 144 ქვეყანა მოხვდა რეინტინგულ კვლევაში. პირველ ადგილზე ახალი ზელანდია გავიდა, მეორე ადგილები გაინაწილეს, დანიამ და ნორვეგიამ (ცხრილი 11). ხოლო რეიტინგის ბოლოს მოხვდა სომალი, ავღანეთი და ერაყი. დანია და ნორვეგია სამი წლის განმავლობაში პირველ სამეულში ინარჩუნებენ ადგილს. ოცეულში ძირითადად ევროპული სახელმწიფოები ჭარბობენ. აშშ 83-ე ადგილზე გავიდა. მშვიდობის ინდექსის ქულები 1-დან 5-ით განისაზღვრება, სადაც 1 ნიშნავს ქვეყნის მაღალ მშვიდობისმოყვარეობას.

**მშვიდობის ინდექსის რეიტინგული კვლევის პირველი ოცეული**

*ცხრილი 11*

| ქვეყანა | 2009 წელი | | ქვეყანა | 2008 წელი | | ქვეყანა | 2007 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რეი-ტინგი | ქულა | | რეი-ტინგი | ქულა | | რეი-ტინგი | ქულა |
| ახალი ზელან-დია | 1 | 1.202 | ისლანდია | 1 | 1.176 | ნორვეგია | 1 | 1.357 |
| დანია | 2 | 1.217 | დანია | 2 | 1.333 | ახალი ზელან-დია | 2 | 1.363 |
| ნორვეგია | 2 | 1.217 | ნორვეგია | 3 | 1.343 | დანია | 3 | 1.377 |
| ისლანდია | 4 | 1.225 | ახ. ზელანდია | 4 | 1.350 | ირლანდია | 4 | 1.396 |
| ავსტრია | 5 | 1.252 | იაპონია | 5 | 1.358 | იაპონია | 5 | 1.413 |
| შვედეთი | 6 | 1.269 | ირლანდია | 6 | 1.410 | ფინეთი | 6 | 1.447 |
| იაპონია | 7 | 1.272 | პორტუგალია | 7 | 1.412 | შედეთი | 7 | 1.478 |
| კანადა | 8 | 1.311 | ფინეთი | 8 | 1.432 | კანადა | 8 | 1.481 |
| ფინეთი | 9 | 1.322 | ლუქსემბურგი | 9 | 1.446 | პორტუგალია | 9 | 1.481 |
| სლოვენია | 9 | 1.322 | ავსტრია | 10 | 1.449 | ავსტრია | 10 | 1.483 |
| ჩეხეთი | 11 | 1.328 | კანადა | 11 | 1.451 | ბელგია | 11 | 1.498 |
| ირლანდია | 12 | 1.333 | შვეიცარია | 12 | 1.465 | გერმანია | 12 | 1.523 |
| ლუქსემბურგი | 13 | 1.341 | შვედეთი | 13 | 1.468 | ჩეხეთი | 13 | 1.524 |
| პორტუგალია | 14 | 1.348 | გერმანია | 14 | 1.475 | შვეიცარია | 14 | 1.526 |
| ბელგია | 15 | 1.359 | ბელგია | 15 | 1.485 | სლოვენია | 15 | 1.539 |
| გერმანია | 16 | 1.392 | სლოვენია | 16 | 1.491 | ჩილე | 16 | 1.568 |
| კატარი | 16 | 1.392 | ჩეხეთი | 17 | 1.501 | სლოვაკეთი | 17 | 1.571 |
| შვეიცარია | 18 | 1.393 | უნგრეთი | 18 | 1.576 | უგნრეთი | 18 | 1.575 |
| ავსტრალია | 19 | 1.476 | ჩილე | 19 | 1.576 | ბუტანი | 19 | 1.611 |
| ჩილე | 20 | 1.481 | სლოვაკეთი | 20 | 1.576 | ნიდერლანდე-ბი | 20 | 1.620 |

პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მშვიდობის ინდექსის (ცხრილი 12) რეიტინგში ბალტისპირეთის ქვეყნები ლი-

დერობენ. ბოლო ადგილს სამი წლის მანძილზე რუსეთის ფედერაცია იკავებს. 2008 წელს საქართველო ვერ მოხვდა ამ რეიტიგში, რაც ალბათ აგვისტოს მოვლენებთან იყო დაკავშირებული. აღსანიშნავია, რომ სამი წლის განმავლობაში სომხეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი ამ რეიტინგში ვერ მოხვდნენ.

**პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მშვიდობის ინდექსის მაჩვენებლები**[48]

*ცხრილი 12*

| ქვეყანა | 2009 წელი | | ქვეყანა | 2008 წელი | | ქვეყანა | 2007 წელი | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | რეი-ტინგი | ქულა | | რეი-ტინგი | ქულა | | რეი-ტინ გი | ქულა |
| ესტონეთი | 38 | 1.661 | ესტონეთი | 35 | 1.702 | ესტონეთი | 28 | 1.684 |
| ლიტვა | 43 | 1.687 | ლატვია | 39 | 1.723 | ლიტვა | 43 | 1.788 |
| ლატვია | 54 | 1.773 | ლიტვა | 41 | 1.723 | ლატვია | 47 | 1.848 |
| მოლდავეთი | 75 | 1.925 | ყაზახეთი | 72 | 2.018 | ყაზახეთი | 61 | 1.995 |
| უკრაინა | 82 | 2.010 | მოლდავეთი | 83 | 2.091 | უკრაინა | 80 | 2.150 |
| ყაზახეთი | 84 | 2.018 | უკრაინა | 84 | 2.096 | აზერბაიჯანი | 101 | 2.448 |
| ბელარუსი | 98 | 2.103 | ბელარუსია | 94 | 2.194 | უზბეკეთი | 110 | 2.542 |
| თურქმენეთი | 101 | 2.110 | აზერბაიჯანი | 101 | 2.287 | რუსეთი | 118 | 2.903 |
| უზბეკეთი | 106 | 2.202 | უზბეკეთი | 111 | 2.377 | | | |
| აზერბაიჯანი | 114 | 2.327 | რუსეთი | 131 | 2.777 | | | |
| საქართველო | 134 | 2.736 | | | | | | |
| რუსეთი | 136 | 2.750 | | | | | | |

ანალიზი, ტენდენციები და მისწრაფებები აჩვენებს, რომ ტრანსნაციონალურ კორპორაციებს მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უაკავიათ. ბოლო ათწლეულში განსაკუთრებით იზრდება მათი რეიტინგული მაჩვენებლები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი მიმზიდველობით გამოირჩევიან როგორც განვითარებულ, ისე განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებში.

48 წყარო: Vision of Humanity groups, Global Peace Index Rankings, http://www.visionofhumanity.org/gpi/results/rankings/2009/

### *2.2. კაპიტალის მიმოქცევისა და ბიზნესის თავისებურებები საზღვარგარეთის ქვეყნებში*

გლობალიზაციის საფუძველი, მისი მთავარი მამოძრავებელი ძალა თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკის მთელ კონსტრუქციაში არის ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომელთა საქმიანობას სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მათ შიდა ოპერაციებს, ვინაიდან მათ ექსპანსიონისტურ პოლიტიკას და მათთან მჭიდროდ დაკავშირებული კაპიტალის საერთაშორისო მოძრაობას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო-საფინანსო ურთიერთობების ინტერნაციონალიზაციისათვის. იგი ასევე, ხელს უწყობს კაპიტალის, წარმოებისა და საკუთრების ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაღრმავებას, ვინაიდან ,,კომპანიების უმეტესობის საბოლოო მიზანს წარმოადგენს წარმოებისა და მომსახურების გატანა საზღვარგარეთ"[49].

თანამედროვე ეტაპზე, ტნკ-ები გახდნენ მსოფლიო მეურნეობის მნიშვნელოვანი სუბიექტები. ისინი თამაშობენ დიდ როლს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაში. ტრანსნაციონალური ბიზნესის განვითარება დიდ გავლენას ახდენს, როგორც სამრეწველო კუთხით განვითარებული ისე განვითარებადი სახელმწიფოების ეკონომიკაზე. მოცემული გავლენა შეიძლება ატარებდეს დადებით და უარყოფით ხასიათს.

გაეროს მიერ შემუშავებული ტრანსნაციონალური კორპორაციების კოდექსის თანახმად გამოყოფილია ის ნიშნები, რომელთა არსებობის შემთხვევაში კომპანია შეიძლება ჩაითვალოს ტრანსნაციონალურად. ეს ნიშნებია:

---

[49] თ. შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები, თბ., 2008, გვ. 205

- კომპანიის წლიური მოცულობა (გაყიდვების) უნდა იყოს ერთ მილიარდ დოლარზე მეტი;

- უნდა გააჩნდეს ფილიალები არა ნაკლებ ექვს ქვეყანაში;

- კომპანიის აქტივების საერთო ღირებულებაში 25-30% უნდა შეადგენდეს უცხოური აქტივების წილს;

კომპანიის გაყიდვების მთელი მოცულობის 1/5-1/3 უნდა მოდიოდეს საგარეო ოპერაციებზე, ანუ ბაზირებული ქვეყნის ფარგლებს გარეთ უნდა მოხდეს რეალიზაცია.

აქედან გამომდინარე, ცხადია თუ რა დიდი ადგილი უჭირავს ტნკ-ებს საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობაში.

ამჟამად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ტნკ-ების უცხოური ინვესტიციების როლი განიხილება, როგორც გლობალიზაციის ძირითადი კომპონენტები, ვინაიდან ტექნილოგიური მიღწევებისა და ბევრად უფრო ლიბერალური პოლიტიკის შედეგად, ასევე კონკურენციის გავლენით, გლობალიზაცია სულ უფრო და უფრო აყალიბებს თანამედორვე მსოფლიო ეკონომიკას. ტნკ-ების პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ამჟამად თამაშობენ მნიშვნელოვან როლს სხვადასხვა ეროვნული ეკონომიკის დაკავშირებისა და ინტეგრირებული ინტერნაციონალურ საწარმოო სისტემების შექმნაში ანუ გლობალიზირებული მსოფლიო ეკონომიკის საწარმოო ბირთვის ჩამოყალიბებაში. აშკარაა, რომ გლობალიზირებული წარმოება ცვლის საერთაშორისო ეკონომიკურ სურათს. ასევე, იცვლება საერთაშორისო საინვესტიციო ნაკადების გეოგრაფიაც.[50]

დღეისათვის ტნკ-ებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი თავისებურებები:

- ქვეყანებს შორის ურთიერთობების უპირატესობის გამოყენება;

[50] World investment report, U.N., 1995, p. 1.

- კაპიტალის მოძრაობა ტნკ-ის ბაზირების ქვეყნაში მიმდინარე პროცესებისაგან დამოუკიდებლად;

- მაღალტექნოლოგიურ და მეცნიერებად ტევად დარგებში შეღწევა, რომლებიც დიდ ინვესტიციებსა და მაღალკვალიფიციურ პერსონალს საჭიროებენ;

- მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნა;

- გლობალური საწარმოო-სავაჭრო პოლიტიკა;

- საქმიანობის დივერსიფიკაცია;

- ბიზნესის მონოპოლიზაცია;

- სტრატეგიული დაგეგმვა;

- კომპანიის შიდა ვაჭრობის გაძლიერება.[51]

სავარაუდოდ, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოძრაობის თითქმის ნახევარი ხდება შერწყმის და შთანთქმის მეშვეობით უპირატესად განვითარებულ ქვეყნებში ფირმებს შორის. უკანასკნელ წლებში, ძირითადად აშშ ლიდერობდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. თუმცა, ბოლო პერიოდში ამ კუთხით სურათი იცვლება.

აღსანიშნავია, რომ ინვესტიციების დარგობრივი სტრუქტურა მუდამ იცვლება. თუკი ადრე უპირატესობა ენიჭებოდა სანედლეულო დარგებს, განსაკუთრებით ნავთობმოპოვებას უცხოეთში გატანისათვის, ამჟამად ამგვარი ინვესტიციების დიდი ნაწილი მიმართულია ადგილობრივი ბაზრის გამოყენებაზე, განსაკუთრებით ასეთ ქვეყნებში ცხოვრების დონის ამაღლებისათვის და ასევე ადგილობრივი მომხმარებლის ავტომობილებზე, კომპიუტერებზე და სხვა საგნებზე მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. მაგ., საავტომობილო კომპანიები ქმნიან საკუთარ წარმოებას ტაილანდსა და ბრაზილიაში არა იმიტომ რომ მოახდინონ ავტომობილების ექსპორტი აშშ-ში და იაპონიაში, არამედ მათი გასაღებისათვის

---

51 ლ. ყორღანაშვილი, საერთაშორისო ბიზნესის ორგანიზაციულ-სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2006, გვ. 52

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და სამხრეთ ამერიკაში. ნაწილობრივ ამ მიზეზით (განსაკუთრებით სამომავლო პერსპექტივით) სწორედ ჩინეთი იკავებს წამყვან ადგილს განვითარებად ბაზრებს შორის პირდაპირი ინვესტიციების მიზიდვის მხრივ (თუმცა 80-ან წლებში ის იქ თითქმის არ იყო).

მთელი პროცესის საერთო დინამიკა და მასშტაბები, რომელიც დაკავშირებულია ტნკ-ების, პრიდაპირი უცხოური ინვესტიციების და წარმოების ინტერნაციონალიზაციის განვითარებასთან, კარგად ჩანს შემდეგი მონაცემებითაც: 1995 წლის მდგომარეობით ტნკ-ების რაოდენობა 45 ათას აღწევდა თავისი 280 ათასი უცხოური ფილიალით[52], რომლებიც სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენდნენ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სისტემაზე და მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე. დაგროვილი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა შეადგენდა 3,2 ტრილიონ აშშ დოლარს, ხოლო ტნკ-ების საზღვარგარეთული ფილიალების გაყიდვების მოცულობა 6,4 ტრლ. აშშ დოლარს. ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე მთლიანი მსოფლიო ექსპორტი (6,1 ტრლ აშშ დოლ.). საზღვარგარეთული ფილიალების გაყიდვები იზრდება 20-30%-ით სწარაფად, ვიდრე, ტნკ-ების პირდაპირი ექსპორტი. 2007 წლის მგომარეობით 79000 ტნკ და მათი 790 000 ათასი ფილიალის მიერ საქონლის წარმოება და მომსახურება კიდევ უფრო გაიზარდა. ასეთ პირობებში მათ მიერ განხორციელბული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საბოლოო ჯამმა 15 ტრლ. აშშ დოლარს გადააჭარბა. UNCTAD-ის შეფასებით ტნკ-ების გაყიდვების მოცულობამ შეადგინა 31 ტრლ აშშ დოლარი და იგი 2006 წელთან შედარებით 21% გაიზარდა. მსოფლიოში უცხოური ფილიალების მიერ დამატებითი ღირებულების (მთლიანი პროდუქტი) მოცულობამ 2007 წელს შეადგინა მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 11%. ასეთ პირობებში გაიზრდა დასაქმებულთა რა-

[52] world investment report, 1995, U.N. p. 7

ოდენობაც 82 მილ[53]. 2009 წლის მდგომარეობით კი ტნკ-ების რაოდენობა აღწევს დაახლ. 82 000 თავისი 810 000 საზღვარგარეთული ფილიალით[54]. თუმცა, მსოფლიო ფინანსურმა და ეკონომიკურმა კრიზისმა დიდი გავლენა იქონია საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობაზე. მოხდა მისი შემცირება ( ცხრილი 13).

აღსანიშნავია, რომ ტნკ-ების გაყიდვების მოცულობა აღემატება მსოფლიო ვაჭრობის 25%-ს, ამასთან ტნკ-ის მიერ წარმოებული პროდუქციის 30-35% მოდის საზღვარგარეთის ფილიალებზე. მათი უცხოური ფილილების მიერ რეალიზაციის მოცულობა იზრდება 20-30%-ით უფრო მეტად, ვიდრე ექსპორტი[55].

რაც შეეხება ტნკ-ების პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, უკანასკნელ პერიოდში ისინი გაიზარდა 3 ჯერ სწარფად, ვიდრე შიდა ინვესტიციები. თუმცა, მათი წილი ყოველწლიურ ინვესტიციებზე სამრეწველო კუთხით განვითარებულ ქვეყნებში მთლიანობაში 6%-ია. ხოლო 70% ყველა საერთაშორისო გაყიდვებისა, რომელიც დაკავშირებულია კრედიტებთან და ლიცენზიებთან, წარმოადგენს გაყიდვებს დედაკომპანიასა და მის საზღვარგარეთულ ფილიალებს შორის.

გლობალიზაციის ზრდის პირობებში საგარეო ვაჭრობა სულ უფრო და უფრო მჭიდრო კავშირში შედის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან, რომელიც ვითარდება ამ ინვესტიციების საფუძველზე. შედეგად, იგი იძენს დიდ მდგრადობას, მუდმივობას და შესაძლებელია მისი დინამიკის განჭვრეტაც.

ეს პროცესები აისახება პოლიტიკაზეც, რომელიც ეხება უცხოური ინვესტიციების რეჟიმს.

---

53 World investment report, transnational corporations, Agriqultural Production and development, 2009, UN. p. 8

54 იქვე, p. 17.

55 რ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ. გვ. 126

საერთო ტენდენცია ისეთია, რომ საგარეო-სავაჭრო გაცვლების ლიბერალიზაციასთან ერთად ხდება უცხოური ინვესტიციების სფეროს ლიბერალიზაციაც.

ტნკ-ების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ანალიზი, მისი მასშტაბები და დინამიკა ავლენს არსებით კანონზომიერებას: წამყვანი, გარდამქმნელი როლი მთელ ამ პროცესებში ეკუთვნით ბევრად უფრო განვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყნებს, რომლის მიზეზიც მარტო დონორების მიზანი კი არა არის, საიდანაც უცხოეთში ხვდება ინვესტიციები, არამედ, რაც უფრო ხაზგასასმელია, რეციპიენტების ღირსება, სადაც მიმართულია ინვესტიციები. რაც უფრო განვითარებულია ამ თუ იმ ქვეყნაში საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები, თანამედროვე პირობებში მით უფრო მეტად ეხება მას ეს ორმხვრივი პირდაპირი ინვესტიციების მოძრაობა.

ამ პროცესების კანონზომიერი შედეგია ის, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კონცენტრაცია ხდება განვითრებულ ქვეყნებში, უპირველეს ყოვლისა სამ ძირითად ეკონომიკურ ცენტრში – აშშ, ევროკავშირი და იაპონია.

პუი-ი უფრო სწარფად იზრდება (ცხრილი 13), ვიდრე მსოფლიო მშპ-ის მოცულობა რაც მიუთითებს რომ იგი საერთაშორისო საფინასო-ეკონომიკური ინტერნაციონალიიზაციის ძირითადი ძალა გახდა. 1982 წლიდან 2008 წლის ჩათვლით მსოფლიო მშპ (მიმდინარე ფასებით) 5,1 ჯერ გაიზარდა.

## პუი-ის ცალკეული მაჩვენებლი და საერთაშორისო წარმოება 1982-2008 წწ[56].

*ცხრილი 13*

| # | მაჩვენებლები | ღირებულებითი მოცულობა მიმდინარე ფასებში ($ მილიარდ) | | | | წლიური ზრდა (%) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | | 1982 | 1990 | 2007 | 2008 | 1986 - 1990 | 1991 - 1995 | 1996 - 2000 | 2005 | 2006 | 2007 | 200 8 |
| 2 | პიუ-ის შემოდინება | 58 | 207 | 1 979 | 1 697 | 23,6 | 22,1 | 39,4 | 32,4 | 50,1 | 35,4 | - 14,2 |
| 3 | პუი-ის გადინება | 27 | 239 | 2 147 | 1 858 | 25,9 | 16,5 | 35,6 | -5,4 | 58,9 | 53,7 | - 13,5 |
| 4 | დაგროვილი იმპორტირებული პუი-ის მოცულობა | 790 | 1 942 | 15 660 | 14 909 | 15,1 | 8,6 | 16,0 | 4,6 | 23,4 | 26,2 | -4,8 |
| 5 | დაგროვილი ექსპორირებული პიუ-ის მოცულობა | 579 | 1 786 | 16 227 | 16 206 | 18,1 | 10,6 | 16,9 | 5,1 | 22,2 | 25,3 | -0,1 |
| 6 | იმპორტირებული პუი-ის შემოსავლბი | 44 | 74 | 1 182 | 1 171 | 10,2 | 35,3 | 13,3 | 32,8 | 23,3 | 21,9 | -0,9 |
| 7 | ექსპორტირებული პუი-ის შემოსავლებია | 46 | 120 | 1 252 | 1 273 | 18,7 | 20,2 | 10,3 | 28,4 | 18,4 | 18,5 | 1,7 |
| 8 | საერთაშორისო შერწყმის და შეძენის საერთო მოცულობა | .. | 112 | 1 031 | 673 | 32,0 | 15,7 | 62,9 | 91,1 | 38,1 | 62,1 | - 34,7 |
| 9 | ტნკ-ის უცხოური ფილიალების გაყიდევბის მთლიანი მოცულობა | 2 530 | 6 026 | 31 764 | 30 311 | 19,7 | 8,8 | 8,1 | 5,4 | 18,9 | 23,6 | -4,6 |
| 10 | დამატებითი პროდუქტი | 623 | 1 477 | 6 295 | 6 020 | 17,4 | 6,8 | 6,9 | 12,9 | 21,6 | 20,1 | -4,4 |
| 11 | ტნკ-ების უცხოური ფილიალების მთლიანი აქტივები | 2 036 | 5 938 | 73 457 | 69 771 | 18,1 | 13,7 | 18,9 | 20,5 | 23,9 | 20,8 | -5,0 |
| 12 | ტნკ-ების უცხოური ფილიალების ექსპორტის მოცულობა | 635 | 1 498 | 5 775 | 6 664 | 22,2 | 8,6 | 3,6 | 13,8 | 15,0 | 16,3 | 15,4 |
| 13 | ტნკ-ების უცხოურ ფილიალებში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა (ათასი კაცი) | 19 864 | 24 476 | 80 396 | 77 386 | 5,5 | 5,5 | 9,7 | 8,5 | 11,4 | 25,4 | -3,7 |
| 14 | მთლიანი შიგა პროდუქტის მიმდინარე ფასები | 11 963 | 22 121 | 55 114 | 60 780 | 9,5 | 5,9 | 1,3 | 8,4 | 8,2 | 12,5 | 10,3 |
| 15 | ერთობლივი კაპიტალის ფორმირება | 2 795 | 5 099 | 12 399 | 13 824 | 10,0 | 5,4 | 1,1 | 11,8 | 10,9 | 13,8 | 11,5 |
| 16 | შემოსავლები ლიცენზირებული გაყიდევბის სახით | 9 | 29 | 163 | 177 | 21,1 | 14,6 | 8,1 | 10,6 | 9,1 | 16,1 | 8,6 |
| 17 | საქონლისა და მომსახურების მთლიანი მოცულობა | 2 395 | 4 414 | 17 321 | 19 990 | 11,6 | 7,9 | 3,7 | 13,8 | 15,0 | 16,3 | 15,4 |

56 World investment report, transnational corporations, Agriqultural Production and development, 2009, annex table I6, p.18

მსოფლიო ინვესტიციების პერსპექტივებზე UNCTAD-ის მიერ მომზადებული მიმოხილვიდან კარგად ჩანს, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში გლობალური ფინანსური კრიზისი უარყოფითად აისახება ტნკ-ების გეგმებზე პუი-თან მიმართებით. 2008 წელს მსოფლიო კრიზისი შეეხო კომპანიების მხოლოდ 40%, ხოლო 2009 წელს ტნკ-ების 85% გლობალური ეკონომიკური დაცემის გამო იძულებული იყო შეემცირებინა თავისი საინვესტიციო გეგმები, ხოლო 79% უშუალოდ ფინანსური კრიზისი გამო. ორივე ასპექტი ცაკლ-ცალკე და ერთად გამოიწვევს ტნკ-ების ინტერესების შესუსტებას პუი-ის განხორციელების კუთხით.

ფინასურ-ეკონომიკურმა კრიზისმა გავლენა მოახდინა არა მარტო მთლიანად დარგებზე, არამედ ცალკეულ კომპანიებზეც. ამ პროცესმა თავისი გამოხატულება ჰპოვა მოგების შემცირებაზე, ინვესტიციების განდევნის მაშტაბებისა და იძულებითი რესტრუქტურიზაციის ხვედრითი წილის გაზრდაზე. UNCTAD-ის მონაცემებით ტნკ-ების ინტერნაციონალიზაციის ტემპები 2008 წელს შენელდა, ხოლო მათი საერთო მოგება დაეცა 27%-ით. 2009 წლის დასაწყისში მსხვილი ტნკ-ების 58%-მა განცხადება გააკეთა პუი-ის ხაზით საკუთარი გასავლების შემცირების შესხებ 2008 წლის დონესთან შედარებით, ხოლო ტნკ-ების ერთი მესამედი (30%) გეგმავდა მსხვილ შემცირებას[57].

უნდა აღინიშნის, რომ მიმდინარე საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა ჯერ კიდევ ვერ მოახდინა სერიოზული გავლენა პუი-ის სფეროში არსებულ პოლიტიკაზე, რადგან პუი არ არის ამ კრიზისის მიზეზი. მიუხედავად ამისა, ეროვნული პოლიტიკის საერთო ხასიათის ზოგიერთი ღონისძიების (ეროვნული სანაციური პროგრამები, ეკონომიკური სტიმუ-

[57] World investment report, transnational corporations, Agriqultural Production and development, 2009.

ლიერბის პაკეტები) გატარებას კრიზისთან დაკავშირებით შეუძლია გავლენა მოახდინოს პუი-ის ნაკადებსა და ტნკ-ების საქმიანობაზე. მათ შეუძლიათ დადებითად იმოქმედოს პუი-ის მოზიდვაზე, რადანაც ისინი ხელს უწყობენ სტაბილიზიაციასა და აუმჯობესებენ ძირითადი ეკონომიკური ფაქტორების მდგომარეობას. მეორეს მხრივ, ასეთი პოლიტიკის გატარების პირობებში მოსალოდნელია საშიშროება იმ კუთხით, რომ ქვეყნის მიერ ასეთი ღონისძიებების გატარება შეიძლება გადაიქცეს საინვესტიციო პროტექციონიზმად. ვინაიდან, ისინი უზრუნველყოფენ ხელსაყრელი გარემოს შექმნას, უფრო მეტად ადგილობრივი ინვესტორებისათვის ვიდრე უცხოელ ინვესტორებისათვის. ან კიდევ შექმნას ბარიერები ინვესტიციების გადინებაზე ქვეყნის შიგნიდან კაპიტალის შენარჩუნების მიზნით.

ამჟამინდელი მსოფლიო გლობალური კრიზისი პუი-ის ნაკადებსა და ტნკ-ების საქმიანობაზე განსხვავებულ გავლენას ავლენს. 2008 წელს პუი-ის ნაკადი აფრიკის კონტინეტზე 88 მილდ აშშ დოლ. გაიზარდა. ხოლო პუი-ის ნაზარდი მოცულობა მთლიანობაში 511 მილდ. აშშ დოლ. შეადგენს. ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ამ რეგიონში პუი-ის მოზიდვისა იყო გასულ წელს სანედლეულო საქონლის ბუმი გლობალურ ბაზარზე. თუმცა, 2009 წლის მაჩვენებლებით აქაც შეიმჩნევა პუი-ის ნაკადის შემცირება. სამხრეთ, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში 2008 წელი გამოირჩეოდა პუი-ის ნაკადის ზრდის მაღალი ტემპით (17%) და მიაღწია სარეკორდო მაჩვენებელს 300 მილდ. აშშ დოლ. დასავლეთ აზიაში კი პუი-ის ნაკადი 61%-ით გაიზარდა და 90 მილიარდ. აშშ დოლ. შეადგინა (ძირითად საუდის არაბეთის ხარჯზე 38 მილიარდ. აშშ. დოლ.) ლათინური ამერიკის და კარიბის ქვეყნებში 2008 წელს პუი-ის ნაკადი 13%-ით გაიზარდა და 144 მილიარდ. აშშ დოლ. შეადგინა. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპასა და დსთ-ის ქვეყნებში პუი აგრძელებდა თავის რვაწლიან ზრდას 2008

წელსაც (ცხრილი 144). მან შეადგინა 114 მილრდ. აშშ დოლ. მიუხედავად ფინანსური რყევებისა და ზოგიერთ რეგიონში კონფლიქტური სიტუაციისა. პუი-ის ნაკადი სწრაფად იზრდებოდა ორთავე სუბრეგიონში. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში პუი-ის ძირითადი მამოძრავებელი ძალა იყო დარჩენილი სახელმწიფო აქტივების პრივატიზაცია, ხოლო დსთ-ის ქვეყნებში ტნკ-ების ინვესტიციები მოტივირებული იყო მიეღოთ უფლება მზარდ ადგილობრივ ბაზარზე და სხვადასხვა დარგებში შექმნილი ლიბერალური რეჟიმები.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები (შემოდინება) რეგიონების და შერჩეული ქვეყნების მიხედვით 1995-2008 წწ. (მილიარდი აშშ დოლარი)**[58]

*ცხრილი 14*

| # | ქვეყნები და რეგიონები | პუი-ის შემოდინება (მთლიანო მოცულობა, საშუალწლიური მაჩვენებელი) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1995-2000 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
| 1 | **განვითარებული ქვეყნები** | 534,9 | 36 1,3 | 414,2 | 613,1 | 972,8 | 1 358,6 | 962 ,3 |
| 2 | ევროპა | 323,3 | 27 9,8 | 227,7 | 506,1 | 631,7 | 899,6 | 518 ,3 |
| 3 | ევროკავშირი | 310,0 | 25 9,4 | 223,3 | 498,4 | 590,3 | 842,3 | 503 ,5 |
| 4 | იაპონია | 4,6 | 6,3 | 7,8 | 2,8 | - 6,5 | 22,5 | 24,4 |
| 5 | აშშ | 169,7 | 53,1 | 135,8 | 104,8 | 237,1 | 271,2 | 316 ,1 |
| 6 | **სხვა განვითარებული ქვეყნები** | 37,2 | 22,0 | 42,8 | - 0,6 | 110,4 | 165,3 | 103 ,4 |
| 7 | **განვითარებად ქვეყნები** | 188,3 | 18 4,0 | 290,4 | 329,3 | 433,8 | 529,3 | 620 ,7 |
| 8 | აფრიკა | 9,0 | 20,9 | 22,1 | 38,2 | 57,1 | 69,2 | 87,6 |
| 9 | ლათინური ამერიკა და კარიბის ქვეყნები | 72,9 | 45,8 | 95,1 | 77,1 | 93,3 | 127,5 | 144 ,4 |
| 10 | აზია და ოკეანია | 106,4 | 11 7,3 | 173,2 | 214,0 | 283,4 | 332,7 | 388 ,7 |
| 11 | აზია | 105,9 | 11 6,9 | 172,9 | 213,8 | 282,1 | 331,4 | 387 ,8 |
| 12 | დასავლეთ აზია | 3,3 | 11,3 | 20,5 | 43,6 | 67,6 | 77,6 | 90,3 |
| 13 | აღმოსავლეთ აზია | 70,7 | 72,7 | 106,3 | 116,2 | 131,8 | 150,4 | 187 ,0 |
| 14 | ჩინეთი | 41,8 | 53,5 | 60,6 | 72,4 | 72,7 | 83,5 | 108 ,3 |
| 15 | სამხრეთ აზაი | 3,9 | 8,2 | 10,7 | 14,4 | 27,8 | 34,0 | 50,7 |
| 16 | სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია | 28,0 | 24,7 | 35,5 | 39,6 | 55,0 | 69,5 | 59,9 |
| 17 | ოკეანია | 0,5 | 0,4 | 0,3 | 0,2 | 1,3 | 1,3 | 0,9 |
| 18 | **სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა და დსთ (გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკა)** | 7,3 | 19,9 | 30,3 | 30,9 | 54,5 | 90,9 | 114 ,4 |

[58] World investment report, transnational corporations, Agriqultural Production and development, 2009, annex table B1, p.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19 | სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა | 1,2 | 4,1 | 3,5 | 4,8 | 9,9 | 12,8 | 10,9 |
| 20 | დსთ | 6,1 | 15,8 | 26,8 | 26,1 | 44,7 | 78,1 | 103 ,5 |
| 21 | **მთელი მსოფლიო** | 730,5 | 56 5,2 | 734,9 | 973,3 | 1 461,1 | 1 978,8 | 1 697 ,4 |
| 22 | **განვითარებული ქვეყ-ნები %** | 73,2 | 63,9 | 56,4 | 63,0 | 66,6 | 68,7 | 56,7 |
| 23 | **განვითარებადი ქვეყ-ნები %** | 25,8 | 32,6 | 39,5 | 33,8 | 29,7 | 26,8 | 36,6 |
| 24 | **სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა და დსთ %** | 1,0 | 3,5 | 4,1 | 3,2 | 3,7 | 4,6 | 6,7 |

მსოფლიოს ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი და გლობალური დაცემა სერიოზულად აისახა მსოფლიოს ეკონომიკურად განვითრებულ ქვეყნებზეც. პუი-ის ნაკადმა განვითრებულ ქვეყნებში და ასევე, მათგან გადინებამ (ცხრილი 15), რომელმაც თავის ისტორიულ პიკს 2007 წელს მიაღწია, 2008 წელს მკვეთრად შემცირდა. პუი-ის შემოდინება შემცირდა 29% (962 მილიარდ აშშ დოლ) და ეს შემცირება შეეხო ყველა მიმღებ ქვეყანას აშშ-ის გარდა. ევროკავშირის 27 ქვეყანაში პუი-ის ნაკადი 2008 წელს დაეცა 40%-ით (503 მილდ. აშშ დოლ), ხოლო ევროპელი ინვესტორების მხრიდან აშშ-ში პუი-ის ნაკადი გაიზარდა 17%-ით და ისტორიულად რეკორდული მაჩვენებლი 316 მილდ. აშშ დოლარი შეადგინა.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები (გადინება ) რეგიონების და შერჩეული ქვეყნების მიხედვით 1995-2008 წწ. (მილიარდი აშშ დოლარი)**[59]

*ცხრილი 15*

| # | ქვეყნები და რეგიონე-ბი | პუი-ის გადინება (მთლიანი მოცულობა, საშუალო წლიური მაჩვენებელი) | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1995-2000 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
| 1 | **განვითარებული ქვეყ-ნები** | 626,3 | 507,2 | 795, 1 | 742,0 | 1 157,9 | 1 809,5 | 1 506,5 |
| 2 | ევროპა | 446,2 | 306,9 | 411,5 | 689,9 | 799,6 | 1 270,5 | 944,5 |
| 3 | ევროკავშირი | 416,9 | 285,0 | 377,3 | 609,7 | 697,2 | 1 192,1 | 837,0 |
| 4 | იაპონია | 25,1 | 28,8 | 31,0 | 45,8 | 50,3 | 73,5 | 128,0 |
| 5 | აშშ | 125,9 | 129,4 | 294,9 | 15,4 | 224,2 | 378,4 | 311,8 |
| 6 | **სხვა განვითარებული ქვეყნები** | 29,2 | 42,1 | 57,7 | - 9,1 | 83,8 | 87,1 | 122,3 |
| 7 | **განვითარებად ქვეყნე-ბი** | 74,5 | 45,5 | 120,4 | 122,7 | 215,3 | 285,5 | 292,7 |

[59] World investment report, transnational corporations, Agriqultural Production and development, 2009, annex table B1, p.

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | აფრიკა | 2,4 | 1,3 | 2,1 | 2,3 | 7,2 | 10,6 | 9,3 |
| 9 | ლათინური ამერიკა და კარიბის ქვეყნები | 21,1 | 21,3 | 28,0 | 36,0 | 63,6 | 51,7 | 63,2 |
| 10 | აზია და ოკეანია | 51,0 | 23,0 | 90,4 | 84,4 | 144,5 | 223,1 | 220,2 |
| 11 | აზია | 51,0 | 22,9 | 90,3 | 84,3 | 144,4 | 223,1 | 220,1 |
| 12 | დასავლეთ აზია | 0,9 | - 1,4 | 8,1 | 12,9 | 24,0 | 48,3 | 33,7 |
| 13 | აღმოსავლეთ აზია | 39,6 | 17,4 | 62,9 | 49,8 | 82,3 | 111,2 | 136,2 |
| 14 | ჩინეთი | 2,0 | 2,9 | 5,5 | 12,3 | 21,2 | 22,5 | 52,2 |
| 15 | სამხრეთ აზაი | 0,3 | 1,6 | 2,3 | 3,5 | 14,9 | 17,8 | 18,2 |
| 16 | სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია | 10,2 | 5,3 | 17,0 | 18,1 | 23,3 | 45,8 | 32,1 |
| 17 | ოკეანია | 0,0 | 0,0 | 0,1 | 0,1 | 0,0 | 0,0 | 0,1 |
| 18 | **სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა და დსთ (გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკა)** | 2,0 | 10,7 | 14,1 | 14,3 | 23,7 | 51,5 | 58,5 |
| 19 | სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა | 0,1 | 0,1 | 0,4 | 0,3 | 0,4 | 1,4 | 0,6 |
| 20 | დსთ | 1,9 | 10,6 | 13,8 | 14,0 | 23,3 | 50,1 | 57,9 |
| 21 | **მთელი მსოფლიო** | 702,8 | 563,4 | 929,6 | 879,0 | 1 396,9 | 2 146,5 | 1857,7 |
| 22 | **განვითარებული ქვეყნები %** | 89,1 | 90,0 | 85,5 | 84,4 | 82,9 | 84,3 | 81,1 |
| 23 | **განვითარებადი ქვეყნები %** | 10,6 | 8,1 | 13,0 | 14,0 | 15,4 | 13,3 | 15,8 |
| 24 | **სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპა და დსთ %** | 0,3 | 1,9 | 1,5 | 1,6 | 1,7 | 2,4 | 3,1 |

მოგების შემცირების შედეგად რეინვესტირებული შემოსავლების შემცირების შედეგად უცხოური ფილიალებიდან კრედიტების გადამისამერთებამ ტნკ-ების სათავო ოფისებში გამოიწვია განვითარებული ქვეყნებიდან პუი-ის გადინების შემცირება 17%-ით (1,5 ტრილ. აშშ დოლ). მიუხედავად ამისა, როგორც წარსულში, ახლაც განვითარებულმა ქვეყნებმა, როგორც ჯგუფმა, შეინარჩუნა მსხვილი საგარეო ინვესტორის პოზიცია. იმ ქვეყნებიდან, რომლებიც გვევლინებიან პუი-ის ყველაზე მსხვილ წყაროდ პუი-ის ზრდა 2008 წელს დაფიქსირდა იაპონიაში, შვეიცარიაში, კანადაში და დანიაში. ხოლო აშშ-მ ისევ შეინარჩუნა მსხვილი საგარეო ინვესტორის პოზიცია.

გლობალური კრიზისის პირობებში განვითარებული ქვეყნები პუი-ის როგორც შემოდინების, ისე გადინების შემცირების მოლოდინში არიან. კორპორატიული მოგების შემცირების, ფინანსური რესურსების შეზღუდული ფლობისა და ფინანსური ღირებულებების ზრდის გამო ტნკ-ები ამცი-

რებენ საინვესტიციო პროგრამებს. 2009 წლის I კვარტალის მონაცმებით პუი-ის ნაკადი 24% ნაკლები იყო 2008 წლის ბოლო კვარტლის მონაცემებთან შედარებით. ხოლო, საერთაშორისო შერწყმის და შეძენის საერთო მოცულობა 2009 წლის I ნახევარში 2008 წლის მეორე ნახევარის ანალოგიურ მონაცემებთან მიმართებით შემცირდა 40%-ით.

პუი-ის გაფართოებას ხელს უწყობს ნაციონალურ ეკონომიკაში ლიბერალიზაციის ტენდენციების გაძლიერება - სხვადასხვა დაბრკოლებების აღმოფხვრა, პროცედურათა გამარტივება და მათი განხორციელებისათვის სტიმულის შექმნა. 2008 წელსა და 2009 წლის I ნახევარში გლობალური კრიზისის პირობებში, მიუხედავად საინვესტიციო პროტექციონიზმის საფრთხის არსებობისა, პუი-ის პოლიტიკასთან მიმართებით შენარჩუნებული იქნა ლიბერალიზაციის საერთო ტენდენციები. მათ შორის პუი-ის გზაზე ბარიერებისა და კორპორატიულ შემოსავლებზე გადასახადების შემცირება. UNCTAD-ის ყოველწლიურ მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ პუი-თან მიმართებით ნაციონალურ კანონებში და დადგენილებებში ცვლილებები მეტყველებს, რომ 2008 წელს ამოქმედდა 110 ახალი ღონისძიება პუი-თან დაკავშირებით, რომელთაგან მხოლოდ 85 იყო ხელსაყრელი. ხოლო არახელსაყრელი ღონისძიებები 2007 წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან მიმართებით არ შეცვლილა (ცხრილი 16)

### ცვლილებები რომელიც შევიდა რეგულირების ეროვნულ რეჟიმებში 1992-2008 წწ.[60]

*ცხრილი 16*

| # | მაჩვენებელი | საშუალო წლიური სტატისტიკა | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1992-1994 | 1995-1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
| 1 | ქვეყნების რაოდენობა, რომლებმაც განახორციელს ცვლილება რეგულირების რეჟიმში | 49 | 66 | 70 | 71 | 72 | 82 | 103 | 92 | 91 | 58 | 55 |
| 2 | რეგულირების რეჟიმში ცვლილებების რაოდენობა | 95 | 132 | 150 | 207 | 246 | 242 | 270 | 203 | 177 | 98 | 110 |
| 3 | ხელსაყრელი ცვლილებების რაოდენობა | 94 | 121 | 147 | 193 | 234 | 218 | 234 | 162 | 142 | 74 | 85 |
| 4 | არახელსაყრელი ცვლილებების რაოდენობა | 1 | 11 | 3 | 14 | 12 | 24 | 36 | 41 | 35 | 24 | 25 |

ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე ასევე შენარჩუნებულია უცხოური ინვესტიციების კონტროლის ტენდენცია და იშვიათად, მაგრამ მაინც უცხოელთა საწარმოების ნაციონალიზაციის პოლიტიკა, ძირითადად ლათინური ამერიკის რამდენიმე ქვეყანაში.

საინვესტიციო პოლიტიკასთან მიმართებით 2008 წელი მსოფლიოში ასევე გამოირჩეოდა საერთაშორისო საინვესტიცო შეთანხმებების ქსელის გაფართოების აქტიურობით. დადებულ იქნა 59 ორმხვრივი საინვესტიციო ხელშეკრულბა, რომელთა საერთო რაოდენობა დღეისათვის 2676-მდე გაიზარდა.

---

[60] World investment report, transnational corporations, Agriqultural Production and development, 2009, annex table I 14, p.

რაც შეეხება ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ ხელშეკრულებებს, 2008 წელს დაიდო 75 ამგვარი ხელშეკრულება და მათმა საერთო რაოდენობამ 2805 შეადგინა. ამ წელს ის ხელშეკრულებები, რომლებიც საინვესტიციო დებულებებს შეიცავს 273-ით გაიზარდა. თუმცა, ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულების შეწყვეტის 6 შემთხვევა დაფიქსირდა. გაიზარდა სახემწიფოსა და ინვესტორს შორის დავების შემთხვევები, ამ წელს ასეთი 317 შემთხვევა დაფიქსირდა.

გლობალური კრიზისის შედეგად პუი-ის ნაკადების შემცირების მიუხედვად, ამ კუთხით არსებობს ოპტიმიზიმი. UNCTAD-ის ექსპერტების შეფასებით 2010 წელს ტნკ-ები ელიან თავიანთი გასავლების თანდათანობით გაზრდას პუი-ის სახით, ხოლო 2011 წელს ისინი 2008 წლის დონის მიღწევასაც კი ფიქრობენ. სამომავლოდ პუი-ის ნაკადების ზრდაში ლიდერები იქნებიან აშშ, ბრაზილია, ინდოეთი, ჩინეთი და რუსეთი. პუი-ის მომავალი ბუმის მამოძრავებელი იქნება ისეთი დარგები, რომლებიც ნაკლებ მგრძნობიარე იქნება საქმიანი აქტიურობის ციკლთან, ბაზარზე იმოქმედებს სტაბილური მოთხოვნილებით (აგროსამრეწველო კომპლექსი და მომსახურების სხვა დარგები) და რომლებსაც ექნებათ ხანგრძლივი ზრდის პერსპექტივა (ფარმაცევტული მრეწველობა). აღნიშნული დარგებით კი გამოირჩევა ამიერკავკასიის ქვეყნები და აქედან გამომდინარე უნდა ველოდოთ ინვესტიციების ზრდას სამომავლოდ, თუმცა, შესაბამისი მიზანმიმართული სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში.

### *2.3. თანამედროვე მსოფლიოს მსხვილი კორპორაციები/ბრენდები*

უკანასკნელ ხანს ტნკ-ების საქმიანობაში შემუშავდა მონოპოლისტური უპირატესობის თეორია. მონოპოლისტური საქმიანობა უზრუნველყოფს სხვადასხვა ქვეყნების ბაზრების ღრმა შერწყმას, თანამედროვე ტექნოლოგიების, მენეჯმენტის და მარკეტინგის ხელმისაწვდომობას, მთლიაონობაში ეკონომიკის შესაძლებლობებს მასშტაბურ წარმოებაში. მათი ერთ-ერთი ლოზუნგი გახდა საექსპორტო სტრატეგია, როგორც სწარფი ეკონომიკური ზრდის პირობა. ამრიგად, ტნკ-ების ეკონომიკურ ძალას ზრდის მათი საქმიანობის სხვადასხვა მექანიზმები და მსოფლიო ბაზარზე ექსპანსია. შედეგად ტნკ-ები გარდაიქმნენ მსოფლიო სამეურნეო კავშირების მთავარ სუბიექტად და წარმოადგენენ უდიდეს მრავალეროვნულ კომპანიებს  სათავო კომპანიის სააქციო კაპიტალის სტრუქტურიდან და მთელი კორპორაციის საქმიანობაზე კონტროლის ხასიათიდან გამომდინარე. ისეთი კომპანიები როგორიცაა ,,ჯენერალ ავტოსი", ,,სიმენსი", ,,ფილიპსი" და სხვები მოქმედებენ ათეულობით ქვეყანაში, სადაც შექმნილი აქვთ მრავალი შვილობილი კომპანია, ფილიალი, წარმომადგენლობა. 20 ათასი ტნკ-ედან 1/10 წილ მოგებას ღებულობს საზღვარგარეთ საწარმოო საქმიანობიდან და უზრუნველყოფს პირდაპირი ინვესტიციების ძირითად ნაკადს მსოფლიო მეურნეობაში. ტნკ-ების ფილიალების დიდი ნაწილი საზღვარგარეთაა წარმოდგენილი და მათი გაყიდვების დიდი ნაწილი საგარეო ბაზრებზე წარმოებს.

მსოფლიოს წამყვანი ტნკ-ეების სახელწოდებები და მათ მიერ წარმოებული საქონელი მსოფლიოს მრავალ როგორც განვითარებულ ქვეყნებში, ისე ყველაზე დაბალგანვი-

თარებად ქვეყნებში ყოფით სიტყვებსაც კი წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტნკ-ების რეალიზაციის დიდი ნაწილი, მოსახლეობის მაღალი მსყიდველობითუნარიანობიდან გამომდინარე განვითარებულ ქვეყნებზე მოდის. ასეთი კომპანიებია: General Avto s, Coca Cola, Siemens, Mcdonalds, Nokia, DaimlerChrysler, Procter&Gamblee, IBM, Xerox, Gillette, Nestle, Pholips, Exxona, Alcatel, Honda, Sony, BMW, Volvo, Philip Avto rs, Avto ola, Bocsh, Johnson&johnson, Ford, sony, BP da sxva[61].

2009 წელს ჟურნალმა ,,ფორბსმა" გამოაქვეყნა 2000 წარმატებული კომპანიის რეიტიგი[62]. მათ შორის 100 და მეტი კომპანია ეკუთვნის: ამერიკის შეერთებულ შტატებს 551, იაპონიას - 296, ჩინეთს - 167 (პლუს ჰონკონგი - 43), 50 და მეტი კომპანია ეკუთვნის დიდ ბრიტანეთს - 95, საფრანგეთს - 73, გერმანიას - 57, კანადას - 54, სამხრეთ კორეას 61, 20 და მეტი კომაპანია ეკუთვნის ტაივანს -49, ინდოეთს - 48, ავსტრალიას - 47, შვეიცარიას - 45, იტალიას - 33, ბრაზილიას - 31, ესპანეთს - 33, რუსეთს - 26, შვედეთს - 22, ნიდერლანდებს - 22, სინგაპურს - 22, 10 და მეტი კომპანია მექსიკას - 18, ბერმუდს - 19, სამხრეთ აფრიკას 19, საუდის არაბეთს - 14, მალაიზიას - 19, ფინეთს - 13, საბერძნეთს - 13, ისრაელს - 16, ბელგიას - 12, არაბეთის გაერთიანებული საამიროებს - 13, დანიას - 12, თურქეთს - 13, ავსტრიას - 12, ქუვეითს 11, ტაილანდს - 10 პორტუგალიას - 10, 10-ზე ნაკლები ნორვეგიას - 9, ლუქსემბურგს - 9, ირლანდიას 9, კატარს - 9, ჩილეს - 8, ეგვიპტეს - 3, პოლონეთს - 4, ფილიპინებს - 3, ინდონეზიას - 6, ყაზახეთს -1, ჩეხეთს - 1, ლიბერიას - 1, უნგრეთს - 2 და ა.შ. სიის პირველ ოცეულშიც თვალშისაცემია აშშ ტნკ-ები (ცხრილი 17).

---

[61] რ. ფუტკარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 121.

[62] წყარო: Forbes, http://www.forbes.com/lists/2009/18/global-09_The-Global-2000_Rank.html

**ჟურნალმა ,,ფორბსის" მიერ გამოვლენილი 2000 წარმატებული კომპანიის რეიტიგის სიის პირველი ოცეული ასე გამოიყურება[63]**

*ცხრილი 17*

| | კომპანია | ქვეყანა | დარგი | გაყიდვების მოცულობა (მილ აშშ დოლ) | მოგება (მილ აშშ დოლ) | აქტივები (მილ აშშ დოლ) | საბაზრო კაპიტალიზაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **General Electric** | აშშ | კონგლომერატი | 182.52 | 17.41 | 797.77 | 89.87 |
| 2 | **Royal Dutch Shell** | ნიდერლანდები | გაზი და ნავთობი | 458.36 | 26.28 | 278.44 | 135.10 |
| 3 | **Toyota Motor** | იაპონია | ფართო მოხმარების საქონელი | 263.42 | 17.21 | 324.98 | 102.35 |
| 4 | **ExxonMobil** | აშშ | გაზის და ნავთობის დამუშავება | 425.70 | 45.22 | 228.05 | 335.54 |
| 5 | **BP** | გაერთ.სამეფო | გაზის და ნავთობის დამუშავება | 361.14 | 21.16 | 228.24 | 119.70 |
| 6 | **HSBC Holdings** | გაერთ.სამეფო | საბანკო საქმე | 142.05 | 5.73 | 2,520.45 | 85.04 |
| 7 | **AT&T** | აშშ | სატელეკომუნიკაციო მომსახურება | 124.03 | 12.87 | 265.25 | 140.08 |
| 8 | **Wal-Mart Stores** | აშშ | გაყიდვები | 405.61 | 13.40 | 163.43 | 193.15 |
| 9 | **Banco Santander** | ესპანეთი | საბანკო საქმე | 96.23 | 13.25 | 1,318.86 | 49.75 |
| 9 | **Chevron** | აშშ | გაზის და ნავთობის დამუშავება | 255.11 | 23.93 | 161.17 | 121.70 |
| 11 | **Total** | საფრანგეთი | გაზის და ნავთობის დამუშავება | 223.15 | 14.74 | 164.66 | 112.90 |
| 12 | **ICBC** | ჩინეთი | შაბანკო საქმე | 53.60 | 11.16 | 1,188.08 | 170.83 |
| 13 | **Gazprom** | რუსეთი | გაზის და ნავთობის დამუშავება | 97.29 | 26.78 | 276.81 | 74.55 |
| 14 | **PetroChina** | ჩინეთი | გაზის და ნავთობის დამუშავება | 114.32 | 19.94 | 145.14 | 270.56 |
| 15 | **Volkswagen Group** | გერმანია | ფართო მოხმარების საქონელი | 158.40 | 6.52 | 244.05 | 75.18 |
| 16 | **JPMorgan Chase** | აშშ | საბანკო საქმე | 101.49 | 3.70 | 2,175.05 | 85.87 |
| 17 | **GDF Suez** | საფრანგეთი | კომუნალური მომსახურება | 115.59 | 9.05 | 232.71 | 70.46 |
| 18 | **ENI** | იტალია | გაზის და ნავთობის დამუშავება | 158.32 | 12.91 | 139.80 | 80.68 |
| 19 | **Berkshire Hathaway** | აშშ | ფინანსური საქმიანობა | 107.79 | 4.99 | 267.40 | 122.11 |
| 20 | **Vodafone** | გაერთ.სამეფო | სატელეკომუნიკაციო მომსახურება | **70.39** | **13.30** | **252.08** | **93.66** |

Forbes-ის მიერ მსოფლიოს უდიდესი 2000 კომპანია შეფასებულ იქნა გაყიდვების, მოგების, აქტივების და საბაზრო კაპიტალიზაციის მოცულობის მიხედვით. აღნიშნული სია კარგად აჩვენებს გლობალური ბიზნესის დინამიზმს. რანჟირებამ მოიცვა 62 ქვეყანა. როგორც ყოველთვის, კომპანიე-

[63]წყარო: The Global 2000, http://www.forbes.com/lists/2009/18/global-09_The-Global-2000_Rank.html

ბის რაოდენობით აშშ კვლავ ინარჩუნებს ლიდერობას. მას სიაშ მეოთხედი ადგილი უჭირავს 551 კომპანიის მიხედვით. თუმცა 2004 წელთან შედარებით ეს 200 კომპანიით ნაკლებია. მიმდინარე წელს ჩინეთს ჰყავს 167, სამხრეთ კორეას 61 და ინდოეთს 47 კომპანია. სიახლე ყაზახური კომპანიის გამოჩენაა სიაში. აღნიშნულ სიაში წარმოდგენილია არაბული ქვეყნების კომპანიები, თითეულ მათგანს 10-მდე კომპანია მაინც ყავს სიაში. პოზიციებს ამყარებენ რუსული კომპანიებიც.

გლობალური კომპანიების საერთო შემოსავალმა 2009 წელს 32 ტრილ. აშშ დოლ. შეადგინა (2008 წელს 30 ტრილ აშშ დოლ.). მათგან მოგებამ 1,6 ტრილ. აშშ დოლ. (2008 წელს 2,5 ტრილ. აშშ დოლ.), აქტივების ღირებულება 125 ტრილ აშშ დოლ (2008 წელს 119 ტრილ. აშშ დოლ), საბაზრო კაპიტალიზაციამ კი 20 ტრილ. აშშ. დოლ (2008 წელს 39 ტრილ. აშშ დოლ.). მართალია გლობალური 2000 კომპანია აგრძელებს შემოსავლებისა და აქტივების დაგროვებას, თუმცა უკანასკნელ ხანს (მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო) შეიმჩნევა, რომ არ გარდაიქმნებიან მოგებად. გასულ წელთან შედარებით საერთო მოგება დაეცა 31%-ით, ხოლო საბაზრო კაპიტალიზაცია 49%-ით.

2000 გლობალურ კომპანიას შორის წამყვან პოზიციას ისევ საბანკო სექტორი ინარჩუნებს. ამ სიაში შესული აქტივების ღირებულებით 307 კომპანიაა (2007 წელს 315). სიაში ნავთობისა და გაზის მრეწველობა წარმოდგენილია 126 კომპანიით (2007 წელს 123) მაღალი გაყიდვების, მოგებისა და საფონდო ბირჟებზე ღირებულების სიდიდით. სიაში, ასევე ლიდერობენ სამრეწველო კომპანიებიც. ამჟამად სიის ლიდერად გამოვლინდა ამერიკული კომპანია **General Electric,** რომლის გაყიდვების მოცულობა შეადგენს 182.52 მილ. აშშ დოლ., მოგება კი 17.41 მილ. აშშდოლ., გასულ წელს ლიდერობდა ბრიტანული კომპანია **HSBC Holdings.**

ჟურნალ Eortuna-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 გლობალური კომპანიის რეიტინგში ლიდერობენ ასევე აშშ, იაპონია, ჩინეთი (ცხრილი 18).

**მსოფლიოს 500 წამყვანი კომპანია შემოსავლების და მოგების მიხედვით 2009 წლის ივლისის მდგომარეობით[64]**

*ცხრილი 18*

| # | კომპანიები | შემოსავალი ( მილიონი $) | მოგება (მილიონი $) |
|---|---|---|---|
| 1 | Royal Dutch Shell | 458,361 | 26,277 |
| 2 | Exxon Mobil | 442,851 | 45,220 |
| 3 | Wal-Mart Stores | 405,607 | 13,400 |
| 4 | BP | 367,053 | 21,157 |
| 5 | Chevron | 263,159 | 23,931 |
| 6 | Total | 234,674 | 15,500 |
| 7 | ConocoPhillips | 230,764 | -16,998 |
| 8 | ING Group | 226,577 | -1,067 |
| 9 | Sinopec | 207,814 | 1,961 |
| 10 | Toyota Avto | 204,352 | -4,349 |
| 11 | Japan Post Holdings | 198,700 | 4,208 |
| 12 | General Electric | 183,207 | 17,410 |
| 13 | China National Petroleum | 181,123 | 10,271 |
| 14 | Volkswagen | 166,579 | 6,957 |
| 15 | State Grid | 164,136 | 664 |
| 16 | Dexia Group | 161,269 | -4,868 |
| 17 | ENI | 159,348 | 12,917 |
| 18 | General Avto s | 148,979 | -30,860 |
| 19 | Ford Avto | 146,277 | -14,672 |
| 20 | Allianz | 142,395 | -3,577 |
| 21 | HSBC Holdings | 142,049 | 5,728 |
| 22 | Gazprom | 141,455 | 29,864 |
| 23 | Daimler | 140,328 | 1,973 |
| 24 | BNP Paribas | 136,096 | 4,422 |
| 25 | Carrefour | 129,134 | 1,862 |
| 26 | E.ON | 127,278 | 1,853 |
| 27 | PDVSA | 126,364 | 7,451 |
| 28 | ArcelorMittal | 124,936 | 9,399 |
| 29 | AT&T | 124,028 | 12,867 |
| 30 | Siemens | 123,595 | 8,595 |
| 31 | Pemex | 119,235 | -10,056 |
| 32 | Hewlett-Packard | 118,364 | 8,329 |
| 33 | Valero Energy | 118,298 | -1,131 |
| 34 | Petrobras | 118,257 | 18,879 |
| 35 | Banco Santander | 117,803 | 12,992 |
| 36 | Statoil Hydro | 116,211 | 7,664 |
| 37 | Bank of America Corp. | 113,106 | 4,008 |
| 38 | Royal Bank of Scotland | 113,087 | -43,167 |
| 39 | Citigroup | 112,372 | -27,684 |
| 40 | Samsung Electronics | 110,350 | 5,027 |
| 41 | Berkshire Hathaway | 107,786 | 4,994 |
| 42 | McKesson | 106,632 | 823 |
| 43 | Sociйtй Gйnйrale | 104,378 | 2,942 |
| 44 | Nippon Telegraph & Telephone | 103,684 | 5,362 |
| 45 | International Business Machines | 103,630 | 12,334 |
| 46 | Crйdit Agricole | 103,582 | 1,499 |
| 47 | Assicurazioni Generali | 103,103 | 1,260 |
| 48 | Nestlй | 101,565 | 16,670 |
| 49 | J.P. Morgan Chase & Co. | 101,491 | 5,605 |
| 50 | Metro | 101,217 | 590 |
| 51 | Honda Avto | 99,652 | 1,364 |
| 52 | Hitachi | 99,544 | -7,837 |
| 53 | GDF Suez | 99,419 | 7,109 |

64 წყარო:FORTUNE, GLOBal 500, http://money.cnn.com/magazines/fortune/global500/2009/full_list/

| | | | |
|---|---|---|---|
| 54 | Deutsche Post | 98,708 | -2,471 |
| 55 | Verizon Communications | 97,354 | 6,428 |
| 56 | Tesco | 94,300 | 3,751 |
| 57 | Йlectricitй de France | 94,084 | 4,976 |
| 58 | UniCredit Group | 94,036 | 5,872 |
| 59 | BASF | 91,193 | 4,262 |
| 60 | Cardinal Health | 91,091 | 1,301 |
| 61 | Deutsche Telekom | 90,260 | 2,171 |
| 62 | Enel | 90,005 | 7,747 |
| 63 | CVS Caremark | 87,472 | 3,212 |
| 64 | Fiat | 86,914 | 2,360 |
| 65 | Lukoil | 86,340 | 9,144 |
| 66 | Telefynica | 84,815 | 11,112 |
| 67 | Nissan Avto | 83,982 | -2,326 |
| 68 | Procter & Gamble | 83,503 | 12,075 |
| 69 | LG | 82,082 | 830 |
| 70 | Deutsche Bank | 81,360 | -5,613 |
| 71 | UnitedHealth Group | 81,186 | 2,977 |
| 72 | SK Holdings | 80,810 | 259 |
| 73 | AXA | 80,257 | 1,351 |
| 74 | ThyssenKrupp | 80,210 | 3,295 |
| 75 | Peugeot | 79,560 | -502 |
| 76 | Repsol YPF | 79,177 | 3,968 |
| 77 | France Тйлйcom | 78,290 | 5,956 |
| 78 | BMW | 77,864 | 474 |
| 79 | Panasonic | 77,298 | -3,772 |
| 80 | Petronas | 76,965 | 15,309 |
| 81 | Sony | 76,945 | -985 |
| 82 | Kroger | 76,000 | 1,249 |
| 83 | Barclays | 75,136 | 8,035 |
| 84 | U.S. Postal Service | 74,932 | -2,806 |
| 85 | Nokia | 74,224 | 5,837 |
| 86 | Marathon Oil | 73,504 | 3,528 |
| 87 | Hyundai Avto | 72,542 | 780 |
| 88 | Costco Wholesale | 72,483 | 1,283 |
| 89 | Rwe | 71,851 | 3,744 |
| 90 | Home Depot | 71,288 | 2,260 |
| 91 | AmerisourceBergen | 70,594 | 251 |
| 92 | Industrial & Commercial Bank of China | 70,568 | 15,948 |
| 93 | Archer Daniels Midland | 69,816 | 1,802 |
| 94 | Vodafone | 69,138 | 5,188 |
| 95 | Munich Re Group | 67,515 | 2,200 |
| 96 | Nippon Life Insurance | 66,621 | 1,514 |
| 97 | Toshiba | 66,239 | -3,420 |
| 98 | Robert Bosch | 66,052 | 504 |
| 99 | China Mobile Communications | 65,015 | 11,442 |
| 100 | Target | 64,948 | 2,214 |
| 101 | Nippon Oil | 64,198 | -2,505 |
| 102 | Saint-Gobain | 64,109 | 2,017 |
| 103 | Johnson & Johnson | 63,747 | 12,949 |
| 104 | EADS | 63,326 | 2,301 |
| 105 | Indian Oil | 62,993 | 565 |
| 106 | A.P. Мшller-Мжrsk Group | 62,637 | 3,330 |
| 107 | HBOS | 62,400 | -13,751 |
| 108 | Morgan Stanley | 62,262 | 1,707 |
| 109 | Hon Hai Precision Industry | 61,861 | 1,749 |
| 110 | Groupe Caisse d'Йpargne | 61,551 | -2,949 |
| 111 | State Farm Insurance Cos. | 61,343 | -542 |
| 112 | WellPoint | 61,251 | 2,491 |
| 113 | Banco Bilbao Vizcaya Argentaria | 61,184 | 7,348 |
| 114 | Mitsubishi | 61,182 | 3,682 |
| 115 | Dell | 61,101 | 2,478 |
| 116 | Boeing | 60,909 | 2,672 |
| 117 | Microsoft | 60,420 | 17,681 |
| 118 | PTT | 59,985 | 1,550 |
| 119 | UBS | 59,882 | -19,301 |
| 120 | BHP Billiton | 59,473 | 15,390 |
| 121 | Unilever | 59,313 | 7,358 |
| 122 | Walgreen | 59,034 | 2,157 |
| 123 | United Technologies | 58,681 | 4,689 |
| 124 | Tokyo Electric Power | 58,605 | -841 |
| 125 | China Construction Bank | 57,977 | 13,324 |
| 126 | Groupe Auchan | 57,792 | 1,064 |
| 127 | Dow Chemical | 57,514 | 579 |
| 128 | Mitsubishi UFJ Financial | 56,514 | -2,558 |

| | | | |
|---|---|---|---|
| | Group | | |
| 129 | Seven & I Holdings | 56,107 | 917 |
| 130 | Renault | 55,314 | 836 |
| 131 | Mitsui | 55,098 | 1,768 |
| 132 | MetLife | 55,085 | 3,209 |
| 133 | China Life Insurance | 54,534 | 473 |
| 134 | Rio Tinto Group | 54,264 | 3,676 |
| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | ნიკაცია | 257 | 758 | 828 | | | | |
| 19 | 93 | Petroleos De Venezuela Bolivarian | ვენეს. | ნავთობის მოპოვება გადამუშა-ვება და ტრანსპორ-ტირება | 10 082 | 107 672 | 31 917 | 96 242 | 5 140 | 61 909 | 16.9 |
| 20 | 39 | Capitaland Limited | სინგაპ. | მშენებლო-ბა და უძრა-ვი ქონება | 9 977 | 17 930 | 2 011 | 2 632 | 17 732 | 35 850 | 60.5 |

კომპანიების ნაციონალიზაციის თვალსაზრისით, აზია მათი გავლენის ზრდის კვალობაზე რჩება უდიდეს მშობლიურ რეგიონად. ჰონგ-კონგი და ტაივანი UNCTAD-ის 2007 და 2008 წლების რეიტინგულ მონაცემებში ინარჩუნებენ დომინანტ როლს განვითარებადი ქვეყნების 100 უდიდეს ტნკ-ს შორის. სინგაპური და ჩინეთი, თითეული 11 კომპანიით ზრდის მათ რაოდენობას, სამხრეთ აფრიკა - 9, მალაიზია – 6, ბრაზილია – 3, მექსიკა - 5, სამხრეთ კორეა - 5, ინდოეთი – 2, ქუვეითი – 2, თითო კომპანიით სიაში მოხვედნენ კატარი, ვენესუელა, ტაილანი, ფილიპინები და თურქეთი.

განვითარებადი ქვეყნების 100 ტნკ-ის წარმოების სფეროში აქტიურობის მიხედვითაც სხვადასხვა სახეს ავლენენ. მათგან 19 ისევე დაკავებულია ელექტრონულ და კომპიუტერულ წარმოებაში, მათ მოჰყვება ნავთობის მრეწველობაში დაკავებული – 9, კავშირგაბმულობაში – 7, კვებისა და სასმელების წარმოებაში – 7, ტრანსპორტსა და შენახვების სექტორში – 6. აქ ასევე წარმოდგენილია დივერსიფიცირებული წარმოების მქონე ტნკ-ები – 12, მსოფლიოს 100 უდიდეს ტნკ-სთან მიმართებით, მათ შორის ბევრად ძლიერი ტნკ-ების რიცხვი ხუთს აღწევს.

განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ების ინტერნაციონალიზაციის (TNI) ხარისხიც განსხვავებულია წარმოების მიხედვით. ელექტრონული და კომპიუტერული ტექნიკის მწარმოებელი ტნკ-ების TNI საშუალოდ მცირედით მაღალია, ვიდრე მათი კოლეგების მსოფილოს უდიდესი ტნკ-ების. ასევე ტელეკომუნიკაციის, ნავთობისა ავტოსატრანსპორტო ნაწილების წარმოებაშიც მათი ხარისხი უფრო დაბალია.

მსოფლიო კრიზისმა განივითარებადი ქვეყნების ექსპორტზეც მოახდინა გავლენა. 2008 წლის ბოლო კვარტალიდან აშკარა იყო შემცირება სახეზე. ამ პერიოდიდან მთელი წლის განამვლობაში ექსპორტი 28,9%-ით დაეცა. თუმცა, გაყიდევების მოცულობის შემცირებისა მიუხედავად ბევრმა მათგანა შიდა ბაზრის ზრდის წყალობით სარგებელიც კი ნახა, განსაკუთრებით აზიაში. მათ განკარგულებაში მყოფი ამ ფულით მათ სარგებელიც შეეძლოთ მიეღოთ, კერძოდ ამჟამად აქტივების დაბალი ფასების გამო მოეხდინათ ახალი მონაპოვარის შეძენა იმისათვის, რომ გაეძლიერებინათ მათი პოზიციები განვითარებული ქვეყნების ბაზრებზე და მიეღოთ ტექნოლოგიური შესაძლებლობები.

განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ების განვითარების ტენდენციები აჩვენებს მათი როლის ზრდას მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში.

# თავი III

## ტრანსნაციონალური კორპორაციები და მსოფლიო პოლიტიკური პროცესები

### *3.1. ტრანსნაციონალური გაერთიანებები – მსოფლიო პოლიტიკის ახალი გამოწვევა*

უკნასკნელ პერიოდში პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებებში გლობალიზაციის საკითხის პარალელურად მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ტრანსნაციონალური ურთიერთობების და ტრანსნაციონალური გაერთიანებების შესწავლამ. კვლევის ერთ-ერთი საკითხთაგანია ტნკ-ების, როგორც მსოფლიო პოლიტიკის აქტიური სუბიექტის განხილვა. ტნკ-ების მზარდმა როლმა საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ არენაზე სამეცნიერო თეორიებში განაპირობა მსჯელობა სახელმწიფოს მომავალი ბედის შესახებ. ამ მხრივ „ძალის პოზიციის", „ტრანსნაციონალიზმის" „ნეოლიბერალიზმის", „გლობალიზმის" თეორიული მიმართულებები ამ საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ვარაუდობენ, რომ ასეთ პირობებში სახელმწიფო დაკარგავს ბევრ ეკონომიკურ ფუნქციას ან უახლოეს ხანში ტნკ-ების ხელში გადავა.

მსოფლიო ეკონომიკის და პოლიტიკის გლობალიზაცია მნიშვნელოვნად ზრდის სხვადასხვა კომპანიების, დაჯგუფებების, გაერთიანებების და ფიზიკური პირების როლს საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებში. საერთაშორისო ურთიერთობებზე დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის ხელისუფლება, მაგრამ არსებობს სხვა ფაქტორები, რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფოს პოლიტიკისათვის. ესაა სახელმწიფოს შიგნით არსებული ინტერესები, ანუ **ქვესახელმწიფოებრივი სუბიექტები,** რაც გავლენას ახდენს საგა-

რეო პოლიტიკაზე. **ქვესახელმწიფოებრივი** ეკონომიკური სუბიექტების – კომპანიების, მომხმარებლების, დასაქმებული (მოსამსახურე) პირების, ინვესტორების – საქმიანობის საფუძველზე იქმნება ეკონომიკური აქტივობის კონტექსტი, რაც განსაზღვრავს საერთაშორისო ეკონომიკური და პოლიტიკური მოვლენების განვითარების ტენდენციებს.

ტნკ-ებს ექსპანსია XX ს-ის მეორე ნახევრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფენომენია. ეს პროცესი განსაკუთრებით თვალშისაცემია უკანასკნელ ათწლეულებში. ფაქტობრივად, ტნკ-ები წყვეტენ მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური დაყოფის საკითხებს, რომლებიც დგანან მსოფლიოს ზენაციონალური მთავრობის შექმნის ზღვარზე. მსოფლიოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში ტრანსანციონალური კორპორაციების როლზე მეტყველებს გაეროს ფარგლებში ტნკ-ების შესწავლის კომისისა და ცენტრის შექმნა, რომლებიც განიხილავენ ტნკ-ების საქმიანობის სხვადასხვა ასპექტებს ცალკეულ ქვეყნებთან და მთლიანად მსოფლიოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებასთან მიმართებით.

ტნკ-ების ხშირად სდევდა და სდევს ომები და სახელმწიფო გადატრიალებები ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ლათინურ ამერიკაში, სამთავრობო ცვლილებები ევროპის და აზიის ქვეყნებში. ხოლო შედეგები, რომლებსაც ტნკ-ები ამის გამო ღებულობენ, იზომება არა ათეულობით ან ასეულობით მილიონი დოლარით, არამედ მილიარდობით. კორპორაციებს შორის ბრძოლა ნედლეულის წყაროებისა და გასაღების ბაზრებისათვის ხშირად სახელმწიფოებს შორის, სადაც ისინი ოპერირებდნენ, ომითაც კი დასრულებულა. ლათინურ ამერიკაში ე.წ. ,,ჩაკოს ომი" ბოლივიასა და პარაგვაის შორის (1932-1935 წწ.) ცნობილი ისტორიაა. იგი გამოწვეული იყო ამერიკულ კორპორაცია ,,სტანდარტ ოილ ოფ ნიუ-ჯერსის (ახ. ექსონ-მობილი) და ინგლისურ-ჰოლანდიურ

კორპორაცია „როიალ დაჩ შელს" შორის დაპირისპირებით ჩაკოში ნავთობსაბადოს აღმოჩენასთან დაკავშირებით[76].

დღეს ტნკ არის მსოფლიო პოლიტიკის ახალი გამოწვევა. იგი აქტიურად მონაწილეობს ყველა გლობალურ პროცესში, რომელიც მსოფლიოში ხდება. ტნკ-ები სამრეწველო კუთხით განვითარებულ ქვეყნებში ფართოდ ავლენს საკუთარ თავს პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საფინანსო-საინვესტიციო, საინფორმაციო, სამეცნიერო-ტექნიკურ, სამხედრო, ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ სფეროებში.

როგორც პირველ თავში აღვნიშნეთ, XIX ს-დან, როცა პირველი ტნკ-ები გაჩნდა, მათმა საქმიანობამ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა. პირველი ტნკ-ები დაკავშირებული იყო ყოფილი კოლონიების სანედლეულო რესურსებთან. შემდეგ გამოჩნდნენ ტრესტები , რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ სამხედრო-ტექნიკური პროდუქციის გამოშვებაზე. 60-იან წლებში ტნკ-ები თავიანთ საქმიანობში აქტიურად იწყებენ სმეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების გამოყენებას, ხოლო უკანასკნელი ორი ათეული წელია მათ ერთმანეთს დაუკავშირეს ეროვნული და საერთაშორისო წარმოება. მათ მოახდინეს წარმოების პროცესის საერთო სტანდარტების და პრინციპების გავრცელება და დანერგვა. 80-აინი წლებიდან გამოჩნდნენ თანამედროვე ტიპის გლობალური ტნკ-ები. ისინი კოორდინაციას უწევენ საკუთარი ფილიალების საქმიანობას ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების საფუძველზე; ასევე, აერთიანებენ მათ ფილიალებს, ქარხნებს და ერთობლივ საწარმოებს მართვის ერთიან საერთაშორისო ქსელში, რომელიც თავის მხრივ, ინტეგრირებულია ტნკ-ების სხვა ანალოგიურ ქსელებთან; ახორციელებენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ გავლენას იმ სახელმწიფოებზე სადაც ისინი მოქმედებენ.

---

[76] В. Самофалов, Глобальный вызов транснациональных корпораций, Жур. Зеркало недели, №31 (456), 16-23 август, 2003.

ტნკ-ების გავლენის გაძლიერების ერთ-ერთი მთავრი ფაქტორი არის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც დაიწყო 70-ანი წლების შუა ხანებში. საინფორმაციო რევოლუციამ გააძლიერა ტრანსნაციონალიზაციის და გლობალიზაციის პროცესები, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად მცირე დროში და მცირე საშუალებებით გაიზარდა მოთხოვნილება ინფორმაციის გადაცემაზე. შესაბამისად, დაჩქარდა სივრცეში ერთმანეთისაგან რამდენადმე დაშორებული სუბიექტების ურთიერთობების პროცესი.

ტნკ-ები ეს არის მსხვილი ბიუროკრატიული კორპორაციები, რომლებიც ახერხებენ კორპორატიული სტრუქტურის ზღვარის გადალახვას, თავიანთ კონტროლს უქვემდებარებენ ფულის დიდ ნაკადს და გვევლინებიან მომრიგებლებად სახელმწიფო დონეზე. ისინი იზიდავენ მსოფლიო კლასის ტექნოლოგიებს და ფლობენ დახურული ინფორმაციის დიდ რაოდენობას.

საგარეო პლიტიკაში ტნკ-ები ახდენენ საკუთარი კორპორატიული დიპლომატიის რეალიზაციას. ხოლო შიდაკორპორატიული პოლიტიკის წარმატების უზრუნევლყოფისათვის ქმნიან საკუთარ იდეოლოგიას. მათ ჰყავთ საკუთარი სპეცსამსახურებიც კი, ხოლო იარაღით, რომელსაც ისინი უშვებენ, მაგ., ,,ჯენერალ დაინემიკსი”, შეიძლება შეიარაღდეს ბევრი სახელმწიფო.

ამჟამად გლობალურ პროცესებში წამყვან როლს თამაშობენ აშშ-ის ტნკ-ები. ისინი სავაჭრო-საინვესტიციო ექსპანსიის მასშტაბების და ხასიათის მიხედვით უსწრებენ სხვა ქვეყნების სამრეწველო-საფინანსო კომპანიებს. თუმცა, უკანასკნელ ხანს ეს უპირატესობა თანდათან მცირდება დასავლეთ ევროპის და იაპონიის, ასევე განვითარებადი ქვეყნების ტნკ-ების პოზიციების გაძლიერების ხარჯზე. უკანასკნელ ხანს ასევე გააქტიურდა რუსული სახელმწფო ტნკ-ები,

რომლებსაც მკვეთრად გამოხატული ექსპანსიონისტური ხასიათი აქვს.

ყველა ეს გარემოება თანდათან აშკარას ხდის ტრანსნაცონალური გაერთიენებების როლს და დგილს თანამედროვე მსოფლიოში. ტრანსნაციონალური კაპიტალი ნაციონალური საზღვრების გადალახვით ქმნის საერთაშორისო ურთიერთობების ახალ სისტემას, რომელშიც მნიშვენოლოვან როლს თამაშორბენ სახელმწიფოებრივი გაერთიანებები და ტნკ-ები.

ქვეყნებში, სადაც განლაგებულნი არიან ტნკ-ები პოლიტიკურ სფეროში მათი საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა სახელმწიფოს ცენტრალური და რეგიონალური, სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლების ხელმძღვანელობასთან, წამყვან პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მასმედიასთან ურთიერთობების და კონტაქტების დამყარება და გაძლიერება. ტნკ-ების მიერ ეს მიიღწევა საკადრო როტაციის გზით ტნკ-ს და მნიშვნელოვან სახელმწიფო ორგანოებს შორის, საარჩევნო პროცსში კორპორაციის აქტიური მონაწილეობით, კომპანიის ინტერესების ლობირებით[77].

მართალია, გლობალიზაციის პროცესების გავლენით მიმდინარეობს სახელმწიფოსგან გარკვეული ფუნქციების ჩამოშორება ახალი ფუნქციების შეძენის პარალელურად, მაგრამ ტნკ-ების გიგანტური ზომა, საქმიანობის მასშტაბები და მათი გლობალური ეკონომიკის რეალურ სუბიექტებად ჩამოყალიბება არ ნიშნავს, რომ მათ შესწევთ უნარი, შეასრულონ ყველა ის ფუნქცია, რომელიც ტრადიციულად, სახელმწიფოებს ეკისრებოდათ. ტნკ-ების მოტივაცია მოგებაზე ორიენტირებული გლობალური საქმიანობაა და ის მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ამ მიზნის სარეალიზაციოდ,

[77] В. Самофалов, Глобальный вызов транснациональных корпораций, Жур. Зеркало недели, №31 (456), 16-23 август, 2003.

არაა მოწოდებული და ვერ იქნება უზრუნველმყოფი. მაგალითად, სოციალური უთანაბრობის პრობლემების გადაწყვეტა ერთი ქვეყნის შიგნით ან გლობალური მასშტაბით. სახელმწიფოებს კი შეუძლიათ დააბალანსონ ზემოაღნიშნულ სამ დონეზე მოქმედი ეკონომიკური სუბიექტებისა და ძალების ინტერესები[78].

ამასთანავე, ტნკ-ებს სურთ რა თავიანთი ინვესტიციების უსაფრთხოების გარანტიები, ბუნებრივია, ცდილობენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სიტუაციაზე გავლენის მოპოვებას ინვესტიციების მიმღებ ქვეყნებში. ეს კი ხშირ შემთხვევაში ადგილობრივი მეწარმეებისა და ხშირად, მთავრობების უკმაყოფილებასაც კი იწვევს. ამის გარდა, ტრანსნაციონალიზაცია საბაზო ქვეყნების პოზიციიდან შეიძლება ჩაითვალოს როგორც ქვეყნიდან კაპიტალის გატანისა და საკუთარი ნაციონალური ეკონომიკის დასუსტების შესაძლებლობა. ამიტომ, ტრანსნაციონალიზაციის პროცესი, მიუხედავად მისი დადებითი გავლენისა მიმღები და საბაზო ქვეყნების ეკონომიკებზე, ხშირად წინააღმდეგობას აწყდება გარკვეული წრეების მხრიდან ორივე ქვეყანაში. სწორედ აქედან გამომდინარე წარმოებს ძირითადი წინააღმდეგობის ჩამოყალიბება ტრანსნაციონალური კაპიტალისა და ნაციონალური სახელმწიფოების ინტერესებს შორის.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლოში ტნკ-ები საკუთარი ფინანსური ძლიერებით აშკარად გახდნენ მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ობექტური გამოვლინება. ტნკ-ების გავლენა ამა თუ იმ ფორმით აისახება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. თუმცა, ნაციონალურ სახელმწიფოებსა და ტნკ-ებს შორის ურთიერთობის საკითხის კვლევა დღესაც ღიად რჩება. შეიძლება ითქვას, რომ სამომავლოდ მათი ინტერესების შეჯახება მიიღებს ღია და მწვავე ფორმებს.

---

[78] ლ. ჯამაგიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 68.

### *3.2. მიმღები ქვეყნის მთავრობების და ტრანსნაციო-ნალური კორპორაციების ურთიერთობების პრობლემები*

აღსანიშნავია, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ აღმავლობასა და განვითარებაში ტნკ-ების როლი და ადგილი[79]. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა მათი ურთიერთობის წარმოჩენა ამა თუ იმ ქვეყნის ნაციონალურ მთავრობებთან. ეს ურთიერთოებები მიმღებ ქვეყნებს და ტნკ-ებს შორის რთულია, რაც ხშირად განპირობებულია ინტერესთა შეუთანხმებლობით და ხელისუფლების ასიმეტრიით. ეს უკანასკნელი კი იგრძნობა იმთავითვე, თუკი ორივე მხარე თავისი საკუთარი სარგებლის მაქსიმიზირებას ცდილობს.

სახელმწიფოსა და ტნკ-ებს შორის ურთიერთობების სისტემა თავისთავად წარმოადგენს წინააღმდეგობის დიალექტურ ერთობას. ერთი მხრივ, ტნკ წარმოადგენს საგარეო ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკური გავლენის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და სახელმწიფოს არ შეუძლია არ გამოიყენოს იგი სკუთარი თავის დამკვიდრებისათვის მსოფლიო არენაზე, და მეორეს მხრივ, მათ შორის ინტერესთა თანხვედრა არ გამორიცხავს წინააღმდეგობების არსებობას. მათგან კი მთავარია ტნკ-ების ოპერაციების ინტერნაციონალურ, გლობალურ ხასიათსა და სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციას შორის. სახელმწიფო მუდმივად ცდილობს თვალი მიადევნოს კაპიტალის, საქონლის და ტექნოლოგიების მოძრაობას, ტნკ კი, რომელიც თავის სტრატეგიას ახორციელებს გრძელვადიანი მოგების მიღებაზე, გავლენას ახდენს ბაზირებული ან მიმღები ქვეყნების ეკონომიკურ კო-

---

79 A. Giround, Transnational Corporations, Technology and Economic Development, Backword Linkages and Knowledge Transfer in South East Asia, Published by Edward Elgar Publishing Limited Glensanda House, Northanption, Massachusetts, 2003, p. 56.

ნიუნქტურაზე შედეგად კი, განსაზღვრული კუთხით შედის წინააღმდეგობაში სახელმწიფოს რეგულირებად მექანიზმებთან.

ტნკ-ების და სახელმწიფოს ინტერესების სტრატეგიული ერთობა კონკრეტულად სრულად ვლინდება იმ ფაქტში, რომ სახელმწიფო პოლიტიკას, პარტიულ სისტემას, არმიას არ შეუძლია არსებობა ტნკ-ების დაყრდნობის და ფინანსურ-ტექნოლოგიური მხარდაჭერის გარეშე.

ტნკ-ების საქმიანობის საერთაშორისო ხასიათი მუდმივად წინააღმდეგობაშია ბაზირებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ პრობლემატიკასთან. ასეთ პირობებში წამყვანი კორპორაციების ხელმძღვანელობა დამოუკიდებლად, ბაზირებული ქვეყნის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკური ორგანოების მხარდაჭერის გარეშე ირჩევს გადაწყვიტოს საკუთრი კომპანიის საქმიანობის ძირითადი საკითხები მიმღები ქვეყნის ხელმძრვანელობასთან შეხვედრებისა და მოლაპარაკებების წარმოების გზით.

ტნკ აქტიურად ერთვება მიმღები ქვეყნის ადგილობრივ პოლიტიკურ პროცესებში. მათი წარმომადგნელები შედიან მეწარმეთა ნაციონალურ ასოციაციებში, რომლის შიგნითაც ისინი ღებულობენ შესაძლებლობას გავიდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელობაზე. კორპოროციები თავიანთ წილს დებენ საარჩევნო და ადგილობრივი პარტიების სხვა ფონდებში, რომლის მიზანია განსაზღვრული კომერციული სარგებლის მიღება შემდგომში. ტნკ-ები ასევე ახდენენ გავლენას ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ კურსზე.

საერთაშორიო არენაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენის შესახებ ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტი: 1998 წელს ჯენერალ მოტორსმა ერთ-ერთმა მსხვილმა ტრანსნაციონალურმა კორპორაციამ, აწარმოა 161,3 მილიარდი დოლარის პროდუქცია, რაც იყო მეტი, ვიდრე საერთო შიდა პროდუქტი ისეთი ქვეყნისათვის, როგორიცაა გერ-

მანია (137,4მლდ), ისრაელი (96,7), ირლანდიის (59,9), სლოვენია (19,5), ნიკარაგუია (9,3).

ათასობით მულტინაციონალური კორპორაცია ტრანსნაციონალური აქტორია. გლობალური მასშტაბით საქმიანობის წარმმართველი დიდი კომპანიის ინტერესები არასოდეს ემთხვევა სხვა, თუნდაც საკუთარი სახელმწიფოს ინტერესებს. ასეთი ტიპის კომპანია ზოგჯერ საკუთარი მთავრობის პოლიტიკის საწინააღმდეგოდაც მოქმედებს. მულტინაციონალური კორპორაციები ხშირ შემთხვევაში სხვა მცირე სახელმწიფოებთან შედარებით აკონტროლებენ უფრო დიდ რესურსებსაც და საერთაშორისო არენაზე უფრო დიდი ზეგავლენა აქვთ.

მიმღებ სახელმწიფოებსა და ტნკ-ებს შორის კონფლიქტი ზოგჯერ სახელმწიფოებს შორის ფარული დაპირისპირების გამოხატულებაც არის. ტნკ-ები საერთაშორისო ეკონომიკური დიპლომატიის სფეროში შეიძლება წარმოადგენდნენ არა უბრალოდ ინსტრუმენტებს, არამედ, მთავრობასთან ერთად საერთაშორისო ურთიერთობების აქტიურ სუბიექტებსაც. ამიტომ, მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ ურთიერთობები წარიმართება სახელმწიფოებს შორის, ტნკ-ებს შორის და ტნკ-ებსა და სახელმწიფოებს შორის. ამ ურთიერთობათა სამივე წახნაგი ერთმანეთთანაა დაკავშირებული. მაგალითად, თუ მიმღებ სახელმწიფოსა და ტნკ-ს შორის წარმოიქმნა კონფლიქტი, ამ უკანასკნელმა მხარდაჭერისთვის შეიძლება საკუთარი ქვეყნის მთავრობას მიმართოს[80].

ასევე აღსანიშნავია, რომ მულტინაციონალური კორპორაციები ღარიბ სახელმწიფოებს ეხმარება ინვესტიციების მოზიდვასა და საბაჟო გადასახადებიდან შემოსავლების მიღებაში. თავის მხრივ, მულტინაციონალური კორპორაციების საქმიანობა დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ უსაფრთხოებაზე, რაციონალურად რეგულირებად ბაზარზე და

---

[80] ლ. ჯამაგიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 89.

სტაბილურ პოლიტიკურ გარემოზე. ამავე დროს, ამა თუ იმ ქვეყანაში მათ მოღვაწეობას გლობალური კუთხით აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებები.

**დადებითად შეიძლება ჩაითვალოს:** 1. მსოფლიო ვაჭრობის განვითარება; 2. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში მსხვილი ინვესტიციების დაბანდება; 3. სამუშაო ადგილების შექმნა; 4. მსოფლიოში დემოკრატიის სფეროს გაფართოება საბაზრო ურთიერთობების განვითარების საფუძველზე. 6. კონფლიქტური და სადავო სიტუაციების გადაწყვეტისათვის შეთანხმების პროცედურის დანერგვა და ა.შ.

**უარყოფითი მხარეებია:** 1. ერთგვარი ზიანის მიყენება იმ ქვეყნის სუვერენიტეტისათვის, სადაც იგი იმყოფება; 2. მათი მოღვაწეობის გაძლიერება-გაზრდის პირობებში მწვავდება ,,მდიდარ ჩრდილოეთსა" და ,,ღარიბ სამხრეთს" შორის დაპირისპირება. 3. ტრანსნაციონალური ბანკები და კორპორაციები საკუთარი მოგებისთვის თანამშრომლობენ რეპრესიულ რეჟიმენთან. 4. ტრანსნაციონალური კორპორაციები დაინტერსებულნი არიან განვითარებად ქვეყნებში იაფი მუშახელის შენარჩუნებით, რაც ხელს უშლის მათ სოციალურ პროგრესს; 5. მათი მოღვაწეობა გარკვეულწილად ზიანს აყენებს სუსტად განვითრებული ქვეყნების ეროვნულ კულტურას, როგორც ახალი ტექნოლოგიების, ისე დასავლური სულიერი და კულტურული ღირებულების დანერგვით და ა.შ.

ტრანსნაციონალური კორპორაციების და ეროვნული სახელმწიფოს ურთიერთობაში გამოიყოფა სამი პერიოდი. პირველი პერიოდი (1945 წლიდან 60-იანი წლების დასაწყისი) აღინიშნა ტნკ-ების აღმავლობით მსოფლიო ეკონომიკისა და პოლიტიკაში, მეორე პერიოდისათვის (1960-იანი წლების მეორე ნახევარი 70-იან წლები) დამახასიათებელი იყო კონფრონტაცია მიმღები ქვეყნის მთავრობებსა და ტნკ-ებს შორის, ხოლო მესამე პერიოდი (80-იანი წლებიდან დრემდე) გამორიჩევა ტნკ-ებსა და მიმღები ქვეყნების მთავრობებს შო-

რის ჰარმონიზაციით[81]. დღევანდელი გადასახედიდან ეს ურთიერთობები ზოგადად ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: კონფლიქტური, კოოპერაციული და ნეიტრალური. დღეისათვის ეს ორი უკანასკნელი ასპექტი უფრო დიდი როლს თამაშობს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამჟამინდელი პერიოდი ხასიათდება პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის მიმღებ ქვეყნებს შორის ბევრად მწვავე კონკურენციით. ამასთან, ტნკ სტრატეგიაში მნიშვნელოვანი როლი დაიკავა რისკ ფაქტორის მქონე ქვეყნებისათვის თავის არიდებამ. 80-90იანი წლები აჩვენებს რომ ქვეყნები სხვადსხვა საშუალებებით ცდილოვბენ მნიშვნელოვანი რაოდენობის უცხოური კაპიტალის მიზიდვას. ტნკ-ების და მიმღები ქვეყნებისათვის გადამწყვეტი ფაქტორი არის ურთიერთსასრგებლო ინტერესების დაცვა[82].

ტნკ-ები ეკონომიკურად ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე მიმღები ქვეყნების უმრავლესობა. ისინი ხშირად ცდილობენ გამოიყენონ საკუთარი ძალა და გავლენა მოახდინონ ადგილობრივ მთავრობაზე, აიძულებენ შეამცირებინონ მათი საგადასახადო ვალდებულებები ან მიიღონ განსაკუთრებული შეღავათები საფინასო სფეროში, ინფრასტრუქტურაში, ბაზრის დაცვაში და ა.შ. საპასუხო ქმედებით კი ბევრი ქვეყანა მათთან მიმართებით ღებულობს აკრძალვებს და შეზღუდვებს, ასევე ახდენს მათი საკუთრების ნაციონალიზაციას და ექსპროპრიაციას. ასეთ ქმედებებს განსაკუთრებით ფართო მასშტაბები ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ[83].

მსოფლიო ეკონომიკაში ტნკ-ების როლის გააქტიურების საწყის ეტაპზე განვითარებადი ქვეყნებისათვის საკმაოდ

---

[81] Charles R. Kennedy, Jr. Relations between transnational corporations and Governments of host countries: a look to the future, transnational corporations, vole, 1, no. I (February 1992), p. 67.

[82] М. Шиман, Государство и транснациональные компании, Международный журнал "Проблемы теории и практики управления", №4, 1999.

[83] იქვე.

თვალშისაცემია ექსპროპრიაციული მოქმედებები. 60-იანი წლების შუახანებისათვის ექსპროპრიაციული მოქმედებების რაოდენობა იზრდება, მაგრამ აღნიშნული მოქმედებები ბევრად აშკარა იყო 70-იან წლებშიც (ცხრილი 22). მიუხედავად ამისა, 80-იანი წლების პირველ ნახევრაში ექსპროპრიაციული მოქმედბების რაოდენობა კატასტროფულად შემცირდა.[84]

**განვითარებადი ქვეყნების მიერ 1960-1985 წწ. განხორციელებული ექსპროპრიაციის რაოდენობა**

*ცხრილი* 22*

| წელი | მოქმედების რაოდნეობა | ექსპროპრიაციის რაოდენობა |
|---|---|---|
| 1960 | 7 | 6 |
| 1961 | 8 | 5 |
| 1962 | 8 | 5 |
| 1963 | 11 | 7 |
| 1964 | 22 | 10 |
| 1965 | 14 | 11 |
| 1966 | 5 | 3 |
| 1967 | 25 | 8 |
| 1968 | 13 | 8 |
| 1969 | 24 | 14 |
| 1970 | 48 | 18 |
| 1971 | 51 | 20 |
| 1972 | 56 | 30 |
| 1973 | 30 | 20 |
| 1974 | 68 | 29 |
| 1975 | 83 | 28 |
| 1976 | 41 | 14 |
| 1977 | 18 | 14 |
| 1978 | 15 | 7 |
| 1979 | 28 | 13 |
| 1980 | 12 | 7 |
| 1981 | 5 | 3 |
| 1982 | 1 | 1 |
| 1983 | 3 | 3 |
| 1984 | 1 | 1 |
| 1985 | 1 | 1 |

ისიც ფაქტია, რომ 1960-1985 წწ. ყველა ექსპროპრიაციული მოქმედების 62 პროცენტზე მეტი დაასაბუთა 28 ქვე-

[84] Kobrin,Stefan J., Expropriation as an attempt to control foreign firms in LDCs: trends from 1969 to 1979, international Studies Quarterly, 18, 1984, pp. 71-71.

* ს.ჯ. კობრინის დასახელებული ნაშრომის მიხედვით.

ყნის მთავრობამ (598 მოქმედებიდან 374).[85] ნაციონალური მთავრობების მიერ პირდაპირი ინვესტიციების ექსპროპრიაციის ასეთი ფართო მასშტაბები არსებითად ხსნის იმ ფაქტს, თუ რატომ ჰქონდა ადგილი ტნკ-ს და ნაციონალურ მთავრობებს შორის კონფლიქტს მოცემულ პერიოდში. ხოლო ექსპროპრიაციული მოქმედებების სწრაფი შემცირება შეიძლება აიხსნას ორი ფაქტორით: საყოველთაო მოხმარების საქონელზე ფასების დაცემამ გაზარდა კაპიტალზე მოთხოვნილება განვითარებულ ქვეყნებში. ამავე დროს, ბევრი ქვეყნის მთავრობის შესაძლებლობებიც გაიზარდა, ისინი გახდნენ ბევრად უნარიანნი და გამოცდილნი მათ კოპეტენციებში, რომ გაეზარდათ ეკონომიკური სარგებელი ტნკ-ებიდან ექსპროპრიაციის გამოყენების გარეშეც.[86]

საგარეო კაპიტალის მოთხოვნილებასა და ექსპროპრიაციისადმი მისწრაფებას შორის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტას აქვს მნიშვნელოვანი პოლიტიკური აზრი საგარეო ვალის კრიზისის მართვისათვის. მძიმე ვალების გამო განვითარებად ქვეყნებს აქვთ მოთხოვნილება საგარეო კაპიტალისადმი იმისათვის, რომ გადაიხადონ ძველი სესხები და ამავე დროს, გავლენა მოახდინონ ეკონომიკის ლიბერალიზაციის პოლიტიკაზე საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტაბილიზაციის პროგრამისა და ვალების მართვის პაკეტის ფარგლებში. ასეთი საზოგადოებისათვის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დიდი ხანია გახდა მიმზიდველი.

არსებობს აზრი, რომელშიც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ განიხილება დადებიდათ. განსაკუთრებით, მაშინ როცა საგარეო დამოკიდებულება წარმოდგენილია ვა-

[85] Charles R. Kennedy, Jr. Relations between transnational corporations and Governments of host countries: a look to the future, transnational corporations, vole, 1, no. I (February 1992), p. 68
[86] Minor, Michael (1990). Changes in developing country regimes for foreign direct investment: the raw materials sector, 1968-1985. Essays in International Business. Center for International Business Studies: The University of South Carolina (September), p. 28-30.

ლის სიმძიმით და საერთაშორისო ზეწოლით ეკონომიკური რეფორმების გააქტიურებისათვის ეკონომიკის იმ მთავარ სექტორზე გავლენის აღდგენით, რომელიც მითვისებულია ტნკ-ის მიერ.

რადიკალური პოლიტიკური რეაქცია, რომელიც მთავრდება ექსპროპრიაციის ზრდით სავსებით შესაძლებელია, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში, სადაც ,,ამერიკული იმპერიალიზმის" შიში დღემდე არსებობს. მსგავსი პერსპექტივის კვალობაზე პოლიტიკის მნიშვნელობა ნათელია: საერთაშორისო სავალო კრიზისი უნდა იმართოს უნარიანად, რომ მინიმუმამდე დავიდეს ,,სავალო დაღლა", როგორც ამას აღნიშნავს ბევრი მეცნიერი.[87] ასევე, უნდა შემცირდეს კონფრონტაციის მიზეზებისადმი მგრძნობელობა მიმღები ქვეყნების მთავრობებსა და ტნკ-ებს შორის. კერძოდ, განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური სისტემის სტრატეგიული სექტორების პრივატიზაცია ფრთხილად უნდა გაგრძელდეს. გარდა ამისა, განვითარებულმა ქვეყნებმა, უცხოური ბანკების კრედიტორებმა და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უარი უნდა თქვან განვითარებადი ქვეყნებისადმი ზეგავლენაზე.

მართალია, სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მიმართულებით ჩატარებულმა კვლევებმა გაზარდა ჩვენი ცოდნა ექსპროპრიაციისადმი, მაგრამ, რაც შეეხება ბაზრის როლს ტნკ-ების და მიმღები ქვეყნის მთავრობას შორის ურთიერთობაში, მათი შესაძლებლობა ექსპროპრიაციის სტრუქტურული მიზეზების იდენტიფიცირების საქმეში ქვეყნების და რეგიონების მიხედვით მათი ნამდვილი ცენტრის ვიწრო ბუნებიდან გამოდინარე ძლიერ შეზღუდულია.

საერთაშორისო პრაქტიკამ აჩვენა, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაციონალიზაცია შეეხო ეკონომიკის ყველა მთავარ სექტორს, განსაკუთრებით საბანკო საქ-

---

[87] Dornbusch, Rudiger Policy and performance links between LDC debtors and industrial nations. Brookings Papers on Economic Activity, 2, 1985, pp. 352-353.

მეს, ბუნებრივი რესურსების, მომსახურების სფეროს წარმოებას[88].

მთავრობების მიერ განხორციელებული ნაციონალიაზაციის პროცესის წანამძღვრები შეიძლება ყოფილიყო სხვადასხვა ფაქტორები: კოლონიალიზმის მემკვიდრეობა, პოლიტიკური არასტაბილურობა, იდეოლოგიის ფაქტორი, მმართველი პოლიტიკური ელიტის ინტერესები კერძოდ, სამხედრო რეჟიმებისადმი მხარდაჭერა, ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია, კონკრეტული საგარეო ძალების ფაქტორი, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საკუთარი პოზიციების განმტკიცებით და ბოლოს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლით ეკონომიკაში.

მართლაც, თუ გადავხედავთ სტატისტიკურ მაჩვენებლებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაციონალიზაციის შესახებ (ცხრილი 23), აშკარად დავინახავთ, რომ ასეთი ქმედებები ძირითადად დამახასიათებელი იყო იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც არც თუ შორეულ წარსულში კოლონიალიზმის მსხვერპლნი იყვნენ.

**პოლიტიკური რეჟიმები და ექსპროპრიაციული ქმედებები***

*ცხრილი 23*

| ქვეყნები | მთავრობები | წლები | ქმედება | ფირმების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| ალჟირი | ბოუმედიანა | 1965-1978 | 33 | 107 |
| ანგოლა | ნეტო | 1975-1978 | 15 | 128 |
| ბენინი | კერეკოი | 1974 | 4 | 10 |
| ბურმა | ნი ვინ | 1962-1983 | 10 | 24 |
| ჩილე | ალლენდა | 1970-1973 | 30 | 46 |
| კონგო | ნგოუნაბი | 1970-1977 | 10 | 31 |
| იემენი | რობაჯე | 1969-1978 | 5 | 30 |
| ეგვიპტე | ნასარი | 1956-1967 | 7 | 70 |
| ეთიოპია | მენგისტუ | 1975-1978 | 26 | 105 |
| გვინეა | ტოური | 1959-1979 | 7 | 9 |
| ინდოეთი | განდი | 1967-1975 | 6 | 48 |
| ინდონეზია | სუკარნო | 1957-1965 | 15 | 24 |

[88] Charles R. Kennedy, Jr. Relations between transnational corporations and Governments of host countries: a look to the future, transnational corporations, vole, 1, no. I (February 1992), p. 72.

* იქვე, გვ. 73

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ირანი | ჰომეინი | 1979-1980 | 17 | 58 |
| ერაყი | ალ-ბაქრი/ჰუსე-ინი | 1968-1977 | 7 | 8 |
| იამაიკა | მანლეი | 1972-1977 | 7 | 12 |
| ლიბია | ქადაფი | 1969-1974 | 11 | 33 |
| მაგადასკარ | რათსირაქი | 1975-1978 | 12 | 50 |
| მაროკო | ჰასანი | 1965-1975 | 13 | 30 |
| მოზამბიკა | გოუნი | 1967-1974 | 7 | 35 |
| პერუ | ველასკო | 1968-1975 | 28 | 47 |
| სომალა | ბარრე | 1970 | 5 | 10 |
| ცეილონი | ბანდარანაიკა | 1971-1976 | 6 | 254 |
| სუდანი | ნიმეირი | 1970-1978 | 13 | 25 |
| ტრინდადი და ტობაგო | ვილიამსი | 1969-1981 | 9 | 10 |
| უგანდა | ობოტე | 1970 | 5 | 9 |
| ტანზანია | ნიერერე | 1963-1978 | 28 | 127 |
| ზამბია | ქაუნდა | 1964-1980 | 20 | 21 |

წარსულში იყო შემთხვევებიც, როცა ტნკ ჩაერეულა მიმღები ქვეყნის პოლიტიკაში, რასაც მოსდევდა ახალი ხელისუფლების ფორმირების კამაპნია, რომელიც ბევრად უფრო უკეთესად რეაგირებდა მათ მოთხოვნებზე. საერთოდ, მიმღებ ქვეყნაში ტნკ-ების ჩარევის მეთოდების დიაპაზონი უნარიანად ახდენს გავლენას მათ სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე. მაგ., 1975 წელს ამერიკულმა კომპანიამ ,,სტანდარტ ფრუტიმ" და რამდენიმე სხვა ამერიკულმა ტნკ-მ, პანამის, ჰონდურასისა და კოსტა-რიკას ხელისუფლების ბანანის ექსპორტის სფეროში პოლიტიკით უკმაყოფილოებმა შექმნეს სპეციალური ფონდი 5 მილიარდი დოლარის ოდენობით ამ ქვეყნებში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლისთვის.[89]

ტნკ-ებს აქვთ ბერკეტები, რომელთა საშუალებით ზემოქმედებენ არა მხოლოდ მიმღები სახელმწიფოს გადაწყვეტილებებზე, არამედ მათ შესწევთ უნარი, რომ გარკვეული ცვლილებები შეიტანონ ბაზირების ქვეყნის სახელმწიფოს პოლიტიკაში. ტნკ-ების ეკონომიკური ექსპანსიის ზრდა განაპირობებს ქვეყნიდან კაპიტალის გადინებას, რაც მთლიანობაში სასარგებლოა, მაგრამ უარყოფით გავლენას ახდენს

[89] В. Самофалов, Глобальный вызов транснациональных корпораций, Жур. Зеркало недели, №31 (456), 16-23 август, 2003.

დასაქმებისა და უმუშევრობის დინამიკაზე, წარმოების მოცულობის ზრდაზე, რაც საბოლოოდ მშპ-ში აისახება. გარკვეულ შემთხვევებში მსხვილ კორპორაციებს შეუძლიათ ზემოქმედება სახელმწიფოზე, რათა პოლიტიკა მათი ინტერესების შესაბამისად წარმართონ. ასევე, ტრანსნაციონალური კორპორაციები ფლობენ მექანიზმებს, რომელთა საშუალებით თავს არიდებენ სახელმწიფოს საგადასახადო კანონმდებლობას. ესაა ტრანსფერული ფასები და ოფშერული ზონები. დივერსიფიცირებული სტრუქტურა ტნკ-ებს აძლევს გადასახადებისგან თავის არიდების შესაძლებლობას.

უნდა ითქვას, რომ ხშირ შემთხვევაში ტნკ-ების მიერ მიმღები ქვეყნის გავლენიან პირებთან დაახლოება განსაკუთრებული შეღავათების მოპოვებისათვის გახდა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მათ სტრატეგიაში. ასეთ ქმედებებს კი ბევრ ქვეყანაში ჰქონდა ადგილი. რიგ შემთხვევებში ტნკ-ების კანონსაწინააღმდეგო საქმიანობის გამოაშაკრავების შედეგად არა ერთ ქვეყანაში სახელმწიფო მოღვაწეს, პოლიტიკური პარტიის ან ორგანიზაციის ლიდერს თავი მძიმე მდგომარეობაში ჩაუგდია, რომელიც დაკავშირებული იყო მიმღებ ქვეყნაში კორპორაციის სამართალსაწინააღმდეგო მოქმედებასთან. საერთაშორისო სკანდალის შედეგად, რომელიც დაკავშირებული იყო ამერიკული კომპანია ,,ლოქხიდის" მიერ მრავალმილიონიანი ქრთამის გაცემასთან, იაპონიაში სასამრთლოს წინაშე, წარსდგა 15 მაღალი რანგის პირი, მათ შორის პრემიერ-მინისტრი კ. ტანაკი, რომელმაც მიიღო 2 მილ. დოლ. ქრთამის სახით. იტალიაში რიგი მინისტრები, პრეზიდენტი ჯ. ლეონი იძულებულნი გახდნენ გადამდგარიყვნენ. ნიდელანდებში დაკავებული პოსტიდან გადადგა დედოფლის მეუღლე, პრინცი ბერნარდი, რომელიც დაადანაშაულეს 1.2 მილ. დოლარის ქრთამის სახით აღებაში. თავიანთ პოსტებიდან გადააყენეს შვეციის, ესპანეთის, თურქეთის და კოლუმბიის სამხედრო-საჰარეო ძალების ხელმძღვანელობა. კორ-

პორაციების კანონსაწინარმდეგო ქმედებების გამოძიების შედეგები სკანდალური იყო საბერძნეთში, გერმანიაში, საუდის არაბეთში, ეგვიპტეში, მექსიკასა და ფილიპინებში[90].

უცხოური და ადგილობრივი სუბიექტების მონაწილეობით პრივატიზაციის პროცესი ბევრ ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში წავიდა მსხვილი საწარმოო ობიექტების ფართომაშტაბიან შესყიდვების განხორციელებით, რომ ისინი სწრაფად გარდაქმნილიყვნენ ტრანსნაციონალურ კომპანიებად, ან სახელმწიფომ თვითონ დაიტოვა სტრატეგიული სექტორის მართვა ხელში და შეუწყო მის ტრანსნაციონალურ გაერთიანებად ჩამოყალიბებას. შედეგად კი სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტნკ-ების საშუალებით პირდაპირ მონაწილეობს ტრანსნაციონალურ ეკონომიკურ საქმიანობაში. სახელმწიფო ტნკ-ები იქმნება რაიმე სტრატეგიული ეკონომიკური მიზნებისათვის. მაგ., ,,სოკარი" (სახელმწიფო ნავთობის და გაზის კომპანის) აზერბაიჯანში და ,,ყაზახოილი" (ნავთობისა და გაზის კომპანის) ყაზახეთში. ასევე რუსული სახელმწიფო გიგანტები ,,გაზპრომი", რაო იიესი" და სხვა.

თანამედროვე ეტაპზე, მკვლევარები გამოყოფენ რამდენიმე ძირითად ფაქტორს: პოლიტიკურს, ეკონომიკურს და ადამიანურს, რომლებიც გავლენას ახდენენ მოქმედი კაპიტალის იმპორტზე: მიმღები ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა; შესაბამისი კანონმდებლობის და ეკონომიკური პოლიტიკის ხასიათი; მისი გამჭვირვალობა; მიმღები ქვეყნის მთავრობის პოზიცია და პოლიტიკა ეროვნულ და უცხოურ კომპანიებთან მიმართებით; ეროვნული და საერთაშორისო საბაზრო პირობების და ტენდენციების გათვალისწინებით ქვეყნის სტრატეგიული მიზნის რეალური და სანდო ფორმულიება მისი ეკონომიკური პოლიტიკის ფარგლებში, ასევე მათი განხორციელების საშუალებების არსებობა; ადგილობ-

---

[90] В. Самофалов, Глобальный вызов транснациональных корпораций, Жур. Зеркало недели, №31 (456), 16-23 август, 2003.

რივი წარმოებისა და რესეურსების ფაქტორებზე ქვეყნის მიერ ხელშეწყობა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შეინარჩუნონ დაბალი ფასები; შრომითი ჩვევების გაუმჯობესება და ინსტიტუტების არსებობა მათი სრულყოფილებისათვის; შრომითი დისციპლინა და შრომითი ძალებისა და მწარმოებლების მორალურ-ეთიკური ურთიერთობები; პოლიტიკაზე გავლენის მომხდენი ინსტიტუტების ურთიერთობის ხარისხი უცხოურ კომპანიებთან.

როგორც გამოცდილება აჩვენებს, 90-იან წლებში ტნკების მოღვაწეობა სხვადსხვაგვარად ახდენდა გავლენას მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე. ერთის მხრივ, მათ შესვლას ქვეყნაში მოსდევს მრავალი დადებითი ფაქტორი, კაპიტალის მოზღვავება და ექპორტის გაზრდა, მართვისა და მარკეტინგის მეთოდების მოდერნიზცია, ახალი ტექნოლოგიების ჩქარი შემოსვლა, შიდა ბაზარზე მიწოდების გაუმჯობესება, მათვის, ვინც მუშაობს საერთაშორიო კომპანიებში და ადგილობრივი შუამავლების შემოსავლების ზრდა.

მეორეს მხრივ, არანაკლებ  უარყოფითი შედეგები სდევს ტნკ შემოსვლას ქვეყნაში. ყურადღებას ამახვილებენ, რომ რიგ ქვეყნებში, სადაც ისინი შედიან ახდენენ ქვეყნის ეკონომიკის დიფერენციაცირებას. რამდენადაც ისინი წარმოადგენენ თანამედროვე გლობალურ სექტორს, ხოლო უფსკრული მათ  და დანარჩენ სექტორს შორის აჩენს  შემოსავლების უთანაბრობას. იმ კორპორაციებს, რომელთა მიზანი წარმოადგენს ქვეყნის შიდა ბაზრის დაკავება, აკრიტიკებენ იმპორტის ინტენსივობის გაზრდაში და მოცემულ ქვეყანაში ადგილობრივი კომპანიებისა და საქონელის გამოდევნაში. მათ ასევე შეიძლება მიიღონ სარგებელი მათი ოლიგოპოლიტიკური სტატუსის გამო, დაადგინონ მაღალი ფასები.

არსებობს სხვა, ბევრად უფრო დიდი მაკროეკონომიკური პრობლემა. რაც უფრო მაღალია საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია ტნკ-ების მეშვეობით, უშუალოდ მოცე-

მულ ქვეყნებზე, მით უფრო ვრცელდება და მოქმედებს ამ კორპორაციების სტრატეგია საერთაშორისო ბაზრის გავლენის, ციკლური რყევების, კონკურენციის, სპეკულაციური მანევრირების სახით. თუკი რომელიმე ეროვნული ეკონომიკა მიაღწევს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განსაზღვრულ ზღვარს, უცხოური კომპანიების ყოფნა უნდა განიხილოს, როგორც მაკროეკონომიკური მართვის ფაქტორი, კურსის გაცვლის პოლიტიკაში, საპროცენტო განაკვეთებში და ა.შ.

გარდა ამისა, ტნკ-ები აწყდებიან რიგ პრობლემებს და დილემას. მიმღებ ქვეყანაში რეგულირების გარდა, არსებობს საერთაშორისო შეთანხმებები და წესები, რომლებიც ეხებიან შრომით ურთიერთობებს და ბუნების დაცვის საკითხებს. ეს შეთანხმებები და წესები კორპორაციებმა უნდა დაიცვან, რადგან ისინი არიან საერაშორისო ურთიერთობების მსხვილი სტრუქტურები და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მათკენ ყოველთვის არის მიპყრობილი. ისინი განიცდიან საკუთარი საერთაშორისო კონკურენტების მარკეტინგული სტარტეგიის ეფექტს. ამიტომ ტნკ-ები დაინტერესებულნი არიან, რომ თავი აარიდონ მთავრობის და საზოგადოების მხრიდან თავდასხმას.

ტნკ-ები იძულებულნი არიან ასევე ჩაებან კონფლიქტში მენეჯმენტთან ერთად მრავალრიცხოვან და მრავლსახეობრივ ეკოლოგიურ პრობლემებთან. ისინი აწყდებიან ენობრივი ბარიერის პრობლემას, რაც ართულებს ურთიერთობას ხელმძღვანელობასა და თანამშრომლებს და საკუთრივ თანამშრომლებს შორისაც. ისინი იძულებიულნი არიან გაითავალისწინონ კულტურული თავისებურებები, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებს მმართველობის სტილში, სამსახურებრივი იერარქიის ურთიერთობებში და ა.შ.

ტნკ-ებსა და სახელმწიფოებს სრულიად განსხვავებული მიზნები ამოძრავებთ. სახელმწიფოს ისეთი ეკონომიკური

მიზანი, როგორიცაა ახალ ბაზრებზე დამკვიდრება ემთხვევა ტნკ-ების ინტერესებს, მაგრამ სხვა მიზნები, მაგალითად, სოციალური სტრუქტურებისა და კულტურული ღირებულებების შენარჩუნება, გარემოს დაცვა, ეკონომიკური ავტონომიურობის შენარჩუნება არ დგას ტნკ-ების საქმიანობის დღის წესრიგში. გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფოს ავტონომია აბსოლუტური არასდროს ყოფილა. ღია ეკონომიკის პირობებში სახელმწიფოს უხდება დააბალანსოს ალტერნატივები ტრანსნაციონალური ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულ სარგებელსა და ავტონომიურობას შორის.

საზღვრების გახსნისას ყოველი სახელმწიფო ცდილობს შეინარჩუნოს მართვის რაც შეიძლება მაღალი ხარისხი. მაგრამ გლობალიზაციის პირობებში ტრანსნაციონალური კომპანიების ფარდობითი ზემოქმედება მაღლდება. ქსელური ორგანიზაციული სტრუქტურების გავრცელება, ბაზრების ურთიერთგადახლართვა, ტექნოლოგიების სტრატეგიული მნიშვნელობა აიძულებს სახელმწიფოებს ჩაერთონ გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში, თუ სურთ საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.

# თავი IV

# ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნებში

## *3.1. ამიერკავკასიის რეგიონის პოტენციალი და მისი ადგილი ტრანსნაციონალურ ინტეგრაციაში*

საბჭოთა კავშირის დაშლა და ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე გადასავლა მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა პოსტსაბჭოთა და მათ შორის ამიერკავკასიის ქვეყნების უცხოური ინვესტიციების მიმზიდველობის თვალსაზრისით. საერთაშორისო ექსპერტების მნიშვნელოვანი ჯგუფები პერიოდულად შეისწავლიან საინვესტიციო კლიმატს, ინვესტიციების დინამიკასა და მიმართულებებს რეგიონში. შედეგები ქვეყნდება წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციების (მსფ, მბ, ერგბ, გგვსკ) მიერ და ემსახურება ინვესტორებისათვის საინფორმაციო ბანკის შექმნას.

დღეისათვის, პუი-ის განხორციელებაში ლომის წილი სწორედაც ტნკ-ებზე მოდის. ბოლო პერიოდში ტნკ-ების მიერ განხორცილებული პუი-ის მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება. პარალელურად იზრდება პუი-ის გეოგრაფია და მასშტაბები.

თანამედროვე ეტაპზე ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნები უფრო მეტ მიმზიდველობას იძენს უცხოური ტრანსნაციონალური კომპანიებისა და ბანკების მხრიდან. რეგიონში ტრანსნაციონალური პროექტების (სათბობ-ენერგეტიკული, სატრანსპორტო) განხორციელება ტნკ-ების საქმიანობის მასშტაბებს და ინვესტიციების მოცულობას კიდევ უფრო გაზრდის. გარდა ამისა, რეგიონის ქვეყნებსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობის გაღრმავება მათ ინტეგრაცი-

ისკენ უბიძგებს, ეს კი რეგიონისადმი გაზრდის ევროპის ტნკ-ების დაინტერესების ხარისხს.

ევროპის ტნკ-ებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ მსოფლიოში. ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნები გვერდს ვერ აუვლის გლობალიზაციის პროცესებსა და ტნკ-ების საქმიანობას, რადგან ის ამ ურთიერთობების ერთ-ერთი მთავარი მონაწილეა. ზოგიერთი ტნკ უკვე საქმიანობს ამიერკავკასიის ქვეყნების ბაზრებზე. ახალი ტრანსნაციონალური პროექტების, ან კიდევ ეკონომიკური გარემოს გაუმჯობესება, რეგიონში თავიუსუფალი ინდუსტრიული ან ეკონომიკური ზონების ამოქმედება კიდევ უფრო გაზრდის ტნკ-ებს ინტერესს რეგიონის ქვეყნებისადმი.

აქვე გასათვალისწინებელია რეგიონის, როგორც მნიშვნელოვან საწარმოო ცენტრად ჩამოყალიბების რეალური პერსპექტივა. მხედველობაში გვაქვს რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობა და აქედან გამომდინარე, სამომხმარებლო ბაზრის ის მოცულობა, რომელიც ამიერკავკასიის ქვეყნების სიახლოვეს მდებარეობს. აღნიშნული ფაქტორი მნიშვნელოვანად ზრდის ტრანსნაციონალური კომპანიების დაინტერესების ხარისხს. დასავლეთსა და აღმოსავლეთს, ასევე სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის დამაკავშირებელი ფუნქცია თავის დროზე გახდა რეგიონში ტრანსნაციონალური პროექტების განხიორციელების საფუძველი. მისი სიახლოვე ევროპის რეგიონთან (მოსახ. 495 მილ.), შავი ზრვის რეგიონის ქვეყნებთან (მოსახ. 316 მილ), ასევე რუსეთის ფედერაცია (მოსახ. 150 მილ), თავად ამიერკავკასია 16 მილ.), შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობა მთლიანობაში მილიარდზე მეტი მოცულობის სამომხმარებლო ბაზარს წარმოადგენს. ამ ბაზრის წარმოების ცენტრად ამიერკავკასიის ქვეყნების ჩამოყალიბება რეალური პერსპექტივაა. ეს კი, ზრდის ტნკ-ების მიერ ინვესტირების რეა-

ლურობას, რითაც ისინი აითვისებენ და მოემსახურებიან არსებულ ბაზარს აღნიშნულ გეოგრაფიულ არეალში.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნაციონალური ეკონომიკის განვითარების საქმეში, განსაკუთრებით გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის. ინვესტიციები, რომლებიც შიდა დანაზოგის დეფიციტის კომპესირებას ახდენს, თავის მხრივ განაპირობებს ახალი წარმოების შექმნას, ან არსებული ინფრასტრუქტურის ძირფესვიან რესტრუქტურიზაციას და გაფართოებას. მთლიანობაში კი ხელი შეუწყოს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას.

პუი-სი ნაკადის ანალიზის მიხედვით უცხოელი ექსპერტები პოსტსაბჭოთა ქვეყნებს ყოფენ სამ ძიერითად ჯგუფად[91]. პირველ ჯგუფში აერთიანებენ ქვეყნებს რომლებიც ახდენენ ენერგორესურსების ექსპორტს (აზერბაიჯანი, ყაზახეთი, რუსეთი და თურქმენეთი). ეს ქვეყნები პუი-ს კაპიტალდაბანდების კუთხით გამოირჩევიან პოსტსაბჭოთა სივრცის (ბალტიისპირეთის ქვეყნების გამოკლებით) სხვა სახელმწიფოებისაგან, რადგნაც ინვესტიციები ძირითადად მიმართული იყო სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსისადმი. ასეთი ინვესტიციების მოტივაცია სხვა არის, ვიდრე ეკონომიკის სხვა სექტორების კაპიტალდაბანდების მოტივაცია – აქ პირველ ადგილზე გამოდიოდა დარგის სპეციფიკური ფაქტორები: სიდიდე, რესურსების ხარისხი და გეოგრაფიული მდებარეობა. მეორე ჯგუფში მოთავსებულია ისეთი ქვეყნები, რომლებსაც არ გააჩნდათ დიდი ენერგორესურსები (საქართველო, სომხეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა, ტაჯიკეთი და უკრაინა), მაგრამ აქტიურად ატარებენ საბაზრო რეფორმებს. ფორმალურად ეს ქვეყნები ერთმანეთისაგანაც განირ-

[91] М. Елизаветин, прямые иностранные инвестиции и инвестиционный климат в странах СНГ глазами зарубежных экспертов, журн. Банковское дело, 2004, №12

ჩევიან. მესამე ჯგუფში მოთავსებულია ბელორუსია და უზ-ბეკეთი. აქ არასკმარისად და ნელა მიმდინარეობს საბაზრო რეფორმები. ამიტომაც პუი აქ მკვეთრად შეზღუდულია. ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნები - აზერბაიჯანი, სომხეთი და საქრთველო პირველ ორ ჯგუფში არიან გაერთიანებული. შესაბამისად, პუი-ის ნაკადი აქ თვალშისაცემია, განსაკუთრები უკანასკნელ პერიოდში (ცხრილი 24). თუმცა, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა 2008-2009 წლების მონაცემებზე ჰპოვა ასახვა.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნებში**

*ცხრილი 24*

| წლები | საქართველო[92] | სომხეთი[93] | აზერბაიჯანი[94] |
|---|---|---|---|
| 1995 | - | - | 69.256 |
| 1996 | - | - | 301.52 |
| 1997 | - | 51.9 | 481.2 |
| 1998 | - | 232.4 | 522.41 |
| 1999 | - | 135.1 | 426.64 |
| 2000 | 131.2 | 190,1 | 456.75 |
| 2001 | 109.8 | 122,5 | 659.79 |
| 2002 | 167.4 | 217,5 | 1.404.81 |
| 2003 | 340,0 | 229,6 | 2.563.2 |
| 2004 | 499.1 | 305,6 | 3.238.92 |
| 2005 | 452 752 | 400,4 | 3.298.05 |
| 2006 | 1 170 077 | 628,1 | 2.666.48 |
| 2007 | 1 750 243 | 845,4 | 2.275.06 |
| 2008 | 1564.0 | 1000,9* | 1.793.06 |
| 2009 | 226.1 (ნახევარი წლის მონაცემი) | 250 .0(ნახევრაი წლის მონაცე-მი)[95] | 2532.8 (ნახევარი წლის მონაცემი)* |

მსოფლიო ბანკის გათვლებით 2009 წელს ეკონომიკურ ვარდნა სომხეთში იქნება 15%, საქართველოში 4%, ხოლო

---

[92] საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი
[93] მონაცემები აღებულია სომხეთის განვითარების სააგენტოდან http://www.ada.am/html/foreign_investors.html
[94] სტატისტიკა მოგვაწოდა აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითრების სამინისტრომ.
* მათ შორის 880,1 მილ. აშშ დოლარი მოდის რუსულ ინვესტიციაზე
[95] https://www.imf.org/external/country/ARM/rr/2009/090909.pdf
* http://exsolver.narod.ru/Books/Econom/Mev2/c10.html

აზერბაიჯანში მოსალოდნელია 2%-იანი ზრდა. სომხეთში კრიზისი განაპირობა ვაჭრობის და თანხების გადმორიცხვის შემცირებან, საქართველოში პუი-ების ნაკადების დაკლებამ, ხოლო აზერბაიჯანში კრიზისმა გამოხატულება ჰპოვა ექსპორტის შემცირების, ნავთობის მოცულობის და ფასების დაკლების გამო[96].

საინვესტიციო აქტიურობისათვის ამიერკავკასიის ქვეყნებში ურთიერთსასარგებლო საინვესტიციო პროცესების განვითარება განპირობებულია როგორც შემაფერხებელი, ისე მასტიმულირებელი და გავლენის მქონე ფაქტორებით. პირველის თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ საინვესტიციო რესურსების უკმარისობა, მაღალი საინვესტიციო რისკი, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების თავისებურებები, არასრულყოფილი საკანონმდებლო სისტემა, ეკონომიკური და პოლიტიკური არასტბილურობა. მეორე შემთხვევაში შეიძლება დავასახელოთ ისტორიულად არსებული კავშირურთიერთობები, ტერიტორიული სიახლოვე, ბუნებრივი და შრომითი რესურსებით უზრუნველოყოფა, გეოგრაფიული მდებარეობა, ბაზრის პოტენციური ტევადობა და ა.შ. აქედან გამომდინარე ტნკ-ების საქმიანობაში შემაფერხებელ ფაქტორებად პრობლემის შემდეგი ჯგუფები გამოიყოვა: გეო და შიდა პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივი.

ფინანსური სისტემის ოპტიმალური განვითარების არარსებობის პირობებში ვერ ხერხდება ეფექტურად მოხდეს შიდაკაპიტალდაბანდება ინვესტიციებში, რასაც ამჟამად ადგილი აქვს ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნებში, რის გამოც პირდაპირი და პორტფელური ინვესტიციები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს ეკონომიკური განვითარების ფინანსირებაში.

---

[96] გაზ. Armenian press, 16 ოქტომბერი, 2009 წელი.

ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნებში კაპიტალის ბაზრის პრაქტიკულად არარსებობის გამო, პორტფელური უცხოური ინვესტიციების ნაკადი საკმაოდ მცირეა, მაშინ, როცა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადი და მოცულობა მიშვნელოვანია. პუი არის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების საქმეში, რაც მეორეს მხრივ მიანიშნებს ეკონომიკის დაფინანსებისათვის იმ პრობლემებზე, რომელიც არსებობს შიდა კაპიტალდაბანდების მობილიზაციაში.

ამიერკავკასიის ქვეყნებში პუი-ს როლი კაპიტალის ფორმირებაში ამჟამად ბევრად მაღალია, ვიდრე სხვა ბევრ ქვეყნაში, თუნდაც არ გავითვალისწინოთ ტრანსნაციონალური პროექტების (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის) შედეგად საქართველოსა და აზერბაიჯანში პუი-ის დიდი ნაკადის შემოდინება. ამ პროექტის განხორციელების  შედეგად პუი აზერბაიჯანში 2002-2004 წწ. შედრებით გაიზარდა და მსოფლიოში ერთ-ერთი მაღალი ტემპით გამოირჩეოდა. აზერბაიჯანში უკანასკნელი 10 წლის მანძილზე იგი საქართელოსა და სომხეთთან შედარებით ყველაზე მაღალი იყო. აღსანიშნავია, რომ პუი-ს დიდი ნაკადის შემოდინება სწორედ ტნკ-ების საქმინობასთან იყო დაკავშირებული. ახალი ტრანსნაციონალური პროექტის ,,ნაბუკოს" განხორციელების შემთხვევაში პუი-ის ნაკადი კიდევ უფრო გაიზრდება.

უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანში ტნკ-ები საქმინობა  და შესაბამისად პუი-ის დაბანდება ნავთობის და მის თანმხლებ სექტორზე მოდის, მაშინ როდესაც სომხეთსა და საქართველოში იგი ბევრად დივერსიფიცირებულია.  ამ ქვეყნებში პუი შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად – პირველი, რომელიც განპირობებული იყო ფართომასშტაბიანი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაციით, განსაკუთრებით კვების მრეწველობაში, ტელეკომუნიკაციში და ელექტროენერგიის გა-

ნაწილებით, რომელიც გავრცელდა 90-იან წლებში და პუი-ით სექტორის ახალ ნაწილებში, განსაკუთრებით საბანკო სექტორში, მშენებლობაში, კვების მრეწველობაში და ტურიზმში. აქ პუი-ის შემოდინების ინტენსიფიკაცია განსაკუთრებით 2000 წლიდან დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ტნკ-ების მონაწილეობა სომხეთსა და საქართველოში ბევრად შეზღუდული იყო, ვიდრე აზერბაიჯანში. მაგ. სომხეთში განხორციელებული პუი-ის დიდი ნაკადი უცხოეთში არსებულ სომხურ დიასპორაზე მოდიოდა[97].

თანამედროვე ეტაპზე, ინვესტიციების მოზიდვა ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყანების უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს, როგორც ექსპორტის დივერსიფიკაციის, მოცულობის და მაღალი ტექნოლოგიების ექსპორტის წილის გაზრდის, ასევე გამოცდილების და ტექნოლოგიების მიღების, წარმოების საშუალებების გაუმჯობესების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება.

რეგიონი დღეს განიხილება დასავლეთევროპული სახელმწიფოებისათვის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად ენერგომომარაგებისა და სატრანზიტო მიმართულებით, რომელსაც თანამედროვე ეტაპზე დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ევროპის ენერგომომარეგების უსაფრთხოების თვალსაზრისით, არამედ თავად ამიერკავკასიის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და რეგიონის ქვეყნების დასავლეთის წამყვან ინსტიტუტებთან ინტეგრაციის კუთხით. ყველაფერი ეს კი მნიშვნელოვანია საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის რეგიონალურ და მსოფლიო დონეზე დემოკრატიული ტრანსფორმაციისათვის.

მსოფლიოს ენეგრტიკული ბაზრების დიდ ინტერესს იწვევს საქართველოს სრტატეგიული მდებარეობა, რომე-

[97] вардан багдасарян, условия становления корпоративного сектора в армении, роль и степень участия иностранного капитала, 2007, с. 47

ლიც უზრუნველყოფს ნავთობის მილსადენებით ტრანსპორტირებისათვის მეტად ეფექტიან და უმოკლეს გზას კასპიის, ცენტრალური აზიის ქვეყნებიდან და აზერბაიჯანიდან შავ ზღვამდე. საქართველო ესაზღვრება იმ ქვეყნებს, რომლებიც ფლობენ ნავთობისა და გაზის უდიდეს მარაგებს. კერძოდ, რუსეთსა და კასპიის ქვეყნებს; მეორე მხრივ, იგი ესაზღვრება თურქეთს, რომელიც ენერგორესურსების მნიშვნელოვანი მომხმარებელია. აქედან გამომდინარე, საქართველო განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს როგორც ნავთობისა და გაზის მომპოვებელი, ისე აღნიშნული პროდუქტის შემსყიდველი ქვეყნების მხრიდან. აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით სატრანსპორტო კავშირების განვითარებისათვის რეგიონს გააჩნია სატრანსპორტო გადაზიდვების განვითარების ისეთი მნიშვნელოვანი პოტენციალი, როგორიცაა სარკინიგზო და სავტომობილო ინფრასტრუქტურა, რომლებიც დაკავშირებულია შავი ზღვის პორტებთან.

ამიერკავკასიის ქვეყანებს გააჩნია მზარდი და სწარფად განვითარებადი ეკონომიკური ტემპი და პოტენციალი. რეგიონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების კიდევ უფრო დაჩქარებისათვის აუცილებელია ტარნსნაციონალური კომპანიების საქმიანობის მასშტაბების გააქტიურება. ამიერკავკასიის ქვეყნები — საქართველო და აზერბაიჯანი ერთ-ერთი მთავრი ღეძია ევროპის ენერგომატრებლებით მომარაგების კუთხით. ამდენად, ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის რეგიონალური საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და ცივილური ურთიერთობების შენარჩუნება ამიერკავკასიის უსაფრთხოების ერთ ერთი გარანტი იქნება, რაც თავის მხრივ გაზრდის უცხოური კომპანიების და შესაბამისად, მათ მიერ ინვესტიციების რაოდენობას რეგიონის ქვეყნებში.

### *4.2. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა საქართველოში*

დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საქართველომ პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების დივერსიფიცირებისა და გლობალიზაციის პროცესში ეფექტიანი ჩართვის მიზნით მნიშვნელოვანი ეკონომიკური რეფორმები განახორციელა. რეფორმები მიმართული იყო მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებისკენ, რაც უცხოური ინვესტიციების შემოდინების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, ეკონომიკის ყველა დარგში სამეწარმეო აქტივობის ზრდისა და ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლების საფუძველს წარმოადგენს. საინვესტიციო გარემო, ესაა ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც დამახასიათებელია მოცემული ქვეყნისათვის და განსაზღვრავს შესაძლებლობებს და სტიმულებს, რათა კომპანიებმა გააფართოვონ საქმიანობის მასშტაბები, განახორციელონ ინვესტიციები, შექმნან ახალი სამუშაო ადგილები და აქტიური მონაწილეობა მიიღონ გლობალურ კონკურენციაში. ამავე დროს, საინვესტიციო გარემო სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობების ის სისტემაა, რომლის ფორმირებაც ხორციელდება მიკრო და მაკრო ეკონომიკაზე ურთიერთდაკავშირებული პროცესების გავლენის საფუძველზე და იწვევს მდგრადი საინვესტიციო მოტივაციის წარმოქმნას.

საქართველოს მთავრობის მიერ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისა და კერძო ინვესტიციების მოზიდვისათვის მნიშვნელოვანია 2004 წელს დაწყებული ფართომასშტაბიანი პრივატიზების პროცესი, რომლის უმთავრესი მიზანია სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილი ობიექტების განსახელმწიფოებრიობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისათვის, კერძო სექტორის ზრდისა და განვითარებისათვის, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიცი-

ბის მოზიდვისათვის, ქვეყანაში არსებული რესურსების სრულად ათვისებისათვის და ა.შ. პრივატიზაციის პოლიტიკამ ხელი შეუწყო, როგორც პირდაპირი უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების, ასევე კერძო სექტორის როლის ზრდას ქვეყნის ეკონომიკაში.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მიმზიდველობისათვის პოზიტიურ გარემოს ქმნის ისეთი დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების არსებობა, როგორიცაა ნავთობის მრეწველობა (გადამამუშავებელი), შავი (ძირითადად მანგანუმის მადნისა და ფეროშენადნობის წარმოება) და ფერადი მეტალურგია, მანქანათმშენებლობის ცალკეული ქვედარგები, სამთოქიმიური მრეწველობა (ძირითადად დარიშხანის წარმოება), მტკნარი და მინერალური წყლების ჩამოსხმა, სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალების წარმოება, მეჩაიეობა, მევენახეობა, მეხილეობა, მეციტრუსეობა, მეაბრეშუმეობა, თამბაქოს წარმოება, მათი პროდუქციის გადამამუშავებელი მრეწველობა და ა.შ.

საქართველოს ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ გადაიქცეს საერთაშორისო ტურიზმის ქვეყნად 102 კურორტით, 182 საკურორტო ადგილით, 15000 ისტორიული ძეგლით, რომელთაგან 4 შეტანილია იუნესკოს მსოფლიო საგანძურთა სიაში, არესბული ეროვნული პარკებით, 2400 მინერალური წყაროთი, რომელთა დღე-ღამური მარაგი 130 მლნ ლიტრია, სამკურნალო ტალახებით, კასტრული მღვიმეებით, კლიმატის მრავალფეროვნებით, მოსახლეობის მდიდარი გამოცდილებით ტურისტული მომსახურების დარგში, მეცნიერების, განათლებისა და კულტურის მაღალი დონით, განთქმული ქართული სტუმართმოყვარეობით.

ამრიგად, უახლოეს წლებში მოსალოდნელი ეკონომიკური ზრდა მაღალი იქნება იმ სფეროებში, სადაც საქართველოს გააჩნია შედარებითი უპირატესობები - მაგალითად, მეღვინეობა, მინერალური წყლები, ჰიდროენერგეტიკა, ტუ-

რიზმი, განსაკუთრებით შავი ზღვის სანაპიროზე. სწრაფი ტემპით გაიზრდება მომსახურების სექტორი, აგრეთვე საქმიანობის ყველა სახე, რაც დაკავშირებულია ვაჭრობასთან. სწორედ ასე მოხდა რამდენიმე წლის წინ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პერიოდში. საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ზოგადად საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ამისა, კვლავ რჩება ბევრი სფერო, სადაც გარკვეული ხარვეზები შეიმჩნევა. ეს განსაკუთრებით ეხება ეფექტიანი და მიუკერძოებელი სასამართლო სისტემის ჩამოყალიბებას, კორუფციასთან ბრძოლას და ბიზნესთან დაკავშირებული ადმინისტრაციების (საგადასახადო, საბაჟო და სხვა ინსპექციები) რეფორმირებას.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და რაციონალური გამოყენება საქართველოში ეკონომიკური რეფორმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. ამ პრობლემის ოპტიმალურად გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ეკონომიკაში რეალური გარდაქმნების განხორციელება და საქართველოს ეკონომიკის ორგანული ჩართვა მსოფლიო მეურნეობაში. საქართველოში უცხოური კერძო კაპიტალის შემოსვლის ერთადერთ ფორმად, დღეისათვის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გვევლინება. ამასთან, საწყის ეტაპზე აღნიშნული დაბანდებების ზრდა აღინიშნება პირველ რიგში იმ დარგებში, სადაც საქართველოს შედარებითი უპირატესობები გააჩნია. დანარჩენ დარგებში კი, მათ შორის სარეკრეაციო სფეროში ინვესტიციების მოდინება საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებამდე უმნიშვნელოა.

**საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა მილ. აშშ დოლ[98].**

*ცხრილი 25*

| | |
|---|---|
| 2009 I-II კვ. | 226.1* |
| 2008 | 1563,9 |
| 2007 | 2014,8 |
| 2006 | 1190,3 |
| 2005 | 449,7 |
| 2004 | 499,1 |
| 2003 | 340,0 |
| 2002 | 167,3 |
| 2001 | 109,8 |
| 2000 | 131,2 |

საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების ნაკადი საერთო მასშტაბთან შედარებით უმნიშვნელოა. 2007 წელს ინვესტიციების მაღალი (ცხრილი 25) შემოდინება იყო. რის შემდეგაც კლების ტენდნეცია შეინიშნება. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და ქვეყნის არასტაბილურმა (კონ-ფლიქტური სიტუაციები) პოლიტიკურმა გარემომ გავლენა იქონია პუი-ის ნაკადებზე ქვეყანაში.

**საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით[99]**

*ცხრილი 26*

| ქვეყნები | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | I კვ. 2009 | II კვ. 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სულ | 131,231.9 | 109,839.8 | 167,362.5 | 340,070.1 | 499,106.5 | 449,784.8 | 1,190,374.6 | 2,014,841.6 | 1,563,962.9 | 133,897.2 | 92,179.2 |
| აზერბაი-ჯანი | - | - | - | 29,697.5 | 69,099.4 | 66,920.2 | 77,804.5 | 41,368.1 | 23,942.7 | -1,020.5 | -826.8 |
| არგენტინა | - | - | - | - | - | 93.1 | 100.5 | 40.6 | -90.2 | - | - |
| ავსტრა-ლია | 2,409.2 | - | - | 26,225.9 | - | 921.5 | 1,939.4 | 207.5 | 109.2 | 29.0 | 28.8 |
| ავსტრია | - | - | - | 18,108.4 | 23,157.2 | 14,732.2 | 10,749.3 | 11,384.4 | 51,463.4 | 2,019.7 | 8,634.9 |
| ბაჰამები | - | - | - | - | - | - | - | -3.2 | - | - | - |
| სომხეთი | - | - | - | 249.8 | 276.6 | 395.5 | 1,033.6 | -4,895.4 | -15,061.4 | -2,860.0 | -1,445.9 |
| ბელგია | - | - | - | - | - | - | - | 1,563.7 | 62.0 | 49.5 | 34.8 |
| ბელიზი | - | - | - | 155.7 | - | 695.0 | -264.2 | 10,306.5 | 37,822.5 | -131.1 | 553.5 |
| ვირჯინის კ-ბი (ბრიტ.) | - | - | - | 6,225.5 | 6,893.6 | 4,900.2 | 58,586.2 | 187,815.5 | 156,847.3 | 9,931.4 | -2,113.4 |
| ბულგარე-თი | 2,172.2 | 2,238.9 | - | - | - | 70.8 | 318.9 | 20.6 | 12.7 | 13.7 | 9.0 |
| ბელარუსი | - | - | - | - | - | - | - | 52.8 | 102.4 | -92.6 | -43.1 |

98 წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი.
http://www.statistics.ge/main.php?pform=92&plang=2

99 იქვე.

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კანადა | - | - | - | - | - | - | 6,000.0 | 1,388.8 | -104.0 | -28.0 | 24.4 |
| კაიმანის კ-ბი | - | - | - | - | - | - | 2,972.0 | 3,104.9 | -7,007.3 | -916.8 | -1,632.7 |
| ჩინეთი | - | - | 2,562.0 | 19,070.4 | 7,338.1 | 5,668.5 | 5,445.3 | 6,877.1 | -2,271.4 | -520.4 | -16.6 |
| კვიპროსი | 3,921.1 | 19,209.1 | 1,062.7 | 675.7 | 21,333.1 | 47,537.3 | 40,071.2 | 148,643.6 | 26,165.8 | 3,218.1 | 2,244.8 |
| ჩეხეთი | - | - | - | 249.8 | 276.6 | 1,279.6 | 15,032.2 | 227,926.4 | 34,857.6 | 23,674.6 | -13,339.7 |
| დანია | - | - | - | - | - | 319.0 | 42,477.8 | 158,126.2 | 256.3 | 372.9 | -475.7 |
| ესტონეთი | - | - | - | - | - | - | - | 594.0 | -210.8 | -24.1 | 32.7 |
| საფრანგეთი | - | 17,391.7 | 6,287.1 | 16,709.5 | 22,854.3 | 14,383.3 | 17,221.7 | 43,726.0 | 8,179.7 | -427.4 | -677.5 |
| გერმანია | 3,209.8 | 13,377.8 | 4,227.5 | 4,144.9 | 5,140.5 | 5,031.8 | 20,380.8 | 56,987.8 | 40,590.6 | 1,788.3 | 235.0 |
| გიბრალტარი | - | - | - | 115.1 | - | 90.2 | 955.4 | 6,127.5 | 5,307.0 | 949.6 | 1,144.7 |
| საბერძნეთი | - | 145.9 | 19,099.7 | 1,967.2 | 2,178.3 | 2,217.0 | 2,507.4 | 1,349.7 | -1,850.4 | 829.4 | 184.0 |
| უნგრეთი | - | - | - | 33.9 | - | 327.0 | 314.8 | 1,010.1 | 1,025.3 | -440.4 | -189.2 |
| ისლანდია | - | - | - | - | - | - | - | 181.7 | 0.0 | - | 41.2 |
| ინდოეთი | - | - | - | - | - | 29.0 | 54.9 | 61.9 | 26,998.4 | 25.5 | 40.3 |
| იორდანია | - | - | - | - | - | - | - | - | - | - | 1,907.7 |
| ირანი | - | - | - | - | - | - | 42.9 | 108.3 | 1,448.5 | 191.5 | 239.9 |
| ერაყი | - | - | - | - | - | - | 1.3 | 35.4 | 0.0 | - | - |
| ირლანდია | 14,082.9 | - | 37.3 | 37.5 | 41.5 | 592.4 | 1,155.2 | -1,663.2 | 223.5 | 46.4 | -9.4 |
| ისრაელი | - | 152.8 | 4,321.6 | 487.1 | 539.3 | 1,704.1 | 4,084.2 | 9,496.0 | -2,047.7 | -292.8 | 950.9 |
| იტალია | 2,971.6 | 6,975.8 | 9,864.2 | 15,895.7 | 32,453.0 | 22,833.5 | 47,219.1 | 15,228.1 | 6,047.8 | -881.8 | 123.8 |
| იაპონია | - | - | - | 8,617.7 | 12,089.5 | 16,610.1 | 34,433.1 | 34,368.3 | 11,655.4 | 12,266.4 | -16,634.3 |
| ყაზახეთი | - | - | - | - | - | - | 152,310.5 | 88,486.2 | 65,941.7 | -3,917.6 | -258.0 |
| კორეა | 9,406.1 | - | - | 8,317.4 | 9,486.3 | 6,446.9 | 3,064.2 | - | - | - | - |
| ყირგიზეთი | - | - | - | - | - | - | - | - | 0.0 | 0.6 | - |
| ლიბანი | 2,004.6 | 121.2 | 87.8 | 133.5 | 177.2 | 84.7 | -7,869.9 | 135.9 | 212.1 | - | - |
| ლატვია | - | - | - | - | - | - | - | 3,102.1 | 756.5 | - | -3.2 |
| ლიბია | 1,814.4 | 789.9 | - | - | - | 33.0 | 21.6 | - | - | - | - |
| ლიხტენშტაინი | - | - | - | - | - | - | - | 2,662.7 | 5,016.0 | -538.2 | -309.5 |
| ლიტვა | - | - | - | - | - | - | 3,434.2 | 327.3 | -113.9 | 2,212.8 | -18.3 |
| ლუქსემბურგი | - | - | 337.2 | 249.8 | 276.6 | 553.1 | 261.1 | 9,245.7 | 5,731.0 | 1,985.5 | 1,441.5 |
| ნიდერლანდები | 4,422.1 | 1,500.6 | - | - | - | 492.0 | 18,530.2 | 299,277.2 | 135,870.2 | 19,287.6 | 16,986.7 |
| ნორვეგია | - | - | 2,993.6 | 11,262.2 | 37,496.7 | 23,620.9 | 77,894.8 | 34,200.1 | 2,693.4 | -1,374.8 | 149.2 |
| მარშალის კ-ები | - | - | - | - | - | - | 3,197.7 | 1,450.4 | 1,501.2 | 120.4 | 976.6 |
| პანამა | - | - | - | - | - | - | 3,391.6 | 6,177.7 | -2,470.0 | 9,120.5 | -436.5 |
| პოლონეთი | 5,947.1 | 2,581.6 | - | - | - | 293.8 | 502.2 | 19.1 | 22.9 | 2.3 | -5.6 |
| პორტუგალია | - | - | - | - | - | - | - | 13.2 | 117.2 | 19.0 | 9.6 |
| რუმინეთი | - | - | - | - | - | - | - | - | 5,430.6 | - | - |
| რუსეთი | 6,139.0 | 5,072.8 | 7,809.7 | 42,659.4 | 43,796.1 | 38,737.6 | 34,210.0 | 88,996.5 | 26,212.2 | -93.0 | 9,818.5 |
| სენტკიტსნევისი | - | - | - | - | - | - | 509.7 | - | - | - | - |
| საუდების არაბეთი | 41.0 | 72.3 | 149.0 | - | - | 150.2 | 263.8 | - | - | - | - |
| სეიშელები | - | - | - | - | - | - | - | 4,688.3 | 4,350.5 | - | - |
| ესპანეთი | - | - | - | - | - | - | - | 3,590.2 | 5,474.8 | - | - |
| შვედეთი | - | - | - | 81.2 | - | 160.4 | 189.5 | 6,779.1 | 7,634.8 | 3,020.4 | -4,241.4 |
| შვეიცარია | 599.0 | - | - | - | - | 115.6 | 402.4 | 10,854.7 | 89,958.6 | -1,161.4 | -4,709.1 |
| სირია | - | - | - | - | - | - | - | 3.9 | 9.2 | -29.5 | 4.3 |
| არაბეთის გაერთიანებული ემირატები | - | - | - | 291.1 | - | 280.5 | 422.6 | 130,858.7 | 306,576.3 | 50,138.7 | 73,606.7 |
| თურქეთი | 28,601.0 | 8,456.1 | 8,847.6 | 17,275.1 | 33,927.2 | 21,812.5 | 129,727.8 | 93,871.1 | 164,525.6 | 24,425.1 | 14,119.0 |
| უკრაინა | -51.0 | -36.4 | -37.8 | 1,438.5 | 1,280.0 | 1,700.9 | 1,055.8 | 24,380.8 | -6,442.0 | -2,192.8 | -4,756.4 |
| გაერთიანებული სამეფო | 4,824.0 | 8,508.7 | 17,530.2 | 37,629.7 | 87,831.2 | 132,925.8 | 186,824.1 | 145,474.8 | 148,907.6 | 30,623.4 | 12,377.0 |
| აშშ | 38,717.7 | 23,281.2 | 82,183.1 | 72,064.9 | 81,164.2 | 15,025.6 | 182,651.5 | 84,412.2 | 167,920.7 | -45,886.7 | -34,866.4 |
| საერთაშორისო ორგანიზაციები | - | - | - | - | - | - | 8,741.7 | 14,293.9 | 23,651.0 | 364.7 | 33,268.2 |

ცხრილის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში შემოსული უცხოური ინვესტიციე-

ბის მთელ მოცულობაში მეტი წილი 2007 წელს მოდის ნიდერლანდებზე, 2008 წელს არაბეთის გაერთიანებულ ემირატებზე, ხოლო 2009 წელს (პირველი ნახევარი) ლიდერობენ გაერთიანებული სამეფო, თურქეთი, არაბეთის გაერთიანებული საამიროები, ნიდრლანდები და ჩეხეთი (ცხრილი 26). წინა წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში შემოსული პირდაპირი ინვესტიციები, რაც მსოფლიოში განვითარებული კრიზისითაა გამოწვეული. თუმცა დასავლეთ ევროპული ინვესტიციების ნაკადის შემცირების მიზეზი მხოლოდ ეს არ შეიძლება იყოს. უკანასკნელ ხანს ქვეყნაში აზიური ქვეყნების საინვესტიციო ნაკადები იზრდება. აღსანიშნავია, რომ წინა წლებთან შედარებით, 2009 წლის მეორე კვარტალში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინვესტიციების ნაკადი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, რამაც 33.3 მილიონ დოლარს მიაღწია.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2009 წლის მეორე კვარტალში 92.2 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც 41.7 მილ. დოლარით ჩამორჩება პირველი კვარტლის მონაცემს და 513.2 მილიონი დოლარით ნაკლებია წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე.

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით** ათასი აშშ დოლარი[100]

***ცხრილი 27***

| | სექტორები | 2007 | 2008 | II კვ. 2009 |
|---|---|---|---|---|
| 1 | სულ | 2,014,841.6 | 1,563,962.9 | 92,179.2 |
| 2 | მათ შორის: | | | |
| 3 | სოფლის მეურნეობა, თევზჭერა | 15,527.9 | 7,844.3 | 413.3 |
| 4 | მრეწველობა | 398,240.9 | 207,327.9 | -4,841.4 |
| 5 | ენერგეტიკა | 362,581.1 | 294,864.8 | -4,415.8 |
| 6 | მშენებლობა | 171,891.8 | 56,725.3 | 3,649.3 |
| 7 | ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა | 416,694.7 | 422,690.0 | -16,439.0 |
| 8 | უძრავი ქონება | 30,543.9 | 277,837.7 | 57,758.5 |
| 9 | დანარჩენი მომსახურება | 382,806.6 | 283,165.2 | 31,483.8 |
| 10 | ბანკი | 136,914.5 | 8,519.4 | 24,570.6 |
| 11 | უცნობი* | 99,640.2 | 4,988.2 | - |

2008 წელს უცხოელი ინვესტორები ძირითადად შემოვიდნენ ეკონომიკის ისეთ სექტორებში როგორიცაა: ენერგეტიკა, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და მრეწველობის ზოგიერთი დარგი. ხოლო 2009 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი ნაწილი მოხმარდა უძრავ ქონებას (57.8 მილიონი დოლარი), სხვა მომსახურებას (31.5 მილიონი დოლარი) და საბანკო სფეროს (31.5 მილიონი დოლარი). შედარებით ნაკლები ოდენობით განხორციელდა უცხოური ინვესტიციები მშენებლობასა (3.6 მილიონი დოლარი) და სოფლის მეურნეობაში (0.4 მილიონი დოლარი (ცხრილი 27)).

მთლიანად საინვესტიციო სფეროს ანალიზი გვიჩვენებს, რომ მიუხედავად ეკონომიკური სტაბილიზაციის მნიშვნელოვანი სიმპტომებისა, გარდამავალი ეკონომიკის პირობებში შენარჩუნებულია ნეგატიური ტენდენციები. მათგან მთავარია ის, რომ მაკროეკონომიკური რეგულირების ამჟამად გამოყენებული იდეოლოგია და ტექნოლოგია სათანა-

---

[100] წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი.
http://www.statistics.ge/main.php?pform=92&plang=2

დოდ ვერ უზრუნველყოფს საინვესტიციო აქტივობის ზრდას, ეკონომიკის ეფექტურობის კარდინალურად ამაღლებას, ამიტომ აუცილებელია დაზუსტდეს და უფრო კონკრეტულად განისაზღვროს ინვესტირების კურსის მიზნობრივი ორიენტირები გარდამავალი პერიოდისათვის. ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედად უნდა იქცეს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ზრდის საკვანძო მაჩვენებლები და პირველ რიგში, საინვესტიციო პარამეტრები.

უკანასკანელ პერიოდში საქართველოს ეკონომიკური წარმატებების (პუი-ის ნაკადების ზრდსა) ერთ-ერთი მაჩვენებელი ეკონომიკური თავისუფლების ზრდის ტენდენციაცაა.

ფონდ „Heritage"-ის მონაცემებით[101] საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლები 2000-2009 წწ. გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდება (ცხრილი 28). სწორედ, ამ ინსტიტუტის გამოკვლევები ერთგვარი გზამკვლევია ინვესტორებისათვის.

მოცემული მაჩვენებლებით საქართველო სომხეთს ერთი საფეხურით ჩამორჩება, ხოლო აზერბაიჯანს სამი ათეულით უსწრებს. მონაცმებით ჩანს, რომ 2000 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გააუმჯობესდა ქვეყნის ბიზნესის, ვაჭრობის, ფისკალური თავისუფლების ხარისხი. 2009 წელს 2008 წელთან შედარებით მოიმატა მთავრობის გავლენამ ეკონომიკაზე, ასევე დაიწია მონეტარული თავისუფლების ხარისმა. აშკარაა, რომ კორუფციის პრობლემა კვლავ აქტუალურია ქვეყნისთვის.

[101] წყარო: ფონდი ,,heritage",
http://www.heritage.org/index/Explore.aspx?view=by-region-country-year

## საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლები 2002-2009 წწ.

*ცხრილი 28*

| საერთო წლიური კლასიფიკაცია | საერთო შეფასება | ბიზნესის თავისუფლება | ვაჭრობის თავისუფლება | ფისკალური თავისუფლება | სახელმწიფოს გავლენა | საფინანსო-საკრედიტო თავისუფლება | საინვესტიციო თავისუფლება | საფინანსო თავისუფლება | საკუთრების უფლება | კორუფციის დონე | შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2009-32 | 69.8 | 86.6 | 80.6 | 86.8 | 74.6 | 70.9 | 70.0 | 60.0 | 35.0 | 34.0 | 99.4 |
| 2008 | 69.2 | 85.0 | 71.0 | 90.7 | 81.2 | 74.4 | 70.0 | 60.0 | 35.0 | 28.0 | 100.0 |
| 2007 | 69.3 | 80.8 | 71.8 | 91.2 | 88.4 | 77.8 | 60.0 | 70.0 | 30.0 | 23.0 | 99.9 |
| 2006 | 64.5 | 73.9 | 67.6 | 94.1 | 90.8 | 75.2 | 50.0 | 70.0 | 30.0 | 20.0 | 73.6 |
| 2005 | 57.1 | 55.0 | 65.2 | 89.9 | 90.5 | 75.9 | 30.0 | 50.0 | 30.0 | 18.0 | 66.8 |
| 2004 | 58.9 | 55.0 | 65.2 | 90.6 | 90.1 | 75.1 | 75.5 | 50.0 | 50.0 | 24.0 | - |
| 2003 | 58.6 | 55.0 | 64.8 | 90.6 | 88.9 | 74.8 | 50.0 | 50.0 | 30.0 | 23.0 | - |
| 2002 | 56.7 | 55.0 | 79.2 | 90.7 | 85.5 | 67.4 | 50.0 | 30.0 | 30.0 | 30.0 | - |
| 2001 | 58.8 | 55.0 | 76.6 | 90.9 | 89.2 | 61.1 | 50.0 | 30.0 | 50.0 | 23.0 | - |
| 2002 | 54.3 | 55.0 | 69.0 | 90.6 | 86.8 | 67.5 | 50.0 | 30.0 | 30.0 | 10.0 | - |

ეკონომიკის ლიბერალიზაციის მაჩვენებელია ასევე მსოფლიო ბანკის და ,,Doing Businees'' მიერ გაკეთებული შეფასება, რომლის თანახმად საქართველოს ბიზნესის წარემობის ხელსაყრელობის ინდექსის მიხედვით მსოფლიოს 187 სახელმწიფოს შორის მე-11 ადგილი უჭირავს. რეიტინგის ინდექსი გაინგარიშება ბიზნესის დაწყების, ნებართვის აღების, საკუთრების რეგისტრაციის, მუშახელის, ინვესტორის დაცვის, კრეიდიტის აღების, გადასახდების, ვაჭრობის, კონტრაქტების დარღვევის, ბიზნესის ლიკვიდაციის კომპონენტების მიხედვით (ცხრილი 29).

**ბიზნესის დაწყების პირობების მაჩვენებლები2009 წელს**[102]

*ცხრილი 29*

| ბიზნესის დაწყების პირობების ინდექსი | ბიზნესის დაწყება | მშენებლობის ნებართვის მიღება | მუშახელი | საკუთრების რეგისტრაცია | კრედიტის აღება | ინვესტორის დაცვა | გადასახადები | ვაჭრობა | კონტრაქტები | ბიზნესის ლიკვიდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | 5 | 7 | 9 | 2 | 30 | 41 | 64 | 30 | 41 | 95 |

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი პირობაა მსოფლიო ეკონომიკაში განუხრელი ინტეგრაცია. ამავე დროს, საგარეო ეკონომიკური კავშირების გააქტიურება დაეხმარება საქართველოს აღორძინებას, მისი ეკონომიკის მოდერნიზაციას, მაგრამ ეს მოითხოვს მსოფლიო ეკონომიკაში ქვეყნის ოპტიმალური ჩართვის სტრატეგიის შემუშავებას და თანმიმდევრულ რეალიზებას, ამ სფეროს საქმიანობის მართვის გარდაქმნას, ექსპორტის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებას, საკუთარი პერსპექტიული დარგების დაცვას და იმპორტშემცვლელი წარმოების განვითარებას. ქვეყანამ უნდა აიმაღლოს კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, დაეყრდნოს იმ დარგებსა და წარმოებებს, რომელთაც ამისათვის კარგი წინაპირობები აქვთ.

საგარეო ვაჭრობის ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი მაჩვენებელია ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბალანსი. ამ მიმართულებით საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის მთავარი ამოცანაა ექპორტის ისეთი ზრდა, რომელიც უზრუნველყოფს მისი მოცულობის მიახლოებას იმპორტთან და შემდგომ ექსპორტის წინმსწრები ტემპით ზრდას. საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენე-

[102] წყარო: The Doing Business project...,
http://www.doingbusiness.org/EconomyRankings/?direction=Asc&sort=4

ბის ძირითადი რეზერვებია ქვეყანაში არსებული ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, პროდუქციის ხარისხის ამაღლება, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, ახალი სავაჭრო კავშირების დამყარება. დიდი მნიშვნელობა აქვს აღრიცხვიანობისა და საფინანსო-საკრედიტო სისტემის სრულყოფას, უცხოური ინვესტიციების ეფექტიანად გამოყენებას, მომსახურების ექსპორტის განვითარებას, ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავებას. გარდა ამისა, ქვეყნის ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, სოციალური და კლიმატური პირობების სპეციფიკიდან გამომდინარე, საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უპირატესი მიმართულებაა ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის სრული დატვირთვით ამოქმედება და დიდი აბრეშუმის გზის პროექტის რეალიზაციის დაჩქარება.

ლიბერალური სავაჭრო პოლიტიკის და შეღავათიანი საგარეო-სავაჭრო რეჟიმების შედეგად ქვეყნის საგარეო-სავაჭრო ბრუნვა 2003 წლიდან ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რასაც ხელს უწყობს ის, რომ საქართველოში მოქმედებს შეღავათიანი სავაჭრო რეჟიმები: თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი – დსთ-ს ქვეყნებთან და თურქეთთან (2008 წლის 1 ნოემბრიდან); "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი" – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრ ქვეყნებთან; პრეფერენციების განზოგადებული სისტემა (GSP) – აშშ-სთან, კანადასთან, იაპონიასთან, შვეიცარიასა და ნორვეგიასთან; GSP+ – ევროკავშირთან (7200 სახეობის პროდუქციაზე) 2005 წლიდან. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების (FTA) თაობაზე.

საქართველოს საგარეო ვაჭრობაში პოზიტიური ტენდენციები 2000 წლიდან დაიწყო, რაც დადებითად აისახა კიდეც მის გეოგრაფიულ ორიენტაციაზეც. თუ 1994 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიც-

ხვი 54 იყო, 2009 წლისათვის მათმა რაოდენობამ 123-ი შეადგინა. ქვეყნის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალის გაფართოება გრძელვადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვნად ზრდის მისი თვისობრივი გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვაზეც აისახა. 2009 წლის იანვარ-აგვისტოში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 3 483.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 34.7%-ით ნაკლებია. ექსპორტი 31.7%-ით შემცირდა და შეადგინა 729.1 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტი 35,4%-ით შემცირდა და 2753.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. მიუხედავად საგარეო სავაჭრო ბრუნვის კლების ტენდენციისა, აღნიშნულ პერიოდში ექსპორტის ხვედრითი წილი მთლიანი ბრუნვის მოცულობაში მცირედ, მაგრამ ეტაპობრივად იზრდება, რაც სავაჭრო დეფიციტის კლების ტენდენციის მაუწყებელია[103].

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების რიცხვი 2009 წლის 8 თვეში 123 ქვეყნით განისაზღვრა. აქედან 102 ქვეყანასთან ჰქონდა უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და სავაჭრო დეფიციტი 2 140 მილიონით განისაზღვრა, ხოლო დადებითი სავაჭრო ბალანსი 21 ქვეყანასთან — 115.9 მლნ აშშ დოლარი. მილიონ აშშ დოლარზე მეტი დადებითი სავაჭრო ბალანსი აქვს 8 ქვეყანასთან: კანადა (68,5 მლნ. აშშ დოლარი), სომხეთი (27,3 მლნ. აშშ დოლარი), ერაყი (6,4 მლნ. აშშ დოლარი), ანგოლა (3,1 მლნ. აშშ დოლარი), ყაზახეთი (2,9 მლნ. აშშ დოლარი) ბურკინაფასო (1,9 მლნ. აშშ დოლარი), უზბეკეთი (1,2 მლნ. აშშ დოლარი) და ეგვიპტე (1,1 მლნ. აშშ დოლარი)[104].

---

103 http://www.economy.ge/upload-file/pdf/sagareo%20vachroba.pdf

104 სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს საგარეო ვაჭრობა, http://www.statistics.ge/_files/georgian/bop/sagareo%20vaWroba-09-2009.pdf

დსთ-ის ქვეყნებთან საგარეო სავაჭრო ბრუნვა 2009 წლის იანვარ-აგვისტოში 39.6%-ით შემცირდა, 1061,0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 30.5% დაიკავა. ექსპორტი 25.3%-ით შემცირდა, 270.6 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიან ექსპორტის 37.1% დაიკავა. იმპორტი 43.3%-ით შემცირდა, 790.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი იმპორტის 32.7% დაიკავა

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტმა პირველად გადააჭარბა დსთ-ს ქვეყნებიდან იმპორტირებულ პროდუქციას, რაც საიმპორტო ბაზრების ურთიერთჩანაცვლების მაღალ კოეფიციენტზე მიუთითებს. საექსპორტო ბაზარი კვლავ დიდად არის დამოკიდებული დსთ-ს ქვეყნებზე და ამ რეგიონში 1.8-ჯერ მეტი ოდენობის ექსპორტი გადის, ვიდრე ევროკავშირის ქვეყნებში.

საქართველოსათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაზრდას ევროკავშირთან. ევროკავშირის ბაზარი ერთ-ერთი უდიდესია მსოფლიოში, მასზე მოდის დაახლოებით მსოფლიო ვაჭრობის 20%. საქართველოს ექსპორტს ევროკავშირში მზარდი ტენდენცია. მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ევროკავშირის ხვედრითი წილი უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც იზრდება. თუ გასულ წელს მას მთლიანი სავაჭრო ბრუნვის 26.5% ეკავა, მიმდინარე წლის 8 თვეში 27.8% დაიკავა. 2009 წლის იანვარ-აგვისტოში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორის წილი საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 67,9 პროცენტს შეადგენს[105].

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პირობებში საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა

[105] სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს საგარეო ვაჭრობა, http://www.statistics.ge/_files/georgian/bop/sagareo%20vaWroba-09-2009.pdf

აქვს ევროკავშირთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების მასშტაბების გაზრდას, მით უფრო, როცა საქართველოს სტრატეგიულ და სავაჭრო-ეკონომიკურ ინტერესებში შედის ევროკავშირის წევრობისაკენ სვლა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მხარეებს შორის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის (FTA) შემოღება. ორმხრივი ეკონომიკური საზღვრების გახსნა ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო ბაზრის დივერსიფიკაციას და შეამცირებს ქვეყნის დამოკიდებულობას ცალკეულ ბაზრებზე. საქართველოს ჩართვა ევროპის სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის, მრეწველობის რიგი დარგების კონკურენტუნარიანობის ზრდას მსოფლიო ბაზარზე. ასეთი დარგები შეიძლება იყოს როგორც მაღალტექნოლოგიური ელექტრონიკისა და ინფორმატიკის, ისე დაბალტექნოლოგიური საფეიქრო მრეწველობის დარგები.

სავაჭრო ბრუნვის მიხედვით კვლავ თურქეთია საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა. თურქეთთან სავაჭრო ბრუნვა 674,5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, ექსპორტი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 20.7%-ით შემცირდა და 164,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. დადებითი ფაქტორია ის, რომ შემცირებულია ისეთი ნედლეულის გატანა, როგორიცაა შავი ლითონების ჯართი (59,4 მლნ. აშშ დოლარით), ალუმინის ჯართი (8,2 მლნ. აშშ დოლარი) და გაზრდილია ისეთი სასაქონლო ჯგუფების ექსპორტი როგორიცაა: ზეთოვანი კულტურების (20,2 მლნ. აშშ დოლარით) და ფეროშენადნობები (12,8 მლნ. აშშ დოლარით).

2008 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ასევე შემცირებულია თურქეთიდან იმპორტი (30.3%). კონკრეტულად, შავი ლითონების ლითონკონსტრუქციების (6,7 მლნ. აშშ დოლარით), მერქან-ბურბუშელის ფილების (6,0 მლნ. აშშ დოლარით) და ნავთობისა და ნავთობპროდუქტების (5,8 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების იმპორტი. გაზ-

რდილია ცემენტის (2,6 მლნ. აშშ დოლარით), ქაღალდისა და მუყაოს (1,9 მლნ. აშშ დოლარით) და სპილენძის ნაკეთობების (1,5 მლნ. აშშ დოლარით) ჯგუფების იმპორტი.

უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებს შორის არის დსთ-ის 3 ქვეყანა (აზერბაიჯანი, უკრაინა, რუსეთი) და მათზე მოდის მთლიანი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 25,0 პროცენტი. აზერბაიჯანთან 34.9% - ით შემცირდა სავაჭრო ბრუნვა და 365,3 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აზერბაიჯანთან სავაჭრო ბრუნვის წილი არ შეცვლილა და 10,5 პროცენტს შეადგენს. საანგარიშო პერიოდში, წინა წელთან შედარებით, ექსპორტი აზერბაიჯანში შემცირებულია 25,4 მლნ. აშშ დოლარით. უმსხვილესი საექსპორტო სასაქონლო ჯგუფებია მსუბუქი ავტომობილები (29,9 მლნ. აშშ დოლარი) და ცემენტი (16,1 მლნ. აშშ დოლარი). აზერბაიჯანიდან იმპორტი შემცირებულია 170,1 მლნ. აშშ დოლარით და 244,7 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 59,0 პროცენტია.

მართალია, უკრაინა საქართველოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორთა ათეულში მესამე ადგილზეა ამ ქვეყანასთან სავაჭრო ბრუნვა 41.3%-ით შემცირდა და 310,2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. სავაჭრო ბრუნვის წილი 1,0 პროცენტული პუნქტით – 9,9 პროცენტიდან 8,9 პროცენტამდე – შემცირდა. ექსპორტი შემცირებულია 40,5 მლნ. აშშ დოლარით, რაც გამოიწვია ძირითადად ფეროშენადნობების (14,2 მლნ. აშშ დოლარით), ყურძნის ნატურალური ღვინოების (5,4 მლნ. აშშ დოლარით) და მსუბუქი ავტომობილების (2,5 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების ექსპორტის შემცირებამ. გაზრდილია სპირტიანი სასმელების ექსპორტი (0,6 მლნ. აშშ დოლარით) და 19,2 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. იმპორტი უკრაინიდან 177,9 მლნ. აშშ დოლარითაა შემცირებული და 262,5 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. ყველაზე მეტად შემცირებულია რკინისა და ფოლადის წნელების (58,1 მლნ. აშშ

დოლარით), ხორბლის ფქვილის (15,7 მლნ. აშშ დოლარით) და ქვანახშირის კოქსის (12,5 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების იმპორტი. გაზრდილია მზესუმზირას თესლის (24,8 მლნ. აშშ დოლარით), ალაოს (2,8 მლნ. აშშ დოლარით) და ელექტრო ტრანსფორმატორების (2,5 მლნ. აშშ დოლარით) სასაქონლო ჯგუფების იმპორტი.

კვლავ ნაკლებად დივერსიფიცირებულია ექსპორტი ქვეყნების მიხედვით და 2009 წლის იანვარ-აგვისტოში უმსხვილეს ათ სავაჭრო პარტნიორ ქვეყანას საქართველოს ექსპორტის 81.3% უკავია. სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველ ადგილზე ფეროშენადნობებია – მის წილად 2009 წლის იანვარ-აგვისტოში ექსპორტის 12,7 პროცენტი მოდის და 92,6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. დაუმუშავებელი ან ნახევრად დამუშავებული ოქროს ექსპორტი შეადგენს 75,0 მლნ. აშშ დოლარს, რაც ექსპორტის 10,3 პროცენტია. მესამე ადგილზე მყოფი მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფის ექსპორტი შემცირებულია 19,7 მლნ. აშშ დოლარით და 59,9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს.

საექსპორტო პროდუქციაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ბოსტნეულის ხვედრითი წილი. ძირითადი დანიშნულების ბაზრებია ევროკავშირისა და სხვა ევროპული ქვეყნების ბაზრები. ექსპორტის სტრუქტურაში მოიმატა აგრეთვე, ზეთოვანი კულტურების, სოჭის გირჩის, სანელებლების და ფარმაცევტული საქონლის ექსპორტმა.

2005 წლიდან კლების მკვეთრი ტენდენციით ხასიათდებოდა სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წილი მთლიან ექსპორტში. თუმცა, ეს ტენდენცია დაირღვა და პოზიტივია, რომ 2009 წლის რვა თვეში საგარეო ვაჭრობის მონაცემებით საქართველოს მთლიან ექსპორტში სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წილი 23.7%-ით გაიზარდა. აღსანიშნავია, რომ ასევე დაბალია სასოფლო სამეურნეო პროდუქციის წილი მთლიან იმპორტში, თუმცა 2009 წლის 8 თვეში აღნიშნული

მონაცემი უმნიშვნელოდ, 3.4 ერთეულით გაიზარდა. იმპორტი შედარებით დივერსიფიცირებულია ქვეყნების მიხედვით.

2009 წლის იანვარ-აგვისტოში უმსხვილესმა ათმა სავაჭრო პარტნიორმა ქვეყნამ საქართველოს იმპორტის 69,3% დაიკავა. 2009 წლის იანვარ-აგვისტოში უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი ნავთობი და ნავთობპროდუქტებია, რომლის წილი იმპორტში 11,4 პროცენტია და 313,6 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს. მეორე ადგილზე მყოფი მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფის იმპორტი 171,0 მლნ. აშშ დოლარია, რაც იმპორტის 6,2 პროცენტია. შემცირებულია სამკურნალო საშუალებების ჯგუფის იმპორტი და 101,9 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს, რაც წინა წლის მაჩვენებელზე 23,1 მლნ. აშშ დოლარით ნაკლებია. საერთო ჯამში მსოფლიო ვაჭრობაში საქართველოს წილი მეტისმეტად დაბალია.

გლობალურ ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრირების ზრდის მნიშვნელოვანი ფაქტორი უნდა იყოს არა მარტო საგარეო ვაჭრობის ბრუნვის ზრდა, არამედ მსოფლიოს უდიდესი კორპორაციების საქართველოთი დაინტერესება და მათ მიერ ინვესტიციების განხორციელბა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბაზრით მსოფლიოში ცნობილი კომპანიების დაინტერესება სულ უფრო იზრდება., სრულყოფილი მონაცემები საქართველოში წარმოდგენილი ტნკ-ების ფილიალებისა და შვილობილი კომპანიების შესახებ არ არსებობს. UNCTAD-ის 2005 წლის ყოველწლიურ მსოფლიო საინვესტიციო ანგარიშში მითითებულია რომ  ქვეყანაში მოქმედებს უცხოური ტნკ-ის 190 განყოფილება[106]. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით დღეისათვის საქრთველოში 500-ზე მეტი უცხოუ-

[106] World investment report, Transnational Corporations and the Internationalization of R&D, United Nations
New York and Geneva, 2005, p. 265

რი კომპანია თუ წარმომდგენლობა ფუნქციონირებს[107], ხოლო ინვესტიციების ეროვნული სააგენტო 300-მდე მსხვილ ინვესტორ კომპანიას აღნიშნავს[108]. ვაჭროების საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით საქართველოში 35 მსხვილი კომპანიის ფილიალი ფუნქციონირებს (ცხრილი 30)[109].

**მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციების ფილიალები საქრთველოში ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით**

*ცხრილი 30*

| დედა ქვეყანა | დედა კომპანია | ფილიალი | საქმიანობის ხაზი | გაყიდვები | დასაქმება | შემოსვლის წელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები | Watertrail Industries Ltd | Mobitel Ltd | Radiotelephone communication | | 10 | 2003 |
| ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები | Velsan Trading Corporation | OGT Ltd | Chewing and smoking tobacco | | 200 | 2004 |
| ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები | Velsan Trading Corporation | O G T Ltd | Chewing and smoking tobacco | | 200 | 2004 |
| აშშ | The Interpublic Group of Companies Inc | UNIVERSAL MCCANN | Advertising agencies | | | |
| აშშ | Spartech Corporation | Polymer Product Ltd | Plastics products, nec | | 200 | 2006 |
| აშშ | Frontera Resources Corporation | Frontera Eastern Georgia Ltd | Oil and gas exploration services | | 40 | 1997 |
| აშშ | Frontera Resources Corporation | Frontena Eastern Georgia Ltd | Crude petroleum and natural gas | | 30 | |
| აშშ | Starwood Hotels & Resorts Worldwide, Inc. | SHERATON METECHI PALACE HOTEL, TBILISI | Hotels and motels | | | |
| აშშ | AON Corporation | AON GEORGIA | Life insurance | | | |
| აშშ | First Commonwealth Financial Corporation | PEOPLES BANK | Commercial banks, nec | | 500 | 1991 |
| აშშ | Motorola, Inc | MOTOROLA REPRESENTATIVE OFFICE IN GEORGIA | Electronic parts and equipment, nec | | | |
| შვედეთი | Teliasonera AB | GLOBAL ERTI JSC | Telephone communication, except radio | | 80 | 1996 |
| აშშ | Teliasonera AB | GEOCELL L T D | Radiotelephone communication | | 156 | 1996 |
| რუსეთი | VTB Bank OAO | BANK VTB (GEORGIA)JSC | Commercial banks, nec | | 500 | 1995 |
| ნიდერლანდები | CaucasusCement Holding B.V. | Kaspicement LLC | Brick, stone, and related material | | 200 | 1996 |
| ნიდერლანდები | CaucasusCement Holding B.V. | Saqcement LLC | Brick, stone, and related material | | 20 | 2002 |
| იაპონია | TOYOTA TSUSHO CORPORATION | Toyota Caucasus Ltd | Automobiles and other motor vehicles | | 50 | 2006 |

---

107 საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტო, www.investigeorgia.org
108 მივლინების ანგარიში, ხელნაწერი, ბათ., 2009
109 წყარო: ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრი, http://www.investmentmap.org/invmap/competitorCountry.aspx?prg=1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დიდი ბრიტა-ნეთი | CAN ARGO LTD | Wissol Petroleum Georgia LTD | Oil and gas field services, nec | | 500 | 2004 |
| საფრანგეთი | PERNOD RICARD | GEORGIAN WINE & SPIRITS LTD | Wines, brandy, and brandy spirits | | 100 | 1993 |
| საფრანგეთი | STE GENERALE | BANK REPUBLIC | Commercial banks, nec | | | |
| დანია | A.P. Møller - Mærsk A/S | MAERSK GEORGIA Ltd | Freight transportation arrangement | | 23 | |
| დანია | A.P. Møller - Mærsk A/S | MAERSK GEORGIA LLC | Freight transportation arrangement | | 30 | |
| გერმანია | ProCredit Holding AG | PROCREDIT BANK GEORGIA | Commercial banks, nec | | 500 | 1999 |
| გერმანია | Deutsche Post AG | D H L WORLDWIDE EXPRESS | Freight transportation arrangement | | | 1994 |
| გერმანია | Adolf Würth GmbH & Co KG | WURTH GEORGIA LTD | Industrial machinery and equipment | | 17 | 1997 |
| გერმანია | Adolf Würth GmbH & Co KG | WURTH GEORGIA LTD | Industrial machinery and equipment | | 17 | 1997 |
| გაიანას კუნ-ძულები | The Baku-Tbilisi-Ceyhan Pipeline Company | Baku-Tbilisi, Ceyhan Pipeline Company (Georgia) | Pipelines, nec | | | 2002 |
| შვეიცარია | Panalpina Welttransport (Holding) AG | PANALPINA GEORGIA LLC | Business services, nec | | | |
| შვეიცარია | Nestlé S.A. | SOCIETE DES PRODUITS NESTLE JSC,REPRESENTATION IN GEORGIA | Food preparations, nec | | | |
| შვეიცარია | Silk Road Group (Suisse) SA | BTA SILK ROAD BANK OAO | Commercial banks, nec | | | 1993 |
| შვეიცარია | Artemis Holding AG | FRANKE CAUCASUS LTD | Metal stampings, nec | | | |
| ავსტრია | Wiener Städtische Wechselseitige Versicherungsanstalt - Vermögensverwaltung | GEORGIAN PENSION INSURANCE HOLDING | Pension, health, and welfare funds | | 50 | 2001 |
| ავსტრია | Wiener Städtische Wechselseitige Versicherungsanstalt - Vermögensverwaltung | Irao International Insurance Company | Insurance agents, brokers, and service | | 20 | 2004 |
| არაბეთის გა-ერთიანებუ-ლი საამირო-ები | ABU DHABI GROUP | STANDARD BANK JSC | Commercial banks, nec | | | |

2004 წლიდან საქართველოს ბაზარზე აქტიურად შემოვიდა არაერთი საერთაშორისო კომპანია. დიდი ბრიტანეთის კომპანიებმა შეიძინეს მანგანუმის საბადოები და რუსთავის მეტალურგიული კომბინატი. ინგლისური კომპანია Themes Steel-ია, რომელიც თავის მხრივ მფლობელია ქართული კომპანია Enerjy Industry Complex-ი ს 99%-ის, რომელიც "ქართული ფოლადის" 100%-ს ფლობს

ჩეხურმა კომპანიებმა ინვესტიციები განახორციელეს ელექტროგამანაწილებელ ქსელსა და ჰიდროელექტორსადგურებში. ჩეხურმა კომპანია Energo-Pro-მ საქართველოს ორი სადისტრიბუციო ენერგოკომპანია და ექვსი ჰიდროელექტროსადგური 132 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა. თუმცა, ამის გარდა საქართველოს ენერგოსექტორში კიდევ 285 მი-

ლიონი აშშ დოლარის ჩადებას გეგმავს. შედეგად, კომპანია ქვეყნის ენერგობაზრის 62,5%-ს გააკონტროლებს. კონტრაქტის თანახმად, Energo-Pro-მ შეისყიდა გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია და აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, რომელთა მომხმარებელთა რაოდენობა 780 000 და 95 000-ს შეადგენს და ასევე ექვსი ჰესი: ძევრულჰესი, ლაჯანურჰესი, გუმათჰესი, შაორჰესი, რიონჰესი და აწჰესი 132 მლნ დოლარად შეიძინა. ექვსივე ჰესის გენერაციის სიმძლავრე 350 მეგავატზე მეტს შეადგენს.შეთანხმების თანახმად, ჩეხური კომპანია 100 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიციას განახორციელებს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის და აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის მომსახურების ზონაში არსებულ ელექტროქსელების მოდერნიზაციაში. გარდა ამისა, დაგეგმილია დამატებით 85 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება და უკვე პრივატიზებული ჰესების რეაბილიტაცია, ჩეხური კომპანია 100 მეგავატი სიმძლავრის ახალი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში დაახლოებით 100 მილიონი აშშ დოლარის ჩადებას გეგმავს[110]

2008 წლის თებერვალში დანიურმა "გრინოუქ ჯგუფმა" და მისმა პარტნიორებმა "ბათუმის ნავთობის ტერმინალი" და "ბათუმის საზღვაო ნავსადგური" ყაზახეთის სახელმწიფო კომპანია "ყაზმუნაიგაზს" მიჰყიდეს. "ყაზმუნაიგაზი" 100%-ით სახელმწიფო საკუთრებაა. ამ უკანასკნელის შვილობილი კომპანია ,,ყაზტრანსოილი" ,,ყაზტრანსგაზის" - თბილისის გაზგამანაწილებელი კომპანიის მფლობელია.

"ყაზმუნაიგაზი-ს" გადაწყვეტილებით ბათუმის ნავთობტერმინალი" და ბათუმის პორტი მმართველობაში რუმინულ კომპანია Rompetrol-ს გადაეცემა. 2007 წელს "ყაზმუნაიგაზი" რუმინული კომპანია Rompetrol-ის აქციების 75%-ის

---

[110] http://www.civil.ge/geo/article.php?id=14736

მფლობელი გახდა. Rompetrol, თავის მხრივ, 2007 წელს საქართველოს ბაზარზე შემოვიდა და ბენზინგასამართი სადგურების ქსელი შექმნა[111].

ყაზახური ინვესტიციები განხორციელდა სატელეკომუნიკაციო პროექტებში. გაერთიანებული ტელეკომი ყაზახეთის უმსხვილესმა ბანკმა ,,ტურანალემმა" შეიძინა. ტელეკომის მფლობელია ქართულ-ყაზახური კონსორციუმი Black Sea Telecom Holdings BV. მოგვიანებით აქციათა 40,65% ჰოლანდიურ Central Asia Logistrics BV შეიძინა 52 მილიონ დოლარად. ,,ტურანალემმა" ასევე შეიძინა ნავთობსატრანსპორტო და ნავთობსავაჭრო კომპანია Silk Rode Group aqciata 49%.

არაბული ინვესტიციებია უძრავი ქონების მსხვილ პროექტებში. უძრავი ქონების დეველოპერული კომპანია, რაკეენ-ის შვილობილი კომპანია „რაკ ჯორჯია ჰოლდინგი" 2006 წლიდან დაიწყო საქმიანობა საქართველოში. არსებული ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად არაბული "რაკიინი" დაწყებულ პროექტებს საქართველოში ახორციელებს. ფოთში თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მშენებლობა ამ დროისთვის შეფერხების გარეშე მიმდინარეობს. მთაწმინდის პარკი არაბებს 49-წლიანი იჯარით თბილისის მერიამ გადასცა. ისინი ფლობენ ასევე სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" (ამერიკული "შერატონი" მართავს). საერთო ჯამში, არაბებს საქართველოში 2 მილიარდი დოლარი ოდენობის ინვესტიციის ჩადება აქვთ განსაზღვრული. შეიძინეს ტელერადიოკომპანია ,,იმედის 90%.

ინდურმა კომპანია Pioneer Cement Industries-**მა** მარნეულის რაიონში ბაბაკიარის ცემენტის კირქვის საბადოს ლიცენზია 3,3მილიონ დოლარად შეიძინა. კომპანია საქართველოში 150 მილიონის ინვესტიციას 2–3 წელიწადში განახორციელებს, ხოლო მარნეულის რეგიონში ცემენტის საწარმოს

[111] http://newsgeorgia.ge/economy/20080212/42149937.html

ააშენებს. Pioneer Cement Industries საკონტროლო პაკეტის მფლობელი არაბული „რაკ ინვესტმენტია“, 49 პროცენტს კი ინდური „პენა ცემენტ ინდასტრი“ ფლობს. კომპანია 2006 წელს ჩამოყალიბდა, მისი გაყიდვების წლიური მაჩვენებელი კი 100 მილიონ დოლარს შეადგენს. რაც შეეხება უშუალოდ ინდურ კომპანია "Pioneer Cement Industries"-ს, ეს არის კომპანია, რომელმაც რაქ ალ ხაიმარის საემიროში განახორციელა ინვესტიცია ცემენტის ინდუსტრიაში. მისი პროდუქცია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ბაზარზე იყიდება. ამ კომპანიამ განიცადა რეკორდული ზრდა და ერთ წელიწადში 110% ზრდის მაჩვენებელზე გავიდა.

ინდური ინვესტიციები ხორციელდება ენერგეტიკის სფეროში (ინდური კომპანიები ENSearch Petroleum LTD და JSPL Oil and Natural Gas LTD აპირებენ ქართულ ბაზარზე დამკვიდრება). საწარმო "ჯეოსთაილში" ინდოელმა ბიზნესმენებმა 60–მილიონიანი ინვესტიცია განახორციელეს.

თურქული ინვესტიციები ხორციელდება სამშენებლო და სამკერვალო წარმოებაში. ბათუმში მუშაობს თურქული ტექსტილური კომპანიის BTM შვილობილი ფილიალი.

გერმანულმა ჯგუფმა ეიდელბეგჩემენტ-მა შეიძინა ქარხანა ,,ქართული ცემენტის” აქციების საკონტროლო პაკეტი და გამოისყიდა ბაზრის ლიდერი ,,საქცემენტი”. ავსტრალიურ კომპანია ”Bolnisi Mining Operations” ფლობს ოქრომომპოვებელ კომპანია ”კვარციტს”.

ქვეყნაში მნიშვნელოვან საინვესტიციო პროექტებს ახორციელბს ბრიტანულ-შვეიცარული საინვესტიციო კომპანია ,,Capital Vostok”-ი. მისი დამფუძნებელია კომპანია ,,City Capital management LLC”. ეს კომპანია საინვესტიციო პროექტებს ახორციელბს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ასევე დსთ-ს ქვეყნებში.

საქართველოში ოფიციალური წარმომადგენლობები აქვთ ისეთ ტნკ-ებს როგორებიცაა Microsoft-ი, ფრანგული

სატელეკომუნიკაციო კომპანია Alcatel. Microsoft საქართველოში პარტნიორული ქსელის განვითარებას, შემკვეთებთან მუშაობას, ასევე, თავისი გადაწყვეტილებებისა და ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფის პოპულარიზაციას ახორციელებს. კომპანიები Sun Microsystem და Sony საქართველოში პარტნიორული ქსელის გაფართოებას აპირებენ. კომპანია SunMicrosystems საქმიანობა რუსეთსა და დსთ-ს რეგიონში 2006 წელს 40%-ით გაიზარდა. იგი საქართველოში იმ კომპანიების მხარდაჭერას გეგმავს, რომლებიც მისი ბიზნესით იქნებიან დაინტერესებულნი. საქართველოში წარმომადგენლობა აქვს ასევე, კომპანია Sumsung-ს. საქართველოში საქმიანობს ტელესაკომუნიკაციო სფეროში ლიდერი ჰოლდინგური ტრანსნაციონალური კომპანია VTEL Holdingis LTD შვილობილი კომპანია VTEL Georgia. ეს კომპანია აპირებს ქსელური მომსახურების ალტერნატიული პროვაიდერი გახდეს.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ბაზარზე მსოფლიოს სასტუმროების უმსხვილესი ტრანს-ნაციონალური კომპანიები გამოჩდნენ. Kempinski, Radisson, Interkontinetal , Agora, Hyatt, Four Season და ა.შ.

საქათველოში ფილიალები აქვთ უდიდეს საზღვარგარეთულ საბანკო კომპანიებს და გეგმავენ ქსელის კიდევ უფრო გაფართოებას. მაღალია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა და უცხოური კომპანიების აქტივობა საქართველოს საბანკო სექტორში. 2007 წლისთვის 18 კომერციული ბანკიდან უცხოური კაპიტალი წარმოდგენილია 12 ბანკში[112]. ამ დროს უცხოური ფინანსური ინსტიტუტების პირდაპირი ინვესტიციების მოცულობამ ამ ბანკების კაპიტალში საწესდებო კაპიტალის 64% - 291,2 მლნ ლარი შეადგინა, რაც 118,6

[112] ახალი ამბები-საქართველო, ინფორმაციის საერთაშორისო სააგენტო http://www.newsgeorgia.ge/economy/20070703/42008927.html

მლნ ლარით, ანუ 68,7%-ით ჭარბობს 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს113. საქართველოს კომერციული ბანკების საწესდებო კაპიტალში ინვესტიციები და საკრედიტო ხაზები განხორციელებული აქვთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციას, გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების კომპანიას, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკს, სს "პროკრედიტ ჰოლდინგს", გერმანულ "კომერცბანკს", რუსულ "ვნეშტორგბანკს", ავსტრიულ ბანკ "ავსტრია კრედიტანშტალს", ბრიტანულ "London International Bank"-ს, ფრანგული "Sosiete Generale" ბანკ რესპუბლიკის აქციათა 60%-ს ფლობს, აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკმა შვილობილის ბანკი "აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი — საქართველო" დააფუძნა, უკრაინულმა "Private Bank"-მა "ტაობანკის" აქციების 75% შეიძინა, ხოლო 25% შვეიცარიულ ფირმა Zurifin AG-ს ეკუთვნის. BTA Silk Roud ბანკში ინვესტიციები განახორცილემა ყაზახურმა ,,ტურანალემმა".

HSBC არის მსოფლიოს ერთ–ერთი უდიდესი საბანკო და საფინანსო ორგანიზაცია, რომლის სათაო ოფისი მდებარეობს ლონდონში. HSBC–ის საერთაშორისო ქსელი შედგება 9,500 ოფისისგან მსოფლიოს 85 ქვეყანაში ევროპის, აზიის, ამერიკის და აფრიკის ტერიტორიებზე. HSBC ჰოლდინგის აქციები რეგისტრირებულია ლონდონის, ჰონ-კონგის, ნიუიორკის, პარიზისა და ბერმუდის საფონდო ბირჟებზე და დაახლოებით 200 000 აქციონერი გადანაწილებულია მსოფლიოს 100 ქვეყანაში.[114] HSBC-მ საქართველოში საბანკო საქმიანობა დაიწყო 2008 წლის ივნისში. HSBC ბანკი საქართველო წარმოადგენს შჩ ჯგუფის (70%) და სხვა უცხოური კაპიტა-

[113] http://www.abg.org.ge/Admin1214910131.php?nid=287&
[114] http://www.hsbc.ge/1/2/hsbc-georgia/ka/about-us/hsbc-in-georgia/home

ლით (30%) შექმნილ, საქართველოში ლიცენზირებულ სააქციო საზოგადოებას.

სს "ხალიკ ბანკი საქართველო" წარმოადგენს სს „ხალიკ ბანკის" შვილობილ ბანკს, რომელიც არის ყაზახეთის საფინანსო ბაზრის ერთ-ერთი ლიდერი. ს.ს. ხალიკ ბანკის მიერ დამფუძნებელია მრავალი შვილობილი კომპანია, რომელთა შორისაც არიან შვილობილი ბანკები რუსეთში, ყირგიზეთში, საქართველოში, სადაზღვევო და სალიზინგო კომპანიები ყაზახეთში. 2006 წელს ბანკის აქციები წარმატებულად განთავსდა ლონდონის საფონდო ბირჟაზე[115]. ამჟამად გადაწყვეტილია ,,ხალიკ ბანკის" ნაციონალიზაცია ყაზახეთის მთავრობის მიერ[116].

სს "ინვესტბანკის" დამფუძნებლები იყვნენ: Seton Enterprises Ltd (ინგლისი) 25%, Comet Investments LLC (აშშ) 25%, Galbon Sarl (შვეიცარია) 25%, შპს "პრაგმატიკა" (საქართველო) 25%. 2005 წლის დასაწყისიდან სს "ინვესტბანკის" უმსხვილესი აქციონერი გახდა ბრიტანული ბანკი "London International Bank" Ltd, რომელმაც შეისყიდა შპს "პრაგმატიკას" კუთვნილი აქციები და განახორციელა დამატებითი შენატანი საწესდებო კაპიტალში. 2005 წლის ბოლოსთვის ბრიტანული ბანკის წილი სს "ინვესტბანკის" სააქციო კაპიტალში 32 %-ია;2006 წლის მაისში ბანკის აქციონერი გახდა Allied Partners Investments Limited[117];

ბაზისბანკი იყო პირველი პარტნიორი ბანკი სპეციალური პროგრამის "Georgian Financial System Framework" (GFSF) ფარგლებში, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა საქართველოს ფინანსური სექტორისთვის შეიმუშავა. წარმატებული თანამშრომლობა 2008 წლის მაისში გაფორმებული ხელშეკრულებით გაგრძელდა,

115 http://www.hbg.ge/index.php?id=17&lang=geo
116 http://www.metrogeorgia.ge/index.php?cid=8&rid=592
117 http://www.investbank.ge/Default.aspx?tabid=126

რომლის მიხედვითაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ბაზისბანკის აქციონერი გახდა[118].

სს „სახალხო ბანკის" მფლობელი გახდა „ლიბერთი კაპიტალი".

2008 წლის 26 ივნისს მოხდა სტანდარტ ბანკისა და კორ ბანკის შერწყმა; ბანკმა შეიცვალა სახელწოდება და დაერქვა "კორ სტანდარტ ბანკი". 2008 წლის მარტში - სტანდარტ ბანკის აქციების 100% შეიძინა კორ ბანკმა, რომლის დამფუძნებელი არის არაბული საინვესტიციო კომპანია "დაბი ჯგუფი[119]"

1996 დაფუძნდა სააქციო საზოგადოება კომერციული ბანკი "როსიისკი კრედიტი-ქართუ". 1997 სს კბ "როსიისკი კრედიტი-ქართუ"–მ საბანკო ლიცენზია მიიღო[120]

ბანკი "რესპუბლიკა" 1991 წელს დაარსდა. კორპორაციული, საცალო და სხვა საფინანსო მომსახურების მხრივ ბანკი "რესპუბლიკა" სწრაფად მზარდი, წამყვანი კომერციული ბანკია. ბანკში 700-მდე ადამიანია დასაქმებული. იგი თავის კლიენტებს 36 ფილიალისა და სერვისცენტრის მეშვეობით ემსახურება. ბანკი ფლობს სამომხმარებლო ბაზრის 11%-ს დეპოზიტებით, 7%-ს კი სესხებით. აქტივების საერთო მოცულობით ბანკი "რესპუბლიკა" საქართველოს საბანკო სისტემაში რიგით მეხუთე უმსხვილეს ბანკად, ხოლო დეპოზიტების პორტფელის მიხედვით – მეოთხე ადგილზე მყოფ უმსხვილეს ბანკადაა მიჩნეული. ბანკი ამჟამად აკონტროლებს საკრედიტო ბარათების ბაზრის 30%-ს. 2006 წლის განმავლობაში მისი საბანკო აქტივები 65%-ით გაიზარდა, რამაც ბანკი 8,14 მილიონი ლარის წმინდა მოგებამდე მიიყვანა.

2006 წლის 29 სექტემბერს "სოსიეტე ჟენერალმა" (ევროს მოქმედების ზონაში ერთ-ერთი წამყვანი საბანკო საფი-

---

118 http://www.basisbank.ge/about_us/history/
119 http://www.korstandardbank.com/index.php?a=main&pid=6&lang=geo
120 http://www.cartubank.ge/index.php?m=490

ნანსო ჯგუფი) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (ლ) ბანკ "რესპუბლიკის" საწესდებო კაპიტალის 70% შეიძინეს. საფინანსო მომსახურების მხრივ "სოსიეტე ჟენერალი" ევროს ზონის ერთ-ერთი უმსხვილესი ჯგუფია. მსოფლიო მასშტაბით ჯგუფის 120 000-ზე მეტი თანამშრომელი სამი ძირითადი მიმართულებითაა დასაქმებული:"სოსიეტე ჟენერალი" შედის სოციალურ პასუხისმგებლობაზე ორიენტირებული ბიზნესკომპანიების პირველ ხუთეულში[121].

ს.ს პროკრედიტბანკი ბანკი საქართველოში ფუნქციონირებას იწყებს 1999 წლის 13 მაისს ემ-ბი-ჯის სახელით. ბანკის მიზანია ფინანსური მომსახურება გაუწიოს მიკრო და მცირე საწარმოებს. აქციონერების გადაწყვეტილებით ერთ საბანკო ჯგუფში გაერთიანდა აღმოსავლეთ ევროპის 10 სხვადასხვა ქვეყანაში მდებარე ბანკები.

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" სამი სახელმწიფო კომერციული ბანკის შერწყმის შედეგად 1994 წელს შეიქმნა. სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" 2005 წლიდან საერთაშორისო ფინანსური ჯგუფის "ვითიბის" წევრია. სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" უმსხვილესი აქციონერებია: ვითიბი ჯგუფი (აქციათა 86.76%) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) (7.75%).

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია" უნივერსალური საბანკო ინსტიტუტია, რომელიც მომხმარებელს თანამედროვე კომერციული საბანკო პროდუქტების სრულ სპექტრს სთავაზობს. სს "ვითიბი ბანკ ჯორჯიას" საწესდებო კაპიტალი 86,4 მლნ. ლარს შეადგენს. ექვივალენტურია.

ვითიბი ჯგუფი რუსული წარმოშობის საერთაშორისო ფინანსური ჯგუფია, რომელიც მსოფლიოს სამ კონტინენტზე (ევროპა, აზია, აფრიკა), 18 ქვეყანაში ოპერირებს. ვითიბი ჯგუფი ფინანსური საქმიანობის მდიდარი ტრადიციებისა

[121] https://www.republic.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=304

და გამოცდილების მატარებელია. საფინანსო ბაზრებს, სადაც იგი წარმოდგენილია, სთავაზობს საცალო და კორპორატიული საბანკო პროდუქტების სრულ სპექტრს. ვითიბის აქციების 22,5% კოტირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე (London Stock Exchange) და მოსკოვის ბირჟებზე RTS და MMVB.

2008 წლის 30 ივნისის მონაცემებით ვითიბი ჯგუფის აქტივები 108,7 მლრდ. აშშ დოლარს შეადგენს. ვითიბი ჯგუფს 932 გაყიდვის წერტილი გააჩნია. Standard & Poor`s და Fitch სარეიტინგო სააგენტოების მიერ ვითიბი ჯგუფისთვის მინიჭებული საკრედიტო რეიტინგია BBB+, Moody`s სააგენტოს მიერ – Baal.[122]

საქარველოში საქმიანობენ ნავთობის სექტორში დაკავებული უცხოური კომპანიები. ,,კანარგო ენერჯი კორპორეიშენი" ნავთობისა და გაზის მომპოვებელი ამერიკული კომპანიაა, რომელიც დარეგისტრირებულია ნიუ-იორკში და ძირითადად საქართველოსა და ყაზახეთში საქმიანობს კანარგო ჯორჯია" საქართველოში ნავთობისა და გაზის ძებნაძიების და მოპოვების სამუშაოებს 1996 წლიდან აწარმოებს. დღემდე კომპანიას საქართველოში ინვესტირებული აქვს 100 მლნ. დოლარზე მეტი.

British Petrolium თავის საქმიანობას მსოფლიოს 100-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს. მისი საქმიანობა მოიცავს სამ ბიზნეს სეგმენტს: საძიებო და მოპოვებითი საქმიანობა, გადამუშავება და რეალიზაცია, ენერგია და ენერგიის განახლებადი წყაროები და გაზი.

საქართველოში **BP** ახორციელებს სამ დიდ პროექტს ნავთობისა და გაზის სფეროში. ესენია: დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენი (WREP), ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენი (BTC) და სამხრეთ კავკასიური მილსადე-

[122] https://www.vtb.com.ge/WebSite/AboutUs/Default.aspx

ნი (SCP).დასავლეთის მარშრუტის საექსპორტო მილსადენის (WREP) მეშვეობით ხორციელდება კასპიის ზღვის ტერიტორიაზე მდებარე ჩირაგის საბადოდან, მოპოვებული ნავთობის დასავლეთ საქართველოში (აზერბაიჯანში მდებარე სანგაჩალის ტერმინალის გავლით), სუფსის ტერმინალამდე ტრანსპორტირება. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის (BTC) მშენებლობა 2005 წელს დასრულდა. ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გრძელი მილსადენია. BTC ნავთობის კასპიის და ხმელთაშუა ზღვებს შორის ტრანსპორტიერების პირველი პირდაპირი მარშრუტია, რომლის მშენებლობის მთლიანმა ხარჯმა 4 მლრდ აშშ. დოლარს მიაღწია. მოცემული მარშრუტი ეკონომიკურად მომგებიანია და არსებულ ინფრასტრუქტურასა და აღჭურვილობასთან შედარებით ნავთობის დიდ მანძილზე უფრო უსაფრთხო ტრანსპორტირების საშუალებას იძლევა. მისი მეშვეობით გამიზნულია ყოველდღიურად ერთ მილიონამდე ბარელი ნავთობის გადაქაჩვა.სამხრეთ კავკასიური მილსადენი (SCP), ბაქო-თბილისი ჯეიჰანის მილსადენის (BTC) პარალელურად გადის. მისი საშუალებით კასპიის ზღვაში მდებარე შაჰ-დენიზის საბადოზე მოპოვებული ბუნებრივი გაზი საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მომხმარებელს მიეწოდება.

ფრონტერა, რომლის სათავო ოფისი აშშ-ში მდებარეობს, 1996 წელს დაფუძნდა. კომპანია საქართველოში XII სალიცენზიო ბლოკზე (დედოფლისწყაროს რაიონი) 1997 წლიდან საქმიანობს. მის ძირითად მიზანს ნავთობისა და გაზის ძებნა-ძიება, მოპოვება და ექსპლუატაცია წარმოადგენს. კომპანიას მოპოვებული აქვს 32 ათასი ტონა ნავთობი, გაბურღა 1 ჭაბურღილი და ამჟამად ბურღავს ჭაბურღილებს ტარიბანას საბადოს მიდამოებში, მირზაანის საბადოზე და ქედების ფართობზე. "ფრონტერას" ექსკლუზიური უფლება აქვს მოიძიოს და მოიპოვოს ნავთობის ნედლეული აღმოსავლეთ საქართველოს 5,500 კვადრატული მე-

ტრის ფართობის ტერიტორიაზე. კომპანიას საქართველოში 75 მილიონი დოლარის ინვესტიცია აქვს განხორციელებული.

ANDARKO მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ნავთობისა და გაზის კომპანიაა, რომელიც ნავთობისა და გაზის კვლევა-ძიებასა და მოპოვებას აწარმოებს. იგი 1959 წელს, "Anadarko Basin"-ში ბუნებრივი გაზის დიდი მარაგის აღმოჩენის შემდეგ დაარსდა. "ანადარკოს" საკუთარი წარმომადგენლობები აქვს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია აშშ-ის, კანადისა და ალჟირის წარმომადგენლობა.

კომპანია "ანადარკო ჯორჯიამ" სახელმწიფოსთან პროდუქციის წილობრივი განაწილების ხელშეკრულება 2000 წლის ივნისში გააფორმა და შავი ზღვის ქართული ტერიტორიული წყლების სამ შელფურ ბლოკში (IIა, IIბ და III) ნავთობისა და გაზის ოპერაციების წარმოების უფლება მიიღო. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, კომპანია სეისმოლოგიურ კვლევებს აწარმოებს[123].

რუსული კომპანიის ლუკოილის შვილობილი კომპანია საქართველოში შპს ლუკოილ-ჯორჯია 2002 წლის მარტში ამოქმედდა. მას შემდეგ კომპანია მიზანდასახულად აფართოებს სამომხმარებლო და კორპორაციულ ბაზრებზე საქმიანობას[124].

რუსული "ინტერ რაო" ფლობს და აკონტროლებს რამდენიმე ქართულ კომუნალურ საწარმოს, მათ შორის ქვეყნის ყველაზე დიდ ელექტროპროვაიდერს თელასს, რომელიც თბილისს ემსახურება. კომპანია საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის დაახლოებით 35%-ს აკონტროლებს."

რუსულმა კომპანია "ვინიკონმა" ვარკეთილის ღვინის ქარხანა შეიძინა და 370 ათას დოლარად ნაყიდ საწარმოში ამდენივეს ჩადების ვალდებულება აიღო.

---
[123] http://gogc.ge/index.php?m=243
[124] http://www.lukoil.ru/static_6_5id_214_.html

რუსულმა კომპანიამ ”პრომიშლენნი ინვესტორის” შვილობილი კომპანიაა GeoProMining”, romelmac შეიძინა ”მადნეული”, და ლუხუმის დარიშხანის საბადო რაჭაში, ასევე თბილისის საიუველირო ქარხანა. კომპანიის საკუთრებაშია მადნეული, საქართველოს უდიდესი მაღარო.

მაღალრენტაბელური სეგმენტის გარდა, რუსეთის ინტერესები შეეხო სხვა სფეროებსაც, რუსეთში რძის პროდუქტების მწარმოებელმა ლიდერმა კომპანიამ ”Вим-Бил-Дан Продукты Питания”-მ მთლიანად შეისყიდა რძის პროდუქტების წარმოებით საქართველოში მესამე კომპანია ”ქართული პროდუქტების” აქციების სრული პაკეტი.

2007 წლიდან კიდევ ერთი მსხვილი რუსული კომპანია გამოჩნდა. 15 მარტიდან საქართველოს ბაზარზე, ფუნქციონირება დაიწყო ”ვიმპელკომმა” და ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზრის 45% დაიკავა.2008 წელს ”რეკონსტრუქციისა და განვითარების ქართულმა კომპანიამ”, იგივე GRDC-მა, სამ მსხვილ მსოფლიო საფინანსო ინსტიტუტთან გააფორმა შეთანხმება, რომელიც 90 მილიონი დოლარის ინვესტიციას ითვალისწინებს. ეს სამი კომპანია - ”Citi Group”, ”Marbleton Property Fund” და ”Altima Central Asia Fund” – GRDC-ში წილის მფლობელები გახდნენ. მათგან ”Marbleton Property Fund” რუსული Alfa Capital Partners და ამერიკული JER Partners-ის მიერაა დაფუძნებული. ქართული სამშენებლო გიგნატის მფლობელობით რუსული საბანკო-საწარმოო გიგანტი ”ალფა-ჯგუფი” ამ ბაზარზე მყარად დამკვიდრდა. მას დღესდღეობით 22 სამშენებლო ობიექტი და 3 მილიარდიანი პროექტების პაკეტი ეკუთვნის. ქართული GRDC საქართველოს ბაზარზე უძრავი ქონების ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა.

საქართველოში მოქმედი ”ბლექ სი ტელეკომი”, რომელიც უკაბელო ინტერნეტ-ქსელს აგებს რუსულ კომპანია ”ცენტრინვესტ კაპიტალ პარტნერს” ეკუთვნის. აშკრაა, ქარ-

თული ეკონომიკის შეზღუდვით და მთელი რიგი კომპანიების გაიაფებით რუსულმა ბიზნესმა საკმაოდ ისარგებლა.

შპს "ევრაზია ჰოლდინგმა" შეიძინა სს "ჭიათურმანგანუმისა" და სს "ვარციხეჰესის კასკადის" აქტივები. შეიქმნა ახალი კომპანია NewCo, რომლის დამფუძნებლებიც გახდებიან "ევრაზია ჰოლდინგი" და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის აქციონერები. NewCo-ს საკუთრებაში გადაეცემა სს "ფეროს" აქციების 70,8% და სს "ჭიათურმანგანუმის" და სს "ვარციხეჰესის კასკადის" აქტივები ყველა აუცილებელი ლიცენზიით, ნებართვით და საქმიანობის უფლებით.

ცნობილი ამერიკული კომპანია "ეი-ი-ეს კორპორაციამ", 1998 წელს თბილისის ენერგოგამანაწილებელი ქსელის, "თელასის", აქციათა 75 პროცენტი 25 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა. თბილისის ენერგოგამანაწილებელი ქსელის მოდერნიზაციაში "ეი-ი-ესმა" დამატებით 200 მილიონი დოლარის ინვესტირება მოახდინა, ხოლო მოგვიანებით "თბილსრესის" მე-9 და მე-10 ენერგობლოკები შეიძინა. "ეი-ი-იესს" 25 წლიანი მართვის უფლება ჰქონდა 240 მეგავატიანი სიმძლავრის "ხრამჰესი 1"-ისა და "ხრამჰესი 2"-ის სადგურებზეც. შემდეგ კი იგი რუსულ სახელმწიფო გიგანტს "რაო ეესი" მიჰყიდა.

ერთ-ერთი რუსული ინტერნეტ წყაროს ცნობი ამ ქვეყნის ინვესტიციებმა საქართველოში 600 მილ აშშ დოლ გადააჭარბა. ხოლო საქართველოში 395 კომპანია ფუნქციონირებს რუსული კაპიტალის მონაწილეობით. მათ შორის 85 წმინდა რუსულია. საქმიანობის ძირითად სფეროებს წარმოადგენს ენერგეტიკა, მომპოვებელი მრეწველობა, მშენებლობა, ვაჭრობა, მომსახურების სფერო, უძრავი ქონება და ა.შ.[125] ვფიქრობთ, აღნიშნული ინფორმაცია გადაჭარბებული გვეჩვენება.

[125] http://www.rg.ru/2009/06/23/investicii.html

ამჟამად საქართველოში ყველაზე მასშტაბურ საინვესტიციო პროექტს ეგვიპტური კომპანია "Fresh Elektric Company" ახორციელებს. იგი საყოფაცხვრებო ელექტრონიკის სფეროში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანაია მსოფლიოში. კომპანია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის დაახ. 1 მლრდ. 200 მლნ. აშშ დოლარს დახარჯავს. კომპანია "ფრეშის" მიერ ქუთაისში, 27 ჰექტარ ფართობზე თავისუფალი ინდუსტრიული ზონა იქმნება, სადაც 12 ახალი ქარხნის მშენებლობა იგეგმება. აშენდება რამდენიმე მრავალპროფილიანი ქარხანა, სადაც საყოფაცხოვრებო ნივთები, ავეჯი, ტექსტილი, კერამიკული ნაწარმი და სხვა სახის პროდუქცია იწარმოება.

საქართველოში საქმიანობს ბავშვთა კვების პროდუქტების მწარმოებელი გერმანული კომპანია „„ჰიპის„ შვილობილი კომპანია ,,ჰიპი ჯორჯი. იგი ამიერკავკასიის მასშტაბით ხილის გადამამუშავებელ ქარხანს აშენებს გორში.

კომპანია Schüco International KG ქმნის და მთელ მსოფლიოს სთავაზობს ალუმინის, მეტალო–პლასტმასის და ფოლადის კომპლექსურ სისტემებს, აგრეთვე მზის ბატარეებს. პროდუქციის ფართო ასორტიმენტი განკუთვნილია შენობის მთელი გარსისათვის–როგორც მსხვილ ობიექტებში, ასევე კერძო სახლებში. ასორტიმენტში შედის კარ–ფანჯრის, ფასადების,ზამთრის ბაღების სისტემები და მზის ენერგიის ბატარეები[126].

უცხოური კომპანია "კაპიტალ ლიმიტედი" რამდენიმე ქართული კომპანიის დამფუძნებელთა სიაში ფიგურირებს, მაგალითად, "კაპიტალ ვოსტოკ ლიმიტედი" სამშენებლო კომპანია "ევორდის" დამფუძნებელია, ხოლო "მონტე კრისტო კაპიტალ ლიმიტედი" ბანკ "თეთრის" აქციონერია.

---

[126] http://www.schueco.com/web/ge/home/international/branches/europe

სკანდინავიურმა “ტელიასონერამ” “ჯეოსელის” დამატებითი აქციები და აქტივები შეიძინა და კომპანიის 97 პროცენტიანი პაკეტის მფლობელი გახდა.. “ტელიასონერა” დიდი ხანია აქტიურად ცდილობს აღმოსავლეთისა და მათ შორის, დსთ-ბაზრის ათვისებას. შვილობილი კომპანიების მეშვეობით ეს წარმატებითაც მოახერხა. მან საკმაოდ დიდი ბაზარი დაიპყრო “ფინტურის” მეშვეობით, “ტელიასონერა” “ფინტურთან” ერთად “თურქსელს” აკონტროლებს, “თურქსელი” კი დსთ-ს რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ამიერკავკასიაში ერთ-ერთ წარმატებულ მობილურ ოპერატორად ითვლება.“ტელიასონერა” 2002 წელს შვედეთის და ფინეთის მოწინავე ფიჭური კავშირის ოპერატორების გაერთიანების შედეგად ჩამოყალიბდა. მას გააჩნია აქტივები საქართველოში, რუსეთში, უზბეკეთში, თურქეთში, ტაჯიკეთში, ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და მოლდოვაში.

ამრიგად, უმნიშვნელოვანესი დადებითი ეფექტი, რომელიც უნდა მოჰყვეს ტნკ-ების საქმიანობას საქართველოში არის მათი წვლილი ეკონომიკური ზრდის ამაღლებაში.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია კერძო მეწარმეობის განვითარება, მისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის გზით. ეკონომიკური რეფორმები მიმართულია ლიბერალიზაციასა და კერძო სექტორის განვითარებაზე დაფუძნებულ ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისკენ. ამ მიმართულებით საქართველოს ხელისუფლებამ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. მიუხედავად ამისა საინვესტიციო გარემო, ზოგიერთ სფეროში ჯერ კიდევ ნაკლებად მიმზიდველია. ამას მრავალი მიზეზი განაპირობებს, რომელთა შესწავლას, აღმოფხვრის გზების დადგენას და ინვესტიციების ეფექტიანობის ამაღლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

### *3.3. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა აზერბაიჯანში*

აზერბაიჯანის გლობალიზაციისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი იყო საქონლისა და მომსახურების საშინაო ბაზრის გახსნა, უცხოური კაპიტალის შემოსვლისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, ინტეგრაციულ გაერთიანებებში გაწევრიანება და საერთაშორისო ტრანსნაციონალურ პროექტებში მონაწილეობა.

მრეწვლობით და მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობით აზერბაიჯანი ინუსტრიულ-აგრარული ქვეყნაა. მეურნეობაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ნავთობისა და გაზის მოპოვება, ნავთობგადამამუშავებელი, ქიმიური (სინთეტიკური კაუჩუკი, მინერალური სასუქები, ავტომობილის საალტეები და ა.შ), მანქანათმშენებელი, სამთომომპოვებელი მრეწველობა (რკინის მადნის და ალუნიტის მოპოვება) და ფერადი მეტალურგია. კვების სხვადასხვა დარგის (საკონსერვო, ჩაის, თამბაქოს, ღვინის და ა.შ) და მსუბუქი (ბამბის საწმენდი, ბამბის, აბრეშუმის, ბეწვეულის, ხალიჩის) მრეწველობა.

აზერბაიჯანი სხვა ქვეყნებს აწვდის ნავთობის და ქიმიური მრეწველობის, შავი და ფერადი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის და ლითონდამამუშავაბელ (მოძრავი საბურღი მოწყობილობები, ამწე აგრეგატები, მოძრავი ანძები, საქაჩები, ელექტროძრავები, შადრევნის მოწყობილობები) და მსუბუქი მრეწველობის პროდუქციას. სახვა ქვეყნებიდან კი შეომაქვს მზა პროდუქცია ჩარხები, სოფლის მეურნობის სხვადასხვა მანქანებია, ავტომობილები, ჩასაცმელი, სასურსათო საქნელი და ა.შ.

სოფლის მეურნეობა ძირითადად სპეციალიზირებულია მევენახეობის, მებაღეობის, მეთამბაქოეობის, მეხილეობის,

მეცხოველოების მიმართულებით. მთავარი ტექნიკური კულტურებია ბამბა, თამბაქო, ჩაი. მეცხოველობის მთავარი დარგია მეცხვარეობა, მესაქონლობა, მეფრინველოება, მეაბრეშუმეობა.

აზერბაიჯანი მდიდარია სასარგებლო წიაღისეულით, მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნავთობს და ბუნებრივ გაზს. ცნობილი საბადოები განლაგებულია აპშერონის ნახევარკუნძულსა და კასპიის შელფზე. აპშერონის ჩრდილოეთით ბევრად პერსპექტიული რაიონი ჩანს სიაზანის ნახევარკუნძული. აპშერონის დასავლეთით და სამხრეთით ნავთობის საბადო მდებარეობს გობუსტანში, შირანში, სალიანსკის ვაკეზე. ამჟამად მსხვილი ნავთობის საბადოები გახსნილია აპშერონის სამხრეთით ზღვის აკვატორიაში.

სხვა ქვეყნებთან აზერბაიჯანის ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების გაღრმავებას უზრუნველყოფს განვითარებული სატრანსპორტო ქსელი. საერთაშორისო შრომის დანაწილებაში აზერბაიჯანი გამორჩეულია როგორც ნავთობის მოპოვებასა და გადამუშავების, ქიმიური და ელექტროტექნიკური, შავი და ფერად მეტალურგიის, სამშენებლო მასალების წარმოების, ხისა და კვების მრეწველობის კუთხით. მთლიანობაში მრეწველობა და განსაკუთრებით, მძიმე ინდუსტრია წარმოადგენს მნიშვნელოვან ბირთვს ქვეყნის ეკონომიკაში.

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის თავისუფალი მონაწილეობისაკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ვაჭრობის ლიბერალიზაცია. ვაჭრობის ლიბერალიზაციის პოლიტიკა დღეს არ არის გამოცალკევებული ეკონომიკური პოლიტიკის სხვა ამოცანებისგან, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსურ, მონეტარულ, გარემოს დაცვის და სხვა ღონისძიებებთან. ვაჭრობის ლიბერალიზაციის სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის, როგორც მსოფლიო ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მიმწოდებლის შესა-

ძლებლობების გაფართოება, მისი საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის ზრდა და ბაზრებზე შეღწევის გაადვილება.

ქვეყნის საერთო ეროვნული პროდუქტის ნახევარზე მეტი იქმნება სამრეწველო წამოებაში, რომლის 70% კონცენტრირებულია აპშერონში და შეადგენს ნავთობის და ნავთობგადამამუშავებელ მრეწელობას, რომელიც თავის მხრივ მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა დარგების განვითარებასთან კერძოდ კი, ქიმიური, ელექტროტექნიკური, მანქანთმშენებელი და შავი მეტალურგია.

აზერბაიჯანის ხელისუფლება აუცილებლობადა მიიჩნევს ეკონომიკის დივერსიფიკაციას. თუმცა არსებითი შედეგები ჯერ არ არის მიღწეული. შესაბამისად უცხოური ინვესტიციებისა და კომპანიების საქმიანობის დიდი წილი სწორედ ნავთობთან არის დაკავშირებული.

აზერბაიჯანსა და მთლიანად კასპიის რეგიონში ტნკების მოზიდვა განპირობებულია კასპიის აზერბაიჯანის სექტორში ნავთობის არსებობით. ამ რესურსების მოპოვება და გადამუშავება განაპირობებს არა მარტო ფინანსურ სარგებელს, არამედ რეგიონში ქვეყნის პოლიტიკური დომინირებას. დასავლეთევროპული ქვეყნებისა და რუსეთისათვის აზერბაიჯანს აქვს დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც.

დღეისათვის აზერბაიჯანი არის მზარდი ეკონომიკური განვითარების ქვეყნა. უკანასკნელ 5 წლის მანძილზე ეკონომიკური ზრდა 2.6 %-ს შეადგენს. გლობალური ეკონომიკური კრიზისის პირობებში აზერბაიჯანის ეკონომიკა გამოირჩევა მდგრადობით და დინამიზმით. მშპ-ის ზრდის ტემპით (10,8%) - აზერბაიჯანი დსთ-ის ქვეყნებში პირველ ადგილს იკავებს.

ანალოგირი ტენდენცია აისახება საგარეო ვაჭრობაზე, მის დინამიკაზე, სტრუქტურაზე და გეოგრაფიაზე. სამრეწველო-სავაჭრო კავშირების გაწყვეტამ, რომელიც არსებობდა პოსტსაბჭოთა სივრცეში და ტრანსფორმაციულმა დაცემამ

გამოიწვია ეკონომიკის ბევრ დარგში საექსპორტო პოტენციალის შემცირება და ტრადიციული გასაღების ბაზრის დაკარგვა. ნავთობის სექტორის ჰიპერტროფულმა განვითარებამ ექსპორტში მონოსტრუქტურა შექმნა. რეფორმების საწყის ეტაპზე საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციამ იმპორტის წილი გაზარდა, რომელმაც ადგილობრივი პროდუქციის ნაკლებკონკურენტუნარიონობის პირობებში ხელი შეუწყო უცხოელი ფირმების პოზიციების გაძლიერებას შიდა ბაზარზე და გაზარდა ქვეყნის იმპორტზე დამოკიდებულება. აზერბაიჯანის ეკონომიკა გამოირჩევა ღიაობის მაღალი დონით.

2008 წელს აზერბაიჯანის საგარეო სავაჭრო ბრუნვა 1995 წლის შემდეგ 42.0% -ით გაიზარდა და შეადგინა 5492.2 მილ. აშშ დოლ. მათ შორის ექსპორტი 74.9%-ით და შეადგინა 4775,6 მილ. აშშ დოლ. ხოლო იმპორტი 10.7% და შეადგინა 7166,5 მილ. აშშ დოლ (ცხრილი 31)[127]. ქვეყნის დადებითი სავაჭრო ბალანსი 4058.9 მილ აშშ დოლარია.

[127] წყარო: აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, http://www.azstat.org/MESearch/search

**აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლები 1995-2008 წწ.**

*ცხრილი 31*

| მაჩვენებე-ლი | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| სავაჭრო ბრუნვა *(ათასი აშშ დოლ)* | 1304856.5 | 1591881.8 | | | | 2917291.1 | 3745313.5 | 3832883.7 | 5216558.9 | 7131365.1 | 8558373.2 | 11638908.7 | 11770570.8 | 54922823.4 | |
| ექსპორტი | 637199.3 | 631245.5 | 781309.7 | 606150.5 | 929663.6 | 1745219.9 | 2314206.1 | 2167399.7 | 2626181.1 | 3615435.1 | 4347151.2 | 6372165 | 6058400.1 | 47756246.3 | |
| იმპორტი | 667657.2 | 960636.3 | | | | 1172071.2 | 1431107.4 | 1665484 | 2626181.1 | 3515930 | 4347151.2 | 5266743.7 | 5712170.7 | 7166577.1 | |

2008 წელს აზერბაიჯანის საგარეო სავაჭრო ბრუნვა დსთ-ეს ქვეყნებთან 2008 წელს 2502,4 მილ. აშშ დოლარია. 1995 წლის შემდეგ 77.1% გაიზარდა, მათ შორის როგორც ცხრილიდან ჩანს ექსპორტი 56.8% და შეადგინა 1619.1 მილ. აშშ დოლარია, ხოლო იმპორტი 10.2% და შეადგინა 2340.4 მილ. აშშ დოლ. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებთან აზერბაიჯანის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 721271.9 ათას. დოლ. შეადგენს (ცხრილი 32).

**აზერბაიჯანის სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლები დსთ-ეს ქვეყნებთან 1995-2008 წწ.**

*ცხრილი 32*

| მაჩვენებე-ლი | 1995 | 1996 | 1997 | 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | **2009** |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ექსპორტი *(ათასი აშშ დოლ.)* | 284710 | 290124.7 | 378293.8 | 232173.7 | 211137.5 | 235202.6 | 222795.8 | 243663.4 | 332291.5 | 614282.4 | 905390 | 929717.5 | 1102473.7 | 1619171 | |
| იმპორტი | 228339.5 | 339804.8 | 350885.1 | 404681.2 | 325299.5 | 375537.1 | 445233.8 | 650555.5 | 851201.8 | 1200535.9 | 1449528.1 | 2098168.3 | 1902299.8 | 2340442.9 | |

აზერბაიჯანს აქტიური სავაჭრო ურთიერთობები აქვს გერმანიასთან, ავსტრიასთან, ავსტრიასთან, ბელგიასთან, არაბეთის გაერთიანებული საამიროებთან, დიდი ბრიტანეთთან, აშშ-თან, ბულგარეთან, ჩინეთთან, ესტონეთთან, ავღანეთთან, საფრანგეთთან, ინდოეთთან, ხორვატიასთან, მაკედონიასთან, ირანთან, ისრაელთან, შვეიცარიასთან, იტალიასთან, კანადასათნ, სამხრეთ კორეასთან, ლატვიასთან, ლიბანთან, მალტასთან, ნიდრლანდებთან, პაკისტანთან, პოლონეთთან, რუმინეთთან, სინგაპურთან, თურქეთთან, ვიეტნამთან, საბერძნეთან, ბრაზილიასთან, ჩეხეთთან, სამხრეთ აფრიკასთან, ფინეთთან, იორდანიასთან, ირლანდიასთან, ახალ ზელანდიასთან, იაპონიასთან, რუსეთთან, საქართველოსთან, უკრაინასთან, ყაზახეთთან.

2008 წელს აზერბაიჯანის პროდუცია ყველაზე მეტი რაოდენოით გატანილი იქნა იტალიაში - 19220143.8 ათასი აშშ დოლ.; აშშ-ში - 6014258.2 ათასი აშშ დოლ.; ისრაელში - 3605829.6 ათასი აშშ დოლ.; საფრანგეთში - 23226678 ათასი აშშ დოლ.; ინდოეთიში - 2432496.9 ათასი აშშ დოლ.; ესპანეთიში - 1497693.4 ათასი აშშ დოლ.; ინდონეზიაში - 1411086.5 ათასი აშშ დოლ.; ხოლო პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებიდ-

ან რუსეთში - 5822888.3 ათასი აშშ დოლ.; საქართველოში - 490740.1 ათასი აშშ დოლ.; ყაზახეთში - 290248.5 ათასი აშშ დოლ.; უკრაინაში - 172126.3 ატასი აშშ დოლ[128].

სტატისტიკური მაჩვენებლებით ჩანს, რომ აზერბაიჯანის საგარეო ვაჭრობის მოცულობა ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც ნიშნავს, რომ იგი უფრო და უფრო აღმავებს კავშირებს მსოფლიო მეურნეობასთან. თუმცა, ისიც აღსანიშნავია რომ ექსპორტის დიდი წილი ნავთობზე და ნავთობპროდუქტებზე მოდის.

აზერბაიჯანის ეკონომიკური წარმატებების ერთ-ერთი მაჩვენებელი ეკონომიკური თავისუფლების ზრდის ტენდენციაცაა, რასაც ადასტურებს ფონდ „Heritage"-ის მონაცემები (ცხრილი 33).

**ფონდ „Heritage"-ის მონაცემებით აზერბაიჯანის ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლები 2002-2009 წწ. ასე გამოიყურება[129]:**

*ცხრილი 33*

| საერთო წლიური კლასიფიკაცია | საერთო შეფასება | ბიზნესის თავისუფლება | ვაჭრობის თავისუფლება | ფისკალური თავისუფლება | სახელმწიფოს გავლენა | საფინანსო-საკრედიტო თავისუფლება | საინვესტიციო თავისუფლება | საფინანსო თავისუფლება | საკუთრების უფლება | კორუფციის დონე | შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2009-31 | 58.0 | 74.6 | 78.4 | 79.7 | 77.5 | 66.3 | 30.0 | 40.0 | 25.0 | 21.0 | 87.0 |
| 2008 | 55.4 | 62.6 | 78.4 | 80.4 | 82.9 | 76.5 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 24.0 | 58.0 |
| 2007 | 55.6 | 58.0 | 77.6 | 80.8 | 79.9 | 76.8 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 22.0 | 60.0 |
| 2006 | 53.2 | 56.7 | 72.6 | 80.0 | 77.8 | 75.5 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 19.0 | 60.4 |
| 2005 | 54.4 | 55.0 | 69.2 | 79.2 | 87.0 | 80.4 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 18.0 | 64.8 |
| 2004 | 53.4 | 55.0 | 69.2 | 78.3 | 87.9 | 80.2 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 20.0 | - |
| 2003 | 54.1 | 55.0 | 71.6 | 78.8 | 87.0 | 84.8 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 20.0 | - |
| 2002 | 53.3 | 55.0 | 74.4 | 78.4 | 88.0 | 78.8 | 30.0 | 30.0 | 30.0 | 15.0 | - |

კლასიფიკატორიდან ჩანს, რომ აზერბაიჯანის საინვესტიციო გარემო მეტნაკლებად თავისუფალია. ეკონომიკური

[128] აზერბაიჯანის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი, http://www.azstat.org/MESearch/search

[129] წყარო: ფონდი ,,heritage", http://www.heritage.org/index/Explore.aspx?view=by-region-country-year

თავისუფლების ინდექსის მაჩვენებლების მიხედვით ქვეყნის ბიზნეს გარემოს ზოგადად გაუმჯობესების ტენდენცია აქვს.ხელისუფლების ჩარევა ეკონომიკაში შეიძლება შეფასდეს როგორც მინიმალური. ასევე სავაჭრო პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს როგორც სტაბილური. იმპორტირებული საქონელი ძირითადში თავისუფალია რაოდენობრივი და სხვა დაბრკოლებების და ლიცენზირებისაგან. ფულადი/კაპიტალის საშუალებების და უცხოური ინვესტიციების ნაკადი შეფასებულია როგორც სტაბილური. თუმცა, 2009 წელს შეინიშნება ეკონომიკაში სახელმწიფოს ზრდის, საფინანსო-საკრედიტო და ფისკალური თავისუფლების დაკლების ტენდენციები.

კვლევითი სააგენტოს „The Economist intellingece Unit"-ის, კოლუმბიის უნივერსიტეტის და კოლუმბიის სამართლის სკოლის მიერ ჩატარებული ერთობლივი კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ უახლოეს მომავალში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიზიდვის საქმეში ლიდერი ქვეყნის ფუნქციას რეგიონში ისევ აზერბაიჯანი შეინარჩუნებს, რაც განპირობებული იქნება მისი საინვესტიციო გარემოს მიმზიდველობით,[130] ეს კი უფრო დაკავშირებული იქნება ახალი საინვესტიციო პროექტების მათ შორის ტრანსნაციონალურის განხორციელებასთან, ძირითადად ნავთობის ექტორში.

ეკონომიკის ლიბერალიზაციის ტენდენციების მაჩვენებელია ასევე მსოფლიო ბანკის და „Doing Businees" მიერ გაკეთებელი შეფასება, რომლის თანახმად აზერბაიჯანი ბიზნესის დაწყების პირობების ინდექსის მიხედვით მსოფლიოს 187 სახელმწიფოს შორის მე-38 ადგილზა (ცხრილი 34). რეიტინგის ინდექსი გაინგარიშება ბიზნესის დაწყების, ნებართვის აღების, საკუთრების რეგისტრაციის, მუშახელის,

[130] World investment prospects to 2011: Forein direct investment and the challenge of political risk. London/New York: The Economist intellingence Unit/Columbia Program on international investment, 2007, p.159.

ინვესტორის დაცვის, კრედიტის აღების, გადასახდების, საგარეო ვაჭრობის, კონტრაქტების დარღვევის, ბიზნესის ლიკვიდაციის კომპონენტების მიხედვით.

**აზერბაიჯანის ბიზნესის დაწყების პირობების ინდექსი**[131]

*ცხრილი 34*

| ბიზნესის დაწყების პირობის ინდექსი | ბიზნესის დაწყება | ნებართვის მიღება | მუშახელი | საკუთრების რეგისტრაცია | კრედიტის აღება | ინვესტორის დაცვა | გადასახადები | საგარეო ვაჭრობა | კონტრაქტების დარღვევა | ბიზნესის ლიკვიდაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 38 | 17 | 158 | 33 | 9 | 15 | 20 | 108 | 177 | 26 | 87 |

გლობალურ ეკონომიკასთან ქვეყნის ინტეგრირების მნიშვნელოვანი მაჩვენებელია პირდაპირი ინვესტიციების მარაგი და მათი თანაფარდობა მშპ-თან. როგორც ცხრილში მოტანილი მონაცემები ცხადყოფს, პუი აზერბაიჯანში ყოველწლიურად იზრდებოდა (ცხრილი 35).

**შიდა და უცხოური ინვესტიციების დინამიკა ქვეყნაში 1995-2009 წლების (პირველი ნახევარი) მიხედვით**[132]

*ცხრილი 35*

| შიდა და უცხოური ინვესტიციები ძირითად კაპიტალში | | | |
|---|---|---|---|
| წლები | მთლიანად მილ მანეთი | შიდა ინვესტიციები | უცხოური ინვესტიციები |
| 1995 | 228 | 149.3 | 78.7 |
| 1996 | 644.4 | 267.7 | 376.9 |
| 1997 | 910.2 | 308.7 | 601.5 |
| 1998 | 1102.4 | 356.1 | 746.3 |
| 1999 | 928.5 | 395.2 | 533.3 |
| 2000 | 967.8 | 460.3 | 507.5 |
| 2001 | 1170.8 | 437.7 | 733.1 |
| 2002 | 2107 | 546 | 1560.9 |
| 2003 | 3786.4 | 938.3 | 2848 |
| 2004 | 4922.8 | 1324 | 3598.8 |
| 2005 | 5769.9 | 2104.9 | 3665 |
| 2006 | 6234.5 | 2901.4 | 3333.1 |
| 2007 | 7471.2 | 4626.7 | 2844.5 |
| 2008 | 9944.1 | 7702.1 | 2242 |
| 2009 | | | |

---

[131] წყარო: The Doing Business project..., http://www.doingbusiness.org/EconomyRankings/?direction=Asc&sort=4

[132] მასალა მოგვაწოდა აზერბაიჯანის ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ.

უცხოური კაპიტალისათვის ქვეყნის მიმზიდველობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია ბაზრის მასშტაბი. თუმცა, აზერბაიჯანის ბაზრის მოცულობა ძალიან მცირეა და მოთხოვნა ძირითადად კმაყოფილდება იმპორტის ხარჯზე. ამდენად, ბაზრის მოცულობაზე ორიენტირებული ინვესტორებისათვის ამ ქვეყნის მიმზიდველობის ხარისხი არც ისე მაღალია. მიუხედავად ამისა, იზრდება უცხოური კომპანიების დაინტერესება ამ ქვეყნით, და ეს უპირველეს ყოვლისა დამოკიდებულია ნავთობის და გაზის საბადოების არსებობაზე ქვეყანაში. სწორედაც 1999-2003 წლებში აზერბაიჯანში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უდიდესი ნაწილი უკავშირდებოდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის მშენებლობას.

აზერბაიჯანის ეკონომიკა ვითრდება საბაზრო ეკონომიკის ჯანსაღი პრინციპების, საერთაშორისო თანამშრომლობის, უცხოური კაბიტალის მიზიდვის სტრატეგიის და ადგილობრივი პოტენციალის შექმნის საფუძველზე. აზერბაიჯანის ხელისუფლებამ კარგად დაინახა რომ ერთადერთი საიმედო და ტექნოლოგიურად მოწინავე პარტნიორი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარების, მისი ეფექტური და რაციონალური გარდაქმნის საქმეში იქნებოდა მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციები.

**უცხოური ინვესტიციები აზერბაიჯანის ეკონომიკაში სახეობის და ქვეყნების მიხედვით (მილ აშშ დოლ)[133].**

*ცხრილი 36*

| მაჩვენებლები | | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|---|---|---|---|---|---|---|
| **უცხოური ინვესტიციები - მთლია-ნად** | | **4575,5** | **4893,2** | **5052,8** | **6674,3** | **6847,4** |
| მათ შორის | **საფინასო კრედიტები** | **293,0** | **698,4** | **983,5** | **1576,6** | **2357,9** |
| | **პირდაპირი ინვესტიცი-ები** | **4192,3** | **4030,4** | **3790,7** | **4442,4** | **3844,8** |
| | **ნავთობის მრეწველობა** | 4088,0 | 3800,0 | 3422,3 | 4003,3 | 3350,7 |
| | **ერთობლივი საწარმოები და უცხოური კომპანიე-ბი** | 104,2 | 230,5 | 368,4 | 439,1 | 494,1 |
| ქვეყნების მიხედვით: | | | | | | |
| თურქეთი | | 80,1 | 96,2 | 136,6 | 109,2 | 60,8 |
| აშშ | | 8,4 | 24,8 | 70,0 | 78,0 | 108,8 |
| დიდიბრიტანეთი | | 4,2 | 39,5 | 39,1 | 12,3 | 146,4 |
| არაბეთის გაერთიანებული საამირო-ები | | 4,4 | 5,7 | 18,3 | 4,4 | 38,5 |
| იტალია | | - | - | - | - | 2,0 |
| გერმანია | | 2,1 | 21,5 | 17,4 | 22,9 | 48,2 |
| შვეიცარია | | - | 0,5 | 2,7 | 3,5 | 3,7 |
| რუსეთი | | 1,8 | 5,1 | 4,6 | 10,7 | 5,8 |
| სხვა ქვეყნები | | 3,2 | 37,2 | 79,7 | 198,1 | 79,9 |
| **ნავთობის ბონუსი** | | | | | | **3,5** |
| **სხვა ინვესტიციები** | | **90,2** | **164,4** | **278,6** | **655,3** | **641,2** |

სტატისტიკური მონაცემებით აზერბაიჯანში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დიდი წილი ნავთობის სექტორზე მოდის 3350.8 მილ. აშშ დოლ. (ცხრილი 36) რაც წინა წელთან შედარებით ნაკლებია. მსხვილი ინვესტორებია დიდი ბრიტანეთი და აშშ.

დღეისათვის აზერბაიჯანში რეგიტრირებულია 5673 კომპანია, რომელთა შორის 4132 არის უცხოური და 1541 ერთობლივი საწარმო (ცხრილი 37).

---

133 მივლინების მასალები. ცნობები მოგვაცოდა აზერბაიჯანის სტატსტიკის სახელმწიფო სამსახურმა.

**უცხოური ინვესტიციების საფუძველზე შექმნილი საწარმოების რაოდენობა სექტორების მიხევით 2009 წლის იანვრის მდგომარეობით[134]**

*ცხრილი 37*

| მთლიანად | კომპანიები უცხოური ინვესტიციების 100% წილით | | ერთობლივი საწარმოები | |
|---|---|---|---|---|
| | რაოდენობა | % | რაოდენობა | % |
| | 4132 | 4,6 | 1541 | 1,7 |
| მათ შორის: | | | | |
| ხეტ-ყის და თქვზჭეის მრეწველობა | 39 | 0,4 | 41 | 0,4 |
| სამთომომპოვებელი და კარიერეის დამამუშავებელი მრეწველობა | 121 | 16,9 | 24 | 3,4 |
| გადამამუშავებელი მრეწველობა | 293 | 4,5 | 341 | 5,3 |
| ელექტრო და გაზ გამანაწილებელი სექტორის | 9 | 4,1 | 2 | 0,9 |
| წყალმომარაგება | 16 | 3,3 | 15 | 3,1 |
| სამშენებლო | 514 | 5,5 | 160 | 1,7 |
| საბითუმო და საცალო ვაჭრობა | 1294 | 4,4 | 530 | 1,8 |
| ტრანსპორტირება და დაბინავება | 193 | 11,6 | 41 | 2,5 |
| მომსახურების | 59 | 4,9 | 30 | 2,5 |
| კავშირგაბმულობა | 79 | 5,3 | 42 | 2,8 |
| საფინასო-სადაზღვევო | 48 | 5,0 | 43 | 4,4 |
| უძრავის ქომების ოპერაციები | 36 | 5,0 | 7 | 1,0 |
| პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა | 845 | 20,5 | 70 | 1,7 |
| ადმინისტრაციული საქმიანობა და ამ სფეროში სრული მომსახურება | 133 | 3,1 | 80 | 1,8 |
| სახელმწიფო მმართველობა და ტავდაცვა | 5 | 0,1 | 2 | 0,0 |
| განთლება | 43 | 4,4 | 3 | 0,3 |
| ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება | 75 | 5,6 | 19 | 1,4 |
| ხელოვნება და დასვენება | 11 | 0,8 | 6 | 0,4 |
| მომსახურეობის სხვა სახეობები | 243 | 2,8 | 85 | 1,0 |
| საოჯახო მეურნებოა | 1 | 100,0 | 0 | 0,0 |
| ექსტერიტორიალური ორგანიზაციების და ორგანობის საქმიანობა | 75 | 98,7 | 0 | 0,0 |

UNCTAD-ის 2005 წლის ყოველწლიურ მსოფლიო საინვესტიციო ანგარიშში მითითებულია, რომ ქვეყანაში მოქმედებს უცხოური ტნკ-ის 30 განყოფილებაა[135]

[134] მივლინების მასალები. სტატისტიკური ინფორმაცია მოგვაწოდა აზერბაიჯაინასის სახელმწიფო სატისტიკის კომიტეტმა.
[135] World investment report, Transnational Corporations and the Internationalization of R&D, United Nations
New York and Geneva, 2005, p. 265

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკური მაჩვენებლებიდანაც აშკარად ჩანს, რომ უცხოური ინვესტიციების დიდი წილი სწორედ ნავთობის სექტორზე მოდის.

ნავთობის სექტორში მოღვაწეობენ ისეთი გავლენიანი ტრანსნაციონალური და მათი შვილობილი კომპანიები როგორებიცაა **BP** (საერთაშორისო) - ნავთობისა და გაზის მოპოვება-გადამუშავება, **KBR international azerbaijan** (აშშ)- პროექტირება ნავთობის და გაზის, **Chevron Texaco** (დიდი ბრიტანეთი) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობის და გაზის საბადოების დამუშავება, **Conoco Philips** (დიდი ბრიტანეთი) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობის და გაზის საბადოების დამუშავება, **China national logging Corporationi** (ჩინეთი) - გეოფიზიკური სამუშაოები, **Exxon-mobil** (აშშ) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობის და გაზის საბადოების დამუშავება, **Itochu oil Exploration azerbaijan Inc** (იაპონია)- ნავთობის ინდუსტრია, ნავთობის და გაზის საბადოების დამუშავება, **Halliburton Eurasia** (აშშ- ნავთობის ინდუსტრია, ნავთობის და გაზის საბადოების დამუშავება, **Karasu** (აშშ)- ნავთობის ინდუსტრია, ნავთობის და გაზის საბადოების დამუშავება,, **Lukoil Azerbaijan** (რუსეთი) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობის და გაზის საბადოების დამუშავება, **Mitsubishi corporation** (იაპონია) - სანავთობე მოწყობილობები, კომერცია, **Shell Exploration and Production BV** (ჰოლანდია-დიდიბრიტანეთი) - ნავთობის და გაზის მოპოვება, საბადოების და მარაგის დაზვერვა, **Shumberger Lojelko InC**. (საერთაშორისო) - ნავთობის და გაზის მოპოვება, საბადოების და მარაგის დაზვერვა, **Statiol Azerbaijan** (ნორვეგია) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობის და გაზის საბადოების დამუშავება, **Totalfinaelf** (საფრანგეთი) - ნავთობის და გაზის მოპოვება, სადაზვერვო სამუშაობეი, **Unokal Khazar** (აშშ) - ნავთობის ინდუსტრია, ნავთობის და გაზის საბადოების დამუშავება.

ნავთობის ინდუსტრიის აღდეგნა და ახალ სიმაღლეზე აყვანა აზერბაიჯანში სწორედ ტნკ-ების საქმიანობას უკავშირდება.

თანამედროვე ეტაპზე აზერბაიჯანს უკვე თავად შეუძლია საკუთარი საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართულია კაპიტალის მომგებიან დაგროვებაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

**ინვესტიციების დინამიკა (მილ. აშშ დოლ.)[136]**

*ცხრილი 38*

| მაჩვენებლები | | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინვესტიციები - მთლიანად | | **5922,7** | **7118,5** | **8300,4** | **12066,1** | **16222,0** |
| მათ შორის | უცხოური ინვესტი-ციები | 4575,5 | 4893,2 | 5052,8 | 6674,3 | 6847,4 |
| | შიდა ინვესტიციები | 1347,2 | 2225,3 | 3247,6 | 5391,8 | 9374,6 |

2008 წელს უცხოური ინვესტიციების ნაკადების შემცირების კვალობაზე ხელისუფლებამ შიდა ინვესტიციები გაზარდა მოახერხა (ცხრილი 38).

აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია აქტიური მონაწილე გახდა დინამიკური პროცესებისა, რომელიც მიმდინარეობს მსოფლიო მეურნეობის ნავთობის და მასთან დაკავშირებულ დარგებში.

ამრიგად, აზერბაიჯანში მარალტექნოლოგიური ნავთობის ინდუსტრიის შექმნა მსოფლიოს წამყვანი ტნკ-ების მონაწილეობით აზერბაიჯანის ახალი ეკონომიკური მოდელის მნიშვენოლავნი შემადგენელი ნაწილია.

ნავთობის სექტორის გარდა უცხოური კომპანიები აზერბაიჯანის ეკონომიკის სხვა დარგებშიც არის წარმოდგენილი. ენერგეტიკაში საქმიანობს ისეთი ცნობილი კომპანიები როგორიცაა ,,Simens JG", ,,ABB INTERNATIONAL MARKETING LTD", ,,Masterguard-Choride Pawer" და აშ. Аэрофлот

136 მივლინების მასალები. სტატისტიკური ინფორმაცია მოგვაწოდა აზერბაიჯანის სახელმწიფო სტატისტიკის კომიტეტმა.

(რუსეთი), British Airways (დიდი ბრიტანეთი), Lufthanza **(გე-რმანია),** Turkish Airlines (თურქეთი); საინვესტიციო კომპა-ნია MITE Marubeni Itochu Tubulars Europe Pls. (დიდი ბრიტანე-ტი-იაპონია) აუდიტორულ საქმიანობას Ernst & Young (CIS) Ltd. (დიდი ბრიტანეთი აშშ), Pricewaterhouse Coopers Eastern Europe B.V (ჰოლანდია); ტირუსტულ სფეროში - American Express Travel Services (აშშ); საფოსტო გადაზიდვები DHL World-Wide Express American Express (აშშ), OCS (ASE) (იაპონია-თურქეთი); სატრანსპორტო კომპანიები Barwill Universal (ნორვეგია), Bertling Caspian LTD (დიდი ბრიტანეთი) KLS Holding LTD (დიდი ბრიტანეთი); ფარმაცევტული კორპორა-ცია - Pfizer H.C.P. Corporation (აშშ); ტელეკომუნიკაცია - AvirTel Ltd (აშშ); სამხედრო მრეწველობაში - «Elbit Systems» (ისრაელი). გაზის საძიებო სამუშაოები - Gaz de France SUEZ (საფრანგეთი).

ამჟამად აზერბაიჯანში 550 კომპანია ფუნქციონირებს რუსული კაპიტალით. მათ შორის 167 წმინდა რუსული კომ-პანია[137].

ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით აზერბაიჯანში 45 მსხვილი უცხოური კომპანიებაა წარმოდ-გენილი შვილობილი კომპანიებით (ცხრილი 39)[138]

[137] http://www.rg.ru/2009/06/23/investicii.html
[138] წყარო: ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრი, http://www.investmentmap.org/invmap/competitorCountry.aspx?prg=1

## ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით აზერბაიჯანში მოქმედი მსხვილი უცხოური კომპანიები

*ცხრილი 39*

| დედა ქვეყანა | დედა კომპანია | ფილიალი | საქმიანობის ხაზი | გაყიდვები | დასაქმება | შემოსვლის წელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | **International Bank For Reconstruction & Development, (inc)** | **WORLD BANK, OFFICE AZERBAIJAN** | Functions related to deposit banking | | | |
| აშშ | **Hertz Global Holdings, Inc.** | **HERTZ CORPORATION** | Passenger car rental | | | |
| აშშ | **Hess Corporation** | **AMERADA HESS LIMITED** | Oil and gas exploration services | | 10 | |
| აშშ | **Microsoft Corporation** | **MICROSOFT AZERBAIJAN** | Prepackaged software | | | |
| აშშ | **Transocean Inc.** | **TRANSOCEAN SEDCO FOREX INC** | Drilling oil and gas wells | | | |
| აშშ | **Johnson Controls, Inc** | **YORK INTERNATIONAL CORPORATION** | Refrigeration and heating equipment | | | |
| აშშ | **Smith International, Inc.** | **JV AZERI MI DRILLING FLUIDS LTD** | Oil and gas field services, nec | | | 1997 |
| აშშ | **AON Corporation** | **AON AZERI INSURANCE & REINSURANCE BROKERS CO.** | Life insurance | | | |
| აშშ | **Steelcase Inc.** | **STEELCASE INC** | Wood office furniture | | | |
| აშშ | **Smith International, Inc.** | **SMITH BITS** | Oil and gas field machinery | | | |
| აშშ | **Pricewaterhousecoopers** | **PRICEWATERHOUSE COOPERS** | Management consulting services | | | |
| აშშ | **Chevron Corporation** | **UNOCAL KHAZAR LTD** | Oil and gas field services, nec | | 5 | |
| აშშ | **Exxon Mobil Corporation** | **Exxon Azerbaijan Operating Company LLC** | Drilling oil and gas wells | | 3 | 1995 |
| თურქეთი | **TEKFEN HOLDING A S** | **TEKFEN CONSTRUCTION AND INSTALLATION** | Heavy construction, nec | | | 1996 |
| თურქეთი | **BARMEK HOLDING A S** | **Barmek Azerbaijan Electricity Network Llc** | Electric services | | 2,630 | 2001 |
| შვედეთი | **Teliasonera AB** | **AZERONLINE** | Services, nec | | | |
| შვედეთი | **Teliasonera AB** | **AZERCELL TELECOM JV** | Radiotelephone communication | | 200 | 1996 |
| ნიდერლანდები | **Fugro N.V.** | **AZERI FUGRO** | Water transportation services, | | 5 | |
| ნიდერლანდები | **Nokia Siemens Networks B.V.** | **Nokia Siemens Networks Baku LLC** | Durable goods, nec | | | |
| ნიდერლანდები | **ING Groep N.V.** | **LUKOIL AZERBAYCAN Q T S C JSC** | Oil and gas field services, nec | | | 1993 |
| ლუქსემბურგი | **VALCON ACQUISITION HOLDING (LUXEMBOURG) SARL** | **AC NIELSEN (AZERBAIJAN)** | Management consulting services | | | |
| სამხ. კორეა | **Daewoo Corporation** | **DAEWOO AZERBAJAN COMPANY LTD** | Automobiles and other motor vehicles | | 10 | |
| იაპონია | **ITOCHU CORPORATION** | **ITOCHU OIL EXPLORATION** | Oil and gas exploration services | | 1,996 | |
| იმდონეზია | **PT VANADIUM MODERN ELECTROPLATING** | **LALA GROUP LIMITED LIABILITY CO** | Services, nec | | 22 | 1997 |
| დიდი ბრიტანეთი | **BP P.L.C.** | **AMOCO CASPIAN SEA PETROLEUM LTD.** | Crude petroleum and natural gas | | | 1992 |
| დიდი ბრი- | **CEVA INVESTMENTS** | **EGL C/O DIALOG** | Freight | | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტანეთი | **LIMITED** | **FREIGHT (AZERBAIJAN) LTD** | transportation arrangement | | | |
| დიდი ბრი-ტანეთი | **TURBO ALPHA LTD** | **KCA DEUTAG** | Oil and gas exploration services | | | |
| დიდი ბრი-ტანეთი | **THE WEIR GROUP PLC** | **STANDART OILFIELD SERVICES LTD** | Oil and gas field machinery | | | 2001 |
| დიდი ბრი-ტანეთი | **RAPID SOLUTIONS LTD** | **RAPID SOLUTIONS (AZERBAIJAN) LTD** | Engineering services | | 60 | 1996 |
| დიდი ბრი-ტანეთი | **CAPE P L C** | **CAPE INDUSTRIAL SERVICE LIMITED** | Plastering, drywall, and insulation | | 50 | 1998 |
| დიდი ბრი-ტანეთი | **HSBC HOLDINGS PLC** | **HSBC BANK MIDDLE EAST** | National commercial banks | | | |
| დიდი ბრი-ტანეთი | **G C M GLOBAL ENERGY PLC** | **KARASU OPERATING COMPANY** | Oil and gas exploration services | | | 2000 |
| დიდი ბრი-ტანეთი | **BP P.L.C.** | **B P AMOCO** | Drilling oil and gas wells | | 1 | 1992 |
| დიდი ბრი-ტანეთი | **CLS HOLDINGS PLC** | **ERNST & YOUNG CIS HOLDING** | Accounting, auditing, and bookkeeping | | | |
| საფრანგე-თი | **TOTAL SA** | **BAKU TBILISI CEYHAN PIPELINE COMPANY** | Water, sewer, and utility lines | | | 2002 |
| გერმანია | **Siemens AG** | **SIEMENS LLC** | Durable goods, nec | | 10 | 1998 |
| გერმანია | **A&T Computer Handelsges. mbH** | **A & D COMPANY AZERBAIJAN - ALMANIYA BM** | Millwork | | 10<br>4 | 1996 |
| გერმანია | **Adolf Würth GmbH & Co KG** | **WUERTH AZTUR LTD STI** | Durable goods, nec | | | |
| გერმანია | **BASF SE** | **BASF CASPIAN CONSTRUCTION CHEMICALS LLC** | Industrial organic chemicals, nec | | | 2006 |
| კაიმანის კ. | **Baku Hotel Development L.P.** | **PARK HYATT BAKU** | Hotels and motels | | | |
| შვეიცარია | **Schenker-Winkler Holding AG** | **SIKA LIMITED LIABILITY COMPANY** | Special trade contractors, nec | | | |
| შვეიცარია | **SGS SA** | **SGS AZERI LTD.** | Business services, nec | | | |
| შვეიცარია | **Holcim Ltd.** | **GARADAGH SEMENT OJSC** | Adhesives and sealants | | 54<br>5 | 1999 |
| შვეიცარია | **Panalpina Welttransport (Holding) AG** | **PANALPINA CENTRAL ASIA EC** | Transportation services, nec | | | 1995 |
| ანტილიის კუნძულე-ბი | **Schlumberger N.V.** | **SCHLUMBERGER OILFIELD SEVICES INC** | Oil and gas exploration services | | | 1996 |

ზემოთ დასახელბული კომპანიებიდანაც კარგად ჩანს, რომ რუსული კომპანიები ნაკლებადაა წარმოდგენილ აქ გან-სხვავებით სომხეთისა და საქართველოსაგან.

დღეისათვის აზერბაიჯანში 500-მდე თურქული ფირმა საქმიანობს. მათ მიერ განხორციელბული ინვესტიციები 3 მილდ. აშშ დოლ. აღწევს (ხოლო ნავთობის სექტორსაც თუ გავითვალისწინებთ 6 მილდ.[139]). თურქულ კომპანიებში 5 ათასი თურქი და 50 ათასი ადგილობრივი მოსახლეა დასა-ქმებული[140]. 90-იანი წლებიდან მოყოლებული (1267 კომპანი

[139] http://www.newsazerbaijan.ru/international/20090704/42935687.html
[140] http://www.1news.az/economy/20081211011736076.html

იყო[141]) ათეულობით თურქულმა კომპანიამ თუ ფირმამ, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ მშენებლობაში, ავეჯის წარმოებაში, ექსპორტის და მომსახურების სფეროებში, დატოვა ქვეყანა.[142] მთავარ პრობლემად შეიძლება დასახელდეს აზერბაიჯანი ეკონომიკის მოპოლისტური სტრუქტურა.

### *3.4. ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობა სომხეთში*

სომხეთის ხელისუფლება ეფექტური საინვესტიციო პოლიტიკის გატრებას განიხილავს როგორც ერთ-ერთ მთავარ საშუალებას ეკონომიკური განვითარების მიღწევისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ტნკ-ების და შესაბამისად პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას ქვეყნაში. ტნკ-ების შესვლას სომხეთში აქვს კრიტიკული მნიშვნელობა ეკონომიკური გარღვევის დაძლევის უზრუნველყოფისათვის[143].

მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნა და უცხოური ინვესტიციების შემოსვლა სტიმულის მიმცემი შეიძლება გახდეს მრეწველობის და ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისათვის. სხვათაშორის, ამგვარი პოლიტიკის გატარების შედეგად უკანასკნელ ათწლეულში სომხეთმა მიაღწია სტაბილურ ეკონომიკურ ზრდას. 2001-2007 წწ. საშუალო ზრდის მაჩვენებელმა შეადგინა 12%, რაც აისახა მშპ სტაბილურ ზრდაზე (2001 წ. - 9,6%, 2002 წ. - 12,9%, 2003 წ. -

---

[141] Турция существенно сократила инвестиции в Азербайджан, http://www.export.by/?act=news&mode=view&id=14463

[142] Почему турецкие предприниматели убегают из Азербайджана, http://analitika.at.ua/news/2009-09-26-14506

[143] Аванесян В., Джрбашян Т., Егиазарян А. «Концепция стратегии устойчивого экономического развития Армении на долгосрочную перспективу», Жур., Деловой Экспресс, N 28, С. 10–11.

13,9%, 2004 წ. - 10,1%, 2005 წ. - 13,9%, 2006 წ. – 13,4%, 2007 წ. – 13,7%). ასევე ექსპორტის მოცულობის სწრაფ რაოდენობრივ და ხარისხობრივ ზრდაზეც (2000 წ. - 28,4%, 2001 წ. - 14,1%, 2002 წ. - 48,5%, 2003 წ. - 30,5%, 2004 წ. - 4,3%, 2005 წ. - 31,5%, 2006 წ. - 3.1%, 2007 წ. - 17,5%)[144].

ქვეყნის შემდგომი სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო განვითარება ბევრად არის დამოკიდებული მიზანმიმართული საინვესტიციო პოლიტიკის შემუშავებაზე და მის ეფექტურ განხორციელებაზე. როგორც ყველა განვითარებად ქვეყანაში, სომხეთშიც უცხოური ფირმების შემოსვლას და შესაბამისად, ინვესტიციების განხორციელებას დიდი მნიშვნეობა აქვს ისეთი სასიცოცხლოდ მიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისათვის, როგორიცაა: სამუშაო ადგილების შექმნა, საბაზრო ეკონომიკისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ნოუ-ჰაუს მოზიდვა, ახალ ბაზრებზე გასვლა და მათზე უფლების მოპოვება და ა.შ.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისადმი სომხეთის დამოკიდებულება გამოიხატა ,,ღია კარების" პოლიტიკის გატრებაში და ეს ლიბერალური დამოკიდებულება კანონმდებლობითაც არის განმტკიცებული.

სომხეთის საინვესტიციო პოლიტიკა დამყარებულია და ხორციელდება ლიბერალურ საფუძვლებზე და მიმართულია ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციისკენ.

საინვესტიციო პოლიტიკის ძირითადი პრინციპებია:

- ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალური პრინციპების გამოყენება საინვესტიციო სფეროში;

- ინვესტიციების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის მიმზიდველობის და სტაბილურობის უზრუნველყოფა;

---

[144] მივლინების მასალები, სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს მონაცემები.

- უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორებისათვის არადისკრიმინირებული, თანაბარი ეკონომიკური პირობების შექმნა;

- ეროვნული რეჟიმის და ბევრად უფრო ხელსაყრელი რეჟიმის მიცემა უცხოელ ინვესტორებისა და ინვესტიციებისათვის;

- ინვესტორების და ინვესტიციების კანონიერი ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა.

ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის მთავარი მიზანია: მოსახლეობის ცხოვრების დონის და სტაბილური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა ეკონომიკური აქტიურობის ზრდის, ინვესტიციების მოცულობის გადიდების და ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნის გზით.

ქვეყნის სავაჭრო პოლიტიკა მიზნად ისახავს ხელსაყრელი პოზიციების მოპოვებას გლობალურ ბაზარზე. სომხეთის სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით (ცხრილი 40)[145], ქვეყნას უარყოფითი სავჭრო სალდო აქვს.

**სომხეთის სავაჭრო ბრუნვის მაჩვენებლების დინამიკა**

***ცხრილი 40***

| წლები | | 2000 | 2001 | 2002 | 2003 | 2004 | 2005 | 2006 | 2007 | 2008 | 2009* |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საგარეო ვაჭრობის მოცულობა | | 1185.2 | 1219.1 | 1492.3 | 1965.1 | 2073.6 | 2775.6 | 3176.7 | 4420.1 | 5483.3 | 2732.3 |
| მათ შორის | იმპორტი | 884.7 | 877.3 | 987.2 | 1279.5 | 1350.7 | 1801.7 | 2191.6 | 3267.8 | 4426.1 | 2251.6 |
| | ექსპორტი | 300.5 | 341.8 | 505.1 | 685.6 | 722.9 | 973.9 | 985.1 | 1152.3 | 1057.2 | 480.7 |

სტატისტიკური მაჩვენებლებით ჩანს, რომ ქვეყნას უარყოფითი სავაჭრო ბალანსი აქვს. 2007 წელს სომხეთის სავაჭრო ბრუნვამ დსთ-ის ქვეყნებთან შეადგინა 1434.1 მილ.

---

145 http://www.armstat.am

* სექტემბრის მონაცემბის მიხედვით.

აშშ დოლ. ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორებია რუსეთი, უკრაინა და საქართველო. 2007 წელს სომხეთის საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან შეადგინა 1698.1 მლნ. აშშ დოლარი. მსხვილი სავაჭრო პარტნიორებია დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია.

ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის სომხეთი ტერიტორიის და მოსახლეობის  სიმცირით გამოირჩევა. სამომხმარებლო ბაზარი სხვებთან შედარბეით შესაბამისად მცირეა. მიუხედავად ამისა, იზრდება უცხოური კომპანიების დაინტერესება სომხეთით, რაც ქვეყნის ეკონომიკის ლიბერალიზაციის ზრდით არის გამოწვეული.

სომხეთმა ეკონომიკური თავისუფლების მაჩვენებლებით 31 ადგილი დაიკავა (ცხრილი 41)

**ფონდ „Heritage"-ის მონაცემები სომხეთის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 2002-2009 წწ.[146]:**

*ცხრილი 41*

| საერთო წლიური კლასიფიკაცია | საერთო შეფასება | ბიზნესის თავისუფლება | ვაჭრობის თავისუფლება | ფისკალური თავისუფლება | სახელმწიფოს გავლენა | საფინანსო-საკრედიტო თავისუფლება | საინვესტიციო თავისუფლება | საფინანსო თავისუფლება | საკუთრების უფლება | კორუფციის დონე | შრომის ბაზრის ლიბერალიზაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2009-31 | 69.9 | 83.7 | 86.4 | 90.0 | 89.7 | 77.8 | 70.0 | 70.0 | 35.0 | 30.0 | 66.3 |
| 2008-28 | 69.8 | 81.4 | 85.0 | 89.0 | 86.4 | 84.59 | 70.0 | 70.0 | 35.0 | 29.0 | 68.2 |
| 2007-32 | 68.6 | 80.82 | 85.6 | 89.7 | 90.81 | 80.3 | 60.0 | 70.0 | 30.0 | 29.0 | 70.3 |
| 2006-27 | 70.6 | 77.6 | 80.6 | 90.0 | 90.71 | 80.63 | 70.0 | 70.0 | 50.0 | 31.0 | 65.3 |
| 2005-42 | 69.8 | 55.0 | 80.0 | 89.9 | 88.94 | 82.0 | 70.0 | 90.0 | 50.0 | 30.0 | 62.1 |
| 2004-44 | 70.35 | 55.0 | 80.0 | 90.0 | 88.71 | 84.47 | 70.0 | 90.0 | 50.0 | 25.0 | - |
| 2003-44 | 67.32 | 55.0 | 81.2 | 88.9 | 84.13 | 81.7 | 70.0 | 70.0 | 50.0 | 25.0 | - |
| 2002-45 | 68.0 | 55.0 | 81.4 | 88.3 | 81.25 | 91.05 | 70.0 | 70.0 | 50.0 | 25.0 | - |

146 წყარო: ფონდი ,,heritage", http://www.heritage.org/index/Default.aspx

კლასიფიკატორის მიხედვით სომხეთის საინვესტიციო გარემო თავისუფალია. ხელისუფლების ჩარევა ეკონომიკაში შეიძლება შეფასდეს მინიმალურად ან სტაბილურად (დაბალი დონით). ასევე სავაჭრო პოლიტიკა შეიძლება შეფასდეს როგორც სტაბილური (საკამოდ სუსტი დაცვა). იმპორტირებული საქონელი ძირითადში თავისუფალია დაბრკოლებების და ლიცენზირებისაგან. ფულადი/კაპიტალის საშუალებების და უცხოური ინვესტიციების ნაკადი შეფასებულია როგორც სტაბილური (მცირედი შეზღუდვებით). სომხეთი აზერბაიჯანისა და საქართველოსაგნ განსხვავებით 2009 წელს მხოლოდ მონეტარული თავისუფლების მხრივაა შეზღუდული. დანარჩენ შემთხვევაში სტაბილურ ზრდას აგრძელებს.

მსოფლიო სავალუტო ფონდის შეფასებით სომხეთი კონტროლს არ ახორციელებს და არ ზღუდავს ღია სავალუტო ანგარიშებს, საბანკო ოპერაციებს, მიმიდინარე გადარიცხვებს, რეპატრირებულ მოგებებს, ასევე შიდა და უცხოურ ინვესტიციებს, რომლებსაც ახორციელებენ პირები, რომლების მუდმივად ან დროებით ცხოვრობენ სომხეთში[147]. ეკონომიკის ლიბერალიზაციის ტენდენციების მაჩვენებელია ასევე მსოფლიო ბანკის და ,,Doing Businees" მიერ გაკეთებელი შეფასება, რომლის თანახმად სომხეთს ბიზნესის დაწყების პირობები ინდექსის მიხედვით მსოფლიოს 187 სახელმწიფოს შორის მე-38 ადგილი უკავია (ცხრილი 42). რეიტინგის ინდექსის კლასიფიკაცია ეფუძნება 10 კომპონენტის ანალიზს, კერძოდ კომპანიის დაფუძნებას, ნებართვას მშენებლობაზე, შრომითი რესურსების რეგულირება, საკუთრების რეგისტრაციას, დაკრედიტება, ინვესტორების დაცვას, გადასახადის გადახდა, სასაზღვრო ვაჭრობას, ხელშეკრულების გამოყენებას, კომპანიის დახურვას.

[147] წყარო: მსოფლიო სავალუტო ფონდი, http://www.imf.org/external/country/ARM/index.htm?pn=0

### ბიზნესის დაწყების პირობების ინდექსი[148]

*ცხრილი 42*

| ბიზნესის დაწყების პირობის ინდექსი | ბიზნესის დაწყება | ნებართვის მიღება | მუშახელი | საკუთრების რე-გისტრაცია | კრედიტის აღება | ინვესტორის დცვა | გადასახადები | საგარეო ვაჭრობა | კონტრაქტების დარღვევა | ბიზნესის ლიკვი-დაცია |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 38 | 17 | 158 | 33 | 9 | 15 | 20 | 108 | 177 | 26 | 87 |

ამ ინდექსის მიხედვით სომხეთს ამირკავკასიის ქვეყნე-ბიდან მესამე ადგილი უჭირავს. 2008 წელს კი 178 ქვეყანას შორის 39-ე ადგილი ეკავა. მოხდა ერთი საფეხურით მდგომა-რეობის გაუმჯობესება. ეს მაჩვენებლები გამოხატავენ წარ-მოების ფუძემდებლურ პრინციპებს და შეიძლება გამოყენე-ბულ იქნას იმ სხვადასხვა რეგულიატორების ანალიზისათ-ვის, რომლებიც აბრკოლებენ ინვესტიციებს, წარმოებას და ზრდას[149].

1991 წლიდან 2009 წლის პირველი ნახევრის ჩათვლით უცხოური ინვესტიციების ნაკადმა შეადგინა $ 5.038.987.800 საიდანაც $3.723.909.400 - პირდაპირ ინვესტიციებია (ცხრი-ლი 43) .

1991-1999 წწ. უცხოური ინევესტიციების აკუმული-რებულმა მოცულობამ შეადგინა 520.3 მილ. აშშ დოლარი, 2000-2003 წწ. 759.8 მილ აშშ დოლარი, 2000-2007 წწ. 2939 მილ. აშშ დოლარი, ხოლო მარტო 2008 წელს 1000.9 მილ. აშშ დოლარი. ნაკადის მოცულობის ზრდა აშკარაა. თუმცა მსო-ფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ინვესტიციების ნაკადის მოცულობაზე სომხეთთან მიმართებითა იმოქმედა. 2009 წლის იანვარ-ივლისის თვეების მონაცემებით უცხოური ინვ-

[148] წყარო: The Doing Business project...,
http://www.doingbusiness.org/EconomyRankings/?direction=Asc&sort=4
[149] სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს მონაცემები, www.mineconomy.am

ესტიციების ნაკადის მოცულობა 312,2 მილ აშშ დოლ., რაც 39,4% ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მსგავს მაჩვენებლებთან, მათ შორის პირდაპირი ინვესტიციების

**პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა სომხეთში 2000-დან 2009 წლის ჩათვლით (პირველი ნახევარი)[150]:**

*ცხრილი 43*

| წლები | უცხოური ინვესტიციები | | წინა წლებთან შედარების მიხედვით | |
|---|---|---|---|---|
| | აგრეგირებული ინვესტიციები ($) | პირდაპირი ინვესტიციები ($) | აგრეგირებული ინვესტიციები (%) | პირდაპირი ინვესტიციები (%) |
| 2000 | 190.129.900 | 120.060.100 | | |
| 2001 | 122.545.100 | 75.859.000 | 64.5 | 63.2 |
| 2002 | 217.474.700 | 140.964.600 | 177.5 | 185.8 |
| 2003 | 229.644.200 | 153.497.900 | 105.6 | 108.9 |
| 2004 | 305.550.800 | 226.723.400 | 133.1 | 147.7 |
| 2005 | 400.357.000 | 244.423.200 | 131.0 | 107.8 |
| 2006 | 628.060.400 | 434.667.500 | 156.9 | 177.8 |
| 2007 | 845.377.300 | 582.314.100 | 134.6 | 134.0 |
| 2008 | 1.257.643.100 | 1.000.911.200 | 148.8 | 171.9 |
| 2009 (პირველი ნახევარი) | 312.172.000 | 246.446.200 | 24.8 | 24.6 |

მოცულობამ შეადგინა 246,4 მილ. აშშ დოლ. რაც 30.1% ნაკლების გასული წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან[151].

1991 წლიდან დინამიურად იზრდებოდა უცხოური კაპიტალის მონაწილეობით რეგისტრირებული საწარმოების რიცხვი. 1991-2007 წლეებში ასეთი 3698 საწარმო დაფუძნდა[152], ხოლო 2009 წლის 1 იანვრის მდგომარებით მათი რიცხვი 4034 შეადგენს. მათი საქმიანობის ძირითად სფეროებს

[150] წყარო: ავტორის მივლინების მასლები, სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს მონაცმები.
[151] წყარო: სომხეთის სტატისტიკის დეპარტამნტი, http://www.armstat.am/ru/
[152] სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს მონაცემები, www.mineconomy.am

წარმოადგენს მშენებლობა, ენერგეტიკა, სამთო და ქიმიური მრეწველობა, სოფლის მეურნეობის (კვების პროდუქტები, ალკოჰოლი, თამბაქოს წარმოება, საივულერიო წარმოება, მინერალური წყლების წარმოება, ვაჭრობა (ტექსტილი, საყოფაცხოვრებო ტექნიკა, ელექტრონიკა, ნავთობი, ფარმაცევტული პრეპარატები, ავტომობილები და ა.შ), მომსახურების სფერო (ტურისტული სააგენტოები, დასვენებისა და გართობის ცენტრები, სასტუმრო და რესტორნების მომსახურება, სატვირთვო გადაზიდვები, სააჰაერო გადაყვანები, სასწავლო ცენტრები, კვლევითი ცენტრები, სარეკლამო საქმიანობა და ა.შ.)[153].

1991 წლიდან 1997 წლის ჩათვლით ბევრი ერთობლივი კომპანია, რომლებიც სრულად უცხოელი ინვესტორების საკუთრებაში იყვნენ, საქმიანობდნენ მხოლოდ ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში, მაგრამ 1998 წლიდან შეინიშნება ინვესტიციების განხორცილების ტენდენცია ადგილობრივი წარმოების და მომსახურების სფეროში. აღნიშნული წლიდან მოხდა არსებითი სტრუქტურული ცვლილება უცხოური ინვესტიციების განხორციელების მოცულობაში. რაშიც დიდი როლი შეასრულა პრივატიზაციის აქტიურმა პროცესმა. უცხოელმა ინვესტორებმაც პრივატიზაციის შედეგად მიიღეს შესაძლებლობა ჩაედოთ მნიშვნელოვანი წილი ადგილობრივი წარმოების განვითარებაში. ძირითადა სომხეთში ყველა წამყვანი ქვეყნის კომპანია საქმიანობს (ცხრილი 44).

---

[153] წყარო: ავტორის მივლინების მასლები, სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს მონაცმები.

# წამყვანი უცხოელი ინვესტორები სომხეთში 2000-2007 წლის მონაცემებით[154]

*ცხრილი 44*

| ქვეყანა | კომპანიები | სექტორი | წელი |
|---|---|---|---|
| არგენტინა | **Zvartnots -Armenia International Airports, CJSC** | **Airways** | **2001** |
| ავსტრალია | **Agrinco International Company** | **Agriculture** | **2005** |
| ავსტრია | **Vienna** | **Diversified business** | **2005** |
| ბელგია | **Jermuk** | **None-alcohol beverages production, mineral water** | **2003** |
| კანადა | **Grand Candy JV** | **Sweets production** | **2000** |
| კანადა | **"Deno Gold Mining Company", CJSC** | **Mining** | **2004** |
| კანადა | **"Europro Communications" Translation Agency, LLC** | **Web Design, Copywriting, Translation** | **2005** |
| კვიპროსი | **Intracom Armenia** | **Sale and maintenance of "Skoda" automobiles** | **2005** |
| ჩეხეთი | **Valti Motors** | **Hotel and leisure services on the shore of the Lake** | **2005** |
| ჩეხეთი | **Bohemian Resort** | **Switzerland** | **2006** |
| საფრანგეთი | **Sweet Land JV** | **Manufacturing. Sweets, Caramel, Confectionary** | **2003** |
| საფრანგეთი | **Gab-Hemag** | **Carpets** | **2003** |
| საფრანგეთი | **Avangad Motors** | **Import, maintanence service of cars, diagnosis** | **2003** |
| საფრანგეთი | **Yerevan Water** | **Water Supply** | **2005** |
| ირლანდია | **Synopsis Armenia** | **EDA and intellectual property development** | **2004** |
| ისარელი | **Shoghakn** | **Jewelry production** | **2001** |
| ისრაელი | **Twilight Zone Work Shop** | **Silver and Obsidian articles production** | **2004** |
| იტალია | **Itar** | **Textile Production** | **2001** |
| იტალია | **"Renco Armestate" LLC** | **Engineering construction services** | **2001** |
| იტალია | **"Glass World Company" Glass container manufacturing enterprise, CJSC** | **Glass containers manufacturing, full color label printing on glassware** | **2003** |
| გერმანია | **"Heifer Project International", Branch office in Armenia** | **Social and economic development of rural communities** | **2001** |
| გერმანია | **"Heidelberger Druckmaschinen Osteuropa Vertriebs GMBH", Representation in Armenia** | **Printing equipment** | **2004** |
| გერმანია | **Wilo company, UPVC** | **Pipes Installation** | **2005** |
| გერმანია | **German Invest Group** | **Legislative activity** | **2005** |
| გერმანია | **"Procredit Bank", CJSC** | **Banking** | **2007** |
| საბერძნეთი | **"MASIS TOBACCO", LLC** | **Manufacturing, sale and export of tobacco products** | **2000** |
| საბერძნეთი | **Intracom Armenia** | **Telecommunication and IT solutions provider** | **2005** |
| ლატვია | **"NORVIK" Universal Credit Organization, CJSC** | **Providing various types of loans** | **2006** |
| ლიბანი | **Vivacell** | **Telecommunication, Mobile communication operator** | **2004** |
| ნიდერლანდები | **"Sun Energy", Co.Ltd** | **Manufacturing of solar water heating systems; Installation Services** | **2001** |
| ნორვეგია | **"NORVIK" Universal Credit Organization, CJSC** | **Providing various types of loans** | **2006** |
| ნორვეგია | **Armenian Datacom Company** | **Telecommunications** | **2006** |
| ნორვეგია | **Lusakert Biogas Plant** | **Methane Capture and Combustion From Poultry Manure Treatment** | **2006** |
| რუსეთი | **HayRusGasard** | **Gas Distribution** | **2000** |
| რუსეთი | **Grand Candy** | **Candy production** | **2000** |
| რუსეთი | **Hagenas** | **Pharmaceuticals** | **2000** |
| რუსეთი | **Armenian Railway Roads** | **Railways** | **2000** |
| რუსეთი | **Promt** | **Crinkled paper production** | **2001** |
| რუსეთი | **Electric Network of Armenia** | **Power supply** | **2002** |

[154] წყარო: სომხეთის განვითარების სააგენტო, http://www.ada.am/html/foreign_investors.html

| | | | |
|---|---|---|---|
| რუსეთი | "Bishin", LLC | Construction, real estate on the built-up lands or under construction | 2002 |
| რუსეთი | Tashir Invest Group | Business development | 2002 |
| რუსეთი | Kaghtsrashen Wine Factory, Armenian-Russian JV | Wine, cognac and grape alcohol manufacturing | 2003 |
| რუსეთი | Valetta | Diversified business | 2003 |
| რუსეთი | "Hrazdan Power Company (Hraztes)", OJSC | Electricity and thermal energy production | 2004 |
| რუსეთი | Moscow House | Hotel services, business center | 2006 |
| რუსეთი | "Euroset" | Telecommunication facilities chain store | 2006 |
| რუსეთი | Troyka | Banking | 2006 |
| რუსეთი | "Rostiks KFC" Fast Food Restaurant | Chicken fast food restaurant | 2007 |
| სინგაპური | Ararat Gold Recovery Plant | Mining activity | 2002 |
| ესპანეთი | Valencia, JV | Sport Activity | 2000 |
| ესპანეთი | Azati HEC | Power supply | 2006 |
| შვეიცარია | Caritas, JV | Production of wood products | 2000 |
| შვეიცარია | "Franck Muller Yerevan Watch Distribution" CJSC | Jewelry and watch trade | 2002 |
| შვეიცარია | Azad Fine Chemicals LLC | Pharmaceutical & chemical products | 2004 |
| დიდი ბრიტანეთი | Bulvinos Chemicals | Production of soap, detergents, perfume, etc. | 2000 |
| დიდი ბრიტანეთი | "British American Tobacco (UK & Export)" LTD., Armenia Representative Office | Representations of Foreign Commercial Organizations | 2000 |
| დიდი ბრიტანეთი | "London-Yerevan Co" Insurance | Insurance, Reinsurance | 2000 |
| დიდი ბრიტანეთი | Nevada | Entertainment | 2001 |
| დიდი ბრიტანეთი | "Azad Fine Chemicals" LLC | Marketing of chemical-pharmaceutical products | 2004 |
| დიდი ბრიტანეთი | "British Armenian Educational Services and Tourism" ("BAEST"), Yerevan Branch | Training and refresher courses abroad, tourism | 2005 |
| დიდი ბრიტანეთი | "Benjamin Moore" Painting materials shop | Full range of paint and vanish products | 2006 |
| დიდი ბრიტანეთი | "GT-AR GROUP" CJSC | Lubricating oils, lubricants, automotive oils and chemicals. Car service | 2006 |
| აშშ | NOKI Armenian-American German JV | Production of Pharmaceutical Components | 2000 |
| შ | Hovnanyan International | Construction, Sale and renting of private residences in Vahakni residential community | 2000 |
| აშშ | Netsys JV | Internet Service provider | 2000 |
| აშშ | Solaren | Solar and Wind Energy, Biogas | 2000 |
| აშშ | Multi Rest House | Hotel complex | 2000 |
| აშშ | Arevka | Flower trade | 2000 |
| აშშ | Tufenkian Hospitality | Tourism in Armenia. Hotel services | 2001 |
| აშშ | Art Bridge | Specialized Shops | 2001 |
| აშშ | "NAIRI" Medical Services, CJSC | Outpatient and inpatient care | 2002 |
| აშშ | Credence Systems Armenia | Database Development | 2002 |
| აშშ | "AAFPC" Armenian-American JV, Co.Ltd | "Melo Grano" Pasta Production | 2003 |
| აშშ | Two Lips | Shoes production | 2004 |
| აშშ | "Washington Capital" Universal Lending Organization, CJSC | Mortgage, landing, financial advice | 2005 |
| აშშ | "Nairit Plant", CJSC | Manufacturing of polychloroprene, carbinol syrup, caustic soda, liquid chlorine, monocarboxylic acids | 2005 |
| აშშ | "World Medicine" Pharmaceutical company, Armenian Representation | Providing information on medicines in Armenia and Nagorno Karabagh | 2006 |
| აშშ | "Citadel" Business Center of Branch of "Leda Campus" LLC in Armenia | Business center. Office premises for rent | 2006 |
| აშშ | "MICROSOFT RA", Representative office in Armenia | Representative office of "Microsoft" company | 2006 |
| აშშ | Lionheart Company | Financial and Legal Consulting | 2006 |
| აშშ | "Cascade Credit" Universal Credit Organization, CJSC | Financial Services | 2006 |
| აშშ | "Melinet" IT Solution Provider, LLC | Information technology solution provider | 2007 |
| ვირჯინიის კუნ-ძულები | Inorient | Obligatory social insurance | 2004 |
| ვირჯინიის კუნ-ძულები | Karart | Natural Stone processing and querrying | 2004 |

UNCTAD-ის 2005 წლის ყოველწლიურ მსოფლიო საინვესტიციო ანგარიშში მითითებულია, რომ ქვეყანაში მოქმედებს უცხოური ტნკ-ის 347 განყოფილება[155]

2009 წლის მდგომარეობით სომხეთის ძირითადი პარტნიორო ქვეყნებია რუსეთი, გერმანია, უკრაინა და აშშ.[156]

უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ინვესტიციების მოცულობა სომხეთში 2004 წლიდან განსაკუთრებით იზრდება. ისინი ძირითადად მიმართულია ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორებში: მრეწველობაში (ფერადი მეტალურგია, ქიმიური წარმოება, საკონდიდტრო წარმოება), საბანკო სექტორში, ენერგეტიკაში, გაზის და ნავთობის მიმართულებით. 2004 წელს 305,6 მილ. აშშ დოლ. ინვესტიცია განახორციელეს რუსულმა კომპანიებმა, ხოლო 2008 წელს მისმა მოცულობამ 800 მილ. დოლრზე მეტი შეადგინა. 2009 წლის მონაცემბით კი ერთ მილდ, დოლარს გადააჭარბა (დაახ. 1,5 მილიარდ). ასევე აღსანიშნავია, რომ სომხეთში რეგისტრირებულ საწარმოთა დიდი ნაწილი რუსული კომპანიების მონაწილეობით არის შექმნილი. მაგ. 2005 წელს 589 ასეთი კომპანია იყო რგისტრირებული[157]. 2009 წელს კი მათი რიცხვი 1000 გაიზარდა. მათ შორის საკუთრივ წმნიდა რუსული კომპანიებიცაა. ზემოთ მოყვანილი ცხრილიდანაც კარგად ჩანს, რომ რუსეთი ამ მხრივ ინარჩუნებსა ლიდერობას. რუსეთის ასეთი გააქტიურება პოლიტიკური ინტერესებითაც შეიძლება იყოს გამოწვეული, მით უფრო რომ რუსული სახელმწიფო ტრანსნაციონალური კომპანიების წილი სომხურ ეკონომიკაში აშკარად შესამჩნევია, რაც ამ ქვეყნის ეკონო-

[155] World investment report, Transnational Corporations and the Internationalization of R&D, United Nations
New York and Geneva, 2005, p. 265

[156] წყარო: ავტორის მივლინების მასლები, სომხეთის ეკონომიკის სამინისტროს მონაცმები.

[157] იქვე.

მიკას რუსეთზე დამოკიდებულს ხდის. ეს კი ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობაზე ადექვატურ ასახვას პოულობს.

ასეთ საწარმოებს შორის ბევრად ეფექტურად მუშაობს წარმოება «Арменал»,, რომელიც 2000 წელს კანაკერსკის ალიუმინის ქარხნის ბაზაზე შექიმნა. საქციო პაკეტის 100% წილი რუსულ სახელმწიფო ტრანსნაციონალურ კომპანიას «РусАл-ს» ეკუთვნის.

სომხური კომპანია «Армавиа-ს», აქციათა 70% პროცენტი ეკუთვნის რუსულ ავიაკომპანიას «Сибирь-ს».

რუსულმა კომპანიამ ,,როსავიასპეცკომპლექტმა", რომელიც შედის კონცერნ ,,რასკოს" შემადგენლობაში 2003 წელს შეიძინა ქარხანა ,,ორბიტის 100% აქციის", რომელიც უშვებს ღამის ხედვის და სხვა სახის სპეც ტექნიკას.

2004 წელს სომხური ,,არმსბერბანკის" აქციათა 70% შეიძინა რუსულმა ,,ვნეშტორგბანკმა". აღნიშნულმა ბანკებმა დაგეგმეს რიგი საფინასო პროექტები გაზის და სომხეთის მრეწველობის ხვა დარგებში თანამშრომლობის მიმართულებით[158].

2008 წელს რუსული კომპანია ,,რუსეთის რკინიგზა (ОАО РЖД)",,სომხეთის რკინიგზა" (ЗАО "Южно-Кавказская железная дорога") კომპანიის მეპატრონე გახდა. აღნიშნული კომპანია სომხეთის სარკინიგზო ქსელის განვითარებისათვის დახ. ნახევარი მილდ. აშშ დოლ.) ინვესტიციების განხორციელბას გემვას[159].

სომხეთში მნიშვნელოვანი პოზიციები უკავიათ ისეთ რუსულ გიგანტურ სახელმწიფო კომპანიებს, როგორიცაა ,,გაზპრომი", ,,ინტერ რაო იესი", ,,როსენერგოატომი". სომხეთში ამ კომპანიების საქმიანობას განიხილავენ შესაძლებ-

---

[158] იქვე.

[159] http://www.rg.ru/2009/06/23/investicii.html

ლობად, რომ იგი რეგიონში მნიშვნელოვანი ენერგეტიკული მოთამაშე გახდება.

1997 წელს დაარსდა ,,არმენროსგაზპრომი", სომხურ-რუსული კომპანია, რომელიც გახდა მონოპოლისტური კომპანია ქვეყანაში და განაგებდა გაზის განაწილების, გაზის ინფრასტრუქტურის გაფართოების, რეკონსტრუქციის და ექსპლუატაციის, ასევე კომპლექსური ენერგეტიკული საინვესტიციო პროექტების მფლობელი და განმახორციელებელი.

2002 წლიდან კომპანიამ სომხეთის გაზიფიკაციის პროექტების განხორციელება დაიწო. დღეისათვის კომპანიას სომხეთში აქვს ყველაზე დიდი საინვესტიციო პროექტების პორტფელი. 1998-2007 წლების განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებულმა ინვესტიციებმა 110,0 მილ. აშშ დოლ. შეადგინა. ხოლო 2008-2010 წლის განმავლობაში ,,არმროსგაზპრომი" სომხეთის ენერგეტიკაში 700 მილ აშშ დოლ. ინვესტირებას აპირებს. ამ კომპანიის სტრატეგიული მიზანია რეგინიონალური მნიშვნელობის ენერგეტიკული მოთამაშე გახდეს, რაც უზრუნველყოფს მის მონაწილეობას როგორც აგილობრივ, ისე საერთაშორისო პროექტებში160. რუსული სახელმწიფო ომპანიის ,,ИНТЕР РАО ЕЭС" კონტროლშია მოქცეული სომხეთის ენერგეტიკული სექტორიც. მათ შორის სომხეთის ატომური ელექტრო სადგური. დღეისათვის რუსეთის მიერ განხორციელბული ინვესტიციების რაოდენობა სომხეთში ერთი მილდ. 500 მილ. აშშ დოლ.[161].

2007 წელს რუსული კომპანია **MTC** გახდა ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიის K-Telecom აქციათა 80% მფლობელი. სამომავლოდ მას უფლება ჰქონდა დარჩენილი

---

[160] К. Карапетян, Проблемы развития энергетической отрасли республика Артения, Жур. ,, Проблемы современной экономики, №2(30)

[161] http://www.armtoday.info/default.asp?Lang=_Ru&NewsID=8179&SectionID=0&RegionID=0&Date=10/30/2009&PagePosition=123

20% შეეძინა. ხოლო რუსული საინვესტიციო კომპანიის «Тройка Диалог»-ის შვილობილმა კომპნიამ TDA Holdings Limited შეიძინა «Армимпэксбанка» აქციათა 96.15%. დაგეგმილია «Армимпэксбанка» ბაზაზე «Тройка Диалог» და კომპანია «Америя» მიერ საინვესტიცო ბანკის შექმნა. 2007 წელს «Газпромбанк» განაცხადა ЗАО «Арэксимбанк» აქციათა 80,09% შეძენის თაობაზე.

2007 წელს რუსეთის საფინანსო-სამრეწველო ჯგუფის «Промышленные инвесторы» შვილობილმა კომპანია ,,მადნეულმა", რომელიც საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი მომპოვებელი კომპანიაა სომხეთში არარტის ოქროსმომპოვებელი კომბინატის (AGRC) მესაკუთრე გახდა[162]. რუსულმა კომპანია "Ситроникс-მა" სომხეთში შვილობილი კომპანია "Ситроникс-АМ" დააფუძნა. ეს კომპანია საინფორმაციო ტექნოლოგიებზეა ორიენტირებული.

რუსულმა "PATM Холдингу"-მა შეიძინა სომხური ცემენტის მწარმოებელი ქარხანა "Мика Цемент"-ი.

სომხეთის ფიჭური კავშირგაბმულობის ბაზარზე ამჟამად სამი ოპერატორი ფუნქციონირებს - რუსული კომპანიის OAO "ВымпелКом" შვილობილი კმპანია "АрменТел" (100% კუთვნილებით), VivaCell-MTS (საკონტორლო პაკეტი ეკუთვნიოს რუსულ კომპანია OAO "MTC") და ფრანგული კომპანიის France Telecom-ის განყოფილება ,, France Telecom Armenia" (იგივე Orange Armenia ).

ფრანგული კონცერნი Castel Beer ფლობს სომხური პივის ქარხნის "Котайк" აქციათა 100%.

ამერიკული კომპანია Global Gold Corporation (GGC) მიზნად ისახვს გააფრთოვოს საკუთარი საქმიანობა სომხეთში და აწარმოოს ურანის გადამუავება და ექსპორტი. ამ

---

162 http://www.noravank.am/ru/?page=analitics&nid=1038

კომპანიამ შეიძინა საკმაოდ დიდი ტერიტორია სომხეთის ჩრდილოეთში გეგარქუნის ოლქში, რომელიც გეოლოგების აზრით მდიდარია ურანისა და ოქროს მარაგით. კომპანიამ შეიძინა სომხეთში რეგისტრირებული კომპანია Athelea Investments, რომელიც ეკუთვნოდათ ამერიკის და ავსტრალის მოქალაქეებს და ჰქონდათ ექსკლუზიური უფლება გეოსაძიებო სამუშაოებზე. 2005 წელს Global Gold ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სომხეთის მეტალურგიული კომპანიის Mego-Gold აქციების 100% შეძენაზე. კომპანია Mego-Gold შეიქმნა 90-იან წლებში.

დაახლოებით 70-მდე ამერიკული კომპანიაა დაკავებული დღეისათვის სომხეთში ბიზნეს საქმიანობით. მათ შორის Dell, Microsoft და IBM. მსხვილმა ამერიკულმა საინვესტიციო პროექტებმა მოიცვა sastumroebi Армения / Marriott, Ani Plaza; Tufenkian Holdings (ავეჯის და ხალიჩების წარმოება, სასტუმროები, მშენებლობა); ზოგიერათი ამერიკული ფირმა ბაზირებულია საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით: LEDA Systems, Viasphere Technopark, IT incubator; Synopsys ა.შ.

გერმანული კომპანია «Lycos», საქმიანობს საინფომაციო ტექნოლოგიების ბაზარზე. ხოლო გერმანულმა კომპანიამ ,,CDONIMET GRUPPE" ინვესტიციები განახორციელა სამთომომპოვებელ მრეწველობაში.

იტალიური Gierret კომპანია გეგმავას სომხეთში ააშენოს ქარის ელექტროსადგური, რისთვისაც 130 მილ. აშშ დოლ. გამოყოფს.

ასევე ძირითადი უცხოელი ინვესტორები არიან: მშენებლობაში - NUNTSMAN, RENCO; ტელეკომუნიკაცია - MTC, Vimpelcom; auditi, მომსახურება - Grant Thoronot Amyot; ტრანსპორტი - АЭРОФЛОТ, Gzech AIRLINES, Lufthanasa, Austrian, Air France, Airarabia; სასტუმრო - Marriott, Golden

Tulip; ბანკები - Procredit banc, VTB, CA, HSBC, კვება - ,,Coca cola, Pernod Ricard, Castel beer. მინერალები და მეტალურგია - Chronimel, Germany, RUSAL; საინფორმაციო ტექნოლოგიებია - Microsoft, LYCos, VIRAGE[163].

ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით სომხეთში 18 მსხვილი უცხოური კომპანიაა წარმოდგენილი (ცხრილი 45).[164]

**სომხეთში მოქმედი უცხოური კომპანიები ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრის მონაცემებით**

*ცხრილი 45*

| დედა ქვეყანა | დედა კომპანია | ფილიალი | საქმიანობის ხაზი | გაყიდვები | დასაქმება | შემოსვლის წელი |
|---|---|---|---|---|---|---|
| აშშ | Synopsys, Inc. | SYNOPSYS ARMENIA CLOSED JOINT STOCK COMPANY | Engineering services | | | |
| აშშ | International Bank For Reconstruction & Development, (inc) | WORLD BANK, OFFICE ARMENIA | Functions related to deposit banking | | | |
| აშშ | Ranet Center, Inc. | FINTRUST INSURANCE OPEN JOINT STOCK COMPANY | Insurance agents, brokers, and service | | 4 | 1996 |
| რუსეთი | Yugas Diamond OOO | Yugas Diamond LLC Filial | Jewelers' materials and lapidary work | | | |
| რუსეთი | Komstar-Obyedinennye Telesistemy OAO | CORNET-AM PRIVATE JOINT STOCK COMPANY | Radiotelephone communication | | 28 | 2000 |
| რუსეთი | Aktsionerny Bank Gazovoi Promyshlennosti ZAO | Areximbank ZAO | National commercial banks | 19.9 | | 1998 |
| რუსეთი | GAZPROM OAO | Armrosgazprom ZAO | Oil and gas field services, nec | | 6,000 | 1997 |
| რუსეთი | GAZPROM OAO | Armrosgazprom ZAO | Oil and gas field services, nec | | 5,000 | 1997 |
| რუსეთი | Ameria Russ ZAO | AMERIA TRADE PRIVATE LIMITED COMPANY | Groceries, general line | 15.0 | 15 | 1996 |
| რუსეთი | VTB Bank OAO | ARMSAVINGSBANK PRIVATE JOINT STOCK COMPANY | Commercial banks, nec | | 200 | 1923 |
| პანამა | Telecom Adviser Service Company Inc | Telecom Adviser Service Company Inc. | Telephone communication, except radio | | 20 | 2001 |
| ნიდერ. | ING Groep N.V. | ZANGEZURSK COPPER MOLYBDEN COMBINE PRIVATE JOINT STOCK COMPANY | Primary copper | | 250 | 1951 |
| ნიდერ. | HSBC Europe B.V. | HSBC BANK ARMENIA PRIVATE JOINT STOCK COMPANY | National commercial banks | | 120 | 1995 |
| დიდი ბრიტან. | CEVA INVESTMENTS LIMITED | EGL C/O UNITRANS LTD | Freight transportation arrangement | | | |
| საფრან. | PERNOD RICARD | Erevanski Koniyachny Zavod ZAO | Wines, brandy, and brandy spirits | | | 1887 |
| გერმ. | Deutsche Post AG | DHL WORLDWIDE | Transportation | | | 1994 |

---

[163] წყარო: სომხეთის განვითარების სააგენტო, http://www.ada.am/html/investment_incentives.html

[164] წყარო: ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრი, http://www.investmentmap.org/invmap/competitorCountry.aspx?prg=1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | EXPRESS | services, nec | | | |
| გერმა-ნია | Siemens AG | Representative Office Siemens AG | Switchgear and switchboard apparatus | | | |
| გერმა-ნია | Zeppelin-Stiftung | ZEPPELIN ARMENIA LLC | Industrial machinery and equipment | | | |

რუსული კომპანიების გავლენა სომხეთის ეკონომიკაში თვალშისაცემია. ქვეყნის სტარტეგიულ დარგებს რუსეთის სახელმწიფოს ტრანსნაციონალური კორპორაციები აკონტროლებენ, რაც ბუნებრივია ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიანტაციაზეც ახდენს გავლენას.

ამირგად, მსოფლიოს წამყავნი ტნკ-ების ფილილების და წარმომადგენლობების საქმიანობა, ასევე მათ მიერ განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისათვის დადებითი ტენდენციების მატარებელია.

რეგიონის ქვეყნებში მოწინავე ტნკ-ების მოზიდვა, შეიძლება ითქვას, მათ ერთგვარად კონკურენციის მდგომარეობაში აყენებს. შესაბამისად მათ სჭირდებათ კარგად შემუშავებული სტრატეგია და საინვეტიციო პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველობის შენარჩუნებას. ამავე დროს, რეგიონის ქვეყნებმა აქცენტი უნდა გააკეთონ ისეთ საინვესტიციო პოლიტიკის გატარებაზე, რომელშიც კარგად იქნება გათვალისწინებული ეკონომიკის დარგთა პრიორიტეტული განვითრების მიმართულებები, რომ მოხდეს ეკონომიკის დივერსიფიკაცია და ყველა დარგის განვითრებისათვის ხელშეწყობა; ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორია სამივე ქვეყნების საინვესტიციო ინტერესების თანხვედრა პრიორიტეტულ სფეროებში.

# თავი V

# ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები და პერსპექტივები ამიერკავკასიის ქვეყნებში

## *5.1. ტრანსნაცინალური კომპანიების საერთაშორისო სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები*

უცხოური ინვესტიციების ეკონომიკის რეალურ სექტორში მოზიდვა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა პოსტსაბჭოთა პერიოდის ამიერკავკასის ქვეყნებისათვის. რეგიონის სახელმწიფოებში ამ საკითხის გადაწყვეტა პირდაპირ დაკავშირებულია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს არსებობასთან. ამ უკანასკნელში ჩვეულებრივ იგულისხმება ის გარემოება, რომ სახელმწიფო, რომელიც ღებულობს უცხოურ ინვესტიციებს (ქვეყნა-რეციპიენტი) გამოირჩევა პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობით, აქვს მკაფიო, გამჭვირვალე კანონმდებლობა და განსაზღვრული გარანტიები, რომელებიც უზრუნველყოფენ უცხოელი ინვესტორების ინტერესების და უფლებების დაცვას. საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ე.წ. არაკომერციული რისკების პრობლემის აღმოფხვრას ან კიდევ უნდობლობის დაძლევას.

კაპიტალდაბანდების სფეროში სამართლებრივი რეგულირება ხორციელდება საერთშორისო-სამართლებრივი და ქვეყნის შიდა სამართლებრივი ნორმების გზით. მნიშვნელოვანია შიდა საკანონმდებლო სამართლებრივი ნორმების სრულყოფილება და საერთშორისო რეგულირების როლის გაძლიერება საინვესტიცო პროცესების განვითრებისათვის.

საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან სამეურნეო ცხოვ-

რების ინტერნაცინალიზაციის პირობებში გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკაში ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატის შექმნისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების დაცვის პრობლემა. საქმე ეხება ორმხრივ და მრავალმხრივ შეთანხმებებს, რომლებში მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ გაითვალისწინონ მათში მოცემული პრინციპები და მოვალეობები უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირებისათვის. ასეთ ხელშეკრულებებს მიეკუთვნება ის შეთანხმებები, რომელიც დაიდო ვაჭრობისა და ტარიფების შესახებ გენერალური შეთანხმების ფარგლებში მიმდინარე მოლაპარაკებების ურუგვაის რაუნდის დროს 1995 წელს. ეს უკანასკნელი დასრულდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (მსო) შექმნით.

აღნიშნული შეთანხმებებია — ვაჭრობასთან დაკავშირებული საინვესტიციო ღონისძიებების შესახებ შეთანხმება, სავაჭრო მომსახურების შესახებ გენერალური შეთანხმება და შეთანხმება ინტელექტუალურ საკურებაზე უფლების სავაჭრო ასპექტების შესახებ. ისინი შეიცავენ გარკვეულ ვალდებულებებს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოებისათვის ინვესტიციებს რეგულირების, კაპიტალის დაბანდების, მომსახურების გაწევის, ახალი ტექნოლოგიების, მომსახურებისა და საქონლის ინდივიდუალიზაციის საშუალებების კუთხით. ინტელექტუალურ საკუთრებაზე უფლების სავაჭრო ასპექტების შესახებ შეთანხმებით მსო წევრმა სახელმწიფოებმა ვალდებულება აიღეს აღმოფხვრან დაბრკოლებები ინვესტიციების განხორცილების გზაზე. კერძოდ, სამამულო წარმოების კონკრეტული საქონლის განსაზღვრული მოცულობით გამოყენების და შესყიდვის მოთხოვნის არდაშვების აღიარებით (მუხ. 2). თუმცა, ეს შეთანხმება არ გამორიცხავს სახელმწიფოს მიერ შემზღუდავი ხასიათის ღონისძიებების გამოყენებას უცხოურ ინვესტიციებ-

თან მიმართებით (ეროვნული უსაფრთხოების და ა.შ. კუთხით).

ასევე, მსგავსი მოთხოვნების რიგ დებულებებს შეიცავს 1994 წელს მიღებული ენერგეტიკული ქარტია, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და პოსტსაბჭოთა სივრცის ცალკეულ ქვეყნებს შორის.

ენერგეტიკული ქარტიის შეთანხმებაში, რომლის წევრიც არის ამიერკავკასიის ქვეყნები, პირდაპირ მითითებულია, რომ ხელმომწერი მხარე წაახალისებს და შექმნის სტაბილურ, თანასწორუფლებიან, ხელსაყრელ და საჯარო პირობებს ინვესტორებისათვის მის ტერიტორიაზე კაპიტალდაბანდების განხორციელბისათვის.

უცხოური ინვესტიციების გარანტიების შესახებ პრინციპები ასევე მოცემულია ისეთ საერთაშორისო-სამართლებრივ დოკუმენტებში, როგორიცაა გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუცია, რომელიც იცავს სახელმწიფოს უფლებას ნაციონალიზაციაზე და ითავლისწინებს მისი ქცევის პირობებს.

ინვესტიციების დაცვის შესახებ რიგი დოკუმენტები მიღებულ იქნა იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, რომელთა საქმიანობაც ინვესტიციების განხორციელებასთან არის დაკავშირებული. ეს არის 1992 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მიერ მიღებული კაპიტალის მოძრაობის და მიმდინარე უხილავი ოპერაციების ლიბერალიზაციის კოდექსები და 1992 წელს რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკის მიერ მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების სახელმძღვანელო. ამ უკანასკნელში გათვალისწინებულია, რომ თითეული სახელმწიფო იტოვებს უცხოური ინვესტიციების დაშვების უფლების რეგულირებას ეროვნულ ეკონომიკაში, რომ მას შეუძლია დაუშვას უცხოური კერძო

ინვესტიციები წინასწარ გათვალისწინებულ ეკონომიკის დარგებში. თვლიან, რომ უცხოური ინვესტიციების რეგულირების ასეთი ხერხი ბევრად ეფექტურია უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების პრობლემის გადაწყვეტისათვის. ამ რეკომენდაციის შესრულებისათვის უბრალოდ საკმარისია დარგების  იმ ჩამონათვალის გაკეთება,  სადაც შეიძლება ან არ შეიძლება ინვესტირება.

უცხოური ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების საერთო კონცეფცია ითვალისწინებს შემდეგს: ,,არსებული სახელმძღვანელო გამომდინარეობს იმ ძირითადი დებულებიდან, რომ ინვესტორების თანაბარი რეჟიმი, რომელიც მოქმედებს ქვეყანაში ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის თანაბარი უფლებებით და მათ შორის თავისუფალი კონკურენცია არის მთავარი პირობა ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის”. ამ კონცეფციის მნიშვნელოვანი ნაწილია ის სამართლებრივი გარემო, რომელიც განისაზღვრება როგორც სამართლიანი და თანასწორუფლებიანი რეჟიმი და რომელიც დაფუძნებულია რეგულირების იმ სტანდარტებზე, რომელიც მოცემულია აღნიშნულ სახელმძღვანელოში.

უცხოური ინვესტიციების შესახებ ეროვნულ კანონდებლობებში, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებში გამოყენებულია სხვადასხვა მიდგომები უცხოური ინვესტიციების ცნების განსაზღვრებისათვის. ერთ ვარიანტში საუბარია ე.წ. ნაციონალურ რეჟიმზე, რომლის უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორს აძლევს თანაბარ ხელსაყრელ რეჟიმს. მეორე ვარიანტში ქვეყანა ადგილობრივ მეწარმეს უფრო პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე უცხოელ ინვესტორს.

მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ სომხეთის რესპუბლიკის კანონი ,,უცხოური ინვესტიციების შესახებ”, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამართლებრივი რეჟიმი არ შეიძლება

იყოს ნაკლებ ხელსაყრელი უცხოელი ინვესტორებისათვის, იმასთან შედარებით რაც აქვთ სომხეთის მოქალაქეებს საწარმოებს, დაწესებულებებს და ორგანიზაციებს ქონების, ქონების უფლების და საინვესტიციო საქმიანობისათვის. მსგავსი პრინციპები გათვალისწინებულია აზერბაიჯანის და საქართველოს საინვესტიციო კანონმდებლობაშიც.

ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს არსებით ელემენტად აღიარებული უნდა იქნას უცხოური ინვესტიციების დაშვების სისტემის გამარტივება. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რეგულირების ზემოთ აღნიშნულ კონცეფციაში სამართლიანადაა აღნიშნული, რომ მიმღებმა ქვეყნამ თავი უნდა აარიდოს კანონში ინვესტიციების რეგულირებისა და მიღების პიროებების გაუმართლებელად რთული პროცედურის შექმნას.

ამჟამად საერთაშორისო ხელშეკრულებები შეიცავს ბევრად ფართო რეგულირების მექანიზმებს შესაბამისი ურთიერთოებებისათვის, ხოლო მთავარი ისაა, რომ მსაგავს ხელშეკრულებებში ჩამოყალიბებულია პრინციპული დებულებები, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო გარემოს. ხოლო რიგი საერთაშორისო ხელშეკრულებები ითავლისწინებს კონკრეტულ ვალდებულებებს წევრი სახელმწიფოების მხრიდან ინვესტიციების დაცვის კუთხით. მათ რიცხვს მიეკუთვნება 1965 წლის სეულის კონვენცია საინვესტიციო გარანტიების თაობაზე მრვალმხრივი სააგენტოს შექმნის შესახებ. იგი ითვალისწიენებს ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის საერთაშორისო სისტემის შექმნას. ამ კონვენციის მონაწილეები არიან სომხეთი და საქართველო.

ასევე, განსაკუთრებული მიშვნელობა აქვს ამიერკავკასიის ქვეყნების მონაწილეობას ნიუ-იორკის 1958 წლის და ვაშინგტონის 1965 წლის კონვენციებში საინვესტიციო დავების რეგულირების საერთაშორისო ცენტრის შექმნის მიზნით. ვაშინგტონის კონვეცია მოქმედებს 131 ქვეყნისათვის.

აღსანიშნავია, რომ დსთ-ის ფარგლებშიც მოქმედებს წევრი სახლმწიფოებისათვის უცხოური ინვესტიციების დაცვის და რეგულირების შესახებ საერთაშორისო შეთანხმებები.

გარდა მრავალმხრივი შეთანხმებებისა, რომელებიც მოწოდებულია ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნისათვის, ასევე მოქმედებს სახელმწიფოებს შორის ორმხვრი ხელშეკრულებების სისტემა, რომელიც კონკრეტულად ქმნის ხელისმომწერი სახელმწიფოების მოქალაქეებისათვის ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას. ამირეკავკასის ქვეყენებს უკვე აქვთ რამდენიმე ათეული მსგავსი ტიპის ხელშეკრულება გაფრომებული ბევრ ქვეყნასთან.

ამირეკავკასიის სახელმწიფოების, ისევე როგორც სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების კანონმდებლობა ინვესტიციების შესახებ შექმნის დღიდან განიცდიდა მრავალ ცვლილებას. ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის პირველივე წლებში მოქმედებდა მსაგავსი კანონები. საქართველოსა და აზერბაიჯანში იგი მიღეს ჯერ კიდევ 1991 წელს. შემდგომში საკანონმდებლო სისტემის სრულყოფის მიზნით თანდათანობით მიღებულ იქნა ახალი სამართლებრივი აქტები ინვესტიციების შესახებ. კერძოდ, თითქმის სამივე რესპუბლიკაში 1994 წელს ამოქმედდა კანონი ,,ინვესტიციების შესახებ”.

აღსანიშნავია, რომ აღნიშნულმა სახელმწიფოებმა როცა მიიღეს კანონი ინვესტიციების შესახებ, მათ ჯერ არ ჰქონდათ ახალი სამოქალაქო კანონმდებლობა, რომელიც განკუთვნილი იქნებოდა ეკონომიკური ურთიერთობების რეგულირებისათვის საბაზრო პირობებში. მათ ასევე არ ჰქონდათ შესაბამისი კანონი სააქციო საზოგადოების, საბაჟო და საგადასახდო რეჟიმების, სავალუტო რეგულირებისა და კონტროლისათვის. ამიტომაც საწარმოების მიმართ დამოკიდებულება, რომლებიც უცხოურ ინვესტიციებზე იყო დაფუძ-

ნებული განიხილებოდა უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონის შესაბამისი დებულებების მიხედვით.

უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონმდებლობის განვითარების მეორე ეტაპზე ამიეკავკასიის ქვეყნებში მდგომარეობა ეკონომიკის სამართლებრივი რეგულირების სფეროში არსებითად შეიცვალა. მიღებულ იქნა ახალი (ან არსებითი ცვლილება განიცადა) სამოქალაქო კოდექსი, კორპორატიული კანონმდებლობა (ახალი აქტები სააქციო საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის და ა.შ.), რასაც ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ახალი საბანკო, სავალუტო, ფასიანი ქაღალდების, საბაჟო და საგადასახდო კანონმდებლობის რეგულირებისათვის. საქართველოში მაგ., 1994 წლის კანონში ,,უცხოური ინვესტიციების შესახებ", შენარჩუნებული იქნა უცხოელი ინვესტორების უფლების და ვალდებულებების, ასევე უცხოური ინვესტიციების დაცვის გარანტიების შესახებ საერთო დებულებები.

ამიერკავკასიის ქვეყნებმა დამოუკიდებლობის აღდგენის მომენტიდან, საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, მოახერხეს საკანონმდებლო საფუძვლების შექმნა ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირებისათვის. იგი ასახავდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას, რომელიც მიესალმებოდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას რეგიონის ქვეყნებში.

ამრიგად, თანამედროევ პირობებში საერთაშორისო ხელშეკრულებების მნიშვნელობა, რომელიც არეგულირებს უცხოური ინვესტიციებს გაიზარდა, ხოლო ამ შეთანხმებების კონსტიტუციური დებულებების ნორმების ძალა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების გამოყენება პრიორიტეტულია ყველა ქვეყნისათვის, მათ შორის ამიერკავკასიის სახელმწიფოებისთვისაც.

### *5.1.1. ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები აზერბაიჯანში*

აზერბაიჯანი არის ერთ-ერთი წარმატებული ქვეყნა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით. ეს რათქმაუნდა, განირობებულია მდიდარი ენერგეტიკული რესურსებით და ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით. უკანასკნელ ათწლეულში პუი-ის მოცულობამ 25 მილიარდი დოლარი შეადგინა.

აზერბაიჯანის ხელისუფლება სისტემატურად ახდენს საინვესტიციო გარემოსათვის სამართლებრივი საფუძვლების გაუმჯობესებას. უკანასკნელ პერიოდში შემუშავებულ იქნა რიგი პრაქტიკული მექანიზმები ბიზნესის წარმოების ლიბერალიზაციისათვის. ასევე, ახალი საგადსახდო, სამოქალაქო და სამოქალაქო საპროცესო, მიწის, შრომის, საბაჟო კოდექსები. ასევე კანონები უცხოური გაცვლების შესახებ, საერთშორისო არბიტრაჟის შესახებ. ყველაფერი ეს სამართლებრივი სისტემის გამჭვირვალობის და ადგილობრივი და უცხოური ინვესტორებისათვის სასურველი პირობების შექმნის მიზნით გაკეთდა.

აზერბაიჯანში საინვესტიციო გარემოს მოცემული იურიდიული საფუძვლების ძირითად ელემენტებს წარმოადგენს კანონი უცხოური ინვესტიციების დაცვის შესახებ, კანონი საინვესტიციო საქმიანობის შესახებ, კანონი სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის შესახებ და შესაბამისი ნორმატიული კანონქვემდებარე დოკუმენტები. მოცემული კანონები უცხოელი ინვესტორებისათვის ქმნიან მნიშვნელოვან იურიდიულ (საკანონმდებლო) გარანტიებს. იგი ასევე გამორიცხავს დისკრიმინაციის მომენტებს, უზრუნველყოფს კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას, კანონმდებლობის სტაბილურობას, ექსპროპრიაციის შემთხვევაში კომპენსაციას,

არასასიამოვნო ცვლილებების პირობებში დაცვას და უფლე-ბას მიმართო საერთაშორისო არბიტრაჟს[165].

მნიშვნელოვანი საკანონმდელო აქტები შემუშავდა ენერგეტიკის სექტორშიც. როგორიცაა: კანონები ენერგიის, ენერგეტიკული რესურსების გამოყენების და კანონი ბუნებ-რივი რესურსების მონოპოლიის შესახებ. ასევე ინვესტიციე-ბის სამართლებრივ რეგულირებასთან დაკავშირები სხვა მთავარი ელემენტები განმტკიცებულია ისეთ კანონებში რო-გორიცაა: კანონები კომპანიების, კომერციის, საგადსახადო დაბეგვრის და მიწათმფლობელობის შესახებ.

საინვესტიციო გარანტიები არ ვრცელდება კანონმდებ-ლობის იმ ნაწილებზე, რომლებიც თავდაცვას, ეროვნულ უსაფრთხოებას, ჯანმრთელობას და გარემოს დაცვის საკით-ხებს ეხება.

ეკონომიკის განსაზღვრულ სექტორებში, მაგ., როგო-რიცაა ენერგეტიკა, უცხოელი ინვესტორის მონაწილეობა მოითხოვს წინასწარ თანხმობას მთავრობისგან. გაზის სექ-ტორში კი პირიქით, აქ უცხოელი ინვესტორების მოქმედება თავისუფალია.

მნიშვნელოვანი ძალისხმევა მიმართულია იმ უცხოელი ინვესტორების ხელშეწყობისათვის, რომლებიც ახდენდნენ ნავთობის და გაზის საერთაშორისო ტრანსპორტირებას.

აზერბაიჯანში არსებობს გარკვეული შეზღუდვები უც-ხოელების მხრიდან მიწისმფლობელობასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ უცხოელი ინვესტორის მონაწილე-ობის გააქტიურებას ეკონომიკის იმ სექტორში, სადაც მთავ-რობის და პოლიტიკური ფიგურების ინტერსესები უკვე გან-საზღვრულია, ეს უკანასკნელნი კონკურენციული სიტუაცი-ის შექმნას არ მიესალმებიან. აქედან გამომდინარე, აზერბაი-ჯანის კანონმდებლობა ქმნის ფრთხილ ,,ეროვნულ რეჟიმს" პირდაპირი უცხოური ინევსტიციებისათვის. ასეთი სისტემა

---

[165] ავტორის მივლინების მასალები და ანაგრიში, ხელნაწერი, ბათ., 2009

ასევე არსებობს სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციისათვისაც, მიუხედავად იმისა, რომ დაფუძნებულია გამჭვირვალობასა და ღიაობის პრინციპზე.

კანონმდებლობით უცხოური ინვესტიციების განხორციელებისათვის  არ არის საჭირო არავითარი სპეციალური ნებართვა ან რეგისტრაცია და ლიცენზირების პროცესი, რაც გამომდინარეობს უცხოელი ინვესტორების ინტერესებიდან.

ამჟამად აზერბაიჯანში უცხოელი ინესტორები სარგებლობენ რეჟიმით, რომელიც არ უშვებს დისკიმინაციას, რამდენიმე სექტორის გამოკლებით, რომელიც დაკაშირებულია ეროვნული უსაფრთხოების ფაქტორებთან.  კერძოდ, მთავრობამ მართალია მოხსნა შეზღუდვები უცხოელების მონაწილეობისათვის საბნკო სექტორში. თუმცა მათ მხოლოდ 25% წილის ფლობის უფლება აქვთ[166].

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი წყაროს მიხედვით, რეალურად აზერბაიჯანში დიდი პრობლემაა ლიცენზირების საკითხი. საქმიანობის დაწყებისათვის ბევრი ლიცენზიაა საჭირო, ხოლო მისი აღების პროცედურა  ხანგრძლივია  და არც გამჭვირვალეა. არესებული სისტემა კი ნელა ფუნქციონირებს და მოითხოვს დიდ თანხებს, რაც ინვესტორების მხრიდან ხშირ შემთხვევაში დროებით საქმიანი ურთიერთობების გადადების მიზეზიც კი ხდება.

ინვესტორებს, ინვესტორებსა და სახელმწიფოს შორის სადავო საკითხების გადაწყვეტის მექანიზმები აზერბაიჯანში თანდათან უმჯობესდება. ამასთან ვთვლით, რომ საკუთრებაზე უფლების დაცვის, საკონტრაქტო უფლებებისა და მისი იძულებით განხორციელების ეფექტური ღონისძიებები ჯერ კიდევ არაა სრულად უზრუნველყოფილი. სასამართლო სისტემა სუსტია, ახალი საკანანომდებლო აქტების გაგების ხარისხი დაბალი და რთულია. აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობაში ბოლო ცვლილების მიხედვით საერთაშორისო

---

166 ავტორის მივლინების მასალები და ანაგრიში, ხელნაწერი,  ბათ., 2009

არბიტრაჟი გახდა ბევრად პოტენციური მექანიზმი სადავო საკითხების მოწესრიგებისათვის.

მართალია, უკანაკნელ ხანს მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული ლიბერალიზაციის, კერძოდ კი კერძო სექტორის გაძლიერებისა და საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის, თუმცა პრივატიზაცია ეკონომიკის გარკვეულ სექტორში შედარებით ნელა მიმდინარეობს.

სამინისტროების და სამთავრობო სააგენტოების დიდი ნაწილი მოწოდებულნი არიან მოქმედების კორდინაციის გაუმჯობესებისათვის. თუმცა ამ კუთხით რაც შეეხება ენერგეტიკას, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო დიდ როლს თამაშობს. კერძოდ, კომპანიები (სოკარი, აზერიგაზი, აზერენერგია), რომლებიც იმყოფებიან სახელმწიფო საკუთრებაში, განაგრძობენ არსებითი რეგულუარული ფუნქციის განხორციელებას. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო, როგორც წესი თავის გადაწყვეტილებებს უთანხმებს სხვა სამთავრობო უწყებებს და გადაწყვეტილების მიღების პროცედურა შეიძლება საკამოდ გახანგრძლივდეს და არც კი წავიდეს სწორი მიმართულებით.

იმ დროს, როცა საკანონმდებლო ჩარჩო გამოხატავს ყოველმხრივ დადებით მიდგომას უცხოელი ინვესტორისადმი, ზოგიერთი შეზღუდვა მაინც არსებობს. რეგისტრაციის პროცედურა ზოგჯერ შეიძლება საკმაოდ რთული და ხანგრძლივი იყოს. საერთოდ, მართალია არის ზრუნვა ლეგალური წესების დანერგვაზე და კორუფციის წინაღმდეგ ბრძოლაზე, მაგრამ ეს ყველაფერი ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს. მსოფლიო ეკონომიკური ფორმის ცნობით აზერაბიჯანის სერიოზული პრობლემაა კორუფციის მაღალი დონე ქვეყნაში[167].

---

[167] Klaus Schwab, World Economic Forum, The Global Competitiveness Report 2009–2010, Geneva, Switzerland 2009, p. 78

პრობლემის მერე ჯგუფი ეხება ბიუროკრატიას, ერთის მხრივ, მართალია არის იურისტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სიმრავლე და მარეგულირებელი აქტები და მეორეს მხრივ, მათი აღქმის და გაგების, ასევე ცხოვრებაში გატარების ნაკლებობა ადგილობრივ სასამრთლო სისტემაში[168].

უკანასკნელ პერიოდში მთავრობა აუმჯობესებს თავის საინვესტიციო სამართლებრივ მარეგულირებელ სისტემას. თუმცა იგი ჯერ კიდევ ხასიათდება სუსტი ადმინისტრირებით, გამჭვირვალობის ნაკლებობით და კორუფციის გავრცელებით. გამჭვირვალე პოლიტიკის, ეფექტური კანონების და კორუფციის დიდი მასშტაბები არის სერიოზული დაბრკოლება ინვესტირებისთვის[169].

ის ახალი კანონები, რომელიც აზერბაიჯნმა მიიღო და რომლებიც სხვადასხვა ასპექტებით შესაბამისობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, მათი ეფექტური გამოყენება და ადმინისტრირება იქნება გასაღები კანონზე დაფუძნებული გამჭვირვალე ეკონომიკის შექმნისათვის, რომელიც კიდევ უფრო მიიზიდავს და დააინტერესებს უცხოელ ინვესტორებს.

აზერბაიჯანის მთავრობას მართალია აქვს გეგმები, რომელიც ითავლისწინებს ეკონომიკური რეფორმების გატარებას, მეწარმეობის პირობების გაუმჯობესობას ეკონომიკის არასანავთობო სექტორის განვითრებისათვის და სანავთობო სექტორისათვის კიდევ უფრო მეტი ყურადრების მიქცევას, მაგრამ აუცილებელია პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა სამართლებრივი სისტემის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მუშაობისათვის და იმ ნაკლოვანებე-

[168] წყარო: ფონდი ,,heritage”, 2009 Index of Economic Freedom, http://www.heritage.org/index/Country/Azerbaijan
[169] იქვე.

ბის აღმოფხვრა, რომელიც აფერხებს უცხოური კომპანიების საქმიანობის გააქტიურებას ქვეყნაში.

ინვესტიციების ორმხრივი დაცვის, რეგულირების და გარანტიების შესახებ ორმხვრივი ხელშეკრულებები აზერბაიჯანს 30-მდე ქვეყნასთან აქვს დადებული.

### *5.1.2. ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები სომხეთში*

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სომხეთი მძიმე ეკონომიკურ კრიზისში აღმოჩნდა. ამჟამად ქვეყნაში ეკონომიკის სტაბილური ზრდა შეინიშნება. ტარდება რიგი სტრუქტურული რეფორმაც. სომხეთში საკამოდ ლიბერალური პირობებია ვაჭრობისა, მოხსნილია უცხოურ ვალუტაზე სახელმწიფო კონტროლი. დადებითი მომენტია ასევე ქვეყნის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანება. თუმცა, ამ დადებითი მომენტების თანმხვედრია ისეთი ხარვეზები როგორიცაა კორუფცია (განსაკუთრებით სასამართლო, საბაჟო, განათლების სისტემაში[170]), სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება, მაღალი საბაჟო ხარჯები და სავაჭრო ბლოკადა ზოგიერთი მეზობელი სახელმწიფოს მხრიდან.

სომხეთის მთავრობამ მიიღო მნიშვნელოვანი ზომები, რომ ქვეყნაში შეექმნა არადისკრიმინაციული ხასიათის მიმზიდველი საინვესტიციო გარემო. უცხოურ კომპანიებს შეუძლიათ ინვესტირება მოახდნონ ქვეყნის ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში და შეიძლება დარწმუნებულნი იყვენენ, რომ მათთან ისეთივე დამოკიდებულება იქნება, როგორც ადგი-

---

[170] წყარო: ფონდი ,,heritage'', 2009 Index of Economic Freedom, http://www.heritage.org/index/Country/Armenia

ლობრივ კომპანიებთან. კანომდებლობით უცხოელი ინვესტორები დაცულნი არიან პოლიტიკური სიტუაციის ცვლილების შემთხვევაშიც. დაცვის გარანტიები უზრუნველყოფილია კანონდებლობაში მომხდარი ცვლილებების დროსაც და საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში ჩივილის უფლებითაც. წინადადებები ფართომაშტაბიანი პრივატიზაციის შესახებ დიდ შესაძლებლობებს ქმნის ამ კუთხით.

1994 წლის ივლისში მიღებულ იქნა კანონი უცხოური ინვესტიციების შესახებ, რომელიც ზემოთხსენებულ პროცესებს არეგულირებს. ხელისუფლება ხელს უწყობს უცხოელ ინვსეტორებს, ხოლო უცხოურ და ადგილობრივ კომპანიებს თანაბარი უფლებები აქვთ.

სომხეთის ხელისუფლების საინვესტიციო პოლიტიკა ,,ღია კარების" პარტნორულ ხასიათს ატა რებს, რომელიც მხარდაჭერილია ეროვნულ დონეზე - ეკონომიკური საქმინობის წარმოებისათვის თანაბარი უფლებები და უცხოელი ინვესტორების დაცვა.

სომხეთის სავაჭრო და საინვესტიციო პოლიტიკის პრინციპებიდან გამოდინარე უცხოელი კომპანიები ფლობენ ისეთივე წესებს, რასაც სომხური (ეროვნული რეჟიმი), ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში გამოიყენება დროებითი პრეფერენციალური საგადსახადო შეღავათებიც. ქვეყნაში კვლავ გრძელდება მსხვილი სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია. პრივატიზაციის შესახებ კანონის (მიღ. 1997 წელს, ცვლილებები განხორციელდა 1999 წელს) თანახმად უცხოური კომპანიები სარგებლობენ სომხურ კომპანებთან ერთად თანაბარი უფლებით პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობის დროს. ინვესტიციების შესახებ კანონის თანახმად შეუძლებელია უცხოური ინვესტიციების ნაციონალიზაცია. ასევეა არ შეიძლება მათვის ქონების კონფისკაცია და ესქპროპრიაცია, გარდა განსაკუთრებით საგანგებო სიტუაციებისა ან სამხედრო მდგომარეობის გამოცხდაებისა სახელმწიფოეში,

ისიც სასამრთლოს გადაწყვეტილებით და კომპენსაციის გადახდის პირობით.

ამჟამად ხელისუფლება დიდ სტიმულს აძლევს ექსპორტს (ექსპორტზე ბაჟის მოხსნა, საექსპორტო საქონელზე და მომსახურებაზე დამატებითი ღირებულების გადსახადის შემცირება) და უცხოელ ინვესტორებს (დროებითი გათავისუფლება საშემოსავლო გადსახადისაგან და მოგების გატანის უსაზღვრო შესაძლებლობები).

გარდა ამისა, უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონის თანახმად შეიძლება განხილულ იქნას სპეციალური სტიმულები ინვესტიციის იმ თითოეული კონკრეტული შემთხვევისათვის, რომელიც მიმართული იქმნა კონკრეტულ სექტორში და ექნება სტრატეგიული მნიშვნელობა ეკონომიკისათვის.

მსხვილი სახელმწიფო აქტივების (წიაღისეული საბადოები და სატელეკომუნიკაციო ქსელები) პრივატიზაციის დროს, ხელისუფლება უცხოელი ინვესტორებისათვის შეიმუშავებს გარკვეულ წესებს და ნორმებს როგორც საპრივატიზაციო შეთანხმების ნაწილს.

უცხოელი ინვესტორების მიმზიდველობის კუთხით სომხეთის ძირითადი უპირატესობებია:

- ლიბერალური სავაჭრო პოლიტკა;
- ხელსაყრელი საინვესტიციო კანონმდებლობა;
- სამთავრობო ვალდებულებები;
- საინვესტიცო გარანტიები;
- უცხოელების მიერ წარმოების 100% ფლობის უფლების არსებობა;
- თანხების მოძრაობაზე შეზღუდვების არარსებობა;
- სტაბილური ადგილობრივი ვალუტა;
- ენერგიაზე კონკურენტული ფასის არსებობა;
- საექსპორტო ბაჟის არარსებობა;

- თავისუფალი დამოკიდებულება უცხოურ ვალუტასთან;

- ჩამოსულთა თავისუფალი რეპატრაცია;

- პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა;

- აგრარულ სექტორში დასაქმებულ კომპანიათა მოგების გადასახადისგან გათავისუფლება.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, სომხეთის ხელისუფლება ფიქრობს, რომ აუცილებელია არსებული კანონდებლობის ეფექტური დანერგვა და გამოყენება ცხოვრებაში.

სომხეთის მთავრობის რეფორმისტული პოლიტიკა მაინც უმთავრესად ეხება ენერგეტიკულ და გაზის მრეწველობას[171].

ენერგეტიკულ მრეწველობაში განმანაწილებელი ქსელი სრულად პრივატიზებულია. ჯამში ერთადერთი კომპანია ფლობს გამანწილებელ ქსელს. ასევე პრივატიზირებულია ელექტროენერგიის მაწარმოებლ სადგურთა დიდი ნაწილი. ბაზარი აგრძლებს განვითარებას, ხოლო კონკურენციის ეფექტური წესების მიღება და მათი დანერგვა სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენს.

გაზის მრეწველობაში არსებობს მონოპოლისტური სტრუქტურა. გადაცემის და გამანაწილებელი სისტემები იმყოფება ერთობლივი საწარმოების ხელში.

სომხეთმა შეიქმნა დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო გაზის და ენერგეტიკის მრეწველობის კონტროლისათვის.

კომერციულ საკითხებზე დავები წყდება ან დამოუკიდებელ სახელმწიფო სასამართლოში ან ალტერნატიული მექანიზმების დახმარებით, რომელიც იძლევა შესაძლებლობას საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსადმი მიმართვას, რაც გამომდინარეობს საერთშორისო საინვესტიციო

171 ავტორის მივლინების მასალები და ანაგრიში, ხელნაწერი, ბათ., 2009

შეთანხმებებიდან, რომელშიც სომხეთს აქვს მონაწილეობა მიღებული.

სომხეთს ინვესტიციების ორმხრივი რეგულირების კუთხით ხელშეკრულება დადებული აქვს 20-ზე მეტ სახელმწიფოსთან.

### *5.1.3. ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების საფუძვლები საქართველოში*

დამოუკიდებლობის საწყის პერიოდში საქართველოს ეკონომიკური სიტუაცია მკვეთრად არასტაბილური იყო. 1994 წლიდან დაიწყო ეკონომიკური სტაბილურობის პროგრამის განხორციელება, რომლიც გულისხმობდა საგადასახდო და საბანკო სისტემაში ცვლილებებს, სახელმწიფო ზედამხედველობის უარყოფას, სავაჭრო და სავალუტო სფეროში ლიბერალიზაციას, ასევე პრივატიზაციის წარმოებას.

კონსტიტუციის თანახმად საქართველოს კანონმდებლობა სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს საერთაშორისო რეგულატორულ სისტემასთან. მათ შორის ის ნორმებიც, რომლების ინვესტიციებს ეხება.

ამჟამად საინვესტიციო კანონები ქვეყნის კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ნაწილია, რომელიც გამოიყენება უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებით

საინვესტიციო გარემოს ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სამართლებრივი უზრუნველყოფა. ყველაზე მნიშვნელოვანი კანონები, რომლებიც საქართველოში უშუალოდ საინვესტიციო საქმიანობას არეგულირებს, არის 1996 წელს მიღებული კანონი "საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ", 2002 წლის კანონი "საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" და 2006 წლის კანონი "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭე-

რის შესახებ". მათი შემუშავების და მიღების მიზნებია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით.

საქართველოს ტერიტორიაზე როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების განხოციელების სამართლებრივ საფუძვლებსა და მათი დაცვის გარანტიებს განსაზღვრავს საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ, რომლის მიხედვითაც უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები ერთნაირი უფლებებით სარგებლობენ. კერძოდ, საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებსა და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი. კანონის თანახმად, უცხოელი ინვესტორები მთლიანად უპირატესად არიან დაცულნი. ისინი დამოუკიდებლად განსაზღვრავენ ინვესტიციების მოცულობასა და დაბანდებების მიმართულებებს. გარანტირებული აქვთ მიღებული მოგებისა და სხვა ფულადი სახსრების, აგრეთვე მათი საკუთრებაში მყოფი ქონების საზღვარგარეთ დაუყოვნებელი და შეუფერხებელი რეპატრიაციის უფლება. უცხოელ ინვესტორებს, ისევე როგორ ქართველებს, შეუძლიათ ადგილობრივ ბანკებში გახსნან ანგარიშები ლარებსა და უცხოურ ვალუტაში, შეისყიდონ აქტივები, ფასიანი ქაღალდების ჩათვლით, მიიღონ კრედიტები ქართული და უცხოური ბანკებიდან. საქართველოს კანონმდებლობა ერთნაირად ვრცელდება ადგილობრივ და უცხოელ ინვესტორებზე.

კანონის თანახმად, საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად მიიჩნევა ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე სა-

ერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც საქართველოში ახორციელებს ინვესტირებას.

საქართველოს კანონი საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ ასევე ითვალისწინებს როგორც აკრძალვებსა და შეზღუდვებს ინვესტიციის განხორციელების სფეროში, ასევე ინვესტიციების დაცვის გარანტიებს, რაც აღნიშნული კანონის ფარგლებში გულისხმობს ინვესტიციის ხელშეუხებლობასა და კომპენსაციას ინვესტიციის ჩამორთმევისას. აღნიშნული ნიშნავს, რომ საქართველოში ინვესტიცია მთლიანად და უპირობოდ არის დაცული. ინვესტიციის ჩამორთმევა დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. კომპენსაცია, რომელიც ინვესტიციის ჩამორთმევისას მიეცემა ინვესტორს, უნდა შეესაბამებოდეს ჩამორთმეული ინვესტიციის რეალურ საბაზრო ღირებულებას უშუალოდ იმ მომენტისათვის, როდესაც მოხდა ჩამორთმევა. კომპენსაცია ყოველგვარი შეფერხების გარეშე უნდა გაიცეს და უნდა მოიცავდეს იმ ზარალს, რომელიც ინვესტორმა განიცადა ჩამორთმევის მომენტიდან საკომპენსაციო თანხის გადახდამდე.

აღსანიშნავია, რომ ამ კანონში განხორციელებული ბოლო ცვლილება, ვფიქრობთ, ნაკლებათ თუ წაადგება ინვესტიციების მოზიდვას ქვეყანაში. კერძოდ, საუბარია კანონის მე16 მუხლზე, რომელიც ეხება უცხოელ ინვესტორსა და სახელმწიფო ორგანოს შორის წარმოქმნილი დავის გადაწყვეტის წესს. 2009 წლის 17 ივლისამდე აღნიშნული მუხლის მეორე პუნქტით დავის შემთხვევაში მხარეებს ორი ალტერნატიული გზა ჰქონდათ: ან საქართველოს სასამართლო ან საინვესტიციო დავის საერთაშორისო ცენტრი. თუ ინვესტორი ამ უკანასკნელში წასვლას არ ისურვებდა, საშუალება ჰქონდა, ნებისმიერ საერთაშორისო არბიტრაჟში ეჩივლა. კანონში

ცვლილების შედეგად ინვესტორს ეს არჩევანი არა აქვს, დავის შემთხვევაში მხარეები მხოლოდ საქართველოს სასამართლოს მიმართავენ.

"ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" კანონით დგინდება სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშემწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წასახალისებლად. ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო. იგი არის სახელმწიფოს წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობებში. ამ მიზნით ინვესტორსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებით სააგენტო უწევს ინვესტორს მომსახურებას საინვესტიციო საქმიანობისათვის საჭირო ყველა ლიცენზიის ან/და ნებართვის აღებაში ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში. ამავე დროს, სააგენტოსათვის განსაზღვრული წარმომადგენლობითი უფლება-მოსილება არ ზღუდავს ინვესტორს ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობა განახორციელოს უშუალოდ ან სხვა წარმომადგენლის მეშვეობით.

აღსანიშნავია, რომ გადასახადებისა და სავალდებულო მოსაკრებელის გადახდის შემდეგ უცხოელ ინვესტორს ინვესტიციებიდან მიღებული მოგების (შემოსავლის) და სხვა ფულადი სახსრების საზღვარგარეთ შეუზღუდავი რეპატრიაციის უფლება გააჩნია, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონის საფუძველზე – სასამართლოს გადაწყვეტილებით გაკოტრების, დანაშაულის ჩადენის ან სამოქალაქო ვალდებულების შეუსრულებასთან დაკავშირებით. ამასთან, უცხოელ ინვესტორს უფლება აქვს, საზღვარგარეთ გაიტანოს მის საკუთრებაში არსებული ქონება.

მნიშვნელოვანი კანონი, რომელიც ასევე არეგულირებს წარმოების ლეგალური ფორმების ორგანიზაციის საკითხებს,

მათ რეგისტრაციას, საქმიანობას არის კანონი მეწარმეთა შესახებ. სხვა კანონები კი, რომელბიც აწესრიგებენ უცხოურ ინვესტიციებს არის  გაკოტრების, მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვის, საბაჟოს, ტარიფების, ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ და სხვა კანონები.

საქართველო კვლავ აგრძლებს ლიბერალური ეკონომიკისათვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის ღონისძიებების გატარებას, რომელიც ხელს შეუწყობს ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნას. მათ შორის მნიშვნელოვანია ლიბერალური საგადასახადო რეჟიმის სრულყოფის ღონისძიებები. საქართველოში მოქმედი საგადასახადო კოდექსის მიხედვით დღეისათვის მოქმედებს ექვსი გადასახადი. მათ შორის: საერთო-სახელმწიფო გადასახადები: საშემოსავლო, მოგების,  დამატებული ღირებულებისა (დღგ) და აქციზი; ადგილობრივი გადასახადი: ქონების გადასახადი.

აღსანიშნავია, რომ 2007 წელს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა საგადასახადო სისტემაში. კერძოდ, 2008 წლის 1 იანვრიდან გაუქმდა სოციალური გადასახადი და შეიქმნა ერთიანი საშემოსავლო გადასახადი (2008წ. — 25%; 2009 წლიდან — 20%), ხოლო მოგების გადასახადის განაკვეთი შემცირდა 20%-დან 15%-მდე. გარდა ამისა, საქართველოში დაინერგა მნიშვნელოვანი პროცედურული და ინსტიტუციური სიახლენი, საგადასახადო დავების განხილვის გამარტივებული სისტემა, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის ქვეყანას მეწარმეებისა და უცხოელი ინვესტორებისათვის. დაგეგმილია საგადასახადო სისტემის შემდგომი ლიბერალიზაცია.   ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლება მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს ქვეყანაში ბიზნესგარემოს გასაუმჯობესებლად.

ასევე,  საქართველოს ახალი  საბაჟო კოდექსის მიხედვით მნიშვნელოვნად გამარტივდა საბაჟო პროცედურები. სა-

ბაჟო ტარიფების რეფორმის შედეგად, გამარტივდა და შემცირდა საგარეო ვაჭრობასთან დაკავშირებული ხარჯები. საიმპორტო ტარიფების რაოდენობა გაუქმდა პროდუქციის დაახლოებით 90 პროცენტზე და ამასთან, ამჟამად მოქმედებს მხოლოდ სამი სახის ტარიფი (0%, 5%, 12%), ადრე არსებული 16-ის ნაცვლად. საბაჟო გადასახადები დაწესებულია მხოლოდ ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე და სამშენებლო მასალებზე. გარდა ამისა, ქვეყანაში არ მოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვები (ქვოტები) იმპორტსა და ექსპორტზე.

ხელისუფლება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ბიზნესის ლიცენზირების/ნებართვების მოდერნიზებული სისტემის შექმნას. ლიცენზიებისა და ნებართვების სისტემის რეფორმირების შედეგად, ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა 84 პროცენტითაა შემცირებული. დღეისათვის, ლიცენზიები და ნებართვები საჭიროა მხოლოდ მაღალი რისკის შემცველი პროდუქციისა და მომსახურების, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და სპეციფიკური საქმიანობის წარმოებისათვის.

მნიშვნელოვნად გამარტივდა ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის პროცედურები, დამკვიდრდა "ერთი სარკმლის" და "დუმილი თანხმობის ნიშანია" პრინციპი.

ქვეყანაში საინვესტიციო გარემოს კიდევ უფრო ლიბერალიზაციის, ინვესტიციების დაჩქარებული მოზიდვისა და გაზრდის ერთ-ერთი მსოფლიო გამოცდილება ესაა თავისუფალი ეკონომიკური ან ინდუსტრიული ზონების შექმნა. ამ მიზნით, მიღებულ იქნა კანონი "თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ", რომლის თანახმად, ასეთი ზონა შესაძლოა შეიქმნას 10 ჰექტარზე მეტ ტერიტორიაზე, საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, მისივე, ან ინვესტორის ინიციატივის საფუძველზე.

ზონაში მოქმედებს განსხვავებული საგადასახადო რეჟიმი, გამარტივებულია რეგისტრაციისა და სხვა პროცედურები. თავისუფალი ზონების დაარსება და ფუნქციონირება ხელს შეუწყობს თანამედროვე ტექნოლოგიების შემოდინებას, გააჩენს მოთხოვნას კვალიფიციურ შრომით ძალაზე და დადებითად აისახება როგორც რეგიონის, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე.

საერთაშორისო ბაზარზე ქართული პროდუქციისა და მომსახურებისათვის ტექნიკური ბარიერების მოხსნა საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს.

ამ მიზნის რეალიზებისათვის საქართველოში განხორციელდა ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების აღმოფხვრას; საინვესტიციო გარემოს გაჯანსაღებას; მომხმარებელთა ინტერესების დაცვას; ქართული პროდუქციის უცხოურ ბაზრებზე შეღწევადობის შესაძლებლობის გაზრდას; ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულებას, რაც ძირითადად გამოიხატება სავალდებულო სტანდარტებიდან ნებაყოფლობით სტანდარტებზე გადასვლაში; კორუფციის აღმოფხვრას; ტექნიკური რეგულირების სფეროში მომსახურების გამჭვირვალობას.

აღნიშნული რეფორმის შედეგად მოხდა ნებაყოფლობითი სტანდარტების სისტემაზე გადასვლა და სისტემაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის შემცირება, რაც მნიშვნელოვნია სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებისათვის.

საქართველოში ნებაყოფლობითი სტანდარტიზაციის დანერგვა მეწარმეს საშუალებას აძლევს: შეარჩიოს ქვეყანაში რეგისტრირებული სტანდარტი თავისი საქმიანობისათვის; აიღოს ნებისმიერი ქვეყნის ან ნებისმიერი საერთაშორი-

სო ან რეგიონული სტანდარტი, დაარეგისტრიროს საქართველოში და გამოიყენოს საქმიანობისათვის; შეიმუშაოს საკუთარი სტანდარტი ახალი პროდუქციისათვის, დაარეგისტრიროს სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში და გამოიყენოს თავისი საქმიანობისათვის; მიიღოს კონსულტაციები სტანდარტების შერჩევისა და შემუშავებისათვის.

ინვესტორების ყურადღების ცენტრშია ის, თუ როგორი შრომითი კოდექსი მოქმედებს ქვეყანაში. საქართველოს ახალმა შრომის კოდექსმა შრომითი ურთიერთობების სფეროში მნიშვნელოვანი სიახლეები შეიტანა, გაამარტივა რა ურთიერთობები დამსაქმებლებსა და დასაქმებულებს შორის. რეფორმის შედეგად, Heritage Foundation-ის და სხვა ანალიტიკური ცენტრების მიერ საქართველოს შრომის კოდექსი აღიარებულია, როგორც მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური, რადგან მან მნიშვნელოვნად შეამცირა დაქირავების და სამუშაოდან გათავისუფლების ხარჯები.

უცხოური ინვესტიციების ორმხვრივი დაცვის და წახალისების მიზნით საქართველოს 35-ზე მეტ ქვეყნასთან აქვს გაფორმებული ორმხვრივი ხელშეკრულებები. მათ შორის აზრბაიჯანთან და სომხეთთან.

ქვეყანაში შექმნილია და ფუნქციონირებს რამდენიმე ინსტიტუტი, რომლის საქმიანობაც უცხოური ინვესტიციების მოზიდვასთან არის დაკავშირებული, საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობაზე მიუთითებს საქართველოს პრეზიდენტთან უცხოური ინვესტიციების (საინვესტიციო) საკონსულტაციო საბჭოს შექმნის ფაქტი. საბჭოს მიზანია მოამზადოს წინადადებები საინვესტიციო პოლიტიკის ძირითად მიმართულებათა შესახებ; მონაწილეობა მიიღოს საერთო-სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამებისა და პროექტების შემუშავებაში, კოორდინაცია გაუწიოს მათი განხორციელებისათვის ხელისუფლების ორგანოების საქმიანობას და ა.შ. სა-

ქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში ასევე ფუნქციონირებს საქართველოს ინვესტიციების ეროვნული სააგენტო, რომელიც ახდენს პრივატიზებული ობიექტების რესტრუქტურიზაციას და მენეჯმენტს. ასევე პრეზიდენტის მიერ შექმნილი საკუთრების დაცვის კომისია.

ინვესტორებისათვის დამატებითი გარანტიების, ქვეყნის სანვესტიციო გარემოს  მიმზიდველობის ხარისხის გაზრდას ისხავს მიზნად მთავრობის ახალი ხედვა, რომელიც ჩამოყალიბებულია ,,თავისუფლების აქტში”. იგი ქმნის გარკვეულ გარანტიებს მეწარმეობის სტაბილური განვითარებისათვის.

ამირიგად, ამიერკავკასიის ქვეყნებში არსებობს მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ბაზა ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს შექმნისა და პირადპირი უცხოური ინვესტიციების დაცვის მექანიზმების კუთხით, რაც მნიშვნელოვანი წინაპირობაა რეგიონის ქვეყნების რეალურ ეკონომიკაში კაპიტალდაბნდების განხორციელებისათვის

საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სახელმწიფო გარანტიები, რამდენადაც ინვესტიციების დაზღვევის სისტემის გამოყენება და იმის უზრუნველყოფა, რომ დავების შემთხვევაში ინვესტორს ჰქონდეს შესაძლებლობა მიმართოს საინვესტიციო დავების რეგულირების საერთაშორისო ცენტრს და საერთაშორისო კომერციული არბიტრაჟის სასამართლოს.

ამრიგად, რეგიონის ინვესტიციების სამართლებრივი რეგულირების რეჟიმი ითავლისწინებს ინვესტიციების და საინვესტიციო საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფაქტორებს: ხელისუფლების დამოკიდებულებას საზღვარგარეთელი ინვესტორებისადმი, სახელმწიფო ორგანოების მიერ კანონმდებლობის დაცვას, ოპერატიულობის დონეს საწარმოების რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების მი-

ღებისას, ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ს, სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის ეფექტიანობას, საქონლის, კაპიტალისა და სამუშაო ძალის გადაადგილების პირობებს და ა.შ.

## *5.2. ტრანსნაციონალური კომპანიები და სამოქალაქო საზოგადოების აზრის ფორმირება ამიერკავკასიის ქვეყნებში*

ობიექტური რეალობიდან გამომდინარე ტნკ-ების ეკონომიკური პოტენციალი დღითიდღე იზრდება. პარალელურად ხდება მათი ძალაუფლების წყაროების გაფართოება, რის შედეგადაც იზრდება პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებზე მათი გავლენა. აქტიურად განიხილება აზრი, რომ მოხდეს მათი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური როლის შესწავლა ზეეროვნულ და შიდაეროვნულ დონეებზე. ხშირად ტნკ-ები თავად აყალიბებენ გარკვეული ქცევის წესებს, რომელთა ჩარჩოშიც აქცევენ როგორც საკუთარ, ასევე საზოგადოებისა და სხვა ინსტიტუტების საქმიანობას.

ტნკ-ების მონაწილეობით ან მათ გარეშე წარმოების განვითარების, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და შემოსავლების სტაბილური ზრდის გარანტიის შექმნას განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნის მთავრობის პოლიტიკის და იქ მოქმედი სამოქალაქო ინსტიტუტების მაღალი ხარისხი.

თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის სიმდიდრეების ეკონომიკური მართავა კომპლექსურია, რომელიც მოითხოვს კარგად განვითარებული მენეჯმენტის სისტემას და მკაფიოდ შემუშავებული ეროვნული მიზნის არსებობას. ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრეების და ეკონომიკური პოტენციალის რაციონა-

ლური გამოყენება, ასევე მისი ჩაყენება საზოგადოების სამსახურში ყველა ქვეყნის ხელისუფლების უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. თუმცა, როგოროც მსოფლიო პრაქტიკა აჩვენებს, წიაღისეულით მდიდარი ბევრი განვითარებადი ქვეყნის მთავრობის მიერ შემუშავებული ტაქტიკა მიმართულია მოკლევადიან პერიოდში მოგების მიღებისკენ და არა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარების მიზნისკენ.

გარდა ამისა, ხშირად ტნკ-ების მიმღები სახელმწიფოები წიაღისეულ სიმდიდრეებიდან მიღებული შემოსავლების განაწილებისა და გამოყენების დროს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მათ გამოყენებას  ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის. ხშირ შემთხვევაში, ქვეყნის სიმდიდრეების ექსპლუატაციის და რეალიზაციის შედეგად მიღებული  შემოსავლების თავისუფალმა დაუფლებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მთავრობის ნაკლები ყურადღების მიპყრობას საკუთარი მოსახლეობისადმი და პირიქით, გააძლიეროს  მმართველი ელიტის ინტერესების დაცვა და გაძლიერება.

ამ საერთო კონსტრუქციაში ქვეყნის სიმდიდრეების და ეკონომიკური პოტენაციალის  რაციონალური ექსპლუატაციისა და გამოყენების, უსაფრთხოებისა და განვითარების, სამოქალაქო საზოგადოების უფლების და გარემოს დაცვისათვის აუცილებელია შესაბამისი სექტორული (არასამთავრობო) ინსტიტუტები, სამართლებრივი, ადმინისტრაციულ სტრუქტურები  და კარგად შემუშავებული პოლიტიკა, რომელიც იქნება ქვაკუთხედი სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოებას და ტნკ-ებს შორის ურთიერთობების და შეთანხმებული მოქმედებისათვის.

აღნიშნული ფაქტორები მოითხოვს როგორც სამართლებრივი სისტემის განვითარებას, რომელიც დაფუძნებული იქნება  კანონის უზენაესობაზე, ასევე შესაბამისი ინსტიტუციონალური გარემოს შექმნის აუცილებლობას, რომელშიც ერთის მხრივ, განსაზღვრული იქნება სახელმწიფოს და

სამოქალაქო საზოგადოების პასუხისმგებლობა და მოვალეები ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, მეორეს მხრივ, იგი სტიმულის მიმცემი უნდა იყოს უცხოური კომპანიებისათვის სამეწარმეო საქმიანობაში კაპიტალის დააბანდებისათვის, თუმცა უნდა მოახდინოს ადგილობრივი სზოგადოების ინტერესების გათვალისწინება კომერციულ საქმიანობაში.

ხშირად სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნილება ტნკ-ების მიმართ ქვეყნის მატერიალური ინფრასტრუქტურის, განათლების და სოციალური მდგომარეობის ხარისხზე ზრუნვის შესახებ გავლენას ახდენს მათ საინვსტიციო გადაწყვეტილებებზე. ამიტომ უმეტესწილად ამა თუ იმ ქვეყნის ხელისუფლება საზოგადოებრივი მოთხოვნილების საწინააღმდეგოდ შეღავათიან რეჟიმს უქმნის ტნკ-ებს ქვეყანაში შემოსვლისათვის. ქვეყნის განვითარების დასახული მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია ეკონომიკური პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება, ეროვნული სიმდიდრებიდან მიღებული შემოსავლები სახელმწიფოს მიერ მიმართული უნდა იყოს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლების პრევენციული პოლიტიკისათვის, რომელიც აუცილებელია სოციალური ერთობის უზრუნველყოფისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემოსავლების ზრდის კვალდაკვალ, თუ ხელისუფლების მიერ ისინი არ იქნა მიმართული და მართული სწორად შეიძლება გამოწვიოს სოციალური არეულობები და პოლიტიკური არასტაბილურობა.

ტნკ-ები უმეტეს შემთხვევაში სამოქალაქო საზოგადოების სუბიექტებთან ურთიერთობების თვითრეგულირების და თანამშრომლობის გარკვეულ ფორმას ქმნიან. ამისკენ მათ უბიძგებთ სოციალური პასუხისმგებლობის გამოხატვა, დადებითი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება და მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური და სოციალური რისკის აცილების სურვილი.

ურთიერთთანმშრომლობის პროცესებში შესაბამისი ტაქტიკით ჩართული უნდა იქნას ყველა დაინტერესებული სუბიექტი - მთავრობა, სამოქალაქო საზოგადოება, დაზარალებული თემები, ადგილობრივი სახალხო ორგანიზაციები, პროფკავშირები, სამრეწველო და საერთაშორისო ორგანიზაციები რომ მიეცეთ საშუალება თავიდან აცილებულ იქნას გამოუსწორებელი შედეგები - დაპირისპირებები, გაუგებრობები და ა.შ.

სამოქალაქო საზოგადოების და არასამთავრობო სექტორის ინსტიტუტებთან ტნკ-ების თანამშრომლობა პრობლემების ერთობლივი რეგულირების და გადაწყვეტის გამოხატულებას წარმოადგენს. ამისკენ საკუთრივ მათ უბიძგებთ საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის ჩვენება, სურვილის გამოხატვა სირთულეების დაძლევისათვის.

იმისათვის რომ ტნკ-ების მონაწილეობით ქვეყანამ მიიღოს მაქსიმალური ეკონომიკური მოგება, შეინარჩუნოს პოტენციური დანახარჯები გარემოს დაცვაზე და გაზარდოს მათი სოციალური პასუხისმგებლობა, აუცილებელია ყველა დაინტერესებული სუბიექტის შეთანხმებული მოქმედება, რომელიც დაფუძნებული იქნება კონსესუსის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებაზე.

ტნკ-ებს შეუძლიათ სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოების სხვა სუბიექტებთან, ასევე, საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გზით სხვადასხვა პრობლემის გადაწყვეტაში წვლილი შეიტანონ:

ა) სამუშაო გარემო და ადამიანის უფლებები — რამდენად შეესაბამება ტნკ-ების სამუშაო გარემო შრომის კანონმდებლობას, არის თუ არა საკონტრაქტო სისტემა, დაცულია თუ არა ადამიანის უფლებები. ბ) როგორია დასაქმებულთა სოციალური დაცულობა — სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვა, საპენსიო უზრუნველყოფა, არსებული ადამიანური რესურსების შესწავლა და განვითარება. გ) გარემოსდაცვითი

საკითხები — რამდენად ხორციელდება არსებული გარემოს კვლევა, გარემოსდაცვითი პროექტები, რეციკლირების პროგრამების დაფინანსება. დ) მოსახლეობასთან მიმართება და სოციალური პროექტები — კერძო, სათემო, მუნიციპალური ან სამთავრობო. აქ იგულისხმება ფინანსური, პროდუქტებით, მომსახურებით, ტექნიკით, მატერიალური და ადამიანური რესურსებით დახმარება შემდეგ სფეროებში: განათლება, კულტურა, სპორტი, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა.

ამიერკავკასიის სახელმწიფოებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისათვის დიდი პოტენციალი გააჩნია. რეგიონის ქვეყნებში ათასობით სამოქალაქო ინსტიტუტი და არასამთავრობო ორგანიზაცია მოქმედებს, რომლებიც დარგობივი პროფილით საქმიანობენ (ადამიანის უფლებები, ეკოლოგიური, გენდერული საკითხები, პენიტენციალური, სოციალური და ა.შ.). ბევრ მათგანს ტნკ-ებთან ურთიერთობების გარკვეული გამოცდილებაც გააჩნიათ, განსაკუთრებით გარემოს დაცვით და ადამიანი უფლებების დაცვის საკითხებთან მიმართებით. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში პირველი სერიოზული ინტერესი სამოქალაქო საზოგადოების არასამთავრობო სექტორიდან ტნკ-ების საქმიანობასთან დაკავშირებით გაჩნდა ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის დროს, როცა მათ ყურადღება მიაქციეს ამ მშენებლობის პროცესში თანმდევ ეკოლოგიურ საფრთხეებს, დასაქმებულთა და ადგილობრივი მოსახლეობის უფლებების დარღვევებს.

ამიერკავკასიის ქვეყნების არასამთავრო ორგანიზაციების ის ნაწილი, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ადამიანის უფლებების დაცვის, სოციალური და ეკოლოგიის საკითხების შესწავლაზე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ტნკ-ების საქმიანობას.

ტნკ-ების გავლენის გაძლიერება კასპიის რეგიონში გარკვეულ შეშფოთებას იწვევს ეკოლოგიური პროფილის საზოგადოებებების მხრდან. კასპიის ზღვა წარმოადგენს უნიკალურ, გაუმდინარ ბუნებრივ ობიექტს, ბუნებრივი რესურსების აღმდეგნი ფუნქციით, სუფთა წყლით და ატმოსფეროთი რომელიც, შეუფასებელი და სასარგებლოა. თანამედროვე ეტაპზე ნავთობ რესუსრსების ფართომასშტაბიანი მოპოვება და ახალი, ძლიერი ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება თავის უარყოფით დაღს ასვამს გარემოს, რომელიც შეიძლება გაუთვალისწინებელი კატასტროფული შედეგების მიზეზიც გახდეს.

კასპიის რეგიონში ბუნებრივი რესურსების მოპოვებაში ტნკ-ების მონაწილეობა საკუთრივ განსაკუთრებულ ფაქტორს წარმოადგენს. ეს გამოიხატება ტნკ-ების გავლენის ასახვით საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეზე, ბუნებრივი რესურსების შეუზღუდავ მოხმეარებაში, ეკოლოგიურ და სხვა რისკების ზრდაში, ბუნებათდაცვის სტანდარტების შესუსტების ტენდენციაში.

ეკოლოგიური არასამთავრობო ორაგნიზაციების შეშფოთების მიზეზი გახდა ბაქო-თბილისი-ჯეიხანის ნავთობსადენის მშენებლობის დაწყება საქრთველოში.

ეკოლოგიური საფრთხეების თავიდან აცილების და ურთიერსასარგელო თანამშრომლობის საწარმობლად არასამთავრობო სექტორმა და ტნკ-ებმა დიალოგის დაწყება ყველა პრობლემის ერთობლივად მოგვარების სურვილით გადაწყვიტეს.

ამ მიზნით 2000 წლის 10-12 სექტემბერს ქ. ალმა-ათაში გაიმართა კასპიის რეგიონის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციის და ტნკ-ების წარმომადგენელთა სემინარი. შესაბამისად, მასში მონაწილობდა აზერბაიჯანის, საქართველოს, ირანის, ყაზახეთის, რუსეთის და თურქმენთის ორაგნიზაციები. სემინარის თემა იყო ,,ტრანსნაციონალური კორპო-

რაციების და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთობები კასპიის რეგიონში. შეხვედრის მიზანი იყო ტრანსანციონალური კოპრორაციების და არასამთავრობიო ორგანიზაციების ურთიერთობების შესახებ პრინციპების შემუშავება. სემინარზე ხაზი გაესვა არასამთავრობო სექტორსა და ტნკ-ებს შორის არსებულ პრობლემების იმ ჯგუფს, რომელიც უკავშირდება ინფორმაციის მიუწვდომლობას, ტნკ-ების საქმიანობის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას და სამართლებრივ საკითხებს. მხარეები შეთანხმდნენ, რომ აუცილებელია სოლიდარობის და კორდინაციული მოქმედების მექანიზმების შემუშავება და რეგიონში ტნკ-ების ნებაყოფილობითი ქცევის კოდექსის შემუშავება.

ტნკ-ების და არასამთავრობო სექტორის მორიგი შეხვედრა გაიმართა 2002 წლის 24-26 იანვარს ასტრახანში. ამჯერად სემინარის თემა იყო ,,კასპის ზღვის რეგიონში გარემოს დაცვა: საზოგადოების მონაწილეობა, კორპორაციების პასუხისმგებლობა და ოპტიმალური მართვა". მისი მიზანი იყო რეგიონის სამი სექტორის სახელმწიფო სტრუქტურების, ტნკ-ების და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართვის შესაძლებლობა კასპიის ძირითადი პრობლმების გადაწყვეტაში. ფორუმზე მიიღეს გადაწყვეტილება ეკოფორუმის შექმნის შესახებ, რომელიც რეგიონის მთავრობებთან ერთად იმუშავებდა ბუნების დაცვის საკითხებზე.

რეგიონში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს მოღვაწეობაში ხელს უწყობდა საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და რეკომენდაციები, რომლებსაც საერთაშორისო საზოგადოება სთავზობდა მათ.

ამ კუთხით მრავალი რეკომენდაცია მოცემულია მიმღები ქვეყნებისათვის, ბაზირებული ქვეყნებისათვის, საერთშორისო საზოგადოებისათვის, სამოქალაქო საზოგადოებისათ-

ვის და თვით ტნკ-ებისათვის 2007 წლის world investment report-ში[172].

ტნკ-ების ძალაუფლება უკავშირდება გარკვეული და დიდი რაოდენობით მატერიალურ რესურსების ფლობას. ეს კი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათ უქმნის კონკურენტულ უპირატესობას სამოქალაქო საზოგადოების სხვა სუბიექტებთან მიმართებით. თუმცა, ისინი მუდამ განიცდიან არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებისაგან მუდმივ მონიტორინგს მათ მოქმედებებზე. ამიტომ ტნკ-ები იძულებლნი არიან განახორციელონ გარკვეული სოციალური, ჰუმანიტარული, ეკოლოგიური პროგრამები, ან უკიდურეს შემთხვევაში მოახდინონ სამოქალაქო სექტორის ლობირება სხვადასხვა გზებით - მედია საშუალებების გამოყენება, პიარ აქციების ჩატარება და ა.შ. ტნკ-ების მიერ ლობირების შესაძლებლობები სულ უფრო ფართოვდება, როგორც ეროვნულ, ასევე, ზენაციონალურ დონეებზე.

სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია ასევე ხელი შეუწყოს ქვეყნის შემოსავლების უფრო მეტ ზრდას რესურსების რაციონალური გამოყენების მოთხოვნების გზით. მსოფლიო გამოცდილების შესწავლითა და შედარებით მათ შეუძლიათ გაზარდონ ამ თვალსაზრისით არსებული ცოდნა. ამ კუთხით განსაკუთრებით მისასალმებელი იქნება ინიციატივები რეგიონალურ დონეზე.

სამოქალაქო საზოგადოება არსებული შესაძლებლობების გამოყენებით ხელს შეუწყობს იმ სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპების განვითარებას, რომელიც უზრუნველყოფს ტნკ-ების მოქმედებების შედეგების კეთილისმყოფელ გავლენას და გაძლიერებას ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტაში - ადამიანის უფლებების, სოციალური და გა-

---

[172] **world investment report,** Transnational Corporations, Extractive Industries and Development, UNITED NATIONS
New York and Geneva, 2007, p. 27

რემოზე ზრუნვის ნორმებისა და ანტიკორუფციული სტან-დარტების საყოველთაო დაცვის ხელშეწყობით.

განსაკუთრებულ შემთხვევებში სამოქალაქო საზოგა-დოებას უნდა შეძლოს შეიმუშავოს მექანიზმები, როგორც ინსტრუმენტი ადამიანი უფლებების, გარემოს დაცვითი და ა.შ. საკითხებთან მიმართებით. ნებაყოფილობითი ინიცატი-ვები სასარგებლო იქნება იმ ქვეყნებში, სადაც შესაბამისი კა-ნონმდებლობა, ან მისი გავლენა არ არსებობს.

რესურსებით მდიდარ ბევრ განვითარებად ქვეყნებში ტნკ-ების უარყოფითი გავლენის გამო შეიქმნა საერთაშორი-სო ინიციატივები წიაღისეული სიმდიდრეების მოპოვებასა და მიმღები ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებას-თან დაკავშირებული კონფლიქტის რისკის შემცირების მიზ-ნით. ამავე დროს, მასში მოცემული არის სტანდარტები, რო-მელიც კონფლიქტური სიტუაციების კორპორატიული ქცევი-სათვის უნდა იქნეს გამოყენებული. მათგან აღსანიშნავია მომ-პოვებელი მრეწველობის დარგების საქმიანობის გამჭვირვა-ლობის, კიმბერლეის პროცესის სერთიფიცირების სქემის, უსაფრხთოებისა და ადამიანის უფლებების ნებაყოფილობითი პრინციპების და ანგარიშის გლობალური ინიციატივები.

სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია დიდი როლი ითა-მაშოს ამ ინიციატივების ხელშეწყობისათვის. როგორც სა-ერთაშორისო, ისე ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზა-ციებს შეუძლიათა მოახდინონ მუდმივი მონიტორინგი ეკო-ნომიკურ-ეკოლოგიურ და ადამინის უფლებებთან დაკავში-რებულ პრობლემებზე. მათ ასევე შეუძლიათ კონტროლი გა-უწიონ სახელმწიფო სტრუქტურების და კომპანიების მოქ-მედბებს, ყურადღება მიაქციონ მათ არასწორ და შეუსაბამო მოქმედებებს. ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება სწო-რედ იმ ქვეყნებზე და ტნკ-ებზე მოდის, რომლებიც მომპოვე-ბელი მრეწველობით არიან დაკავებულნი, რომ მოხდეს მათი ჩართვა ამ ინიციატივებში.

მაგალითად, შეთანხმება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ტნკ-ებს შორის, Global Compact, საფუძვლად უდევს მათ შორის პარტნიორობას გლობალიზაციის პროცესის თანმხლები ზოგიერთი პრობლემის გადაწყვეტაში, ადამიანის უფლებების, სოციალური და გარემოზე ზრუნვის ნორმებისა და ანტიკორუფციული სტანდარტების საყოველთაო დაცვის ხელშეწყობით.

ქვეყნის რესურსების მოპოვების პროცესში ჩართვისას ტნკ-ების როლი პირველ რიგში მიმართული უნდა იქნეს ეფექტური წარმოების ხელშეწყობისკენ და მიმღები ქვეყნის კანონდმებლობის პატივისცემისკენ.

გაეროს ჩთ-ის ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით, როცა წიაღისეული სიმდიდრეები სუსტი მმართევლობის ან ავტორიტარიზმის მქონე ქვეყნაშია, უცხოურმა კომპანიებმა უნდა განიხილონ მოახდინონ თუ არა ინვესტიციები ჩადება ასეთ ქვეყანაში[173]. როდესაც ამ მხრივ არ არის არჩევანის გაკეთება ადვილი, არსებობს მრავალი ახალი ინსტრუმენტი (მლიქვნელობის შეფასების ინდიკატორი, რომელიც შემოგვთავაზა ადამინის უფლებების და რისკის დანიურმა ინსტიტუტმა და გავლენის შეფასებისა და ეკრანირების მეთოდი, რომელიც შემუშავებულია საერთაშორისო განგაშის მიერ), რომლებსაც შეუძლიათ შექმნას გარკვეული წარმოდგენა ამ კუთხით.

საერთაშორისო პრაქტიკა ადასტურებს, რომ საკუთრივ დიდ კომპანიებს შორის, მათ შორის ნედლეულის მომპოვებელი ტნკ-ებს, რომელებმაც ხელი მოაწერეს მსგავს საერთაშორისო ინიციატივებს ჯერ კიდევ ცოტაა. გაზის, ნავთობის და სამთო მრეწველობის ტნკ-ების მიმოხილვა აჩვენებს რომ მათგან ცოტა თუ გულწრფელად იზიარებდეს აღნიშნულ ინი-

[173] **world investment report,** Transnational Corporations, Extractive Industries and Development, UNITED NATIONS
New York and Geneva, 2007, p. 28.

ციატივებს. განსაკუთრებით კი განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე კომპანიები. თუმცა, ბევრი კომპანიაა ამ ინიციატივებში ჩართული და ერთგულად იცავს არსებულ ვალდებულებებს. შესაბამისად, მათი გავლენა შეზღუდულია მიმრებ ქვეყნებზე.

ყველა დაინტერესებული მხარის ძალისხმევა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ რომ წიაღისეულებით მდიდარ, მაგრამ უღარიებეს ქვეყნებს მიეცეთ შესაძლებლობა განვითარების გზას დაადგენენ.

დაბალი შემოსავლების, მაგრამ, წიაღისეული რესურსებით მდიდარ და ეკონომიკური პოტენციალის მქონე ქვეყნებში მნიშვნელოვანი როლის თამაში შეუძლიათ ტნკ-ებს ნედლეულის მოპოვების, გადამუშავებასა და რეალიზაციის, წარმოების განვითარების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, საზოგადოების კეთილდრეობის მიღწევის, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. მაშასადამე, პრობლემის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ უნდა მოხდეს სტრუქტურების განვითარება, რომლებიც შექმნიან ნამდვილ საფუძვლებს ადგილობრივი და უცხოური კომპანიების ეფექტური მოქმედებისათვის, მათი მხრიდან ეკოლოგიური და სოციალური მოთხოვნილებების პატივისცემისათვის, რომელიც მთლიანობაში ასახავს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესებს. ურთიერთსასარგებლო სიტუაცია შეიქმნება მხოლოდ, მაშინ როცა ქვეყნის წიაღისეული სიმდიდრების მოპოვება და დამუშავება, ქვეყნის ეკონომიკური და სამრეწველო პოტენციალის გამოყენება მოხდება ეფექტურად, რაციონალურად და მიზანმიმართულად, თუკი მიმღები ქვეყანა, დაინტერესბულ მხარეებთან ერთად, ეფექტური პოლიტიკით შეძლებს მიღებული შემოსავლების წარმართვას მდგრადი განვითარებისა და სიღარიბის დაძლევისათვის.

### *5.3. ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარების პერსპექტივა და ძირითადი მიმართულებები ამიერკავკასიის ქვეყნებში*

ამიერკავკასიის ქვეყნების საინვესტიციო გარემოს შეფასების პარამეტრების არსებითი განსხვავებების მიუხედავად საინვესტიციო მიმზიდველობისათვის აუცილებელია პრაქტიკულად გადაწყდეს ამ ყვეყნებში არსებული მსგავსი პრობლემები, რომელებიც ბევრად აფერხებს ტნკ-ების შემოსვლას ქვეყნაში. პრობლემები აქაც იდენტურია და ხასიათდება შემდეგნაირად:

- ამიერკავკასიის ქვეყნების ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს პოლიტიკური არასტაბილურობა. ორგანიზაცია Vision of Humanity-ის 2009 წლის მშვიდობის გლობალური ინდექსით[174] (რომელშიც გათვალისწინებულია ქვეყნების საშინაო და საგარეო კონფლიქტების გაგრძელების, საზოგადოების დაცულობის და უსაფრთხოების, მილიტარიზმისათვის ღონისძიებები, შესაბამისად დემოკრატიულობის და ტრანსფორმაციის, საერთაშორისო კავშირების დონე, დემოგრაფიის, საერთაშორისო და რეგიონალური ვაჭრობის, განათლების, კულტურის და ა.შ. მაჩვენებლები) 144 სახელმწიფოს შორის საქართველო 134-ე ხოლო აზერბაიჯანს 114-ე ადგილებზე გავიდნენ. სომხეთი ამ რეიტინგში საერთოდ ვერ მოხვდა. ცხადია, დემოკარტიის დაბალი ხარისხი, პერმანენტული შიდა პოლიტიკური და არაჯანსაღი მდგომარეობა, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია არჩევნების წინა და შემდეგომ პერიოდში. ასევე, რეგიონის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების და ნდობის დაბალი ხარისხი, განსაკუთრებით სომხეთსა და აზერბაიჯანს, სომხეთსა და თურქეთს  შორის, კონფლიქტები საქართველოში, და-

[174] წყარო: Vision of Humanity , The Global Peace Index, http://www.visionofhumanity.org/gpi/results/rankings/2009/

ძაბულობა საქართველოსა და რუსეთს შორის, სომხეთის იზოლაციური მდგომარეობა აზერბაიჯანისა და თურქეთის მხრიდან, ყველაფერი ეს მთლიანობაში რეგიონს არასტაბილურობის იმიჯს უქმნის მსოფლიოში.

აუცილებელია რეგიონის ქვეყნების საგარეო პოლიტიკური კურსის კოორდინაცია, განსახვავებული საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია მნიშვნელოვნად აფერხებს რეგონში უსაფრთხოების უზრუნველყოფას. მიზანშეწონიალია ტრანსნაციონალური პროექტების განხორციელებაში რეგიონის სამივე ქვეყნის ჩართვა. ამ უკნასკნელთა განხორციელება ბევრად საიმედო მექანიზმებს ქმნის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში და ხელს შეუწყობს ქვეყნებს შორის ინტეგრაციის გაღრმავებაში.

- არაეფექტური და კორუმპირებური სამართალდამცავი სისტემა (განსაკუთრებით სომხეთსა და აზერბაიჯანში, საქართველომ კორუფცის აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა), რომელიც ინვესტორებისათვის ბევრად არსებითი დაბრკოლებაა ინვესტიციების განხორციელებისათვის. ეს რთული ამოცნა მოითხოვს სამართლებრივი სისტემის და შესაბამისად, სახელმწიფო სისტემის სრულყოფის აუცილებოლობას, რაც ასევე შექმნის მნიშვნელოვან წინაპირობას კორუფციის წინაამღმდეგ ბრძოლისათვის. ამის მაგალითად გამოდგება საქართველო, სადაც სწორედ ანალოგიური ღონისძიებების გატარების შედეგად ქვეყნამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია.

- სამივე ქვეყნისათვის დამახასიათებელია და სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საგადასახადო სისტემის ეფექტიანობის ხარისხის გაუმჯობესება. განსაკუთრებით ექსპორტიორებისათვის დამატებითი ღირებულების გადასახადის ზრდის პრობლემა. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის აუცილებელია მოქმედების შეთანხმებული პროგრამა სახელმწიფო მმართველობის მოდერნიზაციის მიმართულებით. გა-

დასახადის გადამხდელის ტრანსაქციული დანახარჯის შემცირება, პროცედურის განუხრელი გამარტივება.

- მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია კანონმდებლობაში ნაკლები გაგების ხარისხი და ცვლილებების მაღალი სიხშირე, განსაკუთრებით მის საგადასახადო და საბაჟო სფეროში. ცვლილებები კი უნდა მოხდეს საკანონმდებლო აქტების პროექტის წინასწარი პუბლიკაციის შემდეგ, ასევე შემოთავაზებული ცვლილებების განხილვაში ბიზნესსტრუქტურების აქტიური ჩართვით, ხოლო ძალაში შესვლამდე აუცილებელია გარკვეული გარდამავალი პერიოდის გასვლა. ინვესტიციების დაცვის კუთხით ყურადღება უნდა მიექცეს გარანტიის სიზუსტეს და ხარისხს, რომელიც წარმოდგენილია კანონმდებლობაში. იგი მიღწეული უნდა იქნას კანომდებლობაში ცვლილებების შემთხვევების და სფეროს ზუსტი აღწერით.

- მნიშვნელოვანი პრობლემაა საბაჟო შემოწმების პროცედურის გამარტივება და ამისათვის დროის შემცირება. ასევე საბაჟო პროცედურების ზუსტად ისე გამოყენება, როგორც ეს მოცემულია საბაჟო კოდექსებში.

- სახელმწიფო მმართველობის სტრუქტურული მოდერნიზაციის მნიშვნელოვანი საკითხია სახელმწიფო სამსახურების ჩარევა ინვესტორების და მწარმოებლების საქმეში. ეს პრობლემა სამივე ქვეყნისათვის აქტუალურია. 2006-2007 წწ. აუცილებელია ბიზნესსექტორსა და სახელმწიფო მოსამსახურებს შორის ურთიერთობაში ეტაპობრივად ელქტრონული მმართველობის პროცედურების და მექანიზმების დანერგვა, რაც ბიუროკრატიულ დაბრკოლებებს აღმოფხვრის. ასევე სახელმწიფოსა და ბიზნეს სექტორს შორის ინტენსიური დიალოგიის, მათთან კონსულტირების გზით, ბიზნეს-სტრუქტირების წევრების ეკონომიკური პროფილის სახელმწიფო უწყებებში ჩართვის ხარისხის გაზრდით.

გარდა ზემოთ დასახელებული პრობლემებისა უკანასკნელ ხანს შეიმჩნევა სხვა პრობლემებიც. კერძოდ, სომხეთში არსებულმა კვლევითმა ცენტრმა ,,ეკონომიკა და ფასეულობები", ჩაატრა მეტად საინტერესო კვლევა თემაზე ,,ტრანსნაციონალური კორპორაციების მოზიდვა სომხეთში". ცენტრმა გაანალიზა პუი-ის გლობალური ტენდენციები და ტრანსნაციონალური კომპანიების სტრატეგიები. ამ თუ იმ ქვეყანაში მათი შესვლის მოტივაცია. მათ შეისწავლეს 20-მდე მსოფლიოს უმსხვილესი კორპორაცია, მათ შორის simens, IBM, Microsoft, Philips, Pfizer da ა.შ.. უნგრეთის და ისრელის მაგალითზე, სადაც განსაკუთრებით მაღალი იყო ტნკ-ების შესვლის დინამიკა.

აღმოჩნდა რომ გადამწყვეტი ფაქტორი მოცემულ შემთხვევაში იყო მოსახლეობის განათლების მაღალი დონე[175]. მაშინ, როდესაც დასახელებულ ქვეყნებში სკოლის დამთავრების შემდეგ მოსახლეობის 65% და 59% აგრძელებს სწავლას უმაღლესში, სომხეთში ეს მაჩვენებელი 28 პროცენტს შეადგენს. ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოსა და აზერბაიჯანში. ამასთან გასათვალისწინებელია, თუ როგორია განათლების ხარისხი ამიერკავკასიის რეგიონის ქვეყნებში. აშკარაა რომ ახალ ტექნოლოგიებზე ორიენტირებული ტრანსნაციონალური კორპორაციებისათვის ამ კუთხით ამიერკავკასიის ქვეყნები სერიოზულად მოიკოჭლებს. მაგ. შრომის დაბალი ნაყოფიერების გათვალისწინებით პროდუქციის წარმოება საქართველოში უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე განაში. ავეჯის წარმოებაში დასაქმებული მუშაკის ანაზღაურება ახლოა რუმინეთის ამავე სექტორში დასაქმებული მუშაკის ანაზრაურებისა, ხოლო შრომის წარმადობა თითქმის სამჯერ ნაკლებია. იმავე სექტორში ირლანდიაში შრომის ანაზრაურება შვიდჯერ მეტია, ვიდრე საქართველოში, ხოლო

[175] Карен Арзуманян, как привлечь транснационалные корпорации, **№03** (757) от 8 февраля 2008 года, http://www.express.am/3_08/management03.htmltrend

ერთეული მუშაკის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა თოთხმეტჯერ მეტია[176]. როგორც მკვლევარები მიუთითებენ ამ მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მუშაკების არ არსებობაა. მნიშვნელოვანი პრობლემაა ასევე, რეგიონის ქვეყნებიდან ინტელექტის გადინებაც. რაც ადგილზე ახალი საწარმოო-ტექნოლოგიების განვითრებაში მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ამიერკავკასიის ქვეყნებიდან მოსახლეობის და შესაბამისად, სამუშაო ძალის მიგრაციული პროცესები საზღვარგარეთ რეგიონის სახელმწიფოების აქტუალური პრობლემაა. ოფიციალური მონაცემებით აზერბაიჯანის მოსახლეობა 8 მილ. 436 ათას შეადგენს (2006 წ. მონაც.), სომხეთის 3 მილ. 239.4 ათასი (2009 წ. მონაც.), საქართველო 4.385.4 მილ. (2009 წ. მონაც.)[177]. 1992 წლის შემდეგ სომხეთიდან დაახლებით მილიონი ადამიანი წავიდა საზღვარგარეთ, აქედან 700 000 ათასი რუსეთის ფედერაციაში, 2007 წელს მიგრაციული სალდო იყო -3,5 (ათასი კაცი)[178], ბოლო მონაცემებით სომხეთს დადებითი მიგრაციული სალდო აქვს[179]. 2008 წლის მონაცემებით საქართველოს მიგრაციული სალდო შეადგენს - 10,2 (ათასი კაცი)[180]. CIA-ის (Central Intelligenca Agency) მონაცემებით ამიერკავკასიის ქვეყნებს უარყოფითი მიგრაციული

---

176 გაზ. ბანკები და ფინასები, სამრეწველო სექტორის მდგრადობა ერთობ მყიფეა" ინტერვიუ პროფესორ თამაზ აგლაძესთან, http://banksandfinance.ge/estate/132-krizisi.html

177 სომხეთის ნაციონალური სტატისტიკური სამსახური - http://www.armstat.am/ru/?nid=126&id=11001; საქართველოს სატატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი - http://www.statistics.ge/_files/georgian/population/00%20ZiriTadi%20demografiuli%20maCveneblebi.xls

178 http://www.newsarmenia.ru/exclusive/20090213/42025895.html

179 http://www.yerkramas.org/news/2009-06-02-6088

180 saqarTvelos satatistikis departamenti - http://www.statistics.ge/_files/georgian/population/14%20migraciuli%20saldo.xls

სალდო აქვთ - სომხეთს -4,56; საქართველოს -4,62; აზერბაი-ჯანს -1,69 ათას კაცზე[181].

მიგვაცნია, რომ კიდევ ერთი პრობლემა რაცრეგიონის ქვეყნებში ხელს უშლის ტნკ-ების უშუალო და აქტიურ შემოს-ვლას, პროდუქციის ადგილზე წარმოების თვალსაზრისით, ეს არის ე.წ. ქსელური მარკეტინგის განვითარება, რომელიც უკა-ნასკენელ ხანს ფართო მასშტაბებს იძენს მსოფლიოში. ამ სერ-ვისის შედეგად მსოფლიოს აღიარებული და დიდი ბრენდები უკვე დიდი ხანია შემოვიდნენ და დამკვიდრდნენ ამიერკავკა-სიის ქვეყნების ბაზარზე. დისტრიბუციული ქსელის და მომ-სახურების განვითარება ხელს უწყობს პროდუქციის ყველა ქვეყნაში შეტანს და გასაღებას. ასეთ შემთხვევაში ამიერკავ-კასიის რეგიონის ქვეყნებს უფრო სამომხმარებლო ბაზრად გადაქცევა ემუქრება, ვიდრე მწარმოებელი ქვეყნებად განვი-თარება. აუცილებელია, ეფექტურად იქნეს გამოყენებული რეგიონის გეოპოლიტიკური მდებაროება და მოხდეს მისი როგორც პროდუქციის მასობრივი წარმოების ცენტრად ჩამო-ყალიბება. ამ კუთხით რეგიონის ქვეყნებს დიდი პერსპექტივა აქვთ. მიზანშეწონილია რეგიონის ქვეყნების მთელი საწარმოო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, გან-საკუთრებული აქცენტი აღებული უნდა იქნას თავისუფალი ეკონომიკური თუ ინდუსტრიული ზონების შექმნაზე სამ-ხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყენების გამოცდილების გათვა-ლისწინებით.

სომხეთში სომხეთ-ევროპის პოლიტიკური და იურიდიუ-ლ საკონსულტაციო ცენტრმა (AEPLAC) მეტად საინტერესო გამოკითხვა ჩაატრა. ის ეხებოდა სომხეთში მოღვაწე ტნკ-ების წარმომადგენლობების და ფილიალების საქმიანობის შესწავ-ლას. აღმოჩნდა, რომ მათი უმრავლესობა წარმოდგენილია სა-ვაჭრო (41%) და მომსახურების (32%) სექტორებში. ამ უკნას-

[181] წყარო: Central Intelligenca Agency
https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/index.html

კნელში შედის საჰაერო და სატვირთო გადაზიდვები, ტურიზ-მი, სასტუმრო ბიზნესი და ა.შ ასევე კომუნალური მომსახურე-ბა — გაზი, ელექტროენერგეტიკა, ტელეკომუნიკაცია)[182]. ანა-ლოგიური სურათია საქართველოშიც. თუ თვალს გადავავ-ლებთ უცხოური ფირმების და ტნკ-ების კორპორაციების ფი-ლიალების და წარმომადგენლობების ჩამონათვალს, თვალში საცემია მათი დასაქმების სფეროებიც. ხოლო აზერაბიჯანში კი ისინი ძირითადად ნავთობის სექტორში არიან წარმოდგენი-ლი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემაფერხებელ გარემოებად ასევე მიიჩნევა მსოფლიო ეკონომიკური კრიზი-სი. უკანასკნელ ხანს ეს პროცესი კარგად აისახა ამიერკავკა-სიის რეგიონის ქვეყნების საინვესტიციო ნაკადებზე. ზემოთ მოყვანილი ცხრილადანაც (ცხრილ. 24) კარგად ჩანს 2008 წლიდან მოყოლებული როგორ ხდება პუი-ის რაოდენობის შემცირება საზღვარგარეთიდან.

რეგიონი დღეს განიხილება დასავლეთევროპული სა-ხელმწიფოებისათვის ერთ-ერთ მთავარ პარტნიორად ენერ-გომომარაგების და სატრანზიტო მიმართულებით, რომელ-საც თანამედროვე ეტაპზე დიდი პოლიტიკური და ეკონომი-კური მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ევროპის ენერგომო-მარეგების უსაფრთხოების თვალსაზრისით, არამედ თავად ამიერკავკასიის რეგიონის უსაფრთხოების უზრუნველყო-ფისა და რეგიონის ქვეყნების დასავლეთის წამყვან ინსტი-ტუტებთან ინტეგრაციის კუთხით. ყველაფერი ეს კი მნიშვნე-ლოვანია საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის რეგიო-ნალურ და მსოფლიო დონეზე დემოკრატიული ტრანსფორ-მაციისათვის.

ამიერკავკასიის ქვეყანებს გააჩნია მზარდი და სწარფად განვითარებადი ეკონომიკური ტემპი და პოტენციალი. რეგი-ონის ქვეყნების ეკონომიკური განვითარების კიდევ უფრო

[182] წყარო: http://www.aeplac.eu/Events/events.asp

დაჩქარებისათვის აუცილებელია ტარნსნაციონალური კომპანიების საქმიანობის მასშტაბების გააქტიურება. ამიერკავკასიის ქვეყნები — საქართველო და აზერბაიჯანი ერთ-ერთი მთავრი ღერძია ევროპის ენერგომატრებლებით მომარაგების კუთხით. ამდენად, ამიერკავკასიის ქვეყნებს შორის რეგიონალური საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება და ცივილური ურთიერთობების შენარჩუნება ამიერკავკასიის უსაფრთხოების ერთ ერთი გარანტი იქნება, რაც თავის მხრივ გაზრდის უცხოური კომპანიების და შესაბამისად მათ მიერ ინვესტიციების რაოდენობას რეგიონში.

ტნკ-ების როლი აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობის გაზრდის თვალსაზრისით, უპირველესად საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის პრობლემის ჭრილში უნდა იქნას განხილული.

გლობალიზაცია დინამიკური პროცესია. ხოლო რეგიონალიზაცია და გლობალიზაცია მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული პროცესებია. ამიტომ საფუძველს მოკლებული არ არის, იმ პერსპექტივის ჩვენება, რომელიც გამომდინარეობს რეგიონის ამა თუ იმ ადგილობრივი კომპანიის რეგიონული ოპერაციების მაღალი მაჩვენებელებიდან და შეიძლება თუ არა მათი მიჩნევა გლობალური სტრატეგიის შემადგენელ ნაწილად. ამ ეტაპზე რეგიონის ქვეყნებიდან აზერბაიჯანს მეტი შანსი აქვს მოხვდეს გლობალური კომპანიების ჩამონათვალში. კერძოდ, საუბარია აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობ კომპანიაზე „SOKAR-ზე".

აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია "სოკარი", მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდსი ვერტიკალური ინტეგრაციის ჰოლდინგური კომპანიაა სრული საწარმოო ციკლით, რომლეიც მოიცავს ნავთობის მოპოვებას, გადამუშავებას და რეალიზაციას. მასში გაერთიანებულია ხმელეთზე და ზღვაში ნავთობის მოპოვების, ნავთობის გადამუშავების, გეოფიზიკის და საინჟინრო-გეოლოგიური, შელფპროექტმშე-

ნებლობის, აზერბაიჯანის ნათობით უზრუნველყოფის, კასპიის ზრვის ნავთობის ფლოტის საწარმოები და ოთხი სამეცნიერო კვლევითი ცენტრი. მასში დასაქმებულია 77 000 ადამიანი. "სოკარს", წარმოების განაწილების შესახებ უცხოური ნავთობკომპანიების კონსორციუმებთან 25 ძირითადი ხელშეკრულება აქვს გაფორმებული. გარდა ამისა, გაფორმებულია ორი მსხვილი შეთანხმება: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და სამხრეთ კავკასიის მილსადენებზე, ძირითადი კაპიტალის ღირებულებაა 5 მილდ. აშშ დოლარია. ხოლო კაპიტალდაბანდების საერთო მოცულობა 50 მილიდ. აშშ დოლარია[183].

SOKAR-ი წარმოადგენს ერთ-ერთ უმსხილეს ნავთობკომპანიას მსოფლიოს მასშტაბით. იგი აკმაყოფილებს რესპუბლიკის შიდა მოთხოვნებს ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე და ახორციელებს ჭარბი პროდუქციის ექსპორტს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მას გააჩნია სათანადო საწარმოო სიმძლავრეები, კარგად განვითარებული მომსახურების სექტორი და დიდი მეცნიერული და ტექნიკური პოტენციალი.

SOKAR-ი აწარმოებს ნავთობმომპოვებელ სამუშაოებს მიწასა და ზღვაზე, უტილიზაციისა და აღდგენით სამუშაოებზე და დაკომპლექტებულია.

SOKAR-ი ფართოვდება მსოფლიო მასშტაბით. მისი შვილობილი კომპანიები უკვე არსებობენ არაერთ ქვეყანაში. მათ შორის - საქართველო, თურქეთი, ავსტრია, რუმინეთი, ყაზახეთი, ირანი და უკრაინა. კომპანია სოკარს თითქმის გააჩნია ყველა ის კრიტერიუმი რომლითაც დღეს განისაზღვრება კომპანიის გლობალიზაციის ხარისხი. კერძოდ, ქვეყნების რაოდენობა, რომლებშიც კომპანია მოქმედებს (მოიცავს თუ არა ოპერაციები გლობალურ მასშტაბს); განსაზღვრული ზომა, რომელსაც კომპანიამ მიაღწია; უცხოური ოპერაციების წილი ფირმის შემოსავლებში ან გაყიდვებში;

[183]წყარო: http://www.socar.ge/page.php?lang=ge&page=00
http://www.anar2000.narod.ru/GNKAR.htm

კომპანიის პერსონალის მრავალეროვნული შემადგენლობა; კომპანიის საქმიანობის გლობალური ხედვა და სტრატეგია.

2006 წლის ნოემბერში "სოკარმა" გახსნა წარმომადგენლობა საქართველოში და დაწიყო შვილობილი კომპანიების შექმნა. მათ შორის: “SOCAR Energy Georgia” LTD და Kulevi “Qara D niz Terminali” MMC. წარმომადგენლობის ძირითადი მიზანია დაიცვას კომპანიის ინტერესები ეკონომიკურ საკითხებში, შექმნას ხელსაყრელი გარემო კომპანიის პროექტების განვითარების მიზნით და განახორციელოს დაინტერესებულ მხარეთა ქმედებების კოორდინირება. "სოკარი" აქტიურად თანამშრომლობს სახელმწიფო ორგანოებთან, მოლაპარაკებებს აწარმოებს იურიდიულ პირებთან და დაკავებულია სასპონსორო და საქველმოქმედო საქმიანობით საქართველოში[184].

“SOCAR Energy Georgia” LTD საქართველოში ახორციელებს: საწვავი პროდუქტების საბითუმო და საცალო რეალიზაციას; ბენზინისა და ლიკვიდური აირის იმპორტს; ასევე აშენებს საწვავი პროდუქტებისთვის ტერმინალებსა და საწყობებს. მისი წილი ბენზინის ბაზარზე 72%-ს, ხოლო დიზელის ბაზარზე - 61%-ს შეადგენს. “სოკარმა” სახელმწიფო ბიუჯეტში 88 400 000 ლარი შეიტანა. ამ მაჩვენებლით “სოკარი” საქართველოში საწვავის იმპორტიორ კომპანიათა შორის უმსხვილეს გადამხდელს წარმოადგენს.

კომპანიამ განახორციელა 400 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია. 2008 წელს ყულევში ამოქმედდა ნავთობტერმინალი. მისი სარეზერვუარო პარკის საერთო მოცულობა 320 000 კუბური მეტრია.

"სოკარ ენერჯი ჯორჯიამ" დააფუძნა რამდენიმე შვილობილი საწარმო, რომლებიც ურთიერთკავშირითა და ერთიანობით ხასიათდებიან. მიუხედავად იმისა, რომ სხვადას-

184 http://www.representation.ge/page.php?lang=ge&page=00

ხვა სფეროებში მოღვაწეობენ. მათ შორისაა 2006 წელს შპს "სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი". მისი საქონელბრუნვა ყოველთვიურად რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარს შეადგენს. კომპანიის ძირითად ამოცანას საქართველოს ბაზარზე ხარისხიანი, სტანდარტების შესაბამისი, კონკურენტუნარიანი პროდუქციის ექსპორტირება და რეალიზაცია წარმოადგენს. კომპანიამ 2008 წელს საცალო ქსელის განვითარება დაიწყო. დღეს საქართველოს ტერიტორიაზე უკვე 23 ავტოგასამართი სადგური (აგს) ფუნქციონირებს. 2010 წლის ბოლოსთვის საქართველოს ტერიტორიაზე 50-მდე აგს-ის გახსნა იგეგმება.  კომპანიაში ამჟამად 350-მდე ადამიანია დასაქმებული. საქართველოს ბუნებრივი გაზის (როგორც საბითუმო, ისე საცალო) ბაზარზე დამკვიდრების მიზნით 2007 წელს შეიქმნა შპს "სოკარ ჯორჯია გაზი," შპს "სოკარ ენერჯი ჯორჯიას" შვილობილი კომპანიაა. კომპანიამ გაიმარჯვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტენდერში მას  დაეკისრა როგორც გაზის დისრტიბუცია (განაწილება), ისე გაზიფიკაციის მასშტაბური პროგრამის რეალიზაცია - 30-მდე ქალაქსა და რაიონში გაზგამანაწილებელი ქსელების მშენებლობა, რაც 150 000 მომხმარებელს საშუალებას მისცემს ჩაერთოს საერთო ქსელში და მიიღოს ბუნებრივი გაზი.

2008 წლის მაისიდან შპს "სოკარ ჯორჯია გაზმა" მოღვაწეობა ბუნებრივი გაზის საბითუმო ბაზარზე დაიწყო და მისი ბრუნვა თვეში დაახლოებით 10 მლნ. ლარს აღწევს.

2007 წელს დაფუძნდა და ფუნქციონირებს, შპს "სოკარ ენერჯი ჯორჯიას" კიდევ ერთი შვილობილი კომპანიაა შპს "სოკარ ჯორჯია სექიურითი",  როგორც დამოუკიდებელი ერთეული. კომპანიაში 215-ზე მეტი ადამიანია დასაქმებული. ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: ტერმინალის, ბენზინგასამართი სადგურების, კომპანიის ცალკეული ოფისებისა

და ობიექტების უსაფრთხოება და კონტროლი; ასევე ფიზიკური და იურიდიული პირების დაცვა.

რეგიონის ქვეყნებში ტნკ-ების შემოსვლისა და საქმიანობის მოდელი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: თვით ტნკ-ების ეკონომიკური ინტერესები; უცხოური კაპიტალის დაბანდების სფერო და პროდუქციის სახე; პუი-ს მოზიდვის სტრატეგიული მიზნები.

